

675-1/2
1989

ISSN-0132-6058

საქართველოს
სსრ მეცნიერებათა
აკადემიის

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის

მაცნე

ისტორიის
არქეოლოგიის
ეთნოგრაფიისა და
ხელოვნების ისტორიის
სერია

4. 1989



საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე
ИЗВЕСТИЯ АКАДЕМИИ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР

ისტორიის, არქეოლოგიის,
ეთნოგრაფიისა და
ხელოვნების ისტორიის
სერია

СЕРИЯ
ИСТОРИИ, АРХЕОЛОГИИ,
ЭТНОГРАФИИ И
ИСТОРИИ ИСКУССТВА



თბილისი
ТБИЛИСИ

4. 1989

ჟურნალი დაარსებულია 1971 წელს
Журнал основан в 1971 году



გამოდის 3 თვეში ერთხელ
Выходит раз в 3 месяца

სარედაქციო კოლეჯია: ა. აფაქიძე, ვ. ბერიძე, ო. გოგინეი-
შვილი, ვ. ითონიშვილი, ი. კაჭარავა (რედაქტორის მოადგილე), რ. კიკნაძე
(რედაქტორის მოადგილე), გ. მელიქიშვილი (რედაქტორი), ა. რობაქიძე,
ლ. ჭილაშვილი.

РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ: А. М. Апакидзе, В. В. Беридзе, В. Д. Итони-
швили, О. И. Гигинейшвили, Ю. М. Качарава (зам. редактора), Р. К. Кикнадзе
(зам. редактора), Г. А. Меликишвили (редактор), А. И. Робакидзе, Л. А. Чилашвили,

პასუხისმგებელი მდივანი გ. ლორთქიფანიძე
Ответственный секретарь Г. Г. Лордкипанидзе

რედაქციის მისამართი: თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., № 19
Адрес редакции: Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19
ტელეფონი 37-85-50 Телефон

გადაეცა წარმოებას 15.XI.89; ხელმოწერილია დასაბეჭდად 6.04.90;
ანაწყოების ზომა 7×12; ქაღალდის ზომა 70×108¹/₁₆; პირობ. ნაბეჭდი თაბახი 15,75;
პირ. საღ. ვატარება 16,45; სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 12,37;
უე 03601; შეკვეთა 298 ტირაჟი 900;

ფასი 1 მან. 30 კაპ.

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ. 19.
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Типография АН Грузинской ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

შინაარსი

წარიღები

ს. ხოსიტაშვილი, რევოლუციური მოძრაობა სამცხე-ჯავახეთში (1905—1907 წწ.)	5
მ. შიშაძე, სამხრეთ საქართველო რუსეთ-თურქეთის ომის (1828—1829 წწ.) შემდგომ პერიოდში	21
მ. ლიტაი, დაბლაგომური ასო-ნიშნები	30
დ. ლეთილაძე, აფხაზების (აბაზგების) გაქრისტიანების დათარიღებისათვის	44

ცნობები და შენიშვნები

ნ. ანობაძე, საქართველოს გლეხობა მიწისა და თავისუფლებისათვის ბრძოლაში	55
ლ. შრუშაძე, ქართული წარმოშობის მოღვაწენი ოსმალეთში (XVI—XIX სს.)	66
ბ. სილაგაძე, იაპია ანტიოქიელის ცნობების გაგება-შეფასების საკითხი ქართულ ისტორიოგრაფიაში	76
ბ. ჯაფარიძე, ქართული მონეტები არაბული ზედწერილებით	89
ნ. ბრეზაძე, ზოგიერთი ტრადიციული წეს-ჩვეულების შედარებითი შესწავლისათვის	95
დ. შაჩნაძე, ეპისკოპოსის სახელზე ნეკრესში	111
რ. რუსიშვილი, ბ. მაისურაძე, ადრებრინჯაოს ხანის ყორღანული სამარხები შირაქის ტერიტორიიდან	122

დისკუსია და განხილვა

წ. რამიშვილი, ზოგიერთი მოსაზრება საქართველოში ფეოდალიზმის გენეზისის საკითხთან დაკავშირებით	137
მ. ითონიშვილი, არაგვის ხეობის ისტორიის საკითხები	158
ი. სურგულაძე, რევან თოდუას ხსოვნას (ნეკროლოგი)	177
ტატაიანა კინკაძე (ნეკროლოგი)	179

СОДЕРЖАНИЕ

СТАТЬИ

С. И. ХОСИТАШВИЛИ, Отклик русской революции 1905—1907 гг. в Самцхе-Джавахети	5
М. С. МИКАДЗЕ, Южная Грузия в период после Русско-турецкой войны (1828—1829 гг.)	21
В. Т. ЛИЧЕЛИ, Даблагомские знаки	30
Д. С. ЛЕТОДИАНИ, Для датировки христианизации Абхазов (Абазгов)	44

СООБЩЕНИЯ И ЗАМЕТКИ

Н. М. АХОБАДЗЕ, Крестьянство Грузии в борьбе за землю и свободу (1910 г. — февраль 1917 г.)	55
Л. З. УРУШАДЗЕ, Деятели грузинского происхождения в Османской империи (XVI—XIX вв.)	66
В. Г. СИЛАГАДЗЕ, К вопросу понимания и оценки сведения Яхьи Антиохийского в грузинской историографии	76
Г. И. ДЖАПАРИДЗЕ, Грузинские монеты с арабскими надписями	89
Н. А. БРЕГАДЗЕ, К сравнительному изучению некоторых традиционных обычаев и обрядов	95
Д. З. ВАЧНАДЗЕ, Епископский дворец в Некреси	111
Р. Н. РУСИШВИЛИ, В. Г. МАИСУРАДЗЕ, Курганы эпохи ранней бронзы с территории Ширака	122

ДИСКУССИЯ И ОБСУЖДЕНИЕ

Р. М. РАМИШВИЛИ, Некоторые соображения в связи с вопросом генезиса феодализма в Грузии	137
В. В. ИТОНИШВИЛИ, Вопросы истории Арагвского ущелья	158
И. СУРГУЛАДЗЕ, Памяти Р. Д. Тодуа (некролог)	177
Т. В. КИКАДЗЕ (некролог)	179



სივამო ზონიტაზვილი

რევოლუციური მოძრაობა სამცხე-ჯავახეთში
(1905—1907 წწ.)

რუსეთის 1905 წლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიულმა რევოლუციამ დიდი გაქანება პოვა საქართველოში და კერძოდ სამცხე-ჯავახეთში. თურქ დამპყრობთა ორნახევარი საუკუნის ბატონობამ, მეფის რუსეთის თვითმპყრობელურმა კოლონიურმა ჩაგვრამ და ადგილობრივ თავადაზნაურთა, მაჰმადიანი ბეგებისა და სომეხ ვაჭართა სამშაგმა მუდმივმა ძარცვამ სამცხე-ჯავახეთის მშრომელი მოსახლეობა ერთ გამოუთქმელ სიღატაკემდე და მონობამდე მიიყვანა, ერთ დროს აყვავებული და კულტურული მხარე „მიყრუებულ ბუნავად“ იქცა.

მიუხედავად იმისა, რომ სამცხე-ჯავახეთში კაპიტალიზმი სუსტად და ნელა ვითარდებოდა, მას მაინც მოჰყვა გლეხობის დიფერენციაცია, სოფლად რამოიშვა, ერთი მხრივ, ბობოლა-კულაკობა, მეორე მხრივ, უკიდურეს სიღარიბეში ჩავარდნილი გლეხობა, რომელთა ერთი ნაწილი კულაკების, ჩარჩვაჭრების ხელში მოექცა, ხოლო მეორე ნაწილი ქალაქად გადაიხვეწა, ყოველდღიური ლუკმა პურის საშოვნელად. „ყველას კარგად მოეხსენება თუ როგორ ამოძრავა ეკონომიკურმა სიციწროვემ ჩვენებური გლეხები. სვანი, რაჭველი, იმერელი, კახელი, ქართლელი ურიცხვად მიედინებოან ქალაქისაკენ და ადგილს დაეძებენ“¹. მათ არც სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობა ჩამორჩა.

ავარარული საკითხის სამართლიანად გადაჭრა ყოველთვის ჭირდა და გადაწყვეტილი რჩებოდა საუკუნეთა მანძილზე. XX ს-ის დასაწყისიდან სოციალ-დემოკრატიული პროპაგანდის გავლენით ავარარულმა მოძრაობამ ფართო, მასობრივი და სისტემური ხასიათი მიიღო სამცხე-ჯავახეთშიც. ამ მხარის გლეხთა მოძრაობაზე დიდ გავლენას ახდენდა თბილისის, გორის, ხაშურის, ბათუმის, ქუთაისის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების წარმომადგენლები, რომლებიც სპეციალურად ჩამოდიოდნენ ადგილობრივი სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების შესაქმნელად და მათ დასახმარებლად.

რუსეთის 1905—1907 წლების რევოლუციის წინ უძლიდა გლეხთა დიდი გამოსვლები ახალციხის მაზრის ლეების, წყალთბილის, აწყურის საზოგადოებაში, ასეთივე გამოსვლები მოხდა ახალქალაქის მაზრის სოფლებში: პრტენში, კოთელნაში, გოგაშენში, დიდ გონდურაში, აბლარში, გულიყაშში და სხვა.

სოფ. პრტენის გლეხობამ მანუკ ბაიბურცკს უარი განუცხადა საბატონო ყანების დათესვასა და გადასახადის შეგროვებაზე. 1901 წლის 20 აპრილს მანუკ ბაიბურცკი და მისი მოურავი დურ ალა პოლიციელებით თავს დაეხზა სოფ. პრტენს. მიუხედავად სოფლის შეახნის გლეხის ნიკოლოზ გიორგის ძე

¹ ა. წულუკიძე, თხზ., ბთ., 1943, გვ. 116.

მაქ. სსრ კ. მარქსის

გვარიმადის თხოვნისა, რამდენიმე დღე კიდევ ეცლია გლეხებისათვის და შემდეგ დათესადნენ ბატონის ყანებს, ბოროტი ბატონი მათრახით მიეჭრა ნ. გვარიამძეს და უმოწყალოდ დაუწყო ცემა სახეში. სოფლის გლეხობამ ვეღარ მოითმინა და მ. ბაიბურცის გათოკეა მოინდომა, მაგრამ პოლიციელებმა იარაღი აშიშვლეს და გლეხობა დააშოშმინეს.

1903 წლის 11 ნოემბერს სოფელ ვანის (ახალციხის მაზრა, ლაბისის საზოგადოება) მოსახლეობასა და პოლიციას შორის ხელჩართული შეტაკება მოხდა გადასახადების აკრეფის გამო. 1902 წლის 11 დეკემბერს ურავლის უბნის ბოქაული შტაბ-კაპიტანი ვ. ბრილინი ახალციხის მაზრის უფროს პოლკოვნიკ ა. პოდგურსკის დაწვრილებით ატყობინებდა ამის შესახებ¹. ასეთივე შეტაკება მოხდა აბლარის სახნავ-სათესების გამო ახალქალაქის მაზრის სოფლების მოსახლეობასა და პოლიციას შორის.

იმდროინდელ სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობაზე, როგორც აღენიშნეთ, თბილისის, გორის, ხაშურის, ბათუმის, ქუთაისის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციები დიდ გავლენას ახდენდნენ. მათ რევოლუციური მუშაობისათვის საფკეთესო პირობები ჰქონდათ, მიუხედავად მოსახლეობის მრავალფეროვნებისა. ჯერ კიდევ 1901 წლიდან ბათუმის სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციაში ირიცხებოდნენ სოფ. უდის (ახალციხის მაზრა) მკვიდრნი მ. პეტრიაშვილი და თ. აბულაძე, ქობლიანის მაზრის გლეხობა ამ უკანასკნელს იცნობდა „არობაროს“ სახელით. აღსანიშნავია, რომ მ. პეტრიაშვილი და თ. აბულაძე დიდი ავტორიტეტით სარგებლობდნენ არა მარტო სამცხე-ჯავახეთში, არამედ თითქმის მთელ დასავლეთ საქართველოშიც — ქუთაისისა და ბათუმის სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციებში. სწორედ ამან განაპირობა ის, რომ ჯერ კიდევ ბათუმის ცნობილ პოლიტიკურ დემონსტრაციაში 1902 წლის 9 მარტს, რომელსაც ი. ბ. სტალინი ხელმძღვანელობდა და შემდგომ წლებში ბათუმის სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციის სხდომებში მონაწილეობდნენ მესხი რევოლუციონერები — მ. პეტრიაშვილი და თ. აბულაძე. ბათუმის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების დავალებით, ისინი 1904 წელს მუდმივ საცხოვრებლად დაბრუნდნენ მშობლიურ მესხეთში. სოფ. უდეში მ. პეტრიაშვილი ხსნის სამეკრავლო სახელოსნოს, რომელიც შემდეგ მეფის საწინააღმდეგო მოძრაობის თავშესაფარს წარმოადგენდა და ქობლიან-ფოცხოვის ხეობის გლეხობაში საავიტაციო მუშაობას ეწევა. თ. აბულაძე, კი, ქუთაისის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების დავალებით, სოფ. ბაღდადიდან გადავიდა ქობლიანის ხეობაში მემამულე ონანოვის მამულში სამუშაოდ. იგი ამ მაზრის გლეხობას შორის საავიტაციო მუშაობას ეწეოდა, ხშირად გლეხთა გამოსვლებს აწყობდა. გლეხთა კინკლაობა მემამულე ონანოვთან ხშირად ქობლიანის უბნის პრისტავის მიხაილოვის ჩარევით მშვიდობიანად მთავრდებოდა. მას თ. აბულაძე — „არობარო“, „მოუსვენარ“ ადამიანად მიაჩნდა და მასზე მუდმივი მეთვალყურეობა ჰქონდა დაწესებული. იმისათვის, რომ მათი საქმიანობა მეფის ოხრანკისათვის შეუშინეველი დარჩენილიყო, მ. პეტრიაშვილი და თ. აბულაძე დროგამოშვებით კონსპირაციული გზებით კონსულტაციებისა და ახალ-ახალი დავალებების მისაღებად ეწვეოდნენ ხოლმე ბათუმისა და ქუთაისის სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციებს. მაგრამ მათი საქმიანობა ქობლიანის ბოქაულსა

² საქართველოს სსრ სახელმწიფო ცენტრალური ისტორიული არქივი, ფ. 24, საქ. 4822, ფურცელი 27 (შემდეგში სტია).

და პოლიციას არ გამოპარვია მხედველობიდან, რასაც შედეგად მოჰყვა ის, რომ 1905 წლის ზაფხულში სოფ. უდუში აღმოაჩინეს რევოლუციის ცენტრი, ამის შესახებ ახალციხის მაზრის უფროსს ა. პოდგურსკის შეატყობინეს, დაარბიეს და დააპატიმრეს ამ მაზრის გლეხობა. 1905 წლის შემოდგომისათვის ახალციხის სამაზრო საპყრობილეში 200-ზე მეტი პოლიტიკური პატიმარი ჰყავდათ, მათ შორის სამი ქალი. მ. პეტრიაშვილი და თ. აბულაძე პატიმრობას გადაურჩნენ და დასავლეთ საქართველოს შეაფარეს თავი. ისინი 1905 წლის 17 ოქტომბრის მანიფესტის შემდეგ დაბრუნდნენ სამცხეში³.

ბათუმის ცნობილ 1902 წლის 9 მარტის დემონსტრაციაში მ. პეტრიაშვილისა და თ. აბულაძის გარდა აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა ახალქალაქის მაზრის სოფ. პრეტენის მკვიდრი ვ. გვარამაძე, სხვა ვაფიცილებთან ერთად ვ. გვარამაძეც დააპატიმრეს და სამი თვე ყოველგვარი გამოძიების გარეშე ბათუმის ციხეში გამოაწყვდიეს. ვ. გვარამაძის გადმოცემით ბათუმის ციხის კამერაში ჰყავდა მეფის ოხრანკას მოთავსებული დემონსტრაციის სულის ჩამდგმელი კობა ჭულაშვილი⁴.

სამი თვის შემდეგ ვ. გვარამაძეს დაკითხვაზე დაუძახეს რუს პოლკოვნიკთან, რომლის თარჯიმანი ბერძენი, გვარად გადიგოვი აღმოჩნდა, გადიგოვს ქართველი ქალი ჰყავდა ცოლად და მისი დახმარებით ვ. გვარამაძე გაანთავისუფლეს, იმ პირობით, რომ 24 საათში დატოვებდა ბათუმს, თორემ წინააღმდეგ შემთხვევაში, ხელმეორედ დააპატიმრებდნენ. მალე, ახალქალაქის მაზრის უფროსმა ვ. გვარამაძეს მ. ბაიბურცკის ცხენების ქურდობა დააბრალა და კვლავ დააპატიმრა. ამის დასამტკიცებლად სოფ. დილიცკის მცხოვრები ხ. კარახანიანი წინასწარ მოისყიდა და ყალბ მოწმედ დაასახელა. მაგრამ ცრუ მოწმეს ვ. გვარამაძის მუქარის შეეშინდა და უარყო ჩვენება. მეფის ოხრანკამ, როცა ასეთი თალღითური ხერხითაც ვერ შეძლო ვ. გვარამაძის დაპატიმრება, შემდეგ მისი მოკვლა გადაწყვიტა: 1906 წლის ზაფხულში ლამის სამ საათზე სოფ. პრეტენს რამდენიმე შავრაზმელი შეესია ვ. გვარამაძის მოსაკლავად. მაგრამ მათ ლამით მიწურ სახლებს შორის ვერ გააჩრჩიეს ვ. გვარამაძის სახლი და შავრაზმელებმა შემთხვევით ფ. გვარამაძის სახლის აწიოკება და ძარცვა დაიწყეს. ფ. გვარამაძის უფროსი ვაჟი ს. გვარამაძე სასწრაფოდ სახლიდან გაიპარა და ვ. გვარამაძეს შეატყობინა შავრაზმელთა მოქმედება. ვ. გვარამაძემ თავის თანამებრძოლებთან ერთად შავრაზმელები სოფლიდან გადევნეს. მიუხედავად ამისა, ვ. გვარამაძეს კავშირი არ გაუწყვეტია ბათუმის, ხაშურის და გორის სოციალ-დემოკრატებთან. 1905 წლის რევოლუციის აღმავლობის პერიოდში არაერთხელ ჩასულა და ამ ქალაქებში და პროკლამაციები წაუღია ახალქალაქის მაზრის ქართულ სოფლებში გასაერცლებლად. ვ. გვარამაძე, როგორც დედის-ერთა შვილი, მშობლების სურვილს წინ ვერ აღუდგა და სოფელ პრეტენში დარჩა საცხოვრებლად, აქვე დაცოლშვილდა და გლეხურ ცხოვრებას მიჰყო ხელი. მაგრამ მას კავშირი არ გაუწყვეტია თავის რევოლუციონერ მეგობარ ე. მალრადესთან, ნ. შაყულაშვილთან, გ. ტატიშვილთან, ი. გვარამაძესთან, ნ. ვა-

³ ვ. გიორგაძე, მარად მოსაგონებელი სახელები, ვახ. „კომუნისტი“, 14 ოქტომბერი, 1975.

⁴ ვ. გვარამაძის შესახებ მასალები იხილეთ ივ. ჯავახიშვილის სახ. სამცხე-ჯავახეთის ისტორიული მუზეუმი, ხელნაწერთა დამხმარე ფონდი. № 171, ფურც. 1, 3-4.

შალომიძესთან ვ. სინაურიძესთან, ლ. მოსიძესთან (სოფელ აფნის მკვიდრობის)*.

1905 წლის 9 იანვრის სისხლიანი კვირის ამბავმა თვის ბოლოს ძლიერ მოაღწია სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობამდე, ღარიბი გლეხობა, მუშები, ხელოსნები დიდი მღელვარებით მოელოდნენ რევოლუციის დაწყებას. აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ რამდენადაც სამცხე-ჯავახეთში მრეწველობა სუსტად იყო განვითარებული, კუსტარული შინამრეწველობის მუშათა კლასის წარმომადგენლები მცირერიცხოვანი და არაორგანიზებულნი იყვნენ. ამიტომ რევოლუციურ მოძრაობას ღარიბმა მოსახლეობამ გვიან აუბა მხარი. აქ მეორე გარემოებაც უნდა იქნეს გასათვალისწინებელი, „პანთურქიზმისა“ და „პანისლამიზმის“ პოლიტიკა ისე იყო ფესვგადგმული, რომ მაჰმადიანი მოსახლეობა, რომელიც ამ მხარის თითქმის 60%-ს შეადგენდა, რევოლუციას მხარს არ უჭერდა და შველას სამცხე-ჯავახეთის თუქრეთთან შეერთებაში ხედავდნენ. ჯერ კიდევ რევოლუციის დაწყების წინ სოფ. აწყურში ჩატარდა მუსავატელთა კრება, რომელსაც ესწრებოდა არამარტო ადგილობრივი მუსლიმანი ბეგები და აღები, არამედ 6 კაცი ბაქოდან. კრებას თავმჯდომარეობდა ყოფილი მუსავატელი პეპინოვი. ამ კრების მოწვევის ინიციატორ ექიმ სულთანოვთან ერთად აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა სოფ. აწყურის მკვიდრნი, სტამბოლიდან ახლად „გამოქცეული“ ომარ ყიფიანი, რომელსაც ომარ ფაიკ ეფენდი ნეიშან ზადეთაც იცნობდნენ. იგი სტამბოლში გამოძვალ ეურნალ — „მოლა-ნასრედინის“ გამოცემას ხელმძღვანელობდა. თავის ორ ძმასთან ერთად მან სოფ. აწყურში და აგარაში დიდი მამულები შეიძინა, სახერხი ქარხანა და ბორანი გამართა და ფარულად დაიწყო „პანთურქიზმისა“ და „პანისლამიზმის“ ქიდაგება. იგი ყველა მაჰმადიანს მოუწოდებდა, ოჯახში ერთი კრუხი და სამასი წიწილა“ (ე. ი. ერთი თოფი და სამასი ტყვია) ჰყოლოდა. უფრო მეტიც, ზოგიერთ მაჰმადიან ოჯახს ერთი თოფის ნაცვლად ორი და მეტიც ჰქონდათ. ომარ ეფენდი ყიფიანმა მენშევიკების ბატონობის დროს 1918—1921 წლებში ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ ქართველი კაცი სამცხე-ჯავახეთიდან ძირფესვიანად ამოეგდო. იგი 1921 წ. საქართველოს რევკომის წევრად აირჩიეს.

ამასთან ერთად აღსანიშნავია ისიც, რომ მუსლიმანების შემდეგ ამ მხარეში ყველაზე მრავალრიცხოვანი სომხები იყვნენ. მათზე ძალიან დიდი გავლენა მოახდინეს დაშნაეებმა. ქართველი მენშევიკების მსგავსად ისინიც უარს ამბობდნენ რევოლუციაზე. არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ ახალქალაქის მახარის, ბოგდანოვკის მოსახლეობის ნახევარზე მეტს დუხაბორები და მალაკენები შეადგენდნენ, რომლებიც დაწყებულ რევოლუციაში მონაწილეობას არ ღებულობდნენ. ყველა ზემოთ აღნიშნული გარემოება გარკვეულ გავლენას ახდენდა სამცხე-ჯავახეთში რევოლუციური მოძრაობის განვითარებაზე.

მიუხედავად ზემოთ აღნიშნულისა, ქ. ახალციხეში იქმნება სოციალ-დემოკრატიული წრეები. ერთ-ერთი ასეთი წრის დამაარსებელი იყო ა. ალვაროვი. „1904 წელს ა. ალვაროვი შეგირდად მოეწყო სახარაზოში, სადაც 1905 წელს

* 1905 წლის რევოლუციის დროს ლავრენტი მოსიძემ ზამთრის სასახლეს ზარბაზნის პირველი ყუბარა ესროლა. იგი შეიპყრეს და დახვრტა მიუხაჯეს, მაგრამ სამუდამო ვადასაზღვრებით შეუტყაუს. იგი მხოლოდ 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ დაბრუნდა მშობლიურ ჯავახეთში.

აყალიბებს წრეს, აერთებს არალეგალურ ლიტერატურას და ხელმძღვანელობს ხელოსანთა გაფიცვას⁵.

საქართველოს სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის დავალებით, 1905 წლის დასაწყისში ნ. სიხარულიძე ოთხი რევოლუციონერის თანხლებით თბილისიდან ახალციხეში ჩავიდა. მათ შორის იყო შ. ქვემერტაშვილი. მათ განზრახული ჰქონდათ სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის შექმნა. ისინი სასტუმრო „ლონდონში“ გაჩერდნენ, სომეხ სოციალ-დემოკრატებთან მოსალაპარაკებლად ხშირად დადიოდნენ სამიკიტნო „არარატში“.

ნ. სიხარულიძეს ახალციხეში და ხალაქალაქში შეუქმნია სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციები. ნ. სიხარულიძე ცნობილი რევოლუციონერი ბოლშევიკი იყო და არა მარტო სამცხე-ჯავახეთში, არამედ მთელ საქართველოშიც. იმისათვის, რომ ახალქალაქის მოსახლეობის 70%-ს სომხები წარმოადგენდნენ აუცილებელი იყო სომხური ენის მკოდნე რევოლუციონერის გამოგზავნა. მართლაც, ნ. სიხარულიძის თხოვნით, თბილისის სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციას ახალქალაქში გამოუგზავნია ვ. ვარდოიანი, მეტად ფრთხილი და გამჭრიახი რევოლუციონერი, რომელსაც დავალებული ჰქონდა ახალქალაქისა და ახალციხის მაზრის სომეხ მოსახლეობასა და სამხედრო ნაწილებს შორის გაეშალა მეფის საწინააღმდეგო სააგიტაციო მუშაობა. ახალციხის სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციაში შევიდნენ ახალციხის სამოქალაქო სასწავლებლის მასწავლებელი გ. ჯაფარიძე, რომელიც ნ. სიხარულიძის ახალციხეში არყოფნის დროს მის მოვალეობას ასრულებდა, ამავე სკოლის მასწავლებლები ბ. ბიბილური, მ. ბეთანოვი, ლაზარევის ინსტიტუტის სტუდენტი გ. კეჩნაშვილი, რომელიც სახალხო მებრძოლთა რაზმის უფროსად იყო დანიშნული. იგი მეტად გაბედული მებრძოლი იყო, თავის ორმოციოდე კაცისაგან შედგენილ რაზმს მომავალი ბრძოლისათვის წვრთნიდა და აიარალებდა. მასვე ჰქონდა დავალებული სომეხ სოციალ-დემოკრატებთან კავშირის დამყარება. ამავე ორგანიზაციაში იყო გაერთიანებული ახალციხის სავაჭრო დაწესებულებათა ბუხჰალტრის მოადგილე ს. ხეთისაროვი, მოქალაქეებიდან შევიდნენ ი. ბეთანოვი, მეტად გამჭრიახი და თავდაჭერილი მებრძოლი, იგი მუდამ თან ახლდა ნ. სიხარულიძეს, როგორც მცველი, ვ. ბეზირგანაშვილი, ი. ლაზიშვილი, გ. ბათმანაშვილი, ი. მესარკიშვილი. გ. ბათმანაშვილსა და ი. მესარკიშვილს ნ. სიხარულიძემ დაავალა დემონსტრანტებისათვის ფოტოსურათები გადაეღოთ და ამ გზით შემოსული თანხით იარაღი შეეძინათ. ასე შემორჩა და დღემდე ინახება 1905 წლის 22 ნოემბრისა და 12 დეკემბრის დემონსტრაციების სურათები ახალციხის მცხოვრებთა სახლებში და სამცხე-ჯავახეთის ისტორიულ მუზეუმში.

ლ. თათეოსიანი, წარმომობით რუსი, ახალციხის სომხური სასწავლებლის ინსპექტორის ი. თათეოსიანის მეუღლე, აქტიურ მონაწილეობას იღებდა ჯარის ნაწილებში და ახალციხის მრავალეროვნული მოსახლეობის დამეგობრების საქმეში. ლ. თათეოსიანი ადგილობრივ მოსახლეობას აბამდა რევოლუციურ მოძრაობაში, როგორც ახალციხის მაზრის უფროსის ა. პოდგურსკის მოხსენებითი ბარათიდან ირკვევა, ახალციხის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის

⁵ რევოლუციური მოძრაობის მოღვაწენი საქართველოში, თბ., 1961, გვ. 90.

⁶ საქართველოს ისტორია, XIX საუკუნის 90-იანი წლებიდან დღემდე, თბ., 1984, გვ. 189 საგამომომებლო და საარქივო მასალებიდან ირკვევა, რომ ნ. სიხარულიძე ახალციხეში ჩამოსვლამდე გორის ციხეში მჯდარა, იგი ადრეც ყოფილა მეფის თვითმპყრობელობის საწინააღმდეგო პროპაგანდისათვის დაპატიმრებული.

მუშაობას დიდად უწყობდა ხელს და მის საქმიანობაში აქტიურ მონაწილეობას ლეზულობდა „ტანგინსკის“ პოლკის უფროსი ექიმი გ. ლოღობერიძე თავის მეუღლესთან ერთად. მან საჭაროდ დაგმო მემამულე ვ. ყორღანოვის არაადამიანური საქციელი, რომელმაც ორი უდანაშაულო სახალხო რაზმელი დახვრიტა. გ. ლოღობერიძე ახალციხის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციისათვის, რომ ჩამოეცილებინათ, სასწრაფოდ ალექსანდრეპოლში (დღევანდელ ლენინაკანში) გადაგზავნეს. ახალციხის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის წევრები იყვნენ ვარდიძე, სტამბის მუშა ს. მესხიძე და სხვები.

საარქივო და სხვა მასალა გვიჩვენებს, რომ ახალციხის მაზრის სამღვდელთება არამარტო თანაგრძნობას უწევდა რევოლუციურ მოძრაობას, არამედ ზოგიერთი მათგანი აქტიურ მონაწილეობასაც კი ლეზულობდა რევოლუციურ მოძრაობაში, როგორც რუსეთში, ასევე საქართველოშიც. სამღვდელოების მალაღსა და დაბალ ფენებს შორის არსებობდა რადიკალური სხვაობა. სამღვდელოების მალაღი ფენა თავგამოდებით იცავდა მეფის თვითმპყრობელობის რეტერესებს და სასტიკად უსწორდებოდა ყველას ვინც კი მთავრობის საწინააღმდეგო გამოსვლებში იღებდა მონაწილეობას ხოლო სამღვდელოების დაბალი ფენა, რომელთა უმეტესობა გლეხობის წრიდან იყო გამოსული, მათ გვერდით ცხოვრობდა და მათ მსგავსად გლეხყაცის მძიმე ცხოვრებას ეწეოდა და ამიტომ საეგზეთ ბუნებრივია, რომ ისინი მეფის საწინააღმდეგო მოძრაობას თანაუგრძნობდნენ და ზოგ შემთხვევაში მასში თვითონ ლეზულობდნენ აქტიურ მონაწილეობას. მათ შორის ახალციხის მაზრაში უნდა დავასახელოთ: მაზრის ბლალთინი დ. ხახუტაშვილი, მისი ცოლის ძმა ახალციხის წმ. მარინეს სახ. ეკლესიის დიაკვანი ა. კასრაძე, სოფ. მუსხის ეკლესიის მღვდელი ა. ზედგინიძე, სოფ. ზეგლის ეკლესიის მღვდელი მ. ცაგარელი, სოფ. აწყურის ეკლესიის მღვდელი ე. ინასარიძე, სოფ. დვირის ეკლესიის მღვდელი ტ. ვეფხვაძე და სხვ. ისინი გარკვეულ როლს ასრულებდნენ სამცხე-ჯავახეთის მშრომელი მოსახლეობის სასწავლო-საგანმანათლებლო საქმიანობაში, თავად იყვნენ მასწავლებლებიც და სკოლის გამგეებიც. მართლმადიდებლური ეკლესიის სკოლებში მასწავლებლებს ხელფასს ეკლესია უხდიდა და სასკოლო, სასწავლო ნივთები-თაც ეკლესია ამარაგებდა. ისინი ზმირად დახმარებისათვის მიმართავდნენ ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას. ყველაფერი ეს კეთდებოდა ყოველგვარი სასყიდლის გარეშე⁷.

საქართველოს ბოლშევიკურმა ორგანიზაციებმა დიდი შრომა გასწიეს 1905 წლის საპირველმართის დემონსტრაციის მოსაწყობად. საქართველოს ბევრ ქალაქში და მათ შორის ქ. ახალციხეშიც, გამოაკრეს რევოლუციური მოწოდების პროკლამაციები — „იმსხვრევა ბორკილები“, რომელიც მოუწოდებდა ამიერკავკასიისა და მათ შორის საქართველოს მუშებსა და გლეხებს აქტიურად ჩაბმულიყვნენ თვითმპყრობელობის დასამხობად წარმოებულ ბრძოლებში. პროკლამაცია შემდეგი მოწოდებით მთავრდებოდა: „მამ ვემზადოთ ჩვენც ამხანაგებო! ჩვენც ვავუწოდოთ ხელი რუსეთის მუშა ხალხს, ჩვენც ჩავერიოთ მათ ფერხულში და შევეუერთოთ ჩვენი ხმა მათს ხმას! დაე ქვეყანამ გაიგოს, რომ ბორკილების მტრევა, ჩვენს გულებსაც ახარებს“⁸.

⁷ ზ. ძირკველიშვილი, ქართული დაბალი სამღვდელთება — 1905—1907 წლის რევოლუციაში, ისტორიულ-ეთნოგრაფიული შტუდიები, თბ., 1985, გვ. 31.

⁸ კრებული რსდმპ კავკასიის კავშირის პროკლამაციები (1903—1905 წწ.), თბ., 1955, გვ. 350.

1905 წლის პირველ მაისს ქ. ახალციხეში ჩატარდა მოსწავლე-ახალგაზრდობისა და მუშა-ხელოსანების მიტინგი. ამ მიტინგში აქტიურ მონაწილეობას ღებულობდნენ ქართული, რუსული, სომხური სკოლების ზოგიერთი მასწავლებელი. „მიტინგებსა და კრებებზე გამოსული ბოლშევიკები მასებს ცარიზმის წინააღმდეგ რევოლუციური ბრძოლის გაძლიერებისაკენ, სხვადასხვა ეროვნების მშრომელთა მასების სოლიდარული გამოსვლებისაკენ მოუწოდებდნენ. საქართველოში, ისე როგორც რუსეთში, პირველი მაისი პროლეტარიატის საბრძოლო ძალების დათვლიერების დღედ გადაიქცა“⁹.

1905 წლის მაისის მეორე ნახევარში სავაფიკვო მოძრაობა უფრო და უფრო მასიურ ხასიათს ღებულობს სამცხე-ჯავახეთში. მიუხედავად მთავრობის გაძლიერებული რეპრესიებისა, არ ნელდება გლეხთა გამოსვლები. ახალქალაქისა და ახალციხის მაზრების ბევრი სოფლის გლეხობა კვლავაც თვითნებურად იტაცებდა მემამულეების, ხაზინისა და სხვა მიწებს. გლეხები „...არ იხდიან გადასახადებს, უარს აცხადებენ მემამულეთა, ეკლესიისა და ადმინისტრაციის ვალდებულებებისა და განკარგულებების შესრულებაზე. კვლავინდებურად არ ცნობდნენ სოფლისა და მაზრის ადმინისტრაციის წარმომადგენლებს და სხვა. სოფლის მმართველობა ისევ გლეხების წრიდან არჩეული პირების ხელში იყო. რმართებოდა მიტინგები და კრებები, რომლებზეც გლეხები ისმენდნენ ბოლშევიკ-აგიტატორების მართალსა და ბრძოლისაკენ მომწოდებელ მგზნებარე სიტყვებს“¹⁰.

1905 წლის ოქტომბრის საყოველთაო ვაფიკვა მოედო მთელ საქართველოსა და მათ შორის სამცხე-ჯავახეთს. ახალციხისა და ახალქალაქის მაზრის თითქმის ყველა სოფელში ჩატარდა მშრომელთა საყოველთაო პოლიტიკური ვაფიკვები, მათვე შეუერთდა ამ მაზრებში განლაგებული სამხედრო ნაწილები. ქვის კედლის გალავნებიან ყაზარმებში „ჯარისკაცებს ველარ აკავებდნენ“.

1906 წ. 6 მარტს ახალციხის მაზრის უფროსი პოლკოვნიკი ა. პოდგურსკი თბილისის გუბერნატორს უბატაკებს, რომ ახალციხე-ახალქალაქის მაზრებში მოსახლეობის გარდა 1905 წლის დემონსტრაცია-ვაფიკვებში მონაწილეობას იღებდა სამხედრო ნაწილებიც. როგორც შემოწმებიდან ჩანს, ახალციხეში და ახალქალაქში გამოჩნდნენ უცხო აგიტატორები, რომლებიც სამხედრო ნაწილების დაბალი ჩინის პირებს შორის რევოლუციურ პროპაგანდას ეწევიანო. ზშირად იკრიბებიან განმარტობით პატარ-პატარა ჯგუფებად და საუბრობენ ვითომდა ძნელ სამსახურზე, აუტანელ რეჟიმზე, უფროსების სიმკაცრეზე და ა. შ.¹¹. ადმინისტრაცია და ხელისუფლების სხვა ორგანოები პარალიზებული იყვნენ. გლეხთა საყოველთაო გამოსვლები მოხდა: სოფ. აწყურში, ქვემო სხეიბილაში, ნაოხრებში, ურაველში, ჭობარეთში, ზველში, ერკოტაში, წყალთბილაში, ნაოხრებში, უდეში, არალში, ვარხანში, ტოლოშში, ნიალაში, ლებისში, გოკიოში, პრტენში, ჩუნჩხაში, გოგაშენში, კარწასში, ალასტანში, ხურგუმოში და სხვა. სადაც გლეხობამ თავიანთი სოფლებიდან გააძევეს მდიდრები, რომლებსაც სხვადასხვა გზებით იტაცებული ჰქონდათ ზემოთ ჩამოთვლილი სოფლების დიდძალი სახნავ-სათესი მიწები და სათიბ-საძოვრები. აჯანყებულები ინაწი-

⁹ Первое мая в царской России 1830—1906 гг. Сборник документов, гв. 301, М., 1939, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, თბ., 1972, გვ. 206.

¹⁰ ЦГИАЛ, ф. 273, л. 322, л. л. 534, 539; საქ. ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, გვ. 265.

¹¹ ЦГИАЛ, ф. 23, л. 253, л. л. 250—252.

ლებდნენ მდიდრების მიწებს, მოსავალს და საქონელს, არბევდნენ მათ საწყობებს, ბელღებს, სათივეს, საბძღებს. აჯანყებული გლეხები ირჩევდნენ გლეხთა კომიტეტებს სასოფლო საქმის მოსაგვარებლად და სოფლის ხელმძღვანელად¹².

ჯერ კიდევ 1905 წლის გაზაფხულზე გ. ბერიძისა და ვ. ნათენაძის ხელმძღვანელობით სოფელ გოგაშენის გლეხობა აჯანყდა მემამულე აკოფ აძას წინააღმდეგ, აჯანყებულმა გლეხებმა აკოფ ალა და მისი მოურავი სცემეს და სოფლიდან გააძევეს. პურით სავსე ორმოები გახსნეს და მთელი სოფლის ღარიბებს დაურთვეს ყანების დასათესად. მას შემდეგ სოფ. გოგაშენის გლეხობას ბატონი აღარ უნახავს. სოფ. გოგაშენის მაგალითს მიბაძეს მისმა მეზობელმა სოფლებმა: აფნიამ, ქარცებმა, აზმანამ, დილიცკამ და სხვ., რომლებმაც მემამულე მუსხელიშვილს ყოველგვარ ბეგარაზე და გადასახადზე უარი უთხრეს. სამცხე-ჯავახეთის გლეხობა უკვე თავად წყვეტდა მიწის საკითხს.

ახალციხის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის აქტიური წევრი ი. ლაზიშვილი, რომელიც მიკირტიჩ კარაპეტიაჩის სახელითაც იყო ცნობილი, მეეტლეთა გაფიცვას ხელმძღვანელობდა. იგი იგონებს: „როცა რევოლუციურმა ტალღებმა აწყურამდე მოაღწია, ჩვენმა ჯგუფმა ხელი მიჰყო გლეხთა შორის მუშაობას. პირველად გლეხებს ჩვენ ვუმტკიცებდით, რომ მეფის მოწყალეობაზე მათ იმედები არ დაემყარებინათ, რის მაგალითად მოგვყავდა 22(9) იანვარი. პირველად მოვხანდინეთ მოსახლეობის ჩაწერა წითელ რაზმში, გლეხები ყველა ჩვენგანს გულდასმით უსმენდა, რომ მართალი იყვნენ სოციალ-დემოკრატები... ყველანი კი ერთში იყო შეთანხმებული, რომ საჭირო იყო მეფის ჩამოგდება, ჯერ ჩამოვართვათ მიწები მემამულეებს, თავადაზნაურებს და შემდეგ ვილაპარაკოთ პირობებზეო“¹³.

ოქტომბრის საყოველთაო გაფიცვა ნოემბრის თვის ბოლომდე გავრძელდა და დეკემბრის შეიარაღებულ აჯანყებაში გადაიზარდა. ნოემბრის თვეში ახალციხისა და ახალქალაქის ფოსტა-ტელეგრაფის მუშაკები გაიფიცნენ. მათ მოჰყვა ბორჯომ-აწყურ-ახალციხე-აბასთუმანის მეეტლეთა დიდი გაფიცვა. მძიმე იყო მათი სამუშაო პირობები. მაშინ თითოეულ სადგურში 10—12 კაცი მუშაობდა, რომლებიც 8—10 მანეთს ღებულობდნენ თვეში. დილიდან გვიან საღამომდე მუშაობდნენ, მთელი წლის მანძილზე გზაში იყვნენ, ყოველგვარ დამცირებას იტანდნენ მგზავრებისაგან, მეტ წილად მეფის ჩინოვნიკებისა და სახმედრო ოფიცრებისაგან, რომლებიც ხშირად მეეტლეებს სცემდნენ კიდევც. ი. ლაზიშვილი შემდეგს იგონებს: „მეეტლეებს ცალკე ბინა არ ჰქონდათ და ცხოვრობდნენ თავლაში, ცხენებთან ერთად. მათ ლოგინს შეადგენდა თივით ვავსილი ტომარა. მეეტლეები ტანთ არასდროს იხდიდნენ. ამ დროს ბორჯომ-აბასთუმანის საფოსტო ტრაქტის მომწესრიგებელი იყო მეტად თაღლითი და და გაიძვერა ვინმე ქალანთაროვი, ხოლო ტრაქტის გამგე იყო ავეტიკ სტეფანოვი, რომელიც ბორჯომში ცხოვრობდა. ისინი ყოველდღე მეეტლეებს ატყუებდნენ, ძარცვავდნენ, სცემდნენ კიდევც“. მეეტლეთა შორის პროპაგანდას ეწეოდა ახალციხის სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციის წევრი ვ. ლაზიშვილი, აწყურის სკოლის დირექტორი ა. გერმანიშვილი და აწყურის ეკლესიის

¹² ვ. გურგენიძე, მესხეთ-ჯავახეთის ეკონომიკური და კულტურული განვითარება, ჟურნ. „მნათობი“, № 3, 1969, გვ. 183.

¹³ მ. კარაპეტიაჩი, 1905 წელი ახალციხის მაზრაში, — რევოლუციის მატინე, 1938, № 1 (2), გვ. 234.

მღვდელი ე. ინასარიძე. მათ აწყურის სადგურში თავიანთი თანამზრახველები ნახეს და დაიწყეს მათთან მუშაობა. მეეტლეთა პირველი გამოსვლა აწყურის სადგურიდან დაიწყო და ყველა დანარჩენ სადგურებს მოედო. ადმინისტრაცია იძულებული გახდა გამოსვლების მონაწილეთათვის ხელფასი 15 მანეთამდე გაეზარდათ, სამუშაო და საცხოვრებელი პირობები გაეუმჯობესებინათ. ასე, რომ მეეტლეთა გაფიცვას უშედეგოდ არ ჩაუვლია¹⁴.

აწყურის მეეტლეთა მიზაძვით, სოფლის გლეხობამ გააძევა მათთვის საბუღეველი ტყის მცველი ბირიუჯოვი. სწორედ ამის გამო იყო, რომ აწყურში 1905 წლის შემოდგომიდან პოლიცია ჩააყენეს და იგი სტოლიპინის რეაქციის წლების შემდეგაც გაგრძელდა¹⁵.

1905—1907 წლების რევოლუციის ყველაზე აქტიური, შემართული, მეტად განათლებული და ჰკვიანი რევოლუციონერი ახალციხის მაზრის საეკლესიო სკოლების მასწავლებელთა შორის იყო ვალეს სკოლის მასწავლებელი ვ. იაშვილი (წარმოშობით მეტეხიდან). მის შესახებ 1906 წ. 6 მარტს ა. პოდგურსკი თბილისის გუბერნატორს სწერს: „წარმოგიდგენთ რა დაკითხვის ოქმის ასლს ვალეს სოფლის სკოლის მასწავლებლის ვასილ იაშვილის დაპატიმრებაზე, როგორც მთავრობის წინააღმდეგ მოღვაწე აგიტატორი, მოგახსენებთ, რომ მას დასჯი ისე, როგორც ერთ-ერთ ყველაზე საშიშ აგიტატორს, ამიტომ ვთხოვთ, გააგრძელოთ პატიმრობის ვადა ერთ თვეს კიდევ და აღძრათ საკითხი მისი საერთოდ გაძევების შესახებ მაზრიდან“¹⁶.

1906 წლის 21 იანვარს ურავლის უბნის პრისტავს შტაბ-კაპიტანს ელადიმერ ბრილინს ვ. იაშვილი დაუკითხავს, მოწმედ დაუსწრია ზ. და გ. ზაზაძეები (სოფ. აგარის მკვიდრნი). ვ. იაშვილმა პირად ჩვენებაში აღიარა, რომ აგიტაცია ჩაუტარა სოფ. ურავლის მკვედრთ.

იგივე ვ. ბრილინი 1906 წლის 24 იანვარს მეორედ დაკითხვის ოქმში ვ. იაშვილს ახასიათებს ახალციხის მაზრის ყველა ქართული სოფლის მოსახლეობის წამქეზებლად და ბუნტის თავად. ვ. იაშვილის შესახებ არამართო სოფ. მუსხის, ურავლის, ჭობარეთის, ზეელის, ტოლოშის, ერკოტის მცხოვრებლები დაუკითხავთ, არამედ სოფ. ვალეს მცხოვრებლებიც, სადაც ვ. იაშვილი მასწავლებლობდა. უფრო მეტიც, დაკითხეს სოფელ ვალეში სტუმრად ჩამოსული აჭარელი მავლუდ აბულაძეც კი.

გ. ბრილინს 1906 წლის 3 მარტს განმეორებით დაუკითხავს სოფ. ვალეს მკვიდრი ნ. ასპანიძე, ვ. დარბაზოვი და ი. გიორგაძე, რომლებმაც ერთხმად დაადასტურეს: ერთხელ ვალელი გლეხის ოჯახში თამადაშ, როდესაც იმპერატორ ნიკოლოზ II-ის სადღეგრძელო შესვა, ვ. იაშვილმა საჭაროდ განაცხადა: „იმპერატორს დღეგრძელობა კი არა, შუბლში ცხელი ტყვია უნდაო“. ნ. ასპანიძემ ისიც კი თქვა, რომ ვ. იაშვილმა ვალეს სკოლაში ნიკოლოზ II-ის სუ-

14 მ. კარაპეტეიანი, 1905 წელი ახალციხის მაზრაში, — რევოლუციის მატინე; 1938, № 1 (2), გვ. 234—235.

15 აწყურის რევოლუციონერთა ჯგუფს თანუფრთხილბდა აწყურის ყოფილი მამასახლისი, მუსულმანი ლომან-აღა ფალავანდიშვილი, რომელსაც ახალგაზრდობაში კარგი სახელი ჰქონდა გუბარნილი. იგი თბილისის იმდროინდელ გაზეთებში თანამშრომლობდა.

16 სსცია, ფ. 23, საქ. 235. ფურც. 234—235.

17 იქვე, ფ. 23, საქ. 235. ფურც. 226—228.

რათი ჩამოხსნა, თვალები დათხარა და თავდაყირა დაკიდაო. ბავშვებს კი გაამეორებინა: „ძირს იმპერატორი ნიკოლოზ II-ო“¹⁸.

ვ. იაშვილს რევოლუციურ საქმიანობაში მხარში ედგა სოფ. ვალეს სკოლის ადგილობრივი მასწავლებელი გ. გიორგაძე, რომელმაც ვალეს ეკლესიის კედლებზე პროკლამაციები გააკრა. რევოლუციურ საქმიანობაში აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა გორის საპატიმროდან ახლად განთავისუფლებული ვალელი გლეხი ა. თელიაშვილი, რომელიც მეფის საწინააღმდეგო სააგიტაციო მუშაობისათვის დააპატიმრეს.

ვ. იაშვილი დაუკავშირდა სოფ. გოგაშენის მკვიდრს, ტოლოშის სკოლის გამგეს და მასწავლებელს, ლ. ნათენაძეს. იგი დიდად თანაუგრძობდა და დახმარებას უწყევდა სოციალ-დემოკრატებს. მან ვარძიასთან ჭაჭკრის ბაღებში ერთი თვით შეინახა ვარძიის ბერის ს. წულუკიძის ძმისწული, დიდი მოაზროვნე და მგზნებარე რევოლუციონერი, ა. წულუკიძე, რომელიც 1904 წელს პოლიციას დაემალა და ვარძიაში ბიძის სთხოვა თავშესაფარი. ამ უკანასკნელმა ლ. ნათენაძის დახმარებით ალ. წულუკიძე პატიმრობას გადააჩინა. ლ. ნათენაძე დასავლეთ საქართველოდან ჩამოსულ „ერობის“ მონაწილეთაც დიდ დახმარებას უწყევდა. ეს შეუმჩნეველი არ დარჩა და იგი პოლიციაში დაიბარეს, მაგრამ სოფ. ხერთვისის მაჰმადიანმა გლეხებმა ლ. ნათენაძე წინასწარ გააფრთხილეს და მან ყველა აკრძალული წიგნები და ყურნალ-გაზეთები დაწვა. ლ. ნათენაძეს, როგორც ეკვიტიანილ კაცს, წინადადება მისცეს მღვდლად კურთხეოდა. კატეგორიული უარისათვის იგი ტოლოშის სკოლის გამგეობიდან გაათავისუფლეს და ვალეში გადაიყვანეს რიგით მასწავლებლად*.

საქართველოსა და მთელი ამიერკავკასიის სოციალ-დემოკრატებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა 1905 წლის ნოემბერში ჩატარებულ რსდმპ კავკასიის კავშირის 11 კონფერენციას, რომლებმაც, სხვა საკითხებთან ერთად, განიხილა ეროვნული საკითხი და ნათელი, კონკრეტული გადამწყვეტილება მიიღო. ბოლშევიკურმა პარტიამ კარგად იცოდა, რომ მეფის რუსეთის თვითმპყრობელობა, როგორც ყოველთვის, 1905 წლის რევოლუციის პერიოდშიც, ყველაზე უფრო ბინძურ და ვერაგულ ხერხს მიმართავდა ამიერკავკასიის მრავალეროვან ხალხთა შორის მუდმივი უნდობლობის, შუღლისა და მტრობის გასაღვივებლად. სწორედ ამ საზიზღარ მიზანს ემსახურებოდა 1905 წ. თებერვალში ბაქოში, ახალციხესა და ახალქალაქის მაზრებში მომხდარი სომეხ-თათართა მოსახლეობის ხოცვა-ჟლეტისა და ურთიერთდარბევა-აწიოკების ფაქტი. აქვე ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებასაც, რომ სამცხე-ჯავახეთის სომეხ და თათარ მოსახლეობას შორის ხოცვა-ჟლეტაში თურქეთის სულთნის ხელისუფალთა ხელიც ერია. ისე რომ, თურქეთის იმპერიის ფარგლებს სცილდებოდა სომეხ-თათართა მოსახლეობის ხოცვა-ჟლეტა და სამცხე-ჯავახეთისაც სწევდებოდა.

მეფის რუსეთის თვითმპყრობელობამ 1905 წლის 22 ნოემბერს ერთხელ კიდევ მიმართა თავის ნაცად ვერაგულ ხერხს — თვალთმაქცური და მზაკვრული პროვოკაციით შეეცადა ერთმანეთისათვის წაესისინებინა საქართველოში მცხოვრები სომეხი და თათარი მოსახლეობა. 22 ნოემბრის საღამოს თბილისში

¹⁸ სსცია ფ. 23. საქ. 235. ფურც. 226—228.

* ეს ის ნათენაძე იყო, რომელმაც 1879 წელს სოფ. ტოლოშში ეკლესიის ზევით სკოლა ააშენა, რომელიც დღესაც მოსწავლეთა საერთო საცხოვრებლად არის გამოყენებული.

ავლაბრისა და ხარფუხის მცხოვრებ სომხებსა და თათრებს შორის მოხდა შეტაკება, რომელსაც შეეწირა 13 კაცი და მძიმედ დაიჭრა 39 კაცი. 21 ნოემბერს კი ღამით მოხდა ქ. ახალციხის სომეხ და თათართა შორის სისხლისმღვრელი თავდასხმები. ამ უაზრო და უგუნურ ბრძოლას მოსახლეობის მრავალი უდანაშაულო ადამიანის სიცოცხლე შეეწირა. ამ ფაქტთან დაკავშირებით 1905 წლის 22 ნოემბერს ქ. ახალციხეში გაიმართა მეფის ხელისუფლების საწინააღმდეგო დიდი დემონსტრაცია, რომელსაც ხელმძღვანელობდა ადგილობრივი სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია თბილისის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის წარმომადგენლის ნ. სიხარულიძის მეთაურობით. დემონსტრანტებმა მთელი ქალაქის ახალი ნაწილი მეფის საწინააღმდეგო ლოზუნგებით განვლეს და მ. ფოცხოვზე გადებული ხიდის გავლით ქალაქის ძველ ნაწილში, რაბათში, ციხის სათვალთვალო დიდ კოშკთან ე. წ. „ყუღეს“ მიდამოებში დიდი მიტინგი ჩატარდა. მოსწავლე ახალგაზრდობის გარდა მიტინგს ესწრებოდა 216-ზე მეტი ახალციხელი მაცხოვრებელი. ნ. სიხარულიძისა და ლ. თათეოსიანის გარდა სხვა ორატორებიც სიტყვებით გამოვიდნენ. აი, რას წერს ამ მიტინგის მონაწილე ვ. ალელიშვილი: „1905 წელს, შემოდგომაზე რაბათში მოეწყო დიდი მიტინგი. ამას ხელმძღვანელობდა ნ. სიხარულიძე (ხაშურიდან). მახსოვს მიტინგზე სიტყვა წარმოსთქვეს თურინჯი კაკაბომ (მესარკიშვილი), იკანდალაშმა (ა. ხითარიშვილი), ბ. დურგლიშვილი (იაკულისი ეძახდნენ).

მიტინგში აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ კ. და ფ. მეფისაშვილები, ინიერი კუჩსოვეი, კ. და ვ. ასათიანები, მუსხელიშვილის ქალები, ექიმ ლოდობერიძის ცოლი, გამრეკლოვის ცოლი, ზ. დიდიამიშვილი, ი. ფეიქრიშვილი (აიაზა) და სხვები¹⁹. მიტინგი დიდხანს გაგრძელდა. ვადალბულ იქნა მიტინგის სურათი, რომელიც ახლაც ინახება ახალციხის ისტორიული მუზეუმის ფონდში.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ახალციხის სამღვდელოების უმეტესობა დ. ხახუტაშვილის ხელმძღვანელობით, აქტიურ მონაწილეობას იღებდა რევოლუციურ გამოსვლებში და ხელს უწყობდა სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციას. მათ შორის იყვნენ დ. ხახუტაშვილის ცოლის ძმები ნ. კასრაძე, სოფ. ზეელის მასწავლებელი და ა. კასრაძე — ახალციხის წმინდა მარინეს სახელობის ეკლესიის დიაკვანი, ორივე აქტიურად მონაწილეობდა ახალციხის მაზრის რევოლუციურ საქმიანობაში 1905 წელს.

ახალციხის მაზრის იმდროინდელი საგამომიებლო პოლიციისა და თვით მაზრის უფროსის ა. პოდგურსკის ჩვენებით, დ. ხახუტაშვილი იყო მოქნილი და ეშმაკი პიროვნება, რომელმაც უფრო მეტი გააკეთა ახალციხის მაზრაში რევოლუციური მოძრაობისათვის, ვიდრე ამ რევოლუციური მოძრაობის მოთავემ ნ. სიხარულიძემ. დ. ხახუტაშვილი განსაკუთრებით დიდ მუშაობას ეწეოდა მაზრის გლეხობაში საეკლესიო სკოლების მასწავლებლების დახმარებით. 1905 წლის 20 ნოემბრებს მას ქ. ახალციხეში მთელი მაზრის საეკლესიო სკოლის რევოლუციურად განწყობილი მასწავლებლები შეუკრებია და მათთვის მოწოდებით მიუმართავს — 22 ნოემბრისათვის დანიშნულ საყოველთაო დემონსტრაცია-გაფიცვაში აქტიური მონაწილეობა მიეღოთ და ამ საქმეში სოფ-

¹⁹ საქართველოს გ. ლეონიძის სახელობის სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმში, ხელნაწერთა ფონდი, № 22385. ფურც. 217.



ლის გლახობაც ჩაებათ. როგორც ახალციხის მახრის უფროსის მოხსენებით ბარათიდან ირკვევა, ხახუტაშვილი მტკიცე სეპარატისტია, აქტიური მონაწილეა ახალციხის მახრაში ჩატარებული ყველა მიტინგისა და შეკრებისა და ხახუტაშვილი ეკლესიის ყოველ შეკრებაზე ქადაგებდა — ახლო კავშირი დაემყარებინათ ბორჯომის, ხაშურის, გორის, თბილისის, ბათუმის, ქუთაისის და სხვა სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციასთან. მან ეკლესიაში საჯაროდ დაგმო თავად ვ. ყორღანოვის მოქმედება — ორი სახალხო რაზმელის ვერაგული მკვლელობა. და ხუხუტაშვილი ხშირად მიემგზავრებოდა თბილისში, როგორც ახალციხის სოციალ-დემოკრატიული კომიტეტის დელეგაციის წევრი. იგი იყო ერთი პირველთაგანი, რომელიც მითხოვდა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიას და გამობდა რუსიფიკაციას. მან ეკლესიაში შემოიკრიბა თავისი ერთგული ხალხი და მრევლის წინაშე ყოველთვის ქართულად გამოდიოდა²⁰. და ხახუტაშვილის უშუალო ზეგავლენით 1905 წლის რევოლუციურ მოძრაობაში ჩაებნენ და აქტიურ მონაწილეობას ღებულობდნენ სოფ. ზევისის, მუსხის, აწყურის, დვირისეს ეკლესიების მღვდლები: მ. ცაგარელი, ა. ზედგენიძე, ე. ინასარიძე, ტ. ვეფხვაძე, ახალციხის წმ. მარინეს ეკლესიის დიაკვანი, მისივე ცოლისძმა ა. კასრაძე და სხვები.

1905 წლის 22 ნოემბრის ახალციხის დემონსტრაციას ხელმძღვანელობდა თბილისის სოციალ-დემოკრატიული კომიტეტის წარმომადგენელი ნიკო სიხარულიძე, რომელმაც უამრავი პროკლამაციები ჩაიტანა ახალციხეში და ადგილობრივ სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციას გადასცა სამცხე-ჯავახეთის სოფლებში გასავრცელებლად. ბოლშევიკების ამ მოწოდებაში ნათქვამი იყო: „ჩვენ მოუწოდებთ სომეხ და თათარ მოსახლეობას არ აპყვნენ პროვოკატორებს, რომლებიც მათ ერთმანეთის წინააღმდეგ ამხედრებენ და მოუწოდებენ მათ შური იძიონ პირველი შეტაკების დროს უბრალოდ დაღუპულთათვის. ჩვენ მივმართავთ თბილისის შეგნებულ პროლეტარიატს ეროვნული განსხვავების განურჩევლად მოწოდებით, რათა აღკვეთოს ძმათამკვლელი ომი. თბილისის პროლეტარიატი ერთადერთი ძალაა, რომელსაც უნარი შესწევს შეარიგოს მხარეები და ბოლო მოუღოს ზოცვა-ჟღერს. პროლეტარიატს შეუძლია და კიდევაც გააკეთებს ამას“²¹. ეს გამაფრთხილებელი მოწოდება სწორედ სამცხე-ჯავახეთის მრავალეროვანი მოსახლეობის ერთიანობის მომასწავებელი ნიშანი იყო. 1905 წლის რევოლუციის პერიოდში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა შეერწყა რევოლუციურ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ მოძრაობას, როგორც ვ. ი. ლენინი გვასწავლიდა: „ყველგან ამ ქვეყნად ასეთი რევოლუციის თანამგზავრი იყო და არის ნაციონალური მოძრაობა“²².

მართებული იქნება, თუ ვიტყვით, რომ 1905—1907 წლების რევოლუციის მხარდ წარმატებას და მძლავრ გაქანებას რუსეთის იმპერიის განაპირა მხარეებში დიდად შეუწყო ხელი იმ საერთო-ეროვნულმა უკმაყოფილებამ, იმ კოლონიურ ნაციონალურმა ჩაგვრამ, რასაც საუკუნეთა მანძილზე ნერგავდა მეფის თვითმპყრობელური აუტანელი რეჟიმი, რომელმაც ისტორიული აუცილებლობით წარმოშვა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა რუსეთის იმპერიის შორეულ მხარეში და სწორედ „რუსეთის პირველი რევოლუციის თავი-

20 სსცია, ფ. 23, საქ. 235. ფურც. 250—252.

21 კავკასიის „რაბოჩი ლისტოკი“, № 3, 1905.

22 ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, თბ., ტ. 19, 1951, გვ. 652—653.

სებულება ის არის, რომ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, როგორც რევოლუციის ერთ-ერთი ნაკადი, სავსებით შეუერთდა და დაექვემდებარა პროლეტარიატის ხელმძღვანელობით გაშლილ იმ დიდ სოციალურ მოძრაობას, რომლის ძირითად კენძს აგრარული საკითხი წარმოადგენდა²³.

რუსეთის შეგნებული პროლეტარიატი მზად იყო ყოველ მხრივ ხელი შეეწყობა და დახმარება აღმოეჩინა არარუსი ხალხისათვის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის საქმეში. ასეთი მოძრაობა დიდად უწყობდა ხელს რუსეთის პროლეტარიატის გამარჯვებას ცარიზმზე.

როგორც ცნობილია, ოქტომბრის საყოველთაო გაფიცვები დეკემბრის შეიარაღებულ აჯანყებაში გადაიზარდა მთელ რუსეთის იმპერიაში და მათ შორის სამხრეთ საქართველოშიც და აი, პირისპირ დადგა ორი ძლიერი მტრული ძალა: მეფის ხელისუფლება და მშრომელი მოსახლეობა.

ახალციხის სოციალ-დემოკრატიული კომიტეტის ხელმძღვანელობით 1905 წლის 12 დეკემბერს ტარდება საყოველთაო გაფიცვა. მის ჩასატარებლად თბილისის სოციალ-დემოკრატიული კომიტეტი კვლავ ნ. სიხარულძეს გზავნის. დემონსტრაცია ახალციხის ქართული სკოლის მოსწავლე-ახალგაზრდებმა დაიწყეს მასწავლებელ გ. ჯაფარიძის წინამძღოლობით. ახალციხის ქართული, რუსული, სომხური სკოლების მოსწავლეებმა გაკვეთილები დემონსტრაციულად მიატოვეს, წითელი დროშების ფრიალით, თვალეზათხრილი, თავდაყირა და ყრბაფეხული იმპერატორ ნიკოლოზ II-ის პორტრეტით მათ ძველი ქალაქის—რაზბათის მიმართულებით გასწიეს, რათა იქ, ქალთა სასწავლებლის სკოლის ეზოში მოქალაქეთა მიტინგს შეერთებოდნენ. ამ დემონსტრაციაში აქტიურ მონაწილეობასღებულბენ ახალციხის სასოფლო-სამეურნეო სკოლის მოსწავლეები ე. მაღრაძის ხელმძღვანელობით*. ახალციხის ქალთა სკოლის შენობის თავზე გამოფენილი იყო წითელი დროშა, რომელზედაც ამავე სკოლის მოსწავლეებლს ნ. ნიკიტინს თეთრი აბრეშუმის ძაფით ამოექარგა ერთადერთი სიტყვა „Свобода“.

12 დეკემბერს მთელი ახალციხისა და ახალქალაქის მაზრის სოფლებში ჩატარდა დემონსტრაციები, მიტინგები. ასეთი დიდი მიტინგი ჩატარდა სოფ. უღეში, სიტყვებით გამოვიდნენ: მ. პეტრიაშვილი, თ. აბულაძე. სოფ. მუსხის სკოლის მოსწავლეებელი გ. ჩარკვიანი, რომელიც ახალციხის სოციალ-დემოკრატიული კომიტეტიდან იყო სპეციალურად წარგზავნილი ქვაბლიანის ხეობის სოფლებში. მას თან ახლდა აბასთუმანში მეფის სასახლის მზარეული გ. გორგეშელი, წარმოშობით გორიდან.

1905 წლის 12 დეკემბერს მოწყობილ მიტინგებზე აყენებდნენ პოლიტიკურ და ეკონომიკურ მოთხოვნებს, ქმნიდნენ „ათეულთა“ და „ასეულთა“ ხელმძღვანელობას, ე. წ. „ერობის“ მსგავს ორგანიზაციებს. ამ ახლად შექმნილ ორგანიზაციებთან ყალიბდებოდა შეიარაღებული რაზმები. ასეთი 40 კაციანი

²³ ლ. ებანოიძე, ვ. ი. ლენინი და 1905—1908 წლების რევოლუცია საქართველოში, თბ., 1984, გვ. 83.

*ე. მაღრაძე (სოფ. ზედათმოძიდან, ასპინძის რ.) ღარიბი გლეხის შვილი იყო, რომელმაც დიდი რევოლუციური საბრძოლო გზა განვლო, რის გამოც იგი 1909 წლიდან სამუდამოდ ციმბირში გადაასახლეს. 1917 წლის თებერვლის რევოლუციის დროს ათავისუფლებენ და იქვე ებმება რევოლუციურ საქმიანობაში. შემდეგ კი აქტიურ მონაწილეობას იღებს თეთრგვარდიელთა წინააღმდეგ ბრძოლებში შორეულ ციმბირში. 1921 წელს სამცხე-ჯავახეთის რევოლუციური კომიტეტის მდივანად მუშაობს.

²⁴ ახალციხის რაიონული გაზეთი „წითელი დროშა“, 1970. 4 ოქტომბერი.

2. „მაცნე“, ისტორიის სერია, 1989, № 4

საქ. სსრ კ. მარქსის
ახ. სახ. რესპუბ.
ბიბლიოთეკა

რაზმი შექმნა 1905 წლის დასაწყისში ქ. ახალციხეში ნ. სიხარულიძემ, რომლის ხელმძღვანელადაც გ. კეჩოტაშვილი დანიშნა. სოფლად შექმნილ „ათეულებსა“ და „ასეულებს“ ფული უნდა შეეგროვებინათ იარაღის შესაძენად და სხვა საქიროებისათვის. მათვე უნდა მოეგვარებინათ ტყითა და მინდორ-ველით სარგებლობის საკითხები, განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოთ ქართველების, სომხების, რუსებისა და თათრების ხალხთა მეგობრობის ინტერნაციონალური საკითხებისათვის.

„ერობებს“, „ათეულებს“ და „ასეულებს“ წითელი შეიარაღებული რაზმებით ანგარიში უნდა გაეწივებინათ არა მარტო მეფის ხელისუფლების ბიუროკრატიულ შოენისტურად განწყობილ მოხელეებისათვის, არამედ ბოროტი მემამულეებისთვისაც.

მეფის ხელისუფლების საწინააღმდეგო გამოსვლები და დემონსტრაციები სამცხე-ჯავახეთში 1905 წლის დეკემბრის შეიარაღებული აჯანყების შემდეგაც გრძელდებოდა. ამ გამოსვლების ინიციატორები ახალციხის ქართული სამოქალაქო სასწავლებლის IV კლასის მოსწავლეები იყვნენ.

1906 წლის ახალ სასწავლო წელს ახალციხის ქართული სკოლის მოსწავლე-ახალგაზრდობა გაიფიცა, რომლის საბაზი გამხდარა რევოლუციონერი მოსწავლეების პონომაროვის სამსახურიდან განთავისუფლება. სკოლის ინსპექტორმა პრიხნიამ ამ სკოლის მეოთხე კლასის 70 მოსწავლე ერთი თვით გარიცხა. ამის პასუხად მოსწავლე-ახალგაზრდობამ კვლავ ახალი დემონსტრაცია მოაწყო. დემონსტრაციის დროს ბაზარი დაიკეტა, მოსწავლეთა მოძრაობას მოსახლეობაც შეუერთდა, კვლავ წითელი დროშები, კვლავ მეფის ხელისუფლების საწინააღმდეგო ლოზუნგები. ახალციხის საქალაქო სკოლის საქმეებში ახალციხის მაზრის უფროსი თავადი კარალოვი მონაწილეობდა. მისი წინადადებით, ამ სასწავლებლის შვიდი აქტიური მონაწილე: ს. ყარსელიშვილი, ნ. და გ. ჩიტაძეები (სოფელ ვალედან), ვ. ფილიაშვილი, ა. ქურჭიანი, დ. ნაღბანდიანი, ს. შიბაზიანი და კ. აზარბეტიანი, როგორც ბუნტის თავები სასწავლებლიდან გარიცხეს და სხვა სასწავლებლებში სწავლის გაგრძელების უფლება ჩამოართვეს. მოსწავლეთა ამ გაფიცვის ერთ-ერთი მონაწილე ს. ყარსელიშვილი იკონებს: „მახსოვს შაქრო ქვემერთაშვილის დავალებით, რამდენიმე ბიჭი ცხენებით გაგვგზავნეს ქალაქ ბათუმში, მივედით დათქმულ ადგილას და იქიდან ტომრებით იარაღი ჩამოვიტანეთ, რომელიც შემდეგ დაურიგეს მოზრდილებს. როგორც შემდეგ შევიყეთ შაქრო ქვემერთაშვილი რევოლუციური საქმისათვის მეფის ჯალათებმა დაიჭირეს და დახვრიტეს“²⁵.

სამცხე-ჯავახეთის რეგიონში მეფის ხელისუფლების საწინააღმდეგო გამოსვლები იმდენად დიდი იყო, რომ 1905 წელს დაწესებული სამხედრო წესები 1910 წლის ივნისში კავკასიის საგუბერნიო თათბირზე გადაწყდა „სენატის ბრძანებით, ქუთაისის გუბერნიაში და თბილისის გუბერნიის გორის, დუშეთის, ბორჩალოს, თელავის, სიღნაღის, თიანეთის, ახალციხის და ახალქალაქის მაზრებში სამხედრო საგანგებო წესები დატოვებულ იქნას“ ძალაში²⁶.

ამრიგად, საქართველოს მშრომელებთან ერთად სამცხე-ჯავახეთის მშრომელებმაც გარკვეული ბრძოლა გასწიეს მეფის ხელისუფლებისა და ადგილობრივი მემამულეების, თურქი ბეგების, სომეხი ჩარჩ-ვაჭრების დასამხობად,

²⁵ გ. ივანიძე, ვანათლების კერები მესხეთში, თბ., 1985, გვ. 42.

²⁶ სსციკი, ფ. 3. საქ. 445, ფურც. 25, 36—64, 78—79.

რომელსაც ვ. ი. ლენინმა დიდი შეფასება მისცა. საქართველოში „მოძრაობა ყველაზე მეტად გასცდა ძველ ტერორს, სადაც აჯანყება ყველაზე უკეთ არის მომზადებული, სადაც პროლეტარული ბრძოლის მასობრივი ხასიათი ყველაზე მძლავრად და ნათლად გამოხატული“²⁷. ძალთა შეჯახების შედეგად მეფის თვითმპყრობელობამ გაიმარჯვა მშრომელ მოსახლეობაზე, დადგა ქვეყნად სტოლიპინის შავბნელი პერიოდი: ჩამოხრჩობა, დახვრეტა, გადასახლება, ჯიციმბირება, მაგრამ ლენინის მეთაურობით ბოლშევიკური პარტია ყოველგვარ პანიკის გარეშე უკან იხევდა და ახალი შეტევისათვის კვლავ ემზადებოდა.

ამრიგად, დიდი „ოქტომბრის წარმატების ბალავარს ქვაკუთხედი ჩაუთოო რუსეთის პირველმა 1905—1907 წლების რევოლუციამ. ეს იყო ცხრა იანვრის მწარე გაკვეთილიც, დეკემბრის მოსკოვის ბარიკადების სასოწარკვეთილი თავგანწირვაც: ათასობით სახელოვან თუ უსახელო თავისუფლების მებრძოლთა გმირობაც, პირველი მუშათა საბჭოების — საბჭოთა ხელისუფლების პირველ სახის დაბადებაც“²⁸.

С. И. ХОСИТАШВИЛИ

ОТКЛИК РУССКОЙ РЕВОЛЮЦИИ 1905—1907 ГГ. В САМЦХЕ-ДЖАВАХЕТИ

Резюме

Первая русская революция оказала большое влияние на развитие революционных событий в Грузии и в частности в Самцхе-Джавахети. Ход революции 1905—1907 гг. в этом регионе в грузинской историографии еще не стал предметом глубокого изучения, несмотря на то, что существуют довольно богатые архивные материалы, записи воспоминаний самих революционеров.

Революция в Самцхе-Джавахети имела ряд особенностей, связанных с влиянием идей «пантюркизма» и «панисламизма», большим количеством мусульманского населения, пассивным отношением «духоборов» к революции и др.

Слабое развитие промышленности обуславливало малочисленность рабочего класса, по этой причине главными силами революции в регионе являются крестьяне вместе с полупролетарскими элементами городов.

Еще в 1901—1903 гг. отмечены крупные выступления крестьян Ахалкалакского и Ахалцихского уездов. С начала же 1905 г. создаются первые социал-демократические организации, объединившие

²⁷ ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 10, 1950, გვ. 127.
²⁸ მ. ს. გორბაჩოვი, ოქტომბერი და გარდაქმნა: რევოლუცია გრძელდება 1917—1987, თბ., 1987, გვ. 6.

в своем составе учителей и служащих. Эти организации тесно связаны с тбилискими, горийскими, хашурскими, боржомскими, батумскими, кутаисскими социал-демократами.

Начавшиеся в марте 1905 г. массовые выступления крестьян принимают в октябре-ноябре всеобщий характер и в декабре перерастают в вооруженное восстание. Бастуют рабочие и служащие Ахалцихского и Ахалкалакского отделений связи, учащаяся молодежь. 12 декабря 1905 г. произошли кровавые столкновения с полицией. Было объявлено особое положение в Ахалкалаки и Ахалцихе.

По тем же причинам, что первая русская революция в России, потерпели поражение и революционные выступления в Грузии, но они имели большое значение. Народ получил хороший опыт ведения революционной классовой борьбы с царизмом.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა ი. კაჭარავამ



ბიზილ ბიჰაძე

სამხრეთ საქართველო რუსეთ-თურქეთის ომის
(1828—1829 წწ.) შემდგომ პერიოდში

მას შემდეგ რაც XIX ს-ის პირველ მეხამედში, მეფის რუსეთმა ძირითადად ამიერკავკასია შემოიერთა, კიდევ უფრო გამწვავდა ურთიერთობა მასსა და ირან-თურქეთს შორის. ახლა ყველაზე მეტად საშური საქმე გახდა სამხრეთის საზღვრების საიმედოდ ჩაკეტვა. მთავრობის აზრით, ამ პრობლემის გადაწყვეტა შეიძლებოდა ირანისა და თურქეთის საზღვრებთან ყველაზე ერთგული ხალხის დასახლებით, რომლებიც შეძლებდნენ არა მარტო მისი სამხრეთის საზღვრების საიმედოდ დაცვას, არამედ სახელმწიფოს გაათავისუფლებდნენ იმ კოლოსალური ხარჯებისაგან, რომელიც მას ესაჭიროებოდა ამ ადგილის დამცველი ჯარის შესანახად. ესე იგი, დამცველ ჯარს სამხედრო სამსახურთან ერთად მეურნეობის ის დარგები უნდა განეცითარებინა, რომლებიც ცხოვრებისათვის აუცილებელი პროდუქტებით უზრუნველყოფდა მათ. ასეთად მეფის მთავრობას მალაოროსიელი კახაკები მიაჩნდა.

1827 წლის 6 მაისს გრაფი ტოლსტოი პასკევიჩს სწერდა: იმპერატორის ბრძანებით გიგზაენით გადასახლება-დასახლების კომიტეტის ყურნალის ასლს, რომელსაც მე ვთავაზობდომარობდი და რომელიც შედგა 27 აპრილს და მიუძღვნა 80 ათასი მალაოროსიელი კახაკის სპარსეთის საზღვარზე გადასახლების საკითხს. გთხოვთ, განიხილოთ ყურნალი, გააკეთოთ სათანადო დასკვნა და წარუდგინოთ მის იმპერატორობით უდიდებულესობას¹. 1828 წელს კავკასიაში რუსეთის ჯარების წარმატებებმა მთავრობის წინაშე დააყენა საკითხი იმის შესახებ, რომ კახაკთა სამხედრო დაბების მოწყობა უფრო მიზანშეწონილი იქნებოდა ჯავახეთსა და სამცხეში.

გრაფ ტოლსტოის აზრით, რუსეთისათვის ამ ღონისძიებებს დიდი სარგებლობის მოტანა შეეძლო:

- 1. საზღვარი სპარსეთთან საიმედოდ იქნებოდა დაცული;
- 2. აილაგებოდნენ აზიური ტომები, რომლებიც მიმოფანტული იყვნენ მთელს ტერიტორიაზე;
- 3. რუსეთს დააახლოვებდა ერთმორწმუნე სომხებთან, რომლებსაც თავიანთი ერთგულება არაერთხელ დაუმტკიცებიათ ჩვენთვის;
- 4. კეთილმოეწყობდნენ მალაოროსიელი კახაკები;
- 5. შემცირდებოდა და, ბოლოს, სავსებით აღმოიფხვრებოდა სიკვდილიანობა სპარსეთის საზღვარზე მდგარ ჯარში, მათი შეცვლა მოხდებოდა ჩვენივე ხალხით, რომელიც დროთა განმავლობაში შეეგუებოდა იქაურ ბუნებრივ პირობებს².

¹ Акты, собранные Кавказскою Археографическою комиссиею, т. VII, гл. 319 (შემდგომში მოკლედ Акты...).

² იქვე.



მთავრობის აზრით, კახაკები მიწით მაქსიმალურად უნდა უზრუნველყოფილი იქნებოდა ამიერკავკასიაში მათთვის 2 მილიონ-დესეტინა მიწის გამოყოფა. ამიერკავკასიაში კი მიწის ასეთი ფონდი არ არსებობდა. 1903 წლის 11 თებერვალს კავკასიის საიმპერიო სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების სხდომაზე ფ. გოგიანიშვილმა აღნიშნა, რუსულ პრესასა და ლიტერატურაში არაიმედიატოდ გამოითქმის აზრი იმის შესახებ, — რომ ამიერკავკასია წარმოადგენს რუსეთის გუბერნიების გლეხობისათვის კოლონიზაციის ფართო ველს, სინამდვილეში კი სულ სხვა მდგომარეობაა. ოფიციალური ცნობებით ირკვევა, რომ ამიერკავკასიის გლეხობა ყველაზე ნაკლებადაა უზრუნველყოფილი მიწით³. მართალია, ეს ცნობა გვიანდელია, მაგრამ XIX ს-ის 20-იან წლებშიც თითქმის ანალოგიური მდგომარეობა იყო.

მართლაც, იმ რაოდენობის მიწა, რასაც მთავრობა ვარაუდობდა მალოროსიელი კახაკებისათვის, ამიერკავკასიაში არ მოიძებნებოდა. ეს დიდი და გადაუწყვეტელი პრობლემა იყო, მაგრამ ჩვენი აზრით, არანაკლებ სირთულეს უქმნიდა მეფის მთავრობას 80 ათასი მალოროსიელი კახაკის გადასახდელი მასშტაბით უტრანსპორტობა და უვზობა. ამას წინასწარვე გრძნობდა მეფის მთავრობა და სულ მალე ასეთ დიდ ღონისძიებაზე უარი თქვა.

მთავრობისეული პოლიტიკა რუსეთის სამხრეთი საზღვრების დაცვისა, ისე გამოიყურებოდა, თითქოს იგი მცირე ხალხების ინტერესებს ითვალისწინებდა, სინამდვილეში კი საკუთარი სახელმწიფოს პოზიციების გაძლიერებას ისახავდა მიზნად. ა. ფადეევი წერს: ზრუნავდნენ რა თავიანთი სამფლობელოების გაფართოებაზე კასპისპირეთსა და აღმოსავლეთ წინაკავკასიაში, რა თქმა უნდა, რუსეთის მეფეებს მხედველობაში ჰქონდათ ფეოდალური სახელმწიფოს განმტკიცება და არა მცირე ხალხების დაცვა ირანისა და თურქეთის ექსპანსიისაგან⁴.

1852 წელს ექსპერიმენტი ჩაატარეს, მალოროსიიდან გადმოსახლეს 200 კახაკური ოჯახი, რომელთაც პურის თესვა-მოყვანის მეტი არაფერი იცოდნენ, მათ საქართველოში ცხოვრება არ მოუსურვებიათ და უთხოვიათ კავკასიის ხაზზე დასახლება. მათგან 60 ოჯახი საქართველოში დარჩენილა და გორის მაზრაში ამირეჯიბის მამულში დასახლებულა, დანარჩენები დასახლებულან იქ სადაც სურდათ⁵.

1829 წელს რუსეთის ჯარმა ქართველთა აქტიური მონაწილეობით აურჯთა ბატონობისაგან გაათვისუფლა სამხრეთ საქართველოს ერთი ნაწილი. ეს აქტი ისტორიული მნიშვნელობის მოვლენა იყო ქართველი ხალხისათვის, პირველ რიგში კი მესხეთის მოსახლეობისათვის, თურქების მიერ სამცხე-საათაბაგოს დაპყრობის შემდეგ ქართლსა და იმერეთში გაიხიზნა მრავალრიცხოვანი მესხი. აღნიშნული ომის დამთავრების შემდეგ, მათ იმედით შეხედეს სამშობლოში, მამა-პაპათა მიწა-წყალზე დაბრუნების საკითხს. იმერეთში მცხოვრებმა მოსახლეობამ დაუყოვნებლივ თხოვნით მიმართა მთავრობას ნება დაერთო სამშობლოში დაბრუნებისა, მაგრამ მათ უარი უთხრეს. მეფის მთავრობისათვის მათი აქ დასახლება მიზანშეწონილი იყო. ცარიზმის მთავარი მიზანი იყო ამიერკავკა-

³ Ф. Г. Гогойчайшвили, Малоземелье среди крестьян Закавказья, Тифлис, 1903, с. 3.

⁴ А. В. Фадеев, Россия и Кавказ в первой трети XIX в., М., 1960, с. 17.

⁵ Акты, т. XII с. 13.

სიაში ეთნიკური სიჭრელის შექმნა. მიუხედავად ამისა, საქართველოსათვის შისი სამხრეთი რაიონების დაბრუნებას უდიდესი ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდა. „...საქართველოს ისტორიული ტერიტორიის ოსმალთაგან განთავისუფლება და რუსეთის ფარგლებში გადასვლა ქართველი ხალხის ინტერესებსაც პასუხობდა. სხვა რომ არაფერი ყოფილიყო, ოსმალთა მონობის ქვეშ მყოფი ქართველობა რელიგიური ჩაგვრისაგან თავისუფლდებოდა და მოძმე ქართველებთან ერთად საერთო ბედს იზიარებდა“.

ომის შემდგომ მკვიდრი მოსახლეობის დიდი ნაწილი თურქეთში გადავიდა. სამხრეთ საქართველოს დაცარიელებული რაიონები ცარიზმს სასურველი ხალხით უნდა შეევსო. როგორც ზემოთ აღინიშნა, მალღორსიელი კაზაკთა იქ დასახლების მთავრობისეული გეგმა ჩაიფუშა. ასე რომ, როგორც შ. ლომსაძე წერს, „1818 წლის ბოლოდან კაზაკთა ჩამოსახლების პროექტმა ქვემო ქართლსა და ჭავჭავეთში ადგილი დაუთმო თურქეთიდან ქრისტიანი მოსახლეობის ჩამოსახლების პროექტს“⁵.

1829 წელს დამთავრდა თურქეთის ომი. ადრიანოპოლის დაკარგვით თავზარდაცემულმა ოსმალეთმა ხელი მოაწერა საზავო ხელშეკრულებას, რომლის მიხედვით ომის დამთავრებიდან 18 თვის მანძილზე როგორც ერთი, ისე მეორე ქვეყნის მცხოვრებთ ნება ეძლეოდათ ნებისმიერ სახელმწიფოში გადასულიყვნენ. საცხოვრებლად. და აი, ომის დამთავრებისთანავე თურქეთიდან კავკასიაში დაიწყო სომეხთა მასიური გადმოსახლება. ნ. სმირონოვის გამოანგარიშებით, ირანიდან და თურქეთიდან რუსეთის სახელმწიფოს ფარგლებში გადასახლდა 105 ათასი სომეხი⁷.

თურქეთიდან გადმოსახლებულ ქრისტიანთა რიცხვი დაახლოებით ორჯერ მეტი აღმოჩნდა (14.044 ოჯახი), ვიდრე მეფის მთავრობა ვარაუდობდა. ცხადია, ცარიზმს უნდოდა თურქეთში მცხოვრები სომეხების რუსეთის სამფლობელოებში გადმოსახლებით შეეჩერებინა თურქეთის აგრესია და, ამასთანავე, დაეჩქარებინა ვაჭრობა-მრეწველობის განვითარებაც. რამდენადაც თურქეთის ვაჭრობა-მრეწველობაში ძირითადად სომეხები და ბერძნები იყვნენ დასაქმებული, მეფის მთავრობა ვარაუდობდა, რომ ისინი დიდ სარგებლობას მოუტანდნენ რუსეთის ეკონომიკასაც.

არზრუმელმა სომეხებმა მოითხოვეს საქართველოში დასახლების უფლება, რაც შემთხვევითი არ ყოფილა. ჯერ ერთი, ისინი კარგად იცნობდნენ იმ ადგილებს, სადაც გადმოსახლებას მოითხოვდნენ, მეორე, სომეხებს უძველესი დროიდან ქართველებთან ისტორიული წარსული აკავშირებდათ. ისინი ერთად, ერთმეორის გვერდით ებრძოდნენ მომხდურ მტერს, ერთად იყოფდნენ ჭირსა და ვარაშს. „XVII—XVIII სს-ში მოსული სომეხობა ისე გაქართველდა, — წერს ა. ფრონელი, — ძნელად გაარჩევს კაცი ქართველებისაგან. ენა, ზნე-ჩვეულება, ჩაცმა და დახურვა, ყველაფერი ქართველური შეითვისეს. შეიჩინეს მხოლოდ სარწმუნოება და ლტოლვა ვაჭრობისადმი“...⁸

რუსეთისადმი ქართველი ხალხის ერთგულება მეფის მთავრობას რატომღაც არ სწამდა, ალბათ ამ მოტივით უთხრა უარი თურქეთისაგან განთავისუფ-

⁵ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, თბ., 1973, გვ. 874.

⁶ შ. ლომსაძე, სამცხე-ჯავახეთი, 1975, გვ. 346.

⁷ Н. А. Смирнов, Политика России на Кавказе в XVI — XIX вв., М., 1953, с. 133—184.

⁸ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის „მოამბე“, 1989, № 6, ნაკვ. III, გვ. 11.

ლებულ საქართველოს ტერიტორიაზე უმიწობისაგან გაჭირვებულ იმერეთის მოსახლეობის ერთ ნაწილს დასახლებაზე, და იქ თურქეთიდან გამოსული სომხებისა და ბერძნების დაბინავება გადაწყვიტა.

ქართველმა ხალხმა არაერთხელ დაამტკიცა თავისი ერთგულება რუსეთის მიმართ. ასე მაგ., 1828 წელს, როცა თურქეთმა ომი გამოუცხადა რუსეთს, ირანთან ომი ახალი დამთავრებული იყო და რუსეთის ჯარი ჯერ კიდევ არ იყო გამოსული ირანიდან, რამაც სარდლობა გამოუვალ მდგომარეობაში ჩააყენა. აი, ასეთ კრიტიკულ მომენტში „განსაკუთრებით მასიური იყო დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის მონაწილეობა რუსეთ-თურქეთის მეორე ომში“⁹.

ისმება კითხვა, რატომ არ სურდა მეფის მთავრობას თურქეთისაგან განთავისუფლებულ სამხრეთ საქართველოს ტერიტორიაზე იმერეთის მოსახლეობა რომ დაესახლებინა? ამაზე ძნელი არაა პასუხის გაცემა: საქმე ისაა, რომ ცარიზმის მთავარი მიზანი იყო, ამ ახლად შეძენილ მიწა-წყალზე შეექმნა ეთნიკური სიჭრელე, რაც მას გაუადვილებდა ამ ხალხების მართვას. ე. ი. მას ამით სურდა ხელოვნური ბარიერები შეექმნა, რაც მათ გათიშავდა ერთმანეთისაგან. მაგრამ ისტორიულმა მოვლენებმა სულ სხვა მიმართულება მისცა ხალხთაშორის ურთიერთობას. კერძოდ, ისინი გაერთიანდნენ ცარიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად, 1871 წელს გაზეთი „დროება“ წერდა: „ერთიღა იმედი დაგვრჩენია ჩვენ: ხალხებში გაიღვიძებს გრძნობა ურთიერთის სიყვარულისა და თანაგრძნობისა და სიყვარული გააგებინებს იმათ, რომ ძმურად ცხოვრება ყოველთვის უფრო სასარგებლოა, ვიდრე ბტრობა და ერთმანეთის სისხლისღვრა“¹⁰.

ვაჭრობა-მრეწველობის საქმეში სომეხთა განსაკუთრებულ მისწრაფებაზე მეფის არაერთი მოხელე ლაპარაკობდა და ცდილობდა ყველაფერი ეს მათი „ღვთივმომადლებული ნიჭისათვის“ მიეწერა. მაგრამ მათ აზრადაც არ მოსდიოდათ, რომ ამ საქმეში სომეხთა დიდი უნარ-ჩვევები ისტორიული ვითარებით იყო განპირობებული.

თურქეთიდან სომხებისა და ბერძნების გადმოსახლების საკითხი დიდებითად გადაწყდა. 1829 წლის 3 დეკემბერს საქართველოს სამოქალაქო გუბერნატორი პასკევიჩს სწერდა: „ჩემი განკარგულებით, ყარსიდან გამოსულები დასახლდნენ ალაგოზის ახლოს ცარიელ სოფლებში: ჰაეა მათი სამშობლოს ჰავის მსგავსია“¹¹. გენერალ პანკრატევს გაცემული ჰქონდა ბარათები 95 ოჯახისათვის ლორეში, 400 ოჯახისათვის გუმბრში დასახლებლად“¹².

როგორც ჩანს, გადმოსახლებულთა პირველი ნაკადი თურქეთიდან გამოვიდა არაუგვიანეს 1829 წლის ნოემბრისა. ცხადია, მათი მგზავრობისათვის არახელსაყრელი და სახიფათო პირობები იყო. იღვა გვიანი შემოდგომა, ზამთარი კარს იყო მომდგარი, მაგრამ უკან დასახევი გზა არ ჰქონდათ, ისინი ჩქარობდნენ დროულად გასცლოდნენ თავიანთ მრავალსაუკუნოვან მჩაგვრელებს.

როგორც მოსალოდნელი იყო, გადმოსახლებულებმა გზაში დიდი ვაჭირვება გამოიარეს როგორც უამინდობის, ისე სურსათის უქონლობის გამო.

⁹ ი. ანთელავა, 1828—1829 წლების რუსეთ-თურქეთის ომი და საქართველო, სოხუმი, 1964.

¹⁰ გაზ. „დროება“, 1871, № 1.

¹¹ Акты, т. VII, с. 831.

¹² იქვე.

უტრანსპორტობა სურსათით მომარაგებას აძნელებდა, ამის გამო ისინი ხშირად შიმშილობდნენ. მართალია, მთავრობამ წინასწარ გაითვალისწინა აღნიშნული სიძნელეები, მაგრამ მაინც ვერ შეძლო მათი დაძლევა.

გადმოსახლებულთა ორგანიზებულად დაბინავებისათვის შეიქმნა განსაკუთრებული კომიტეტი, რომელსაც პასკევიჩის მითითებით გადმოსახლებულნი უნდა დაებინავებინა სახელმწიფო მიწებზე. იმ შემთხვევაში, თუ ეს მიწები საკმარისი არ აღმოჩნდებოდა — მემამულეთა მიწებზე¹³. სახელმწიფო მიწების სიმცირის გამო, მთავრობას ძალიან გაუჭირდა კოლონისტთა ყველა ოჯახის მიწით დაკმაყოფილება. ხოლო იმის გამო, რომ მემამულეებმა უარი განაცხადეს კოლონისტებისათვის იმ შეღავათების მიცემაზე, რაც სახელმწიფომ დაადგინა, მთავრობა შეეცადა მისი კომპენსაცია მკვიდრი მოსახლეობის ხარჯზე მოეხდინა.

გადასახლება-დასახლების კომიტეტს სახელმძღვანელოდ მიეცა ოფიციალური დებულება, რომლის მე-4-ე მუხლით გადმოსახლებულები იყოფოდნენ სამ ჯგუფად: ვაჭრებად, ხელოსნებად და მხვინელ-მთესველებად. პირველი ორი ჯგუფის დასახლება ნავარაუდევად იყო ქალაქებში. მესამე ჯგუფისა კი — სოფლებში. მესამე ჯგუფი იყოფოდა კიდევ ორ ჯგუფად — მთისა და ბარის მცხოვრებად. ეს განპირობებული იყო იმით, რომ თითოეული მათგანი მისთვის ჩვეული მეურნეობის ინტენსიური განვითარებით სარგებლობას მოუტანდა თავისთავსა და სახელმწიფოსაც. სახაზინო მიწებზე დასახლებულები სახელმწიფო გადასახადისაგან თავისუფლდებოდნენ 6 წლით, საეროობისაგან — 3 წლით¹⁴.

რუსეთ-თურქეთის ომის დროს გასაქცევად გამზადებული თურქები და მუსლიმანი ქართველები ან უპატრონოდ ტოვებდნენ, ან ჩალისფასად ყიდდნენ საკუთარ, ან სახელმწიფო მიწებს და ისე გარბოდნენ. მიწას ყიდულობდა ყველა — დაწყებული საფაშოს რიგითი მცხოვრებიდან, მეფის მაღალი რანგის მოხელემდე¹⁵.

სტატკი სოვეტნიკმა ვლანგელმა შეიძინა 15 სოფელი, რომლებშიც დასახლებული იყო სომეხთა 333 ოჯახი. ვლანგელმა აღნიშნული სოფლები დაუთმო სახელმწიფოს, სამაგიეროდ მთავარმართებლის წინადადებით მას შეეძლო საფასურად მიეღო 1200 მანეთი ვერცხლით¹⁶.

სამხრეთ საქართველოში კოლონისტთა კეთილმოწყობის საკითხი იმითაც ვართულება, რომ ახალციხის საფაშოს გამგებამ მიწების ყიდვა-გაყიდვის დროს უხეში შეცდომები დაუშვა, კერძოდ, გაყიდა ის მიწებიც რის უფლებაც მას არ ჰქონდა, ასეთი უფლება არც შემძენს ჰქონდა¹⁷. სწორედ ასეთ მიწებზე დასახლებული ბევრი კოლონისტი, მას შემდეგ, რაც მფლობელებმა დიდი ვალდებულებები დააკისრეს და სახელმწიფომ ვერ შეძლო მათი დაკმაყოფილება, იძულებული გახდა თურქეთში წასულიყო. „ბევრ კოლონისტს უცხო გარემოს შეგუება უჭირდა განსხვავებული მეურნეობისა და შრომის გამო. გადმოსახლებულთა ერთი ნაწილი ახალციხის საფაშოდან ისევ არზრუმს

¹³ Акты, т. VII, с. 831.

¹⁴ იქვე, 832.

¹⁵ იქვე, 83-842.

¹⁶ ЦГИАЛ, Фонд 1263, опись, 1, б. 910, лист. 421.

¹⁷ Акты, т. VII, с. 844.

უბრუნდებოდა¹⁸. ახალციხის საფაშოში გადმოსახლებული 7 ათასი ოჯახიდან ათასი მემამულეთა მიწებზე დასახლებული აღმოჩნდა¹⁹.

გადასახლება-დასახლების კომიტეტი სტრეკალოვს წინადადებას აძლევდა: ჩამოერთმიათ კოლონისტებით დასახლებული სოფლები იმ პირთათვის, რომლებიც არ მიეკუთვნებოდნენ პრივილეგირებულ წოდებას და არც მამულის ფლობის უფლება ჰქონდათ. მაგრამ სახელმწიფომ ამ საქმის გატარება ვერ შეძლო, რადგან მას ამისთვის არაერთი საბუთი არ გააჩნდა.

მეფის მთავრობამ კოლონისტთა თურქეთში წასვლა სასტიკად აკრძალა, რადგან ეს გარემოება ასუსტებდა მის საერთაშორისო პრესტიჟს. ასეთ ვითარებაში კოლონისტთა ერთმა ნაწილმა თხოვნით მიმართა მთავრობას, ნება დაერთო გადასახლებისა ახალციხის საფაშოს ერთი სანჯაყიდან სხვა სანჯაყში. 1838 წ. ახალციხის უფროსს — ორანსკის თხოვნით მიმართა ახალციხის სანჯაყის სოფელ საზელის 17 ოჯახმა, ნება დაერთო დასახლებულიყვნენ ახალქალაქის სანჯაყის სოფელ კუშურდოში¹⁹. მათი თხოვნა დაკმაყოფილებულ იქნა.

დასაწყისში მთავრობა ხელს უწყობდა კოლონისტთა მიგრაციას, რასაც ადასტურებს ის დახმარება, რომელსაც უწყვედა მიგრირებულ ოჯახებს მთავრობა. 1835 წლის 27 აპრილს თუმანოვი ორანსკის სწერდა: სოფელ პამაჯში გადასახლებულ ოგანესოვს, რომლის ოჯახი სამი სულისაგან შედგება, დახმარება გაეწია შემდეგი სახისა: ხორბალი — 14 კოდი, სიმინდი — 19 კოდი, ფეტვი — 3 კოდი, და ასე შემდეგ²¹.

რაკი თურქეთიდან ახალციხის საფაშოში გადმოსახლებული მოსახლეობის მიწებით დაკმაყოფილება მთლიანად შეუძლებელი გახდა, მაშინ ბერძენმა კოლონისტებმა თხოვეს მთავრობას წალკის ტერიტორიაზე გადასახლების უფლება. 1830 წლის 10 ივნისს ახალციხის საფაშოს უფროსი პოდპოლკოვნიკი დრეშერნი სტრეკალოვს სწერდა: თანახმად მათი (ბერძენების) სურვილისა, მე დაერთე ნება დასახლდნენ ისინი ციხე-სიმაგრე წალკის მიდამოებში იმ ვარაუდით, რომ იქ მონახვენ კარგ ადგილებს დასაბინაებლად²². იმავე წერილში აღნიშნულია, რომ მთავრობის აზრია წალკაში მხოლოდ და მხოლოდ თურქეთიდან გადმოსახლებული ბერძენები დასახლდნენ, რომელთა რიცხვი 700 ოჯახს აღემატებოდა. თავდაპირველად ისინი წალკის 22 სოფელში დაასახლეს, რომელთა საერთო რიცხვი შეადგენდა 4772 სულს²³.

1835 წელსვე ახალციხის საფაშოს გამგეობამ ნება დართო ქვაბლიანის სანჯაყის სოფელ სონას 32 ოჯახს გადასახლდეს ახალქალაქის სანჯაყის სოფელ გულიკაშში. რომელთათვისაც გამოიყო ერთდროული დახმარება: ფული 200 ინანეთი ვერცხლით, ხორბალი — 127 ჩეტვერტი, ქერი — 82 ჩეტვერტი და სხვ.²⁴

¹⁸ შ. ლ. ო. მ. ს. ა. ძ. ე. სამცხე-ჯავახეთი, თბ., 1975, გვ. 360.

¹⁹ Акты, VII, с. 850.

²⁰ სესია, ფონდი 77, აღწერა 1, საქმე 8, ფურცელი 8.

²¹ სესია, ფონდი 77, აღწერა 1, საქმე 8, ფურც. 6.

²² იქვე, ფონდი 2, აღწერა 1, საქმე 2648, ფურცელი 95.

²³ ЦГИАЛ, Фонд, 797, опись 10, д. 27287, л. 6.

²⁴ სესია, ფონდი 77, აღწერა 1, საქმე 8, ფურც. 24.

ახალციხის საფაშოს ხელმძღვანელობა შეეცადა მიგრაციის შეჩერებას, ეინაიდან XIX ს-ის 30-იანი წლების შუა ხანებში მან მასიური ხასიათი მიიღო. შემდგომში ამ პროცესს შეეძლო გამოუვალ მდგომარეობაში ჩაეყენებინა მთავრობა, რომელიც იძულებული იყო, აეკრძალა მიგრაცია. ამის გამომწვევი მიზეზები შემდეგი იყო: 1. მიგრაციასთან დაკავშირებით მთავრობას დიდი ხარჯების გაღება უხდებოდა, რის ანაზღაურებაც კოლონისტებს დროულად არ შეეძლოთ; 2. მთავრობას ეშინოდა ამას არ გამოეწვია კოლონისტების კონფლიქტი ადგილობრივ მოსახლეობასთან რადგან მათი მიწით უზრუნველყოფა, ხშირ შემთხვევაში, ხომ მკვიდრთა ხარჯზე ხდებოდა.

რუსეთ-თურქეთის ომის (1828—1829 წლების) დროს და მის შემდეგ ახალციხის საფაშოდან მოსახლეობის ინტენსიური დენა დაიწყო თურქეთში ჯერ თურქებისა და მუსლიმანი ქართველებისა, შემდეგ კი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სომეხი კოლონისტებისა. ამ ომის მსვლელობაში და მის შემდეგ თურქები აგიტაციას ეწეოდნენ რუსებისა და ქართველების წინააღმდეგ, მათ სურდათ მესხი ქართველებისათვის ქართველობა შეეძლებინათ. თურქები მათ ჩაავიწყებდნენ, რომ თქვენ ქართველები კი არა „გურჯები“ ხართო. მუსლიმანი ქართველობის თურქეთში მასიურ გადასვლას ხელი შეუწყო ანტიხალხურმა პოლიტიკამაც. ბევრი მუსლიმანი ქართველი ახალციხის საფაშოდან აქარაზიც გადადიოდა იმ იმედით, რომ იქ მათი მოძმეები იყვნენ და უკეთესად მოეწყობოდნენ.

ცარიზმი შეუბრალებლად ეპყრობოდა ადგილობრივ მოსახლეობას და არც არაფერს აკეთებდა მათი მდგომარეობის შესამსუბუქებლად. ომის დროს საზღვარგარეთ და ქვეყნის შიგნით ემიგრირებულთა სახლებში მთავრობა კოლონისტებს ასახლებდა, რითაც ყველა გზას უკეტავდა სამშობლოში დაბრუნების მსურველებს. ერთი სიტყვით, ცარიზმი ყველაფერს აკეთებდა, რათა სამხრეთ საქართველოს თურქებისაგან განთავისუფლებული ნაწილი გაეწმინდა ადგილობრივი მოსახლეობისაგან.

თურქეთთან ომის დამთავრებისთანავე, მთავრობამ ჩაატარა ახალციხის სტატისტიკური აღწერა. 1832 წელს გამოქვეყნდა აღწერის შედეგები. გამოირკვა, რომ ახალციხე წარსულში ხალხმრავალი ქალაქი იყო. აღწერის დროისათვის კი — გაუკაცრიელებული. ნარკვევის ავტორი ამის მიზეზად ასახელებს თურქი და გამაჰმადიანებული ქართველების გადასვლას თურქეთში. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ ცარიზმის „ზრუნვის წყალობით“ XIX ს-ის 90-იანი წლების მიწურულისათვის სამცხე-ჯავახეთის მთელი მოსახლეობის (121.670 სული) მხოლოდ 13,48%-ს შეადგენდა ქართველობა²⁵.

ახალციხის სანჯაყის სოფელ სუხლისიდან თურქეთში გაქცეულმა თურქებმა და მუსლიმანმა ქართველებმა აქ დატოვეს მიწის 30 ნაკვეთი, 29 ბალი და 6 წისქვილი.²⁶ 1834 წელს ჭაჭარაქის სანჯაყის სოფელ ორალიდან თურქეთში გაიქცა სომეხთა 5 მკვიდრი ოჯახი²⁷.

თავდაპირველად მეფის მთავრობა ხელს უწყობდა ახალციხის საფაშოს მკვიდრი მოსახლეობის თურქეთში წასვლას²⁸, შემდეგში როცა მან მასიური

²⁵ Кавказский календарь, Тифлис, 1901, с. 23.

²⁶ სესია, ფონდი 47, აღწერა 1, საქმე 16, ფურცელი 95—96.

²⁷ იქვე, ფონდი 77, აღწერა 1, საქმე 4, ფურცელი 3.

²⁸ იქვე, საქმე 10, ფურც. 2.

ხასიათი მიიღო, მეფის მთავრობამ იგი აკრძალა და სასტიკ ზომებს მიმართა — ამ საქმის ყველა ორგანიზატორს და წამქეზებელს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა დააკისრა, ამ ზომების გატარება ცარიზმს იმიტომ დასჭირდა, რომ მოსახლეობის მიერ რუსეთის ტერიტორიის დატოვება და საზღვარგარეთ გადასვლა ძირს უთხრიდა მის საერთაშორისო პრესტიჟს.

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ როცა ცარიზმი ამიერკავკასიაში მოსახლეობას ასახლებდა, ორ ძირითად მიზანს ისახავდა: 1. სამხრეთის საზღვრების გამაგრებას და ამ რეგიონში რუსიფიკატორული პოლიტიკის რეალიზაციას. პირველი შესრულდა, მეორე განუხორციელებელი დარჩა. როგორც ცნობილია, ამ საქმეში მეფის მთავრობა დიდ იმედებს ამყარებდა მალორასიელ კავკაზზე, რადგან ეს ჩანაფიქრი არ განხორციელდა, თავისი რუსიფიკატორული პოლიტიკის შესრულებას ახლა მეფის მთავრობა სხვა უფრო იოლი გზით ფიქრობდა, რუსეთის შიდა გუბერნიებში ფართოდ გავრცელდა გამთიშველი მოძრაობა, რომელმაც მართლმადიდებლურ ეკლესიას დიდი საშიშროება შეუქმნა, მეფის მთავრობამ გადაწყვიტა მათი გადასახლება იმპერიის შორეულ მხარეებში, სადაც მათი მოძღვრების გავრცელებისათვის ნიადაგი არ არსებობდა. ასეთ მხარედ მათ საქართველოს სამხრეთი რაიონი მიიჩნიეს. მაგრამ არ იქნებოდა სწორი, თუ ვიტყვოდით, რომ ცარიზმი გამთიშველებში მარტო თავის მტრებს ხედავდა. საქმეც ის არის, რომ მათი მეშვეობით ფიქრობდა იგი რუსიფიკატორული პოლიტიკის რეალიზაციას.

ცარიზმს სძულდა სექტანტები მაგრამ ცდილობდა მათი გულის მოგებას, რათა, როგორც ზემოთ აღინიშნა, გაეტარებინა თავისი რუსიფიკატორული პოლიტიკა, მთავრობის გადაწყვეტილებით საქართველოში დუხობორები უნდა გადმოსახლებულიყვნენ ტავრიის გუბერნიიდან. ამიერკავკასიაში მათ მიმართ მთავრობის პოლიტიკა ძალიან ფრთხილი იყო. აქ დუხობორები, — წერს დრუჟინინი, — „როგორც ერთადერთი რუსები ეხმარებოდნენ ჩინოვნიკებს ადგილობრივი არარუსი მოსახლეობის ჩაგვრის პოლიტიკის გატარებაში. ქართველებს, სომხებსა და თათრებს შორის ისინი იყვნენ გაბატონებული ერის მდგომარეობაში. მთავრობამ ისინი ძალიან მოხერხებულად აქცია თავისი მფლობელობის საყრდენად ამიერკავკასიაში“³⁰.

დუხობორებმა ცარიზმის იმედები გაამართლეს. იმ დროს, როცა რუსეთის შიდა გუბერნიებში გლეხთა აჯანყებები მუსრს ავლებდნენ მემამულეების ავლა-დიდებას, ამიერკავკასიის რუსულ რაიონებში სრული სიმშვიდე იყო. 1905—1907 წლების რევოლუციის დროს მოლოცვები და დუხობორები თათართა რაზმებს აჩერებდნენ, როცა ისინი მემამულეთა მამულეების გასანადგურებლად მიდიოდნენ. დუხობორები იჭერდნენ რევოლუციონერებს და ჩინოვნიკებს გადასცემდნენ³¹.

ტავრიის გუბერნიის მელიტოპოლის მაზრიდან საქართველოში დუხობორები გადმოსახლდნენ ნაწილ-ნაწილად (ძირითადად 1841—1845 წლებში) და დასახლდნენ ჭავჭავთის ზეგანზე 9 სოფელში.

საქართველოში დუხობორების გადმოსახლების საქმე დაუბრკოლებლად არ მიმდინარეობდა, ძირითადი მიზეზი მიწის სიმცირე იყო. მართალია, ჭავა-

³⁰ В. Дружинин, Духоборы, М., 1930, с. 5-6.

³¹ იქვე.

ხეთში მათთვის გამოინახა საკმარისი მიწები, მაგრამ ეს ხდებოდა იქ მცხოვრები მოსახლეობის ხარჯზე. მეფის მოხელეები ნაწილობრივ რომ დუხობორები ზომიერად დასაჯეს ჯავახეთის მკაცრი ჰაერით. ისინი ფიქრობდნენ, რომ რუსეთიდან დუხობორთა საქართველოში დიდი რაოდენობით გადმოსახლებით, ქართველებს შორისაც შეიძლება გავრცელებულიყო სექტანტური მოძღვრება. მათი ვარაუდი არ გამართლდა, რადგან გამთიშველთა და მათი მსგავსი სხვა სექტანტების მოძღვრება ქართველი ხალხისათვის სრულიად უცხო და მიუღებელი იყო.

ამრიგად, ცარიზმის მთავარი მიზანი იყო, თურქებისაგან განთავისუფლებულ სამხრეთ საქართველოს ტერიტორიაზე დაესახლებინა არაქართველი მოსახლეობა, რათა როგორც დაუფარავად ამბობდნენ რუსი ჩინოვნიკები, აქ დაეზინავებინათ ყველაზე სანდო ხალხი. ასეთ ხალხად დასაწყისში მალაოროსიელი კაზაკები მიაჩნდათ, შემდეგ კი — სომხები. ასეც მოიქცა მეფის მთავრობა — ახალციხის საფაშოს ტერიტორია ჯერ ქართველი მოსახლეობისაგან დაცალა, შემდეგ კი იქ სომხები და ბერძნები დასახლა.

М. С. МИКАЛДЗЕ

ЮЖНАЯ ГРУЗИЯ В ПЕРИОД ПОСЛЕ РУССКО-ТУРЕЦКОЙ ВОЙНЫ (1828—1829)

Резюме

В первой трети XIX века Россия успешно вела войну с ирано-турецкими захватчиками и освободила большую часть Закавказья, когда-то захваченную ими. Для того, чтобы они не вели агрессивную политику против России, царское правительство решило укрепить свои границы, населив их выходцами из внутренних губерний России, которые не только бы защищали границу, но и реализовывали бы русификаторскую политику царизма.

В статье отмечено, что правительство пытается заселить в освобожденную часть Южной Грузии 80 тысяч малороссийских казаков, но эта политика потерпела крах. Тогда оно решило заселить эту территорию армянами, которые жили в Турции и проявляли интерес к русской армии во время Русско-турецкой войны (1828—1829 гг.), что и было сделано: 7 тысяч армян и греков заняли Южную часть Грузии (и несколько из них были переселены в Цалку). За нехваткой земель казенных, были заселены и помещичьи, в результате чего часть колонистов вернулась в Турцию, но скоро правительство запретило самовольное переселение.

Но так как переселенцы из Турции не могли реализовывать русификаторскую политику царизма, правительство решило еще подселить сюда духоборов из Мелитопольского уезда в 1841—1845 гг. В девяти деревнях в Джавахетии, их потомки проживают и в настоящее время.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
 ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის
 ინსტიტუტის საქართველოს ახალი ისტორიის განყოფილებამ

ზახანა ლინალი

დავლაგომური ასო-ნიშნები

ა) ნიშანთა რაობის საკითხისათვის

საქართველოს ტერიტორიაზე მოპოვებულ კერამიკულ ნაწარმში, რომელიც ძვ. წ. IV — ახ. წ. III სს-ს განეკუთვნება, გვხვდება ჭგუფი გარკვეული ფორმებისა, რომლებზეც გამოწვამდე ამოკაწრულია სხვადასხვა ნიშანი. ეს ნიშნები კარგა ხანია რაც სპეციალისტთა კვლევის საგანია, მაგრამ დღემდე მისი კვლევა ხორციელდებოდა მხოლოდ მათი ფუნქციის დადგენის მიზნით. ფაქტობრივად ამ ნიშნების რაობის საკითხი არ დასმულა და ამ თვალსაზრისით სპეციალური კვლევა არ ჩატარებულა¹.

1.0. იმისათვის, რომ გაირკვეს თუ რას წარმოადგენს თითოეული ეს ნიშანი, უპირველეს ყოვლისა, უნდა განისაზღვროს იმ კერამიკული ნაწარმის წარმომავლობის საკითხი, რომლებზედაც ისინია დატანილი. ამ მხრივ უკვე ჩატარებულია საფუძვლიანი კვლევა და დადგენილია, რომ ის სამი ძირითადი ფორმა — ქვევრი, ამფორა და კრამიტი, — რომლებზეც ყველაზე ხშირად გვხვდება ნიშნები, ადგილობრივი წარმოებისაა. ამჟამად ამ ფორმების საქართველოს ტერიტორიაზე წარმოება ერთნადაა აღიარებული². ამდენად, ცხადია, რომ ამ ფორმებზე მათი დამზადების პროცესში (ჭერ კიდევ სველ თიხაზე) დატანილი ნიშნებიც დღევანდელი საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები ხელოსნების მიერაა დასმული.

1.1. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ეს ნიშნები ყოველ ცალკეულ ფორმაზე სრულიად განსაზღვრული წესითაა ამოკაწრული: ა) ქვევრებზე ყველა შემთხვევაში დატანილია მხარზე (ყელის ქვემოთ), ისევე როგორც კარმირბლურზე მოპოვებულ ქვევრებზე, სადაც ისინი მოცულობას — ქვევრის ტევადობას აღნიშნავს³. ბერძნულ სამყაროში ნიშნები, უფრო სწორად რიცხვი-

¹ გამოკლისი იყო ბ. კუფტინის მოკლე მიმოხილვა, რომელმაც დაბლაგომში აღმოჩენილ ქვევრებზე დატანილი ნიშნები შეისწავლა (იხ. Б. К у ф т и н, МАК, II, Тб., 1950, გვ. 78—79), ისიც, ძალზე ზოგადად.

² შტრ. თ. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე, თ. შ ი ქ ე ლ ა ძ ე, ვანის არქეოლოგიური ექსპედიციის IV უბნის თხრის ძირითადი შედეგები. სესია მიძღვნილია საქართველოში 1961 წ. ჩატარებული არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგებისადმი, თბ., 1962, გვ. 39—40; ა. კ ა ხ ი ძ ე, მასალები აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ძველი ქალაქების ისტორიისათვის, მსკვ, IV, 1965, გვ. 87—88; თ. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე, ანტიკური სამყარო და ძველი კოლხეთი, თბ., 1966, გვ. 138—139; Б. А. К у ф т и н, დასახ. ნაშრომი, გვ. 84—86; Р. В. П у т у რ ი ძ ე, Колхидские амфоры из Ванн, КСИИ, 151, М., 1977 გვ. 68—71; ნ. ვ ა შ ა კ ი ძ ე, გ. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე, კოლხური ქვევრი, სდსმ, V, 1976; Д. В. А х а л е დ ნ ა ნ ი, Черепица Грузии эллинистической эпохи по материалам Ванского городища, Канд. дисс., Ереван, 1986.

თი მნიშვნელობის მქონე ასოები, უმეტესწილად გვხვდება ქვევრის გვირგვინზე და აღნიშნავს როგორც ტევადობას (მაგალითად, ჩრდილო შავიზღვისპირეთში აღმოჩენილი ქვევრის პირები⁶), ისე მის ფასს (ოლინთო⁷); ბ) ამფორებზე ბერძნულ სამყაროში ჩვეულებრივ, ჭურჭლის ყურებზე დამლები ისევეა, თუმცა ჩრდილო შავიზღვისპირეთში აღმოჩენილია ახ. წ. III ს-ის ამფორები, რომლებზეც ე. წ. სარმატული ნიშნებია ამოკაწრული გამოწვის შემდეგ (მზა პროლუქციაზე)⁸. ეს სარმატული ნიშნები სახელობით ნიშნებს წარმოადგენდა და ამფორის პატრონის კერძო მფლობელობას ადასტურებდა⁹ (ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ის, რომ სემიონოვკის ამფორებზე ამოკაწრული ნიშნები არ იმეორებს მანამდე ამ რეგიონში დიდი რაოდენობით აღმოჩენილ სარმატულ ნიშნებს, ე. ი. ისინი (ნიშნები) ფორმათა დიდი მრავალფეროვნებით გამოირჩევა); კოლხურ ამფორებზე ნიშნები უმეტესწილად დატანილია მხარზე ან ყელზე; ლ) კრამიტებზე კოლხეთსა და იბერიაში ნიშნები, როგორც წესი, გარე ზედაპირზეა დატანილი (იშვიათი გამოწვევის გარდა). კოლხური წარმოების კრამიტზე ძალზე იშვიათად დამლებიც გვხვდება¹⁰ (საყურადღებოა, რომ კრამიტზე ნიშნების დასმა, როგორც ჩანს, საზოგადოდ გავრცელებული ფაქტია და მისი წარმოების ორგანიზაციას უნდა უკავშირდებოდეს და არა სხვა რაიმე მოვლენას. ამისი დასტურია ნიშნის კრამიტების აღმოჩენა წელთაღრიცხვათა მიჯნის ნამოსახლარზე ისეთ შორეულ რეგიონში, როგორიც სამხრეთ ციმბირია¹¹).

ამგვარად, სამივე კერამიკულ ფორმაზე ნიშნები დატანილია იმ სეგმენტებზე, რომლებიც, უპირველეს ყოვლისა, ხვდება მხედველობის არეში.

2.0. კერამიკულ ფორმებზე დატანილი ნიშნების დიდი ნაწილი აღმოჩენილია კოლხეთში, ამასთან, ყველაზე ადრეული ნიშნები — ძვ. წ. IV—III სს. — დასტურდება მესხეთის ქედის ჩრდილო განშტოებებში გათხრილ ქვევრებზე, რომლებიც მიცვალებულთა დასაკრძალავადაა გამოყენებული (ქვევრსამარხები).

არსებული ასო-ნიშნები, როგორც აღნიშნეთ, არაერთგზის იყო კვლევის საგანი და ყველა მკვლევარი, რამდენადაც დღეისათვის არსებული მასალით შეიძლება ვიმსჯელოთ, მართებულად ჰყოფდა მათ ორ ჯგუფად — ბერძნული ანბანის ნიშნები და გაურკვეველი ასო-ნიშნები.

⁶ Кармир-Блур, Автор-составитель Б. Б. Пиотровский, М., 1970, таб. 13, 14; № 25 საწილში იატაკში ნაწილობრივ ჩასმულ ქვევრებზე ლურსმული დამწერლობით აღნიშნულია ტევადობა—880 ლიტრი.

⁷ Г. М. Николаенко, Метки на античных пифосах, Сб. „Херсонес Таврический“, Киев, 1974, გვ. 25—30. ქერსონესში, სინოპასა, ჰერაკლეასა და სხვა პუნქტებში ერთნაირი ნიშნებია (Δ, ΔΔ, ΔΓ, ΔΔΓII და ა. შ.).

⁸ D. M. Robinson, J. W. Graham, The Hellenic House. Excav. at Olynthus, VIII, Baltimore, 1938, გვ. 314.

⁹ Кругликова И. Т. Сарматские знаки на амфорах с поселения у д. Семёновка, КСИИ, № 89, М., 1962, გვ. 97—100.

¹⁰ იქვე, გვ. 99.


¹¹ Д. В. Ахведиани, დასახ. ნაშრომი.

¹² Л. А. Евтухина, В. П. Левашкова, Раскопки китайского дома близ Абакана, КС. XII, 1946, გვ. 72—84.



ამ „გაურკვეველი“ ასო-ნიშნების შეჯერებამ შემდეგი სახესხვაობები მო-

3330ა²



ეს ნიშნები ძველებზე სხვადასხვა ინტენსივობით გვხვდება. მაგალითად, დაბლაგომ-
ში ძვ. წ. IV—III სს-ის ქვევრებზე დადასტურებულია ცხრა ნიშანი, სუფსა-ნატანების
აუზში—ექვსი¹¹. მომდევნო ხანაში მათი ნაწილი (მაგ., Ψ \times ζ δ
და სხვ.) გვხვდება ამფორებსა და კრამიტებზე.

„გაურკვეველ“ ნიშანთა რაობის დადგენის თვალსაზრისით ნიშანდობლი-
ვია ის ფაქტი, რომ მიუხედავად საკმაოდ დიდ ტერიტორიაზე გავრცელებისა,
(თანამედროვე საქართველოს ტერიტორია თითქმის მთლიანად) თვალშისაცემია
ამ ნიშანთა მეტად შეზღუდული რაოდენობა, ხოლო თუ იმასაც გავითვალის-
წინებთ, რომ ზოგიერთი ნიშანი ერთგვარი გარეგნული სხვაობის მიუხედავად
ერთი და იმავე რაობისა უნდა იყოს (მაგალითად, Z და გ როგორც ჩანს,
ერთი და იმავე მნიშვნელობისა; აგრეთვე, X და +; ζ და π

დაწვრილებით იხ. ქვევრით), მაშინ მათი რაოდენობა კიდევ უფრო მცირეა.

2.1. ნიშანთა ასეთი მცირე რაოდენობა კიდევ უფრო მეტ მნიშვნელობას
იძენს, თუ მათ შევადარებთ ე. წ. საგვარეულო დამატებს (ТАМГА), რომლებიც
დაახლოებით ამავე ხანიდან დიდი რაოდენობით იჩენს თავს ჩრდილოეთ შავი-
ზღვისპირეთში. აქ მათი ვარიანტები რამდენიმე ათეულია. ყოველ შემთხვევა-
ში, ჩვენ მიერ გადასინჯული 3 000 ნიშნიდან, რომლებიც სამყაროს სხვადასხვა
კუთხეში ჩანს გავრცელებული სხვადასხვა ეპოქაში, „გაურკვეველი“ ნიშნების
მსგავსი მცირე სისტემური რაოდენობა არ დასტურდება¹². ნიშანდობლივია
ისიც, რომ მსგავსი საგვარეულო დამატა (ТАМГА) არც ერთხელ არაა დასმული
არც ქვევრზე და არც კრამიტზე. ამ მიზეზთა გამო ლოგიკურია, რომ კოლხურ
და იბერიულ კერამიკულ ნაწარმზე დასმული ნიშნები არ გავიზროთ როგორც
დამატა (ТАМГА) მისი რაობის (და არა ფუნქციის) თვალსაზრისით.

3.0. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კერამიკულ ნაწარმზე დატანილი ნიშნე-
ბის ერთი ნაწილი წარმოადგენს ბერძნული ანბანის ასოებს, ხოლო მეორე ნა-
წილი — გაურკვეველ ასო-ნიშნებს. ამდენად, მაგალითად, კრამიტზე დატანილი
ნიშნები, რომელთა რაობაც გასაგებია (ე. ი. მიეკუთვნება ბერძნულ ანბანს),
წარმოადგენს ასოებს; მეორე ნაწილი დატანილია ზუსტად იმავე დროს, ზუს-
ტად იმავე ნაწარმზე, ზუსტად იმავე ადგილას, ზუსტად იმავე ფუნქციითა და,
ზუსტად იმავე რაოდენობით ერთ ცალკეულ ფორმაზე (თითო ნიშანი). ისინი
„გაურკვეველად“ მხოლოდ იმის გამო ითვლება, რომ არ ესადაგება ბერძნულ

10 „ასო-ნიშნები“ სხვადასხვა ფორმებზე შეავროვის: ნ. ვაშაქიძე და ვ. ლორთქიფანი-
ძე (იხ. შათივე, დასახ. ნაშრომი, გვ. 100—105); რ. ფუთურაძე, ადგილობრივი ტარის წარ-
მოება კოლხეთში, თბ., 1988, ხელნაწერი (აქვე დიდ მადლობას მოვასწენებ ქალბატონ რუ-
სუდან ფუთურაძეს ხელნაწერით ხარგებლობის უფლებისათვის), დ. ახვლედიანი (იხ. მისი-
ვე, დასახ. ნაშრომი), მ. ძნელაძე.

11 ნ. ვაშაქიძე, ვ. ლორთქიფანიძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 93—106.

12 Л. Л. Драчук, Система знаков Северного Причерноморья, К., 1978.



ანბანს. ამიტომ ისმის ლოგიკური კითხვა — თუ ამ ორივე ჯგუფს სრულიად ერთნაირი მახასიათებლები აქვთ, გარდა მოხაზულობისა, ხომ არ შეიძლება, რომ „გაურკვეველი“ ჯგუფის ნიშნებიც რომელიმე ანბანის ასოებს წარმოადგენდეს?

ამ კითხვაზე პასუხის ვასაცემად, ცხადია, უნდა გაირკვეს: პირველ რიგში — შეიძლება თუ არა მსგავსი მოხაზულობის ნიშანი წარმოადგენდეს ანბანის ასოს (ან, საზოგადოდ, რაიმე დამწერლობის ნიშანს) და მეორეც, შეესაბამება თუ არა ძვ. წ. IV—III სს-ის ნაწარმზე დადასტურებულ ნიშანთა ერთიანობა (ნიშანთა უმეტესი ნაწილი სწორედ ამ ხანას განეკუთვნება) რომელიმე ანბანს.

3.1. განვიხილოთ ყოველი ცალკეული ნიშნის მოხაზულობა:

⌘ — მსგავსი მოხაზულობის ასოები საკმაოდ ხშირად გვხვდება სხვადასხვა პერიოდის სხვადასხვა ანბანში.

მაგალითად:

⌘ — დამწერლობა სერტო¹³

⌘ — სირიულ-პალესტინური¹⁴

⌘ — არამეული (არშაკიდების)¹⁵

(⌘) — მსგავსი მოხაზულობისა:

⌘ — დამწერლობა ლიხიანი (სამხრეთ არაბული)¹⁶

⌘ — „ — „ — საფაია (სამხ. არაბული)¹⁷

⌘ — ფებლევი¹⁸

⌘ — სამარიტანული¹⁹

⌘ — ძველი სემიტური²⁰.

⌘ — ყველაზე იშვიათი მოხაზულობის ნიშანია. მხოლოდ რამდენადმე მსგავსი მოხაზულობის ნიშანია ინდური დამწერლობის ერთ-ერთ სპარსულიდან წარმოშობილ ვარიანტში

21.

¹³ Ч. Лоукотка, Развитие письма, М., 1950, გვ. 129.

¹⁴ იქვე გვ. 129.

¹⁵ H. Jensen, Die Schrift in Vergangenheit und Gegenwart, Berlin, 1958, გვ. 406-407.

¹⁶ H. Jensen, Die Schrift... გვ. 320.

¹⁷ იქვე, გვ. 320.

¹⁸ Д. Дирингер Алфавит, М., 1966, გვ. 17.

¹⁹ იქვე, გვ. 283.

²⁰ H. Jensen, Die Schrift... გვ. 408—409, Abb. 423.

²¹ ეს ნიშანი ბ. კუფტინის ქართულ „ც“-ს აგონებდა.

2(2) — მსგავსი მოხაზულობისაა

2 — სამხრეთ იბერიული²²

2 — ორქონი²³

2 — ენისეი²⁴

1 — ძველი სემიტური²⁵

2 — ჩრდილო იბერიული²⁶

ξ — თითქმის ზუსტი ანალოგია აქვს დურა-ევროპოსში აღმოჩენილი წარწერის ასოსთან, რომელიც ავტორებს სამხრეთ-არაბულად მიაჩნიათ²⁷. მსგავსია აგრეთვე,

ξ — სამუდი²⁸

χ — რამდენადმე მსგავსია:

χ — კუმისის ოსტრაქა (არამეული)²⁹

χ — არაბისონი (არამეული)³⁰

ψ — გავრცელებული ნიშანია, გვხვდება ანბანთა უმეტესობაში. მაგალითად:

ψ — ჩრდილო იბერიული³¹.

²² Д. Дирингер, Алфавит, გვ. 283, სურ. 137.

²³ Н. Jensen, Die Schrift... 398. Abb. 419.

²⁴ იქვე, გვ. 398.

²⁵ იქვე, გვ. 317, ტაბ. 320.

²⁶ იქვე, გვ. 272, ტაბ. 248.

²⁷ The excavations at Dura-Europos, Third Season of Work, 1929—30, London, 1932, გვ. 66.

²⁸ Д. Дирингер, Алфавит, გვ. 271.

²⁹ ქ. წეტეთელი, არამეული დამწერლობით შესრულებული ახალი წარწერა, „მაცნე“, ისტორიის სერია, № 3, 1987, გვ. 175.

³⁰ И. М. Дьяконов, К. Б. Старкова, Надписи Артаксиа (Арташеса I), царя Армении, ВДИ, № 2, 1955, გვ. 167.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეს ნიშანი რამდენჯერმე გამოიყენა როგორც სვასტიკა. მაგრამ სრულიად აშკარად ჩანს, რომ მარჯვენა მხარეს მას ფრთა აღარა აქვს ზემოთ მიმართული და, შესაბამისად, სვასტიკა ვერ იქნება, თუმცა შესაძლოა მათი მნიშვნელობა ერთი და იგივე იყოს.

³¹ Н. Jensen, Die Schrift... გვ. 272.

Ψ — საფაი³².

Ψ — კარიული³³.



— ზუსტად ამ ფორმის ასო-ნიშნები ცნობილია. მაგალითად:



— ძველი უნგრული დამწერლობა³⁴.



— საკმაოდ ხშირია სხვადასხვა ანბანში. მაგალითად:

— სიკულის ანბანი (სიცილია)³⁵.



— გოთური ანბანი³⁶.



— ჩრდილოეთრუსკულის მონათესავე ანბანი ბალცანიდან³⁷.

— ლიდიური³⁸.



— ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო ასოა დ. ღირინგერის მიხედვით³⁹.



— ჩრდ. ეტრუსკულის მონათესავე ანბანი სონდრიოდან⁴⁰.



— იბერიული⁴¹.



გვხვდება დამწერლობის ნიშნებში ინდის ველსა და აღდგომის კუნძულზეც⁴².



— მსგავსი მოხაზულობა, მხოლოდ სხვა დახრილობა აქვს:



— საფაის დამწერლობა⁴³.



— დამწერლობა ტიფინავი⁴⁴. აღმოჩნდა გათხრების დროს ღურა-ეგროპოსშიც.⁴⁵

³² H. Jensen, Die Schrift... გვ. 317.

³³ იქვე, გვ. 449; ანალოგიური ასო (მხოლოდ სხვა დახრილობის) აღმოჩნდა ზემოთ მითითებული გათხრების დროს ღურა-ეგროპოსში. შეად. The excavations... გვ. 66.

³⁴ H. Jensen, Die Schrift... გვ. 401.

³⁵ Д. Дирингер, Алфавит. с. 577, рис. 266.

³⁶ იქვე, გვ. 549.

³⁷ იქვე, გვ. 569.

³⁸ იქვე, გვ. 537.

³⁹ იქვე, გვ. 574.

⁴⁰ იქვე, გვ. 572.

⁴¹ H. Jensen, Die Schrift... გვ. 274.

⁴² Д. Дирингер, Алфавит, გვ. 110.

⁴³ H. Jensen, Die Schrift... გვ. 320.

⁴⁴ Д. Дирингер, Алфавит, გვ. 283, სურ. 137.

⁴⁵ The excavations... გვ. 66.

× (+) — ეს ორი ასო, როგორც წესი, ერთნაირი ფონეტიკური მნიშვნელობის მატარებელია. მაგალითად:

× (+) — ძველი უნგრული⁴⁶.

× (+) — ძველი ფინიკიური⁴⁷.

× (+) — აღმ. ბერძნული ანბანი (კორინთო)⁴⁸.

+ (×) — საფაის დამწერლობა⁴⁹.

⋈ (⋈) — დამწერლობა ლიხიანი⁵⁰.

⋈ — სამხრეთ იბერიული⁵¹.

⋈ — არქაული და კლასიკური ბერძნული ანბანი⁵².

⋈ — განსხვავებული დახრილობა აქვს ძველ უნგრულ ასოს:

⋈

გარდა ამ ნიშნებისა, დაბლაგომის ქვევრსა და ვანურ ამფორებზე დატანილია ნიშნები, რომელთა მოხაზულობა არავითარ ექვს არ იწვევს. მაგრამ მათი მაინცდამაინც ბერძნული ანბანისადმი მიკუთვნება, შესაძლოა, გაუმართლებელი იყოს, ჯერ ერთი, იმის გამო, რომ სხვა სისტემურ ერთიანობაში გვხვდება, და მეორეც, ანალოგიური ასოები არა მარტო ძველი სემიტურიდან განვითარებულ ანბანთა უმეტესობაშია დადასტურებული, არამედ ორქონის დამწერლობაშიც გვხვდება. ესენია:

⋈ — სხვადასხვა დახრილობისა გვხვდება.

⋈ — ძველი ფინიკიური⁵⁴.

⋈ — არქაული ბერძნული⁵⁵.

⋈ — სამხრეთ იბერიული⁵⁶.

⋈ — ქანაანური⁵⁷.

⁴⁶ H. Jensen, Die Schrift... გვ. 401.

⁴⁷ იქვე, გვ. 424.

⁴⁸ L. H. Jeffery, The Local scripts... გვ. 44.

⁴⁹ H. Jensen, Die Schrift... გვ. 317. სხვათა შორის, ასეთი ნიშნები იპოვრტულ ანუ ბერძნული წარმოების ამფორებზეც გვხვდება, რაც სრულიად ბუნებრივია.

⁵⁰ Д. Дирингер, Алфавит, გვ. 271; ამ ნიშნის დაბლაგომურში გაერთიანება საეჭვოა.

⁵¹ შესაძლოა, მაინც ბერძნულის კუთვნილია აქაც, ისევე, როგორც სხვა რამოდენიმე ნიშანი.

⁵² იქვე, გვ. 283.

⁵³ L. H. Jeffery, The local scripts of Arcaic Greece, Oxford, 1969, გვ. 43 და შემდ.

⁵⁴ H. Jensen, Die Schrift... გვ. 401.

⁵⁵ იქვე, გვ. 424.

⁵⁶ იქვე, გვ. 272.

⁵⁷ იქვე, გვ. 276.

◇ — ორქონის დამწერლობა⁵⁸.

N — ანალოგიურია:

N — ბერძნულის სხვადასხვა ვარიანტების⁵⁹.

N — ფრიგიული⁶⁰

N — ორქონი⁶¹.

ამრიგად, ირკვევა, რომ ე. წ. „გაურკვეველი“ ჯგუფის ნიშნები სრულიად გარკვეულ მსგავსებას აქვდა სხვადასხვა ხანისა და ანბანის ასოებთან — ყველა მათგანს აქვს თითქმის ზუსტი მოხაზულობის პარალელი ასოებთან. ამდენად, ჩვენ მიერ დასმულ კითხვაზე — შეიძლება თუ არა მსგავსი მოხაზულობის ნიშანი წარმოადგენდეს ანბანის ასოს ან საზოგადოდ რაიმე დამწერლობის ნიშანს, — სრულიად უეჭველად უნდა ვუპასუხოთ დადებითად: ადგილობრივ კერამიკულ ნაწარმზე დატანილი ნიშნები მოხაზულობის მიხედვით შეიძლება წარმოადგენდენ დამწერლობის ნიშნებს (ანბანის ასოებს?) რაც ზემოთ მოტანილი მრავალრიცხოვანი ანალოგიებით დასტურდება.

მეორე, სრულიად ბუნებრივი კითხვა — თუ ეს ნიშნები წარმოადგენენ ასოებს, რომელ დამწერლობას (ანბანს?) მიეკუთვნება იგი?

საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილ ძვ. წ. IV—I სს-ის კერამიკულ ნაწარმზე დატანილი ნიშნების შედარებისას ნებისმიერი დამწერლობის იმ სახეობასთან, რომელთანაც მათ ზემოთ მოყვანილი პარალელები მოეძებნება, ირკვევა, რომ ამ ნიშანთა ერთობლიობა არ თანხვედება არც ერთ დღემდე ცნობილ ანბანს. ლიხიანის დამწერლობასთანაც კი, რომელთანაც ყველაზე მეტი პარალელი მოეპოვება, ფორმის მხრივ საერთო აქვს მხოლოდ 4 ნიშანი! ასევე ოთხი საერთო ნიშანი აქვს საფაის დამწერლობასთან⁶². ყველა სხვა შემთხვევაში საერთო სხვა ცალკეულ ანბანთან 1 ან 2 ასოა, ხოლო დანარჩენი — განსხვავებული.

ამდენად, სრულიად აშკარაა, რომ საქმე გვაქვს ასოთა ერთობლიობასთან (ანბანთან?), რომელიც აქამდე უცნობი იყო. ამასთან, თუ გავიხსენებთ, რომ: 1. ამ ნიშნების საერთო რაოდენობა ემთხვევა ანბანის ასოთა რაოდენობას სხვადასხვა ძველ ანბანში; 2. ამ ნიშნების ტოპოგრაფია სწორედ დამწერლობის ნიშნებს (ასოებს, თუნდაც რიცხვითი მნიშვნელობით) გულისხმობს, მაშინ ვარაუდი ამ ნიშნების სწორედ დამწერლობისადმი მიკუთვნების შესახებ სრულიად საფუძვლიანი ხდება.

⁵⁸ H. J e n s e n, Die Schrift..., გვ. 398. ბერძნული დამწერლობის ძეგლები კოლხეთში ელინისტური ხანის დამდეგიდანვეა ცნობილი.

⁵⁹ H. J e n s e n, Die Schrift... გვ. 424.

⁶⁰ იქვე, გვ. 444.

⁶¹ იქვე, გვ. 398. ეს ასო-ნიშანი აღმოჩნდა დაფნარში გათხრილ სამაროვანზე (ქვევრსა-მარის) სხვა „გაურკვეველი“ ნიშნებთან ერთად. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ზემოთ აღნიშნულ კერამიკულ ფორმებზე დატანილია კიდევ რამდენიმე „გაურკვეველი“ ნიშანი, რომელთა შესწავლა დამატებით, ახალ არქეოლოგიურ მასალას მოითხოვს.

⁶² ასევე რამდენიმე მსგავსი ნიშანი აქვს ბერძნულთან და ფინიკურთან (⊕, Z, +, N, λ).

ბ) ასო-ნოზანთა ეთნიკური აბრიზაციისა და ისტორიული ინტარპრეტაციის საკითხისათვის

ჭ.ო. ძალზე რთულია დამწერლობის (?) ამ სახეობის ზუსტი ეთნიკური კუთვნილების გარკვევა.

პირველ რიგში ხაზი უნდა გაესვას ერთ უცილობელ ფაქტს: ძვ. წ. V—IV სს-ში კოლხეთში, ე. ი. იმ ტერიტორიაზე, სადაც ამ სახეობის დამწერლობის უძველესი ნიმუშებია აღმოჩენილი, არც წერილობითი წყაროებისა და არც არქეოლოგიური მასალის მიხედვით არ დასტურდება რაიმე ეთნიკური ელემენტის შემოსვლა, გარდა ბერძნულისა⁶³; ამასთან, სხვადასხვა მასალაზე დაყრდნობით ივარაუდება ქართველური ტომების — მესხების აქტიური შემოჭრა საქართველოს ტერიტორიაზე⁶⁴, ხოლო არქეოლოგიური მონაპოვარი აქემენიდური ირანის ზედაპირულ, მაგრამ აშკარა გავლენაზე მიგვანიშნებს.

ამდენად, ქვევრსამარხებელ გამოყენებულ ქვევრებზე დატანილი ნიშნები, როგორც დამწერლობის გარკვეული სახეობა, შეიძლებოდა კოლხეთში შემოეტანათ ბერძნებს, აქემენიდებს, ქართველურ ტომებს ან წარმოშობილიყო ადგილობრივ ნიადაგზე.

კარგადაა ცნობილი ძვ. წ. V—IV სს-ის ბერძნული ანბანი მისი სხვადასხვა კუთხური ვარიანტებით⁶⁵. კოლხურ ქვევრებზე მიკვლეული ნიშნები, როგორც ერთიანი სისტემა, სრულიად განსხვავებულია ბერძნულისაგან და, ცხადია, კოლხეთში მათი შემოტანილი ვერ იქნება (თვით ბერძნულწარწერიანი კერამიკა კოლხეთში უკვე ძვ. წ. V ს-დან გვხვდება⁶⁶).

ასევე კარგადაა ცნობილი ისიც, თუ როგორი დამწერლობა გამოიყენებოდა აქემენიდურ ირანში. კერძოდ, სპეციალისტები მიუთითებენ, რომ გავრცელებული ლურსმული დამწერლობა თანდათან შეცვალა გაცილებით მარტივმა არამეულმა⁶⁷ და ამ ენაზე შესრულებული წარწერები მიმოფანტულია კაპადოკიიდან ვიდრე ინდის ნაპირებამდე. მ. დანდამაევი და ვ. ლუკონინი მიუთითებენ, რომ თვით ირანში არამეული ალფაბეტი სპარსულ ენაზე ხმარებაში შემოვიდა აქემენიდთა შემდგომ ხანაში, როდესაც სპარსული ლურსმული დამწერლობა დაეიწყებას მიეცა⁶⁸. ნიშანდობლივია, რომ საქართველოში ელი-

⁶³ О. Д. Лордкипанидзе, Древняя Колхида, Тб., 1979, გვ. 48, 103; Г. А. Лордкипанидзе, Колхида в VI—II вв. до н. э., Тб., 1980, გვ. ; О. Д. Лордкипанидзи, Античный мир и Восточное Причерноморье (Всесоюзная конференция „Античные, византийские и местные традиции в странах Восточного Причерноморья“), Тб., 1975, გვ. 18—19; Г. А. Меликишвили, К истории древней Грузии, Тб.; თ. ლორთქიფანიძე, ანტიკური სამყარო და ძველი კოლხეთი, თბ., 1966; გ. მელიქიშვილი, კოლხეთი ძვ. წ. VI—IV საუკუნეებში, კრებ. სბ. თბ., 1970, გვ. 400. ამ ნაშრომებში შითითებულია დანარჩენი ლიტერატურაც.

⁶⁴ Г. А. Меликишвили, К истории... გვ. 111; О. Д. Лордкипанидзе, К локализации ТО THE ΔΕΚΟΘΕΑΕ ΙΕΡΟΝ, ВДИ, 1972, № 2, გვ. 112.

⁶⁵ L. H. Jeffery, The local scripts... გვ. 43 და შემდ.

⁶⁶ ი. გაგოშიძე, ითხვისის სამარხი, სსმ, 1968, XXV—B, გვ. 31—46.

⁶⁷ Ч. Лоукотка, Развитие письма, М., 1950, გვ. 98—99.

⁶⁸ М. А. Дандамаяев, В. Г. Луконин, Культура и экономика древнего Ирана, М., 1960, გვ. 305; И. Дьяконов, О письменности, В кн.: Д. Дирингера, Алфавит, გვ. 19.

ნისტურ ხანაში უკვე გვხვდება არამეული წარწერები⁶⁹. სრულიად აშკარაა, რომ ქვევრებზე ამოკაწრულ ნიშნებს არაეითარი საერთო ლურსმულ დამწერლობასთან არა აქვთ; არ თანხედება ისინი არც არამეულ ანბანს⁷⁰. აქედან გამომდინარე, ქვევრებზე დატანილი დამწერლობის ნიშნები არც აქამენიდების შემოტანილი ჩანს.

მეტად რთულად დგას იმ ქართველური ტომების საკითხი, რომლებიც შავი ზღვის სამხრეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ტერიტორიებზე მოსახლეობდნენ. როგორც ცნობილია, გამოთქმულია მოსახრება, რომ ამ ტომთაგან განსაკუთრებით აქტიური როლი საქართველოს ისტორიაში უნდა შეესრულებინათ მესხების ცალკეულ ჯგუფს, რომელთა კვალი ელინისტური ხანის იბერიაში არა მარტო ტომონიმიკაში, არამედ რელიგიაშიც აისახა⁷¹. ვარაუდობენ, რომ მესხთა ადრეული საცხოვრისიდან (სამხრეთ-დასავლეთ საქართველო და უფრო სამხრეთი რაიონები, მცირეაზიური სამყაროს მეზობლად⁷²) მათი მიგრაცია ხდებოდა თანამედროვე საქართველოს ტერიტორიისაკენ და შესაძლოა, აღმოსავლეთ საქართველოს გარდა, მათმა ცალკეულმა ჯგუფებმა კოლხეთის დაბლობსაც მიაღწია⁷³. შესაძლებლადაა მიჩნეული აგრეთვე ქვევრსამარხების ტრადიციის გავრცელების მესხურ ტომებთან დაკავშირება⁷⁴.

მაგრამ დამწერლობის ამ სახეობის გაჩენას კოლხეთში მაინცდამაინც მესხურ ტომებს ვერ მივაწერთ ორი გარემოების გამო: პირველი — ჯერ კიდევ მოითხოვს დასაბუთებას თვით ქვევრსამარხების მესხებთან დაკავშირების საკითხი და მეორეც — ჩვენ არ ვიცით, ჰქონდათ თუ არა საერთოდ დამწერლობა მესხებს, და თუ ჰქონდათ, როგორი იყო იგი.

რაც შეეხება თვით კოლხეთს, აღსანიშნავია, რომ დღეისათვის კარგად შესწავლილ კოლხურ კერამიკაზე⁷⁵ რომელიც ძვ. წ. VII, VI—V და IV სს-ით თარიღდება, დამწერლობის ნიშნები (და საზოგადოდ რაიმე ნიშანი, გარდა ორნამენტულისა) სრულიად უცნობია. თუმცა ეს ფაქტი თავისთავად არ ნიშ-

69 შეად. ი. ვაგონიძის მიერ შედგენილი შკალა.

70 შეად. H. Jensen-თან მოტანილი ტაბულები. სემიტური ტალღების შემოსვლა ივარაუდება აღმოსავლეთ საქართველოში, მაგრამ ნიშანთა ამ სისტემას მათ ვერ დავუკავშირებთ, ჯერ ერთი, დიდი ქრონოლოგიური, მეორეც, რეგიონული, ხოლო შემდეგ კი — ანბანთა სხვაობის გამო.

71 Г. Меликишвили, К истории... გვ. 111.

72 Г. Меликишвили, К истории... გვ. 266; ნ. ლომოური, ბერძნული ლოგოგრაფიკების ცნობები ქართველთა ტომების შესახებ, კრებ. მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, 35, თბ., 1963, გვ. 10—12; იხ. აგრეთვე, თ. მიქელაძის ნაშრომები: ძიებანი კოლხეთსა და სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის უძველესი მოსახლეობის ისტორიიდან, თბ., 1974, გვ. 23 და შემდეგ; მისივე, მესხთა საკითხისათვის, კრებ. მიძღვნილი ივ. ჯავახიშვილის დაბადების 100 წლისთავისადმი, თბ., 1976.

73 О. Лордкипанидзе, К локализации..., გვ. 112.

74 ო. ლორთქიფანიძე, ვანის ნაქალაქარი, ვანი I, გვ. 77. მკვლევართა ნაწილი ამ მოსახრებას არ იზიარებს (დაწერალებით იხ. ვ. თოლორაძე, ა. დაკრძალვის წესები ელინისტური ხანის საქართველოში, თბ., 1980, გვ. 62—66). დღემდე საკამათო მრავალ საკითხში შეიძლება გავრკვეულიყავით მესხეთის ტერიტორიაზე აღმოჩენილი ელინისტური ხანის მასალა რომ გვქონდა ხელთ. მაგრამ რამდენად პარადოქსულიც არ უნდა ჩანდეს, ფაქტია — დღემდე სამხრეთ საქართველოს ტერიტორიაზე არ ისწავლება არც ერთი ანტიკური ხანის ძეგლი.

75 თ. მიქელაძე, ადრერკინის ხანის კოლხეთის სამაროვნები; მისივე, ძიებანი კოლხეთისა და აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის უძველესი მოსახლეობის ისტორიიდან; თ. გოგულაძე, ადრერკინის ხანის კოლხეთის ნამოსახლარები, თბ., 1981; ვანი V; — აქვეა დასახელებული ყველა დანარჩენი ლიტერატურა.



ნავს იმას, რომ დამწერლობის ეს სახეობა არ შეიძლებოდა ადგილობრივ ნადავზე აღმოცენებულიყო, რადგან დამწერლობის შექმნისათვის აუცილებელი ობიექტური წინაპირობები ძვ. წ. V—IV სს-ში კოლხეთში უფრო არსებობდა, ვიდრე მის მომიჯნავე სხვა რეგიონებში. თუმცა, ვიშორებ, დამწერლობის ამ სახეობის ეთნიკური ატრიბუცია მეტად რთული საკითხია და ჭერ-ჭერობით იგი ღია უნდა დარჩეს.

5.0. რაც შეეხება დაბლაგომური დამწერლობის (?) ხასიათს, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ კრამიტებზე როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში, აგრეთვე ქვევრებზე დასავლეთ საქართველოში⁷⁶ ბერძნული ანბანის ცალკეული ასოებიცაა დატანილი, აგრეთვე იმას, რომ დაბლაგომური დამწერლობის ცალკეული ასო-ნიშნები სწორედ ანბანურ დამწერლობასთან ამუღავნებს ფორმალურ მსგავსებას, შეიძლება ამ დამწერლობის ანბანური ხასიათი ვივარაუდოთ. თუმცა ამ საკითხზე დაბეჯითებით მსჯელობა შესაძლებელი გახდება მაშინ, როდესაც მოხერხდება ამ ასო-ნიშნების ფონეტიკური მნიშვნელობის დადგენა.

5.1. ამ თვალსაზრისით, სამწუხაროდ, მასალის სიმწირის გამო ვერაფერს ვიტყვით, რადგან ყველა ცალკეულ შემთხვევაში თითო ნიშანია ქვევრზე დატანილი (ერთ შემთხვევაში ორი სხვადასხვა ნიშანი⁷⁷); ერთადერთი სამასოიანი



წარწერაა შემორჩენილი დაბლაგომის ქვევრსამარხებში აღმოჩე-

ნილ დოქზე⁷⁸. ეს დოქი სხვა მხრივაც გამოირჩევა — იგი ერთადერთი ხელით ნაიჭრწი და გამოუწვავია არა მარტო დაბლაგომში, არამედ, ვგონებ, მთელს კოლხეთშიც. ეს კი გვაფიქრებინებს, რომ დაბლაგომის წარწერიანი დოქი სახელდახელოდ, მიცვალებულისათვის სამარხში ჩასატანებლად უნდა იყოს დამზადებული. ამდენად, არაა გამორიცხული, რომ ამ დოქზე სახელი იყოს ამოკაწრული (მიცვალებულის, ან ღვთაების ალბათ). ეს ჭერჭერობით უადრესი წარწერაა, რომელიც დაბლაგომური დამწერლობით არის შესრულებული და ძვ. წ. III ს-სა უნდა იყოს. ამჯერად შეუძლებელია მისი წაყითხვა, რადგან უცნობია ნიშანთა ფონეტიკური მნიშვნელობა.

6.0. გარკვეული ალბათობით შეიძლებოდა გვევარაუდა ერთი ნიშნის (†) ფონეტიკური მნიშვნელობა. ნოქალაქევი გათხრილ ქვევრსამარხთა შორის არის ორი თითქმის ერთნაირი ზომის ქვევრი (ქვევრსამარხები №№ 2, 4, რომელთა ყელის დიამეტრი 39 და 37 სმ-ია, ძირის დიამეტრი — 22 და 22 სმ, კეცის სისქე — 1,6—2 და 2 სმ⁷⁹). № 2 ქვევრის მხარზე დატანილია სამი „სუსტად ამოღარული სამკუთხედისებრი ნიშანი Δ“⁸⁰. № 4 ქვევრის მხარზე კი დატანილია სამი ისრისებრი ნიშანი (†). ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ ქვევრებზე (პირის გვირგვინზე ან მხარზე) ყოველთვის დამწერლობის გარკვეული სისტემით დაიტანებოდა რიცხვითი მნიშვნელობის მქონე ასოები. № 2 სამარხ ქვევრზე აშკარად რიცხვი „30“-ია დატანილი (სამი დელტა)-

76 გ. გვიჩიძე, ნოქალაქევის ქვევრსამარხები, „მაცნე“, ისტორიის სერია, 1979, № 2, გვ. 153—165.

77 Б. К у ф т и н, МАК, გვ. 79.

78 ვ. თოლორდავა, არქეოლოგიური გათხრები დაბლაგომში 1970—71 წლებში, ვანი 11, თბ., 1976, გვ. 53.

79 გ. გვიჩიძე, ნოქალაქევის ქვევრსამარხები, გვ. 153—165.

80 იქვე, გვ. 154; იხ. აგრეთვე, მისივე, Нововыявленный некрополь древней столицы Западной Грузии Цихе-Голджи-Аххеополиса, Экспресс-информация, Тб., 1978, გვ. 8.



იმავე ზომის, იმავე კეცის, იმავე ხანაში (ძვ. წ. III—II სს.), იმავე ადგილას, იმავე ფუნქციით დატანილი იმავე რაოდენობის ნიშნები (სამ-სამი), ცხადია, მხოლოდ იმავე რაოდენობის აღმნიშვნელი შეიძლება იყოს, ე. ი. $\Delta \Delta \Delta$ უდრის $\uparrow \uparrow \uparrow$ -ს და ნიშნავს 30-ს. ცხადია, ერთი „ისარი“ (\uparrow) შეესაბამება 10-ს. თუ ამ ნიშნის რიცხვითი მნიშვნელობა ისევე შეიძლება იყოს განვითარებული, როგორც დელტასი (ბერძნული $\delta \epsilon \chi \alpha$ -დან — „ათი“) და თუ ამ ნიშნების ახსნა შეიძლება ზანურის საფუძველზე, მაშინ ნიშანი \uparrow ფონეტიკური მნიშვნელობა შეიძლება იყოს „ო“ (o) ან „ვ“ (v), რადგან მეგრულ-ქანურში „ათს“ შეესატყვისება „ვით“, ხოლო მისი ზანურ ეკვივალენტად ნავარაუდევია „ოთ“⁸¹.

გარდა ამისა, თუ ძველი სემიტურიდან (ან ფინიკურიდან, რომელთანაც გარკვეული მსგავსება აქვს) დაბლაგომური დამწერლობის (?) ნიშნებს შეიძლება შეენარჩუნებინა არა მხოლოდ მოხაზულობა, არამედ ფონეტიკური მნიშვნელობაც, მაშინ დამატებით ზოგიერთი ნიშნის გარკვევაც შეიძლებოდა:

+ — ფონეტიკური მნიშვნელობა t

ξ	—	m	ψ	—	j
ξ	—	m	ψ	—	w*

ძველ ფინიკურში ამ ნიშნებს რიცხვითი მნიშვნელობაც აქვს; მაგრამ ვიმეორებ — აქ მოტანილი ყველა ფონეტიკური მნიშვნელობა მხოლოდ და მხოლოდ ვარაუდის სახითაა მოტანილი, თანაც ძალზე დიდი ალბათობით.

7.0. უნდა შევნიშნოთ, რომ ძვ. წ. IV ს-ის დასასრულს პირველად დაბლაგომში გამოჩენილი დამწერლობა ქართლში ვრცელდება მომდევნო საუკუნეებში. ყოველ შემთხვევაში, სამადლოს IV—II სს., ბაგინეთის (ძვ. წ. I — ახ. წ. I სს.), სამთაგროს (ახ. წ. I—III სს.), არმაზის ხევის (ახ. წ. II—III სს.)⁸² კრამიტებზე უხვად გვხვდება ამ დამწერლობის ნიშნები (\uparrow , ψ , Z , ξ) თუმცა ოფიციალურ დოკუმენტებში ბერძნული და არა-მეული იხმარება.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეიძლება ხაზი გავსვას რადენიმე ძირითად მომენტს:

1. ძვ. წ. IV—I სს-ის კერამიკულ ნაწარმზე დატანილი ე. წ. „გაურკვეველი“ ნიშნები, საფიქრებელია, წარმოადგენს დამწერლობის ნიშნებს როგორც მოხაზულობის, ისე რაოდენობისა და ტოპოგრაფიის მიხედვით.

⁸¹ არნ. ჩიქობავა, ქანურ-მეგრული ქართული შედარებითი ლექსიკონი, ტფილისი, 1938, გვ. 212—218.

* თავისთავად ცხადია, ასევე შეიძლება W და N ნიშნების მნიშვნელობათა გარკვევა; ცხადია, ძალზე დიდი ალბათობით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ თუ ეს ნიშნები ქართველური ენების საფუძველზე შეიძლება განისაზღვროს და თუ დაბლაგომური დამწერლობა (?) აკროფონიის პრინციპითაა განვითარებული, მაშინ ნიშანი ფონეტიკური მნიშვნელობა შეიძლება იყოს „ი“ (ქართული „ნი“), რადგან ეს ნიშანი შეკარად წიწვოვან ხეს გამოისახავს. ქართველურ ენებში კი ცნობილია: ქართ. **ნაჲა** — ნაძვი; მეგრული **ნუჲა** || **ნუჲა**; სვანური **le-nz** — სოკი; **nezwra** — ფიჭვი, ნაძვი,ესენი კი გელისხმობენ საერთო ქართველურ ფუძეს **ნაჲა** (შეად. **Т. В. Гамкрелидзе, Вяч. Вс. Иванов, Индоевропейский язык и индоевропейцы**, Тб., 1984, გვ. 634. მაგრამ (კვლავ ვიმეორებ!) აღნიშნული ორი პირობითობა მაინც ალბათობრივსა ხდის ამ განსაზღვრას.

⁸² თარიღი განსაზღვრულია მ. ძნელაძის მიერ.



2. პირველად ამ დამწერლობის ნიშნები თავს იჩენს დაბლაგომში (სამტრედიის რ-ნი) ძვ. წ. IV ს-ის მიწურულს და თანხვედბა ქვეერსამარხთა გაჩენას საქართველოს ტერიტორიაზე.

3. დაბლაგომური დამწერლობა, ისევე როგორც ანბანურ სისტემათა უმეტესობა, აღმოცენებული ჩანს ძველი სემიტური (ჩრდილო?) დამწერლობის ერთ-ერთი განშტოებიდან⁸³ და შესაძლოა, განვითარებულია რამდენადმე დამოუკიდებელი გზით.

4. დაბლაგომური დამწერლობით შესრულებული ერთადერთი წარწერა აღმოჩენილია დაბლაგომში და ძვ. წ. III ს. (ალბათ, მის პირველ ნახევარს) განეკუთვნება.

5. დაბლაგომური დამწერლობა ზუსტად არ იმეორებს დღემდე ცნობილ არც ერთი დამწერლობის სახეობას და გავრცელებული ჩანს მხოლოდ კოლხეთისა და იბერიის ტერიტორიაზე.

6. თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ დამწერლობის ამ სისტემას კოლხეთისა და იბერიის საზოგადოების დაბალი ფენა — ხელოსნები ხმარობდნენ, აგრეთვე იმ ფაქტსაც, რომ ამ დამწერლობის ნიშნები ძვ. წ. IV ს-დან ახ. წ. II—III სს-მდე გვხვდება საქართველოს ტერიტორიაზე, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ დაბლაგომური დამწერლობა ადგილობრივი მოსახლეობის ფართო ფენებისათვის უფრო ბუნებრივი და ხელმისაწვდომი იყო, ვიდრე ბერძნული და არამეული.

ასეთია ის ფაქტობრივი მონაცემები, რომლებიც საქართველოს ტერიტორიაზე გამოვლენილი არქეოლოგიური მასალის ანალიზის შედეგად შეიძლება მივიღოთ. მათზე დაყრდნობით კი შეიძლება დავასკვნათ, რომ საქართველოს ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსახლეობა ძვ. წ. IV ს-დან ხმარობდა სხვებისაგან განსხვავებულ დამწერლობას⁸⁴.

მიუხედავად იმისა, რომ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დაბლაგომური დამწერლობის ზუსტი ეთნიკური ატრიბუცია ჯერჯერობით არ ხერხდება, საფიქრებელია, რომ იგი რომელიმე ქართველური, ძვ. წ. IV ს-ის მეორე ნახევარში სამხრეთიდან მოსული და ჯერ კოლხეთში, ხოლო შემდეგ კი აღმოსავლეთ

⁸³ საყურადღებოა, რომ ს. ზემო ფარცხაში გათხრილ ერთ-ერთ ქვეერზე გვხვდება ცხენის, ადამიანის თავისა და „გ“ ნიშნის გამოსახულება. ადამიანის გამოსახულება კოლხური პანთეონის ღვთაებათაა გააზრებული (ნ. ვაშაკიძე, გ. ლორთქიფანიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 105), მაგრამ დამახასიათებელი ნიშნების ვიზუალური შესწავლის შემდეგ პროფ. შ. აბდუშელიშვილმა მისი ანთროპოლოგიური ტიპი განსაზღვრა როგორც წინააზიური რასის სამხრეთული ვარიანტის მსგავსი (იხ. იქვე, გვ. 105). შესაძლოა, ნიშანთა წარმოშობა-ლობის თვალსაზრისით ამ გამოსახულებამ გარკვეული მნიშვნელობა შეიძინოს.

⁸⁴ ცხადია, სულ სხვა საკითხია — შეიძლება თუ არა დავუშვათ შესაძლებლობა იმისა, რომ ნიშანთა ეს სისტემა, რომელიც ჩვენ შესაძლებლად მიგვაჩნია დამწერლობად გავიანზროთ, თუნდაც ფორმალური მსგავსების მიხედვით დავუკავშიროთ ასომთავრულს. ეს სპეციალური კვლევის საგანი შეიძლება იყოს (თუ სპეციალისტები ამის შესაძლებლობას დაინახავენ) და იგი, ბუნებრივია, ჩვენი კომპენტეციის ფარგლებს სცილდება. მაგრამ თავისთავად ყურადღებას იმსახურებს ის, რომ ახალი ეპოქის ეპოქის დასაწყისიდან მაინც დაბლაგომური დამწერლობის სისტემაში თავს იჩენს ნიშანთა რიგი, რომლებიც გარკვეულ ფორმალურ მსგავსებას აქვდავებენ ასომთავრულთან (მაგალითად, რომელიც ასომთავ-

რულს **ჩ** ვვაგონებს; აგრეთვე ბაგინეთის კრამიტზე დატანილი **ჩ** და ასომთავრული **ჩ** ანდაც არმაზისხევის **ჩ** და ასომთავრული **ჩ** დაბლაგომის **ჩ** და ასომთავრული **ბ**).


საქართველოს ტერიტორიაზე განსახლებული ტომის მოტანილი უნდა იყოს. ამ ვარაუდის საფუძველს გვაძლევს დაბლაგომური დამწერლობის საკმაოდ ადვილად და ფართოდ გავრცელების ფაქტი კოლხეთ-იბერიის საზოგადოების დაბალ ფენებში და, რაც მთავარია, ის რომ დამწერლობის ეს სისტემა დღეისათვის არსებული მასალის მიხედვით მხოლოდ ძველი საქართველოს ტერიტორიაზე გვხვდება⁸⁵.

В. Т. ЛИЧЕЛИ

ДАБЛАГОМСКИЕ ЗНАКИ

Резюме

В обнаруженных на территории Грузии при археологических раскопках материалах выделяются керамические формы (пифосы, амфоры, черепица), на которых до обжига нанесены разные знаки



Все эти знаки (впервые они были найдены в Даблагоми) нанесены именно на том месте, где, согласно восточной и греческой традициям, ставились только буквенные знаки. Каждый из этих отдельных знаков формально аналогичен знакам из разных письменностей (Арамейские, Серто, Древне-семитский, Финикийский, Иберийский, Самуд, Лихьян, древнегреческие, Сафай и др.). Примечательно, что количество этих знаков, которые бытуют с конца IV в. до н. э. до III в. н. э., ограничено. Кроме того, на тех же керамических формах, с той же функцией и на тех же местах пифосов, амфор и черепиц встречаются и греческие буквы. Поэтому можно предполагать, что эти знаки представляют собой буквенные обозначения неизвестной до сих пор письменности, которая была распространена только на территории древней Грузии (Колхида, Иберия). Появление Даблагомской письменности связано с племенами — носителями культуры кувшинных погребений.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის არქეოლოგიური კვლევის ცენტრმა.

⁸⁵ დაბლაგომური (პროტოქართული?) დამწერლობის ცალკეული ნიშნების ქრონოლოგიის, ევოლუციის საკითხები და ამოშიფვრის შესაძლო ვარიანტები წარმოდგენილი იქნება ნაშრომის მეორე ნაწილში.

ლიბირი ლეთოლიანი

აფხაზეთის (აბაზგების) გაქრისტიანების დათარიღებისათვის

სამეცნიერო ლიტერატურაში, აფხაზეთის (აბაზგების) გაქრისტიანების დათარიღების შესახებ, დროთაშვლელობაში სხვადასხვა შეხედულება ჩამოყალიბდა.

მეცნიერების ერთი ნაწილი აფხაზეთის გაქრისტიანებას VI საუკუნისათვის ფიქრობდა, თუმცა ისინი სხვადასხვა წლით ათარიღებდნენ ამ მოვლენას: მაგ., ვახუშტი ბატონიშვილი აბაზგებში ქრისტიანობის გამოცხადების თარიღად 529 წელს დებდა¹, ვ. ლატიშევი 546 წელს², ხოლო იუ. კულაკოვსკი 547—548 წწ.³ და ასე შემდეგ⁴.

ამ ბოლო დროს, ეს საკითხი ამ მიმართებით უფრო გამოწვლილვით იქნა შესწავლილი, და სრულიად სამართლიანად დაკავშირებული ბიზანტიის საგარეო პოლიტიკურ კურსთან, თუმცა მითითებულ ნაშრომებში ზოგიერთი საკითხი სადავოდ მიგვაჩნია, რომლებზედაც ქვემოთ მივუთითებთ.

მეცნიერების მეორე ნაწილის აზრით, აბაზგებმა ქრისტიანობა IV ს-ში მიიღეს, როგორც დასავლეთ საქართველოში მცხოვრებმა სხვა ტომებმა⁵. საამისო არგუმენტად მათ IV ს-დან ბიჭვინტის საეპარქიო კათედრის არსებობა და აფშილების „ძველითვანვე“ ქრისტიანობა მიაჩნიათ. მათი აზრით, აბაზგებმა VI ს-ში ქრისტიანობა მხოლოდ ოფიციალურად აღიარეს.

მითითებული ავტორების აზრი, რომ თითქოს აბაზგები IV ს-დან ქრისტიანები იყვნენ და მათ VI ს-ში ქრისტიანობა მხოლოდ ოფიციალურ რელიგიად აღიარეს, ან პროკოპისთან დაკული ცნობა „...ბარბაროსები (აბაზგები — დ. ლ) ჩვენს დრომდისაც თაყვანს სცემდნენ ქალებსა და ტყეებს, ხეები ბარ-

¹ ქართლის ცხოვრება, IV, ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ტექსტი დადგენილი ვველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1973, გვ. 784.

² В. Латишев, К истории христианства на Кавказе, СПб. 1911, с. 8.

³ Ю. Кулаковский, Где был построен имп. Юстинианом храм для абазгов, археол. изв. и зам. V, М., 1897, с. 34.

⁴ ს. ჯანაშია, შრომები, I, თბ., 1949, გვ. 75.

⁵ В. А. Леквинадзе, Монументальные памятники Западной Грузии, I — VIII вв., автореферат, М., 1973, с. 33.

⁶ Е. К. Аджинджал, К вопросу проникновения христианства в Абхазию, Труды Абхазского государственного музея, вып. 5, Сухуми, 1980, с. 152; მისივე, Об одном аспекте ранневизантийской дипломатии на Кавказе, Вестник древней истории, №3, М., 1987, с. 75.

⁷ З. В. Анчабадзе, История и культура Древней Абхазии, М., 1964, с. 226 — 229; Л. Мацулевич, Мозаики Бичвинты, დიდი პიტუნტი, III, თბ., 1977, с. 100; Ш. Д. Инал-Ипа, Вопросы этно-культурной Абхазии, Сухуми, 1976, с. 229; ა. აფიძე, არქეოლოგიური გათხრები ბიჭვინთაში, დიდი პიტუნტი, I, თბ., 1975, გვ. 15.

ბაროსს, რაღაც გულუბრყვილობის გამო ღმერთებად წარმოუდგენია“⁷ — იმას ნიშნავდეს, რომ ქრისტიან აბაზგებს წარმართული პანთეონის ღმერთები მხოლოდ გადმონაშთის სახით ჰქონდეთ დაცული, — უმართებულო ჩანს. შესაძლოა აბაზგებმა წარმართული პანთეონის ღმერთები ქრისტიანობის აღიარების შემდეგაც შეინარჩუნეს (ეს ცალკე საკითხია), მაგრამ ეს როდი ნიშნავს იმას, რომ პროკოპი ასე ფიქრობდეს ზემოთ მითითებულ ცნობაში. პირიქით, საწინააღმდეგო მოვლენასთან გვაქვს საქმე. პროკოპი, როცა წერს აბაზგებს ჩვენს დრომდის ღმერთებად ჭალები და ტყეები წარმოუდგენიათო, ამით მას სურს მკითხველს აჩვენოს, რომ აბაზგები იუსტინიანეს მეფობამდე წარმართები იყვნენ და მხოლოდ იუსტინიანეს მეცადინეობით აღიარეს მათ ქრისტიანობა. რომ ეს ასეა, ამას ნათელყოფს პროკოპის მომდევნო ცნობა: „...იუსტინიანეს მეფობისას აბაზგების მდგომარეობა შეიცვალა, უმჯობესი გახდა. იმათ მიიღეს საქრისტიანო რწმენა და იუსტინიანე მეფემ მათ პალატის ერთი ევენქთავანი გაუგზავნა ტომით აბაზგი, სახელად ევფრატა... მაშინ იუსტინიანე მეფემ აბაზგების ქვეყანაში ღვთისმშობლის ტაძარიც ააშენა და მათ მღვდელმსახურნი დაუყენა და მიაღწია იმას, რომ მათ შეითვისეს საქრისტიანო წესები. მალე ორივე მეფე მოსპეს აბაზგებმა და გადაწყვიტეს თავისუფლად ეცხოვრათ“⁸.

პროკოპის ამ ჩვენებას იმეორებს VI საუკუნისვე ბიზანტიელი მწერალი ევავრი სქოლასტიკოსი თავის „საკლესიო ისტორიაში“: „პროკოპი მოგვითხრობს, რომ აბაზგებმა, რომელნიც... თვინიერნი გამხდარიყვნენ, ქრისტიანთა სარწმუნოება მიიღეს, და მეფე იუსტინიანემ მათთან ერთი, სასახლის ევენქთავანი გაგზავნა, ტომით აბაზგი... როდესაც იუსტინიანემ აბაზგების ქვეყანაში ღვთისმშობლის ტაძარი ააგო, დაუყენა მათ მღვდელ-მსახურნი. ამიერიდან მათ ზედმიწევნით შეითვისეს ქრისტიანთა სარწმუნოება“⁹.

აბაზგების გაქრისტიანებაზე, XI ს-ის დასასრულისა და XII ს-ის დასაწყისის ბიზანტიელ მწერალ იოანე ზონარასაც, ასეთივე შინაარსის ცნობა აქვს დაცული: „ისინი (აბაზგები — დ. ლ.) მანამდე ქრისტიანულ წესებს არ იცნობდნენ და თავყანს სცემდნენ ჭალებსა და ხეებს, რომლებიც ბარბაროსული გულუბრყვილობის გამო ღმერთებად ჰყავდათ წარმოუდგენილი. იუსტინიანემ მოაქცია ისინი და შეუცვალა (ურწმუნოება) ჰემმარატი ღვთისრწმენით... ამის შემდეგ აბაზგის საღვთო ჭალაში აშენდა ღვთისმშობლის ტაძარი, დადგენილი აქნენ მღვდელმსახურნი და, ამგვარად, უაღრესად ბარბაროსული ტომი იქცა ქრისტიანულ ტომად“¹⁰.

ამ ცნობას იმეორებენ სხვა გვიანდელი მწერლებიც, მაგ., ნიკიფორე ქსანთოპულოსი¹¹. სხვათა შორის, აბაზგების გაქრისტიანების ასეთივე ვარიანტს

⁷ პროკოპი კესარიელი, გეორგია, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტ. II, ტექსტები ქართული თარგმანიტურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო ს. ყაუხჩიშვილმა, თბ., 1965, გვ. 133.

⁸ პროკოპი კესარიელი, გეორგია, II, დასაბ. გამოცემა, გვ. 134, 135.

⁹ ევავრი სქოლასტიკოსი, გეორგია, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტ. III, ტექსტები ქართული თარგმანიტურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო ს. ყაუხჩიშვილმა, თბ., 1936, გვ. 297.

¹⁰ იოანე ზონარა, გეორგია, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტ. VI, ტექსტები ქართული თარგმანიტურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო ს. ყაუხჩიშვილმა, თბ., 1967, გვ. 230.

¹¹ ნიკიფორე ქსანთოპულოსი, გეორგია, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტ. VII, თბ., 1967, გვ. 117.

იცნობს ეფრემ მცირე¹², აქედან კი ქართლის ცხოვრების დამატებაც¹³ — თავიანთ წყაროდ ევაგრი სქოლასტიკოსის ასახელებენ.

როგორც იტყვიან, კომენტარი, მართლაც, ზედმეტია. ამ ფაქტობრივი მონაცემების საფუძველზე მხოლოდ იმის თქმა შეიძლება, რომ აბაზგებმა ქრისტიანული რწმენა VI ს-ში, იუსტინიანე პირველის მეფობისას (527—565 წწ.) მიიღეს, და მათ, ერთადერთი ეკლესია იუსტინიანემ აუშენა ღვთისმშობლის სახელობაზე...

წერილობითი წყაროები იმის საფუძველსაც იძლევა, რომ მიახლოებით მაინც იქნეს დადგენილი აბაზგების გაქრისტიანების თარიღი. პროკოპი კესარიელი, როცა გუთების ერთ-ერთი ტომის (ტეტრაქსიტების) ეპისკოპოსის დანიშვნის საკითხზე ლაპარაკობს, წერს: „ცოტა ხნის წინათ (ასე ვამბობ, ვინაიდან იუსტინიანე მეფის თვითმპყრობელობის ოცდაპირველი წელიწადი იყო) იმათ (ტეტრაქსიტებმა — დ. ლ.) ოთხი მოციქული გამოგზავნეს ბიზანტიაში და თხოულობდნენ მათთვის ეპისკოპოსის მიცემას. ვინაიდან, მათ რომ მოძღვარი ჰყავდათ, ცოტა ხნის წინათ გარდაიცვალა, ხოლო მათ გაეგოთ, რომ მეფეს აფხაზებისათვის მოძღვარი გაეგზავნა და იუსტინიანე მეფემაც სიამოვნებით აუსრულა ეს თხოვნა და გაისტუმრა ისინი¹⁴. ე. ი. 548 წლისათვის (იუსტინიანეს თვითმპყრობელობის ოცდამეერთე წელს) აბაზგების ქრისტიანობა ექვეს არ იწვევს. ამავ დროს, ამ ცნობაში მეტად საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ გუთების (ტეტრაქსიტების) მესხიერებაში ჯერ კიდევ ცოცხლადაა (ახალ ამბად) შემორჩენილი, აბაზგებისათვის იუსტინიანეს მიერ მღვდელმსახურების დაწესება, ხოლო აბაზგების გაქრისტიანება და მათთვის მოძღვრის გაგზავნა დაახლოებით ერთდროული ფაქტი ჩანს.

ჩვენი აზრით, ამ საკითხთან დაკავშირებით აუცილებლად უნდა იქნას გათვალისწინებული, აგრეთვე, იუსტინიანე კეისრის IX (I) და XXXI (XXXIII) ნოველები, რომლებიც 535 წლით თარიღდება¹⁵. ამ ნოველებში იუსტინიანეს ძირითადად ლაპარაკი აქვს, მის მიერ ჩატარებულ დონისძიებებზე დღევანდელ დასავლეთ საქართველოში (თუმცა კეისარს სურს, აღრესატს — პრეტორიელთა ეპარქოზ იოანნეს, ამცნოს ჰელენოპონტოსა და პოლემონის გაერთიანების საკითხი). იუსტინიანეს აღნიშნულ ნოველებში არ ავიწყდება დასავლეთ საქართველოში მისი ნაღვაწის აღნუსხვა. ბირიქით, თითქმის დაწვრილებით და ერთგვარი სიამაყის გრძნობითაც კი გადმოსცემს, — რომ ჭანები მხოლოდ მისი მეოხებით მოექცნენ ბიზანტიელთა ძალაუფლების ქვეშ, ლაზიკაში მდებარე ციხე-სიმაგრე პეტრა ქალაქად აქცია და მისი უზენაესობის სახელი — იუსტინიანეც უწოდა, რომ სპარსელებისაგან ლაზიკაში უკან დაიბრუნა სკანდა, სარაბანი, მუხურისი, ლისირი და სხვა, — ჭანებში მხოლოდ მის დროს გაჩნდა ქალაქად ქცეული ადგილები და მომავალშიც ექნება სხვაც; ჩამოთვლის დასავლეთ საქართველოში მობინადრე ბიზანტიელთა მეგობარ ტომებს (მათ შორის

12 თ. ეორდანიანი, ქრონიკები, I, თბ., 1982, გვ. 53.

13 ქართლის ცხოვრება, ტ. I, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1955, გვ. 215.

14 პროკოპი კესარიელი, გეორგიკა, II, დსახ. გამოცემა, გვ. 138.

15 З. В. Удальцова, Законодательные реформы Юстиниана, Византийский Временник, XXVI, М., 1965, с.21—24; გეორგიკა, II, დსახ. გამოცემა, გვ. 36—37, იხ. შენიშვნა; გეორგიკა III, დსახ. გამოცემა, გვ. 186, იხ. შენიშვნა.

აბაზგებს) და სხვა¹⁶. ასეთ შემთხვევაში, მართლაც, ძნელია ირწმუნო, 535 წლამდე იუსტინიანეს აბაზგაში ქრისტიანობა გაეგრძელებინა, იქ მღვდელ-მსახურება დაეწესებინა, ღვთისმშობლის სახელობაზე ტაძარიც აეგო, რომთაგანია მოესპო, აბაზგაში ერთხელისუფლებიანობა დაედგინა¹⁷ (ყველა ეს ერთდროული ფაქტია) და არ აღენიშნა ნოველებში. მაშინ, როცა ამ მოვლენებს, ასე ხაზგასმით წარმოაჩენენ მისი თანამედროვე და მომდევნო ხანის ზემოთ მითითებული მწერლები (პროკოპი, ევაგრე, იოანე ზონარა და სხვა), რომლებიც ერთხმად აღიარებენ იუსტინიანეს უპირველეს დამსახურებას ამ საქმეში.

ამ მიმართებით გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ აბაზგაში 550 წელს¹⁸, იუსტინიანეს მიერ ზემოთ მითითებულ ჩატარებულ ღონისძიებებს, აბაზგების დიდი აჯანყება მოჰყვა. ასე რომ, 550 წლისათვის აღნიშნული საქმიანობა დიდი ხნის გატარებული არ უნდა ყოფილიყო.

ერთი მხრივ, როგორც ფიქრობენ¹⁹ ძნელი წარმოსადგენია, იუსტინიანეს ასეთი საქმიანობა აბაზგაში 542 წლიდან წამოეწყო, რადგან ბიზანტიელმა მეციხოვნეებმა, ლაზიკაში სპარსელების შემოსვლის შემდეგ (542 წელსვე), სებასტოპოლ-ცხუმი და ბიჭვინტის ციხეები დაანგრეს და გაეცალნენ იქაურობას.

ჯერ ერთი, ბიზანტიელი მეციხოვნეების მოქმედება შეიძლება სულაც არ იყო შეთანხმებული ბიზანტიის მთავრობასთან, მათ იქნებ თვითნებურად მიატროვეს ბიჭვინტა და სებასტოპოლი სპარსელთა ჯარის შიშით. მეორეც, ჩვენი აზრით, უფრო მოსალოდნელია ბიზანტიის ხელისუფლებას თავისი პოზიციების განმტკიცებისათვის აბაზგაში სწორედ მას შემდეგ უფრო ეზრუნა, რაც ლაზებმა (542 წელს) თავიანთ სამეფოში შემოიყვანეს სპარსელთა დიდი ჯარი ხოსრო ანუშირვანის მეთაურობით, განუდგნენ ბიზანტიელებს და აშკარა ომი გაუმართეს მათ. ბიზანტიას დიდი საშიშროება შეექმნა, არა მარტო სპარს-ლაზთა გაერთიანებული ჯარებისაგან, არამედ ამ ორ გაერთიანებულ ძალას შეეძლო, საქართვების შემთხვევაში, გამოეყენებინა კავკასიელი მთიელები ბიზანტიის საპირისპიროდ²⁰. როგორც პროკოპი კესარიელი ამბობს, ლაზიკის ქვეყანა იყო საწინააღმდეგო ტიხარი მომთაბარე კავკასიელი ტომებისათვის. ამ მხრივ, ის წარმოადგენდა ნამდვილ საიმედო საფარს ბიზანტიის სახელმწიფოსათვის²¹. ლაზიკის სამეფოს სხვა მოვალეობა ბიზანტიის ხელისუფლებისადმი არც ჰქონია, ის იცავდა რა თავის მიწაწყალს ჰუნების და კავკასიელი სხვა მომთაბარე ტომების შემოსევებისაგან, ამით თავის ქვეშევრდომებთან ერთად უზრუნველყოფდა ბიზანტიის სახელმწიფო საზღვრების უშიშროებასაც²². აი, ასეთი მოკავშირე ძალა გამოეცალა (დაუპირისპირდა კიდევ, როგორ ითქვამ) ბიზანტიას კავკასიაში 542 წლიდან. შესაძლოა ასეთ ვითარებაში ბიზანტიას აბაზგაში, თავისი დიდმპყრობელური პოლიტიკა უფრო გაეაქტიურებინა თა-

¹⁶ იუსტინიანეს ნოველები, გეორგიკა, II, დსახ. გამოცემა, გვ. 33—37.

¹⁷ პროკოპი კესარიელი, გეორგიკა, II, გვ. 133—135.

¹⁸ III. Диль, Юстиниан и Византийская цивилизация в VI веке. С.-Петербург, 1908, с. 223.

¹⁹ В. А. Леквинадзе, О постройках Юстиниана в Западной Грузии, Византийский Временник, № 34, 1973, с. 193.

²⁰ პროკოპი კესარიელი, გეორგიკა, II, გვ. 81.

²¹ იქვე, გვ. 81, 94.

²² იქვე, გვ. 72—75.

ვისი ხელისუფლების განმტკიცებისათვის, და ამით უზრუნველყო კავკასიაზე გადმოსასვლელების საიმედო დაცვა, და აგრეთვე, განმტკიცებინა თავისი პოზიციები დასავლეთ საქართველოში სპარსეთის წინააღმდეგ. იქნებ, იუსტი-
ნიანეს მიერ აბაზგიაში საგანგებოდ ჩატარებული ღონისძიებები, რომლებზედაც ზემოთ ვუთითებდით, მათ შორის ქრისტიანობის იქ გავრცელება, საამისოდ მი-
მართული დიპლომატიური აქტი იყო²³.

ვფიქრობთ, ზემოთ მითითებული მასალების საფუძველზე ქრისტიანობის გავრცელება აბაზგიაში და მასთან დაკავშირებული ამბები 535—548 წლებში თავსდება. შეიძლება უფრო დავიწროვდეს ეს ქრონოლოგიური ჩარჩო: 535—542 წწ., ან 542—548 წწ. ჩვენ უფრო სარწმუნოდ უკანასკნელი თარიღი მი-
გვაჩნია²⁴.

აბაზგების გაქრისტიანების საკითხის კვლევა თავისთავად დაკავშირებულია ბიჭვინტაში IV საუკუნიდან საეკლესიო ცენტრის არსებობასთან. როგორც ეს კარგად არის ცნობილი სამეცნიერო ლიტერატურაში, ნიკეის პირველ მსოფ-
ლიო საეკლესიო კრებაზე, რომელიც 325 წელს შედგა, პოლემონის პონ-
ტოდან წარმოდგენილი იყვნენ: ტრაპეზუნტის ეპისკოპოსი დომნე და პიტი-
უნტის ეპისკოპოსი სტრატოფილე²⁵. წერილობითი წყაროს ეს მონაცემი, რომ
ბიჭვინტა IV ს-ის ოციანი წლებიდან საეპისკოპოსო რეზიდენციას წარმოად-
გენდა და იქ მყარად იყო დაფუძნებული ქრისტიანული სარწმუნოება, — შე-
სანიშნავად დაადასტურა არქეოლოგიურმა მონაპოვარმაც. 1973 წელს ბიჭვინ-
ტის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ საბოლოოდ გამოვლინდა ნივთიერი
საფუძველი იმისათვის, რომ ბიჭვინტის უძველესი ტაძარი წარმოვიდგინოთ რო-
გორც სამნავიანი, ასვეტიანი ნაგებობა, რომელიც უნდა იყოს 325 წელს მო-
ხსენიებული სტრატოფილე ეპისკოპოსის რეზიდენცია²⁶. ტაძრის იატაკი და-
ფარული იყო მოზაიკით.

ბიჭვინტის კონცხისათვის დამზნასიათებელი მრავალტაძრიანობა²⁷, და არა
მარტო ბიჭვინტაში, არამედ მის ახლომანლო შემოგარენში დადასტურებული
ადრებიზანტიური ხანის ტაძრები, — ბიჭვინტიდან სამხრეთისაკენ 500 მეტრის

²³ შეად. Е. К. Аджинджал, Об одном аспекте ранневизантийской дипломатии на Кавказе, Вестник древней истории, № 3, с. 175—179.

²⁴ შეად. იქვე, გვ. 179.

²⁵ ნიკეის პირველი მსოფლიო კრება, გეორგია, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტ. I, ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცეს და განმარტებები დაურთეს, აღ. გამყრელიძემ და ს. ყაუხჩიშვილმა, თბ., 1961, გვ. 3—4.

²⁶ ა. აფაქიძე, ბიჭვინტის არქეოლოგიური ექსპედიციის 1973 წლის საველე კვლევადიების ანგარიში, დიდი პიტიუნტი, II, თბ., 1977, გვ. 75—79; გ. დუნდუა, სამონეტო მიმოქცევა და სავაჭრო-ეკონომიური ურთიერთობანი ბიჭვინტაში ნუმისმატიური მასალების მიხედვით ძვ. წ. II — ახ. წ. IV სს., დიდი პიტიუნტი, I, თბ., 1975, გვ. 375; შ. ამირანაშვილი, ქართული ხელოვნების ისტორია, თბ., 1971, გვ. 171; რ. რამიშვილი, არქეოლოგიური გათხრები ბიჭვინტაში, მასალები საქართველოს და კავკასიის არქეოლოგიისათვის, IV, თბ., 1967, გვ. 107—122;

В. А. Леквинадзе, О древнейшей базилике Питиунта и ее мозаиках. Вестник древней истории, № 2, 1970, с. 192.

²⁷ ა. აფაქიძე, ზ. აგრაბა, ბიჭვინტის არქეოლოგიური ექსპედიციის 1970—1971 წლების საველე სამუშაოთა ანგარიში, დიდი პიტიუნტი, II, გვ. 37; ირ. ციციშვილი, ბიჭვინტის საკულტო ნაგებობათა კომპლექსი, დიდი პიტიუნტი, II, გვ. 83; ა. აფაქიძე, ბიჭვინტის არქეოლოგიური ექსპედიციის 1972 წლის საველე გათხრების სამუშაოების ანგარიში, დიდი პიტიუნტი, II, გვ. 54.



დაშორებით V—VI ს-ის დასაწყისის ორბსიდიანი ეკლესია²⁸, გაგრის მიმართულგზით ალაჰაძის აპაშინის ბორცვზე ნაგები დიდი სამნავიანი ტაძარი, დაახლოებით IV—VI საუკუნეების (რომლის სიდიდე გვაგულისხმებინებს, რომ ასე აღირინდელ ეპოქაში მას სამწყსოდ უნდა ჰყოლოდა მრავალრიცხოვანი მოსახლეობა²⁹ და სხვა., IV—V სს-ის ქრისტიანული დაკრძალვის წესის და წითელლაკიანი ჯვრის გამოსახულებიანი კერამიკის ვაგრცელება³⁰, ცხოველი ურთიერთობა მაშინდელ ქრისტიანულ სამყაროს მნიშვნელოვან ცენტრებთან (განსაკუთრებით ანტიოქიასთან), რასაც კარგად ავლენს ბიჭვინტაში მიკვლეული მდიდარი ნუმიზმატიკური მასალა³¹, — მიგვანიშნებს იმაზე, რომ ქრიატიანული რწმენა მტკიცედ ყოფილა დაფუძნებული და ფართოდ ვაგრცელებული ადგილობრივ მოსახლეობაში, რომ ეკლესია მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ბიჭვინტის კულტურულ-ეკონომიურ ცხოვრებაში³².

არანაკლებ საყურადღებოა თვით საეპისკოპოსო რეზიდენციად მიჩნეული ტაძრის იატაკის მოზაიკა, რომლის ქტიტორი შესაძლოა იყო ქართველი დიდებულთაგანი, სახელად ვინმე ორელი³³, რომლის ქრონოლოგიური ჩარჩოები თავსდება IV—V საუკუნეებში³⁴, ყოველ შემთხვევაში V—VI საუკუნეების პირველ მეოთხედზე გვიანდელი მაინც არ ჩანს³⁵, და ასეთ დათარიღებას არ ეწინააღმდეგება აქ შემორჩენილი ბერძნულენოვანი ქრისტიანული წარწერაც³⁶.

სამეცნიერო ლიტერატურაში ცხოველი ინტერესი გამოიწვია მოზაიკის კომპოზიციამაც, რომლის თემატიკას (მცენარეების, გეომეტრიული ორნამენტების, ცხოველებისა და ფრინველების სიმბოლურ ფიგურებსა და სხვა), პარაველი მოექმბნება, როგორც ელინისტურ და ანტიკური სამყაროს, ისე აღრე-

²⁸ თ. მიქელაძე, ბიჭვინტის ორბსიდიანი ეკლესია, მასალები საქართველოს და კავკასიის არქეოლოგიისათვის, III, თბ., გვ. 126, 129.

²⁹ ა. აფაქიძე, ზ. აგრბა, დასახ. ნაშრომი, დიდი პიტიუნტი, II, გვ. 35, 37;

3. В. Агрба, Раскопки раннесредневековой базилики в селе Ахаладзы, „მაცნე“, ისტორიის სერია, № 3, 1972.

³⁰ თ. ლორთქიფანიძე, ბიჭვინტის წითელლაკიანი კერამიკა, საქართველოს საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების მოამბე, № 1, თბ., 1962, გვ. 250—251; ლ. ასათიანი, ბიჭვინტის წითელლაკიანი კერამიკა, დიდი პიტიუნტი, II, გვ. 199—200; ქ. ბერძენიშვილი, ბიჭვინტის წითელლაკიანი თიხის ჭურჭლის შესწავლისათვის, მასალები საქართველოს და კავკასიის არქეოლოგიისათვის, ტ. III, გვ. 119.

³¹ გ. დუნდუა, დასახ. ნაშრომი, დიდი პიტიუნტი, I, გვ. 410; ი. ცუხიშვილი, გვიანრობული მონეტების ბიჭვინტის განძი, დიდი პიტიუნტი, II, გვ. 254.

³² М. Инадзе, Города древней Колхиды, Тб., №968, с. 266.

³³ თ. ყაუხჩიშვილი, ბიჭვინტის მოზაიკის ბერძნული წარწერა, დიდი პიტიუნტი, III, თბ., 1978, გვ. 224—226; ს. ყაუხჩიშვილი, „გეორგი მერჩულე“, მნათობი, № 2, თბ., 1957, გვ. 125.

³⁴ Л. Мацулевич, დასახ. ნაშრომი, დიდი პიტიუნტი, III, გვ. 139, 144, 156; ი. ცუხიშვილი, დასახ. ნაშრომი, დიდი პიტიუნტი, II, გვ. 99; ი. ცუხიშვილი, ბიჭვინტის ბიზანტიური მონეტები, იქვე, გვ. 306; თ. ლორთქიფანიძე, ბიჭვინტის შიდაციხის XIII ნაკვეთის არქეოლოგიური გათხრები და იქ აღმოჩენილი არქიტექტურული კომპლექსი, დიდი პიტიუნტი, I, გვ. 194.

³⁵ А. А. Шервашидзе, Средневековая монументальная живопись в Абхазии Тб., 1980, с. 33; В. А. Леквинадзе, О древнейшей базилике Питиунта и ее мозаиках, с. 174.

³⁶ თ. ყაუხჩიშვილი, დასახ. ნაშრომი, დიდი პიტიუნტი, III, გვ. 227.

4. „მაცნე“, ისტორიის სერია, 1989, № 4

ქრისტიანულ ძეგლებთან³⁷. მიჩნეულია, რომ მოზაიკის კომპოზიციაში გარკვეული ადგილი აქვს დათმობილი ადგილობრივ სიუჟეტებსაც. მაგალითად, ფიქრობენ, რომ კომპოზიციაში გამოსახული ძროხისა და ხზოს ფიგურა, ადგილობრივი მოსახლეობის რწმენა-წარმოდგენასთან დაკავშირებული მოტივი უნდა იყოს³⁸. საამისოდ მეცნიერები იმოწმებენ უკანასკნელი საუკუნეების ქართულ და აფხაზურ მდიდარ და მრავალფეროვან ფოლკლორულ და სხვა რიგის მასალას³⁹. მოზაიკის საფუძველიანი შესწავლა (კომპოზიციის შესრულების ტექნიკა, მოზაიკის მასალა და სხვა) იძლევა საფუძველს ივარაუდონ ადგილობრივი სკოლის არსებობაც კი⁴⁰.

ასე რომ, ბიჭვინტა IV ს-ში, გარდა იმისა, რომ იყო აღმოსავლეთ რომის იმპერიის სავარნიზონო ჯარების სადგომი პუნქტი და სავაჭრო-სატრანზიტო ცენტრი, რაც მთავარია, ამავე დროს ის წარმოადგენდა სავისკოპო რეზიდენციას, რომლის სამწყსოს საზღვრები საკმაოდ ფართედ იყო გავრცელებული და საეკლესიო ორგანიზაცია კარგად იყო მოწესრიგებული. ნიშანდობლივია, რომ V—VI სს-ში ბიჭვინტა არსებობდა მხოლოდ სატაძრო ქალაქად დარჩა⁴¹. რადგან ეს ასეა, ბუნებრივია წამოიჭრება კითხვა: მაშინ რატომ დასჭირდა იუსტინიანე კეისარს ამ სავისკოპოსო სამწყსოში შემავალი ხალხის (თუ იქაურ მოსახლეობას აბაზგები შეადგენდა) VI საუკუნეში გაქრისტიანება და მათთვის ერთადერთი ეკლესიის აშენება? — მეცნიერების ერთმა ნაწილმა ეს წინააღმდეგობა იმით დაძლია, როგორც ზემოთაც ვუთითებდით, რომ მთიანობით, აბაზგებიც ქრისტიანები იყვნენ IV საუკუნიდანვე და იუსტინიანეს დროს (VI ს-ში) მხოლოდ ოფიციალურად აღიარეს მათ ეს სარწმუნოება⁴². ამ მოსაზრებას, როგორც უკვე ითქვა, არ აქვს რაიმე მყარი საფუძველი. არ არსებობს რაიმე დამადასტურებელი ფაქტი იმისათვის, რომ ვიფიქროთ, თუნდაც არაოფიციალურად მისდევდნენ აბაზგები ქრისტიანობას IV ს-დან, ან უფრო ადრე⁴³. ანდა რას ნიშნავს ოფიციალური, ან არაოფიციალური ქრისტიანობის

³⁷ А. А. Шервашидзе, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 13—37; Л. Мацулевич, *დასახ. ნაშრომი*, დიდი პიტიუნტი, III, გვ. 106—126.

³⁸ Л. Мацулевич, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 126—228, 168; Ш. Д. Инал-Ипа, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 299—305; З. В. Анчабадзе, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 226—230; А. А. Шервашидзе, *Пицундская мозаика*, დიდი პიტიუნტი, III, გვ. 171-172, შეად. Н. З. Вачнадзе, *Из истории христианской символики (на материале Пицундской мозаики)*, *ოსტ. შრომები*, ტ. 227, თბ., 1982, გვ. 106—110.

³⁹ Л. Мацулевич, *Мозаики Бичвинты*, დიდი პიტიუნტი, III, გვ. 127-128; З. В. Анчабадзе, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 226-227; Ш. Д. Инал-Ипа, *Абхазы, Сухумы*, 1965, გვ. 338—348.

⁴⁰ Л. Мацулевич, *Мозаики Бичвинты*. დიდი პიტიუნტი, III, გვ. 156—168; Л. Шервашидзе, *Пицундская мозаика*, დიდი პიტიუნტი, III, 186-187; Ш. Я. Амиранашвили, *История грузинской монументальной живописи*, т. I, 1959, გვ. 23; Ш. Д. Инал-Ипа, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 339-340; ნ. ლ. მ. თ. რ. ი, *ვგროსის სამეფოს ისტორია*, თბ., 1968, გვ. 109.

⁴¹ ა. ა. ფ. ა. ქ. ი. ე, *არქეოლოგიური გათხრები ბიჭვინტაში*, დიდი პიტიუნტი, I, გვ. 27—28.

⁴² З. В. Анчабадзе, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 226—229; Л. Мацулевич, *Мозаики Бичвинты*, დიდი პიტიუნტი, III, გვ. 100; Ш. Д. Инал-Ипа, *Вопросы этно-культурной Абхазии*, გვ. 229; ა. ა. ფ. ა. ქ. ი. ე, *არქეოლოგიური გათხრები ბიჭვინტაში*, დიდი პიტიუნტი, I, გვ. 15 და სხვა.

⁴³ აფხაზეთის სახელის მოქცევა ანდრია მოციქულის სამისიონერო მოღვაწეობის სფეროში, კერძოდ, დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორიის აფხაზეთის სახელით აღნიშვნა და მისი



აღიარება? — როცა პროკოპი კესარიელი ნათელ ჩვენებას იძლევა იმის შესახებ, რომ აბაზგები წარმართები იყვნენ და მათში ქრისტიანობა ოფიციალურმა პირმა ან რომელიმე გაბატონებულმა სოციალურმა ფენამ კი არ მიიღო VI ს-ში, არამედ ხალხმა აღიარა ეს სარწმუნოება იუსტინიანეს მცდელობით. ერთადერთი ეკლესიაც მანვე აღუშენა მათ, მაშინ, როცა ბიჭვინტა და მისი შემოგარენი ამ დროს მრავალტაძრიანობით გამოირჩეოდა. კვლავ მოვეუბნით პროკოპის: „...ეს ბარბაროსები (აბაზგები — დ. ლ.) ჩვენს დრომდისაც თაყვანს სცემდნენ ჭალებსა და ტყეებს. ხეები ბარბაროსს რაღაც გულუბრყვილობის გამო ღმერთებად წარმოუდგენია... იუსტინიანეს მეფობისას აბაზგების მდგომარეობა შეიცვალა, უმკობესი გახდა. იმათ მიიღეს საქრისტიანო რწმენა და იუსტინიანე მეფემ მათ პალატის ერთი ევენუქთავანი გაუგზავნა ტომით აბაზგი, სახელად ევფრატა... მაშინ იუსტინიანე მეფემ აბაზგების ქვეყანაში ღვთისმშობლის ტაძარიც ააშენა და მათ მღვდელმსახურნი დაუყენა და მიაღწია იმას, რომ მათ შეითვისეს საქრისტიანო წესები. მალე ორივე მეფე მოსპეს აბაზგებმა და გადაწყვიტეს თავისუფლად ეცხოვრათ“⁴⁴.

მეცნიერების გარკვეულ ნაწილს ბიჭვინტა ბერძნულ კოლონიად მიაჩნია. მათი აზრით, იქაური მოსახლეობის ძირითად ნაწილს ბერძნები შეადგენდნენ და IV საუკუნეში ქრისტიანობას ისინი მისდევდნენ. ნიკეის მსოფლიო პირველი საეკლესიო კრების მონაწილე ბიჭვინტის ეპისკოპოსი სტრატოფილეს ტომით ბერძენი და ბიჭვინტის ბერძნული მოსახლეობის მოწესე-წარმომადგენელი იყო⁴⁵.

ჩვენ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოარკვეულია, რომ ბიჭვინტა არც ერთ ძველ წყაროში ბერძნულ ახალშენად, ან ბერძნულ ქალაქად არ არის დასახელებული⁴⁶, არც არქეოლოგიური მასალა ჩანს ბერძნული კოლონიზაციის ხანისა და ე. წ. ანტიკური ეპოქისა. ჯერ ოცი წლის განმავლობაში (1952—1973 წწ.) და შემდგომ კი დღევანდლამდე ინტენსიურად მიმდინარებდა და მიმდინარეობს ბიჭვინტის არქეოლოგიური შესწავლა, ამ ხნის მანძილზე მოსალოდნელი იყო არქეოლოგიური ექსპედიცია წასწყდომოდა ბერძნული კრ-

ანდრიას საქმიანობასთან დაკავშირება, როგორც ამას ფიქრობენ გვიანდელი ხანის მწერლები (ეპიფანე, მიმოსვლა, ლეონტი მროველი და სხვა) ანდრია პირველწოდებულის ხანისათვის კი არ არის სინამდვილე, არამედ ამ წყაროების ავტორების თანადროული რეალობა (აფხაზების სახელის აღნიშვნა).

რაც შეეხება სიმონ კანანელის საფლავს, წყაროები ნიკოფსიაში უთითებენ (იხ. მაგ., მიმოსვლა ანდრია მოციქულისა, ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I, შედგენილი ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1946, გვ. 28; ლეონტი მროველი, ქართლის ცხოვრება, I, გვ. 38), ხოლო ნიკოფსიის და ანაკოფიის გაიგივება სრულიად უმართებულო ჩანს (შეიქმნა).
 И. Н. Абхазия и в ней Ново-Афонский Симоно-Канонитский монастырь, М., 1898, с. 200
 ნიკოფსიის მდებარეობის შესახებ უძველესი დროიდან მოიპოვება ცნობები და მას „ძველ ლაზიკასთან“ გულისხმობენ (იხ. ანონიმი, V საუკუნისა, გეორგიკა, II, გვ. 11). თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურაშიც ნიკოფსიის ლოკალიზაციას მდ. ნეგოფსუხუსთან ახდენენ (იხ. Б. А. Куфтин, Материалы к археологии Колхиды, т. I, Тб., 1949, гв. 100—101, იქვე სათანადო ლიტერატურა).

⁴⁴ პროკოპი კესარიელი, გეორგიკა, II, გვ. 133—135.
⁴⁵ ე. კეკელიძე, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, III, თბ., 1955, გვ. 16—22; Е. К. Аджинджал, დასახ. ნაშრომი, Вестник древней истории, № 3, 1987, гв. 182—183.
⁴⁶ Е. ლომოური, კოლხეთის სანაპიროს ბერძნული კოლონიზაცია, თბ., 1962, გვ. 34.

ლონიზაციის დროინდელ კულტურულ ფენას, სამარხს ან ცალკეულ საგნებს. ან არქეოლოგისაგან დამოუკიდებლად მინც აღმოჩენილიყო რაიმე, — მაგრამ ჯერჯერობით არ ჩანს ადრეანტიკური ხანის არქეოლოგიური მასალა, რომლის დაკავშირება შესაძლო იყოს ბერძნულ კოლონიზაციასთან⁴⁷. არ შეიძლება ანგარიში არ გაეწიოს ამ ორი უმნიშვნელოვანესი ისტორიული წყაროს „შეთანხმებულ“ დუმილს⁴⁸.

თვით სახელი „ბიჭვინტა“-ც მცენარის ქართული სახელწოდებიდან „ფიჭვი“ მომდინარეობს. ბ და ფ ენაცვლება ერთიმეორეს და „ბიჭვი“ იგივეა, რაც „ფიჭვი“. მიიჩნევენ, რომ ბანიანი ფორმა „ბიჭვი“ — პირველადია. „ნ-თა“ დაბოლოებაც ქართული ფორმანტია (შდრ. გურია-ნ-თა, ბალა-ნ-თა, ხორა-ნ-თა, კორი-ნ-თა, ბიჭვი-ნ-თა⁴⁹). ადგილის ქართული სახელწოდების ბიჭვინთის ბერძნულად გადმოცემისას დამკვიდრებულია ფორმა — პიტუუს-პიტუენტი (πυτυς, Pityus). ჩვეულებისამებრ, ბერძნებს ამ შემთხვევაშიც უთარგმნიათ, როგორც ჩანს, ადგილის ადგილობრივი სახელი (ფიჭვი Pinus, ბიჭვინტის ფიჭვი — Pinus pityusa — ბიჭვინტა)⁵⁰. საყურადღებოა, რომ ნიკეის პირველი მსოფლიო კრების მონაწილეების სირიულ სიაში, ბიჭვინტის სახელი ქართული დაბოლოებით არის დაცული⁵¹.

ბიჭვინტა რომ ბერძნების დაარსებული ყოფილიყო და იქაური მოსახლეობის ძირითადი ნაწილი ბერძნები ყოფილიყვნენ, მოსალოდნელი იქნებოდა ადგილის ბერძნული სახელი და არა ქართული სახელწოდების ბერძნული თარგმანი.

თუნდაც, ნიკეის საეკლესიო კრების მონაწილე ბიჭვინტის ეპისკოპოსი სტრატოფილე ეროვნებით ბერძენი ყოფილიყო, ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ბიჭვინტის მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობა ამით განისაზღვროს და იქაური მოსახლეობის ძირითად ნაწილად ბერძნები მივიჩნიოთ, ხოლო სტრატოფილე მხოლოდ მათ მოწესდ ვიგულოთ. ცნობილია, რომ ქართლში მირიანის დროს ქრისტიანობის განმტკიცების შემდეგ კონსტანტინეპოლიდან იქმნენ მოწვეული ბერძენი მღვდელმსახურნი, მაგრამ ამით არაფერ ფიჭობს IV საუკუნეში ქართლის „მოქცევის“ უარყოფას⁵². ანდა, პროკოპისეც ჩვენებით, ვანა ტეტრაქსიტებს (გუთების ერთ-ერთ ტომს) კონსტანტინეპოლიდან არ ეგზავნებოდათ ეპისკოპოსები, ან აბაზგებს მღვდელ-მსახურებად იუსტინიანემ ბიზანტიელები არ განუწყესა⁵³?

სხვა საკითხია, რომ შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე მცხოვრებ ხალხში, ქრისტიანობის გავრცელებისათვის, კონსტანტინეპოლმა დიდი როლი შეასრულა.

47 მაღლობას მოვასხენებთ, ბიჭვინტის არქეოლოგიური ექსპედიციის ეხლანდელ ხელმძღვანელს პროფ. გ. ლორთქიფანიძეს, ასეთი სახის ცნობის მოწოდებისათვის.

48 ა. აფაქიძე, დასახ. ნაშრომი, დიდი პიტუენტი, I, გვ. 17—18.

49 პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, თბ., 1954, გვ. 147—148; ს. ყაუხჩიშვილი, გეორგიკა, IV, თბ., 1952, გვ. 321; ვ. თოფურიკა, გეოგრაფიულ სახელთა — „თა“ სუფიქსისათვის ქართულში, თბ., 1956, გვ. 286—289; ბ. ჯორბენაძე, მ. კობაიძე, მ. ბერიძე, ქართული ენის მორფემებისა და მორფოლოგიის ელემენტების ლექსიკონი, თბ., 1988, გვ. 182—183.

50 ა. აფაქიძე, დასახ. ნაშრომი, დიდი პიტუენტი, I, გვ. 15—18.

51 შდრ. ფიტუენტი — ნიკეის მსოფლიო კრება, გეორგიკა, I, გვ. 6.

52 ნიკეის პირველი მსოფლიო კრება, გეორგიკა, I, გვ. 6. იხ. შენიშვნა.

53 პროკოპი კესარიელი, გეორგიკა, II, გვ. 138.

არც იმისი ფიქრი შეიძლება, რომ ბიჭვინტის ეპისკოპოსი აღმოსავლეთ რომის იმპერიის ბიჭვინტაში მყოფი გარნიზონის, ან ჩამოსული ვაჭარ-ხელოსნების მოწესედ მივიჩნიოთ. ჯერ ერთი, განა რამდენი რომაელი ქრისტიანი ჯარისკაცი, ან ვაჭარ-ხელოსანი უნდა ყოფილიყო, რომ მათთვის საეპისკოპოსო კათედრალი დაეწესებინათ (ისიც დროებით მცხოვრებლებისათვის?!), ან ამდენი ეკლესია-მონასტერი აეშენებინათ მათთვის. მეორეც, IV ს-ის დამლენიდან VI ს-ის 20-იან წლებამდე, არც რომაელების გარნიზონი ჩანს ბიჭვინტაში და აღარც საეპარქიო-ეკონომიური კავშირები უჩანს ბიჭვინტას აღმოსავლეთ რომის პროვინციებთან, როგორც ეს კარგად გამოავლინა არქეოლოგიურმა მონაპოვარმა⁵⁴; მაგრამ ბიჭვინტა როგორც ქრისტიანული სატაძრო ქალაქი აგრძელებს არსებობას⁵⁵.

რაც შეეხება აფხაზების გაქრისტიანების თარიღის დაკავშირებას აფშილების „ძველთაგანვე“ ქრისტიანობასთან, რომელზედაც ზემოთ დასახელებული ზოგიერთი ავტორი მიუთითებს, პროკოპზე დაყრდნობით, არასწორი ჩანს. პროკი კესარიელი აფშილების „ძველთაგანვე“ ქრისტიანობაზე პირდაპირ წერს: „...აფსილები ლაზების ქვეშევრდომნი არიან და ისინი ძველთაგანვე ქრისტიანები იყვნენ“⁵⁶, ხოლო აბაზგებზე ამ მიმართებით, როგორც არაერთხელ უთითებდით, პროკოპის სულ სხვანაირი წარმოდგენა აქვს. ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს ერთი ვითარებაც, სრულიად უმართებულოდ ცდილობენ აღმოაჩინონ პროკოპის მონაცემებში წინააღმდეგობა, — თითქოს პროკოპი ერთ ადგილას აბაზგების შესახებაც „ძველთაგანვე“ ქრისტიანობას აღნიშნავდეს, ხოლო მეორე ადგილას იუსტინიანეს დროს (VI ს-ში) ფიქრობდეს აბაზგების გაქრისტიანებას⁵⁷. სინამდვილეში პროკოპი აბაზგების „ძველთაგანვე“ რომაელებთან მეგობრობაზე წერს და არა „ძველთაგანვე“ ქრისტიანობაზე. აი, პროკოპის ეს ცნობაც: „...პირისპირ კავკასიის მთა თავდება, აქ ბევრი სხვადასხვა ტომი ცხოვრობს, მათ შორის ალანებიც და აბაზგებიც, რომლებიც ქრისტიანენი არიან და ძველთაგანვე რომაელთა მეგობრები“⁵⁸. როგორც ცნობილია, პროკოპი კესარიელი თავის თხზულებას 545—550 და 553 წლებში წერდა⁵⁹ და რა გასაკვირია, თუ ამ დროისათვის აბაზგები ქრისტიანებად მოეხსენებინა, ოღონდ არა „ძველთაგანვე“.

პროკოპი, კესარიელის წერილობითი ჩვენება, რომ აფშილები „ძველთაგანვე“ ქრისტიანები იყვნენ, საკმაოდ კარგად დადასტურა არქეოლოგიურმა მონაპოვარმა. წებელდის ნეკროპოლზე აღმოჩენილი IV ს-ის ვერცხლის მედალიონი ქრისტიანული წარწერით — „ერთარსი ღმერთი, მშველელი შეწირულთა“, ოქროს პატარა ჯვარი, ჯვრის გამოსახულებიანი სასმისები და კერამიკული ტურქული, ქრისტიანული წესით დაკრძალვა⁶⁰, მართლაც რომ ანგარიშ-

54 ა. აფაქიძე, დასახ. ნაშრომი, დიდი ბიტიუნტი, I, გვ. 27—28.
55 იქვე, გვ. 28.
56 პროკოპი კესარიელი, გეორგიკა, II, გვ. 128.
57 E. K. Аджинджал, დასახ. ნაშრომი, Вестник древней истории, № 3, 1987, с. 180.
58 პროკოპი კესარიელი, გეორგიკა, II, გვ. 100.
59 იქვე, გვ. 39.
60 М. М. Трапш, Культура Цебельдинских некрополей, Труды, III, Тб., 1971, с. 207; М. М. Трапш, Некоторые итоги раскопок Цебельдинских некрополей в 1960—1962 гг., ТАИЯЛИ, XXXIII—XXXIV, Сухуми, 1963, с. 271—275; З. В. Анчабадзе, დასახ. ნაშრომი, გვ. 227-228.

ვასაწევი საბუთია აფშილების „ძველითგანვე“ ქრისტიანობისათვის. უნდა ითქვას, რომ პროკოპის სიტყვა „ძველითგანვე“ არასდროს არ აქვს ნახმარი VI ს-ის დროის რომელიმე მონაქვეთის აღსანიშნავად. ის VI ს-ის დასაწყისის მოვლენებსაც თანადროულად აღიქვამს და აწმყო დროით გადმოსცემს⁶¹. პროკოპი კესარიელი ლაზებსაც „ძველითგანვე“ ქრისტიანულ ტომად თვლის⁶², რაც კარგად დასტურდება სხვა წერილობითი წყაროებით⁶³ და არქეოლოგიური მონაცემებით⁶⁴. ამ მონაცემების საფუძველზე დადგენილია, რომ ლაზებში ქრისტიანობა, როგორც სახელმწიფო რელიგია IV ს-დან იყო გამოცხადებული⁶⁵.

იმისი ვარაუდი, რადგან აფშილები „ძველითგანვე“ იყვნენ ქრისტიანები, ამიტომ აბაზგებიც IV საუკუნიდან მისდევდნენ ქრისტიანობასაო, უმართებულო ჩანს. ლაზები, როგორც უკვე ითქვა IV ს-დან აღიარებდნენ ქრისტიანობას, მაგრამ მათი თანამეტომენი და მეზობელი ჭანები სამხრეთიდან, მხოლოდ იუსტინიანეს დროს და მისი ზემოქმედებით (აბაზგებისა არ იყოს) ეზიარნენ ქრისტიანობას⁶⁶.

ასე რომ, აბაზგებმა ქრისტიანობა VI ს-ში, იუსტინიანე I კეისრის დროს, დაახლოებით 535—548 წლებში აღიარეს, ხოლო IV—VI საუკუნეში ბიჭვინტის ქრისტიანული მოსახლეობის ძირითად ნაწილს ბერძნები, ან აბაზგები კი არ უნდა შეადგენდნენ, არამედ ისევ სანიგები უნდა იყვნენ ამ დროს ბიჭვინტის და მთელი მისი საეპარქიოს მკვიდრნი. ამისაკენ პროკოპი კესარიელის სხვა მონაცემებით⁶⁷ მიგვანიშნებენ.

Д. С. ЛЕТОДИАНИ

ДЛЯ ДАТИРОВКИ ХРИСТИАНИЗАЦИИ АБХАЗОВ (АБАЗГОВ)

Резюме

Вследствие изучения источников выяснилось, что абазги приняли христианство не в IV веке, как это признано в некоторых исследованиях, а в период правления Юстиниана I, приблизительно в 535—548 гг.

В существовавшей с IV века Питунтской епархии, в IV—VI вв. коренными жителями представлены не абазги или греки, а проживающие здесь с древнейших времен саниги, как об этом свидетельствуют грекоязычные источники (Фл. Арриан, Прокопий и Кессарий).

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა მ. ლორთქიფანიძემ

61 პროკოპი კესარიელი, გეორგია, II, გვ. 47—48, 48—52, 52—57 და სხვა. შეად.

Е. К. Аджинджал, დასახ. ნაშრომი, Вестник древней истории, № 3, 1987, გვ. 180.

62 პროკოპი კესარიელი, გეორგია, II, გვ. 128.

63 გელასი კესარიელი, გეორგია, I, გვ. 186, პრისკე პანიონელი, გეორგია, I, გვ. 259.

64 თ. კაპანაძე, ნოქალაქევის ბაზილიკები, ნოქალაქევი-არქეოპოლისი (არქეოლოგიური გათხრები, 1978—1982 წწ.), თბ., 1987, გვ. 91—121; ნ. ლომოური, ნოქალაქევის გათხრების მნიშვნელობა საქართველოს ისტორიის შესწავლისათვის, ნოქალაქევი-არქეოპოლისი, გვ. 37—40.

65 ნ. ლომოური, დასახ. ნაშრომი, ნოქალაქევი-არქეოპოლისი, გვ. 37—40, 113—120; ს. ყაუხჩიშვილი, გეორგია, I, გვ. 245—246, 251—252.

66 პროკოპი კესარიელი, გეორგია, II, გვ. 54, 213—215.

67 იქვე, გვ. 136—137.

ნანა ასოზაძე

**საქართველოს გლეხობა მიწისა და თავისუფლებისათვის
ბრძოლაში
(1910—1917 წწ. თებერვალი)**

პირველმა ბურჟუაზიულ-დემოკრატიულმა რევოლუციამ, რომელმაც უდიდესი კვალი დატოვა საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ყველა სფეროში, ვერ გადაჭრა მის წინაშე მდგომი ამოცანები. რევოლუცია დამარცხდა, მისი გამომწვევი მიზეზები ძალაში დარჩა.

მოვლენათა დიალექტიკურ განვითარებას, რევოლუციური კლასებისა და რევოლუციური პარტიის ერთობლივ საქმიანობას, ახალი კრიზისის მომწიფება, რევოლუციური სიტუაციის რევოლუციაში გადაზრდის ობიექტური პირობები უნდა შეექმნა.

ნათელი გახდა, რომ 1905—1907 წწ. შემდეგ სოფლად მოვლენები ისე არ ვითარდებოდა, როგორც ეს ხელისუფლებას სურდა. რეაქციის შეტევამ, მართალია, შეაფერხა სოციალ-დემოკრატიული პარტიის, მუშათა კლასისა და გლეხობის ბრძოლა, მაგრამ ვერ აღკვეთა იგი. რევოლუციურ მოძრაობაში ახალი ეტაპის დასაწყისი ამცნო კაცობრიობას 1910 წელმა, მოვლენათა მსვლელობას ბიძგი მისცა 1912 წელს მდ. ლენაზე მუშების დახვერტამ, რუსეთში ჩამოყალიბებამ იწყებს რევოლუციური სიტუაცია. შექმნილი ვითარება დღის წესრიგში აყენებდა შესატყვისი ტაქტიკის შემუშავების აუცილებლობას. ეს ამოცანაც წარმატებით გადაჭრა 1912 წლის პრაღის კონფერენციამ, მან პარტიულ ორგანიზაციებს მასებთან მუშაობის ახალი ამოცანები დაუსახა, პირველ რიგში, იგი მასობრივ რევოლუციური, სააგიტაციო მუშაობის გაძლიერებას გულისხმობდა.

მასების დარაზმვის და მათი პოლიტიკური თვითშეგნების განვითარებისათვის მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენდა გაზ. „პრაღის“ დაარსება, რომლის პირველი ნომერი 1912 წლის 5 მაისს გამოვიდა. გაზეთში ბევრი წერილი ქვეყნდებოდა საქართველოს მუშათა კლასისა და გლეხობის მდგომარეობაზე, რევოლუციური მოძრაობის აღმავლობასა და პარტიულ მუშაობაზე.

სწრაფად ვითარდებოდა მოვლენები საქართველოს სოფელში. აქ რევოლუციური აგიტაცია არც რეაქციის წლებში შეწყვეტილია. გლეხობა განაგრძობდა ბრძოლას, შეიცვალა მხოლოდ მისი ფორმები. 1910 წლიდან შეიმჩნევა აგრარული მოძრაობის გაძლიერება, რევოლუციური აგიტაციის გამოცოცხლება.

სოფლად რევოლუციური იდეების გავრცელებაში დიდ როლს ასრულებდნენ არალეგალური სტამბები, რომლებიც რეაქციის დასაწყისისთანავე ხელისუფლებამ, მართალია, დაარბია, მაგრამ ზოგი მათგანი გადარჩა და კვლავ განაგრძობდა არსებობას.

ახალი რევოლუციური აღმავლობის წლებში მოვლენათა განვითარებამ დღის წესრიგში დააყენა არალეგალური სტამბების შექმნის აუცილებლობა.

ამ რთულ ვითარებაში რევოლუციური ძალები ახერხებდნენ ამ საქმის წარმატებით მოგვარებას. სტამბების ადგილსამყოფელი გასაიდუმლოებული იყო და ხშირად იცვლებოდა იგი.

1913 წლის 6 ივნისს ქიათურის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის ზელმძღვანელობით სოფ. მღვიმევეში (შორაპნის მაზრა) ერთ-ერთ გაუქმებულ შახტში¹, ხოლო ამავე წლის ბოლოს კი ხონში (ქუთაისის მაზრა)² მოეწყო და მუშაობას შეუდგნენ ბოლშევიკური არალეგალური სტამბები. ისინი ეწეოდნენ ნაყოფიერ საქმიანობას, იბეჭდებოდა პროკლამაციები, სააგიტაციო ფურცლები, რომლებსაც ამზადებდნენ და ავრცელებდნენ პარტიული ორგანიზაციები.

1910 წლის 5 იანვარს ქართულ და რუსულ ენებზე დაიბეჭდა ვახეთ „თბილისის პროლეტარის“ პირველი ნომერი. ვახეთი მუშათა კლასსა და გლეხობას ერთობლივი მოქმედებისაკენ მოუხმობდა, იცავდა პროლეტარიატის ჰეგემონიის იდეას.

1910 წლის 15 აპრილს ქართულ და რუსულ ენებზე გამოქვეყნდა პროკლამაცია „გლეხობას“, რომელიც ამხელდა ცარიზმის პოლიტიკას, იგი გლეხებს ბრძოლისაკენ მოუწოდებდა.

პროკლამაციები გამოდიოდა დიდი ტირაჟით და მასობრივად ვრცელდებოდა საქართველოს სოფლებში. გლეხობა ეწაფებოდა მას, იქ პოულობდა არსებული მდგომარეობიდან თავდახსნის გზებს. 1910 წლის 3 მაისს სამტრედიოში (ქუთაისის მაზრა) გაავრცელეს საპირველმისო პროკლამაციები³. სოფ. ხორგის (სენაკის მაზრა) გლეხებმა 1910 წლის 23 მაისს გადმოჰკიდეს ქართულად დაწერილი ფურცელი და წითელი დროშა, რომელსაც ეწერა: „ერთობა, ძმობა, თავისუფლება“⁴. 1911 წელს კვლავ გრძელდებოდა პროკლამაციების გავრცელება საჩხერეში, ქიათურაში⁵, 1912 წლის ივლისში ლანჩხუთის უბანში აგიტატორებმა გაავრცელეს რსდმპ გურიის კომიტეტის მიერ გამოცემული პროკლამაცია „დროა გამოღვიძებისა“. მასში გადმოცემული იყო სოფ. სუფსის მემამულეთა აღვირახსნილი მოქმედება. იგი მშრომლებს მჩაგვრელთა წინააღმდეგ ბრძოლისაკენ მოუხმობდა⁶.

პოლიცია ფხიზლად ადევნებდა თვალყურს მოვლენათა მსვლელობას — რძებდა ბოლშევიკურ ორგანიზაციებს, სტამბების ადგილსამყოფელს, პროკლამაციებს, რევოლუციურ საქმიანობაში ეჭვმიტანილ პირებს და სხვ. 1910 წლის 6 ივლისს, გულმოდგინე ძებნის შემდეგ პოლიციამ მიაგნო ვახეთ „თბილისის პროლეტარის“ არალეგალური სტამბის ადგილსამყოფელს და გაანადგურა იგი, დააპატიმრეს 9 კაცი.

1911 წლის 25 მაისს ხაშურში ძნელადის წიგნის მაღაზიის ჩხრეკვისას აღმოაჩინეს არალეგალური სოციალ-დემოკრატიული ლიტერატურა⁷, 1912 წლის

¹ საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორიის საკითხები, შრომების კრებული, 1966, № 14, გვ. 211—214.

² ბოლშევიკური ორგანიზაციები და რევოლუციური მოძრაობა საქართველოში (მნიშვნელოვან მოვლენათა მატრიანე), თბ., 1974, გვ. 354.

³ სცსსა, ფ. 13, ანაწ. 27, საქ. 349.

⁴ სცსსა, ფ. 94, ანაწ. 1, საქ. 241.

⁵ სცსსა, ფ. 20, ანაწ. 1, საქ. 26.

⁶ სცსსა, ფ. 27, საქ. 2056, ფურც. 3—4.

⁷ სცსსა, ფ. 156, ანაწ. 1, საქ. 5; ფ. 113, ანაწ. 2, საქ. 876, ფურც. 4.

26 სექტემბერს, კი სიღნაღში ივანე შალიკაშვილის მალაზიაში, პოლიციაში იპოვნა დიდძალი რევოლუციური გამოცემები ქართულ და რუსულ ენებზე. სამეგრელოში რევოლუციურ საქმიანობაში შემჩნეული მოსე კვარაცხელიას ჟანდარმერიამ აღმოუჩინა არალეგალური ლიტერატურის მთელი საწყობი, ხოლო ე. შენგელიას კი აკრძალული წიგნები. 1915 წლის 13 მარტს სოფ. ანაგაში ბიბლიოთეკის ჩხრეკისას იპოვეს არალეგალური ლიტერატურა.

1910—1917 წწ. საქართველოს სოფელში გაჩაღებულ გლეხთა მოძრაობაზე უდიდესი გავლენა ჰქონდა სოციალ-დემოკრატიულ პარტიას. აგიტატორები დადიოდნენ სოფლებში და ეწეოდნენ რევოლუციური იდეების პროპაგანდას. ეს შეუმჩნეველი არ რჩებოდა ხელისუფლებას. „რაზმელები (ტყეში გასული გლეხობა — 5. ა.) არც ერთ დანაშაულს არ ჩადიან, — წერდა თელავის მაზრის უფროსი, — როგორც ისინი ამბობენ, თავისი სოციალ-დემოკრატიული პარტიის დადგენილების გარეშე“⁸. ხოლო თბილისის გუბერნატორი კი 1911 წელს წერდა: „სოციალ-დემოკრატიულ მოძღვრებას დიდი წარმატება აქვს თბილისის გუბერნიაში..., სადაც მათ ხალხის ნდობა მოიპოვეს. ამ პარტიის ბელადები დიდად პოპულარულ პიროვნებებად გადაიქცნენ“⁹.

ფართო მასშტაბის სამუშაოებს ასრულებდნენ აგიტატორები ქუთაისის მაზრაში. ისინი სოფლებში იწვევდნენ კრებებს, განუმარტავდნენ მასებს მათთვის საინტერესო საკითხებს.

1910 წლის 6 ოქტომბერს ხიდისთავში (ოზურგეთის მაზრა) გაიმართა რსდმპ გურიის კომიტეტის სხდომა¹⁰, რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება აღედგინათ დაშლილი ორგანიზაციები და გაეძლიერებინათ პროპაგანდისტული მუშაობა სოფლად.

1914—1915 წწ. ოზურგეთის მაზრის სოფლებში ტარდებოდა პარტიული თათბირები, კონფერენციები, განჩილავდნენ პარტიული უჯრედების აღდგენისა და მუშაობის გარდაქმნის საკითხებს. 1915 წლის 16 ოქტომბერს ქუთაისის გუბერნატორი წერდა: „ოზურგეთის მაზრაში სოციალ-დემოკრატიული პარტია, რომელსაც აქ... თავისი მიმდევრებისა და ... თანამებრძოლთა მნიშვნელოვანი რაოდენობა ჰყავს, ცდილობს შეაკავშიროს ისინი პარტიული მუშაობის გამოცოცხლების მიზნით“¹¹.

სოციალ-დემოკრატიის გავლენა გლეხობაზე დიდი იყო. ეს მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენდა და შეიძლება ითქვას გადამწყვეტი როლი ენიჭებოდა აგრარულ-კლასობრივი ბრძოლის, რევოლუციური მოძრაობის, შემდგომი განვითარებისა და სოფლად შექმნილი ვითარების სწორად შეფასების საკითხში.

1912 წლის 20 დეკემბრის კანონი დიდხანს მზადდებოდა, მასზე მრავალი, ზოგჯერ ერთმანეთის გამომრიცხავი, მოსაზრებები გამოითქვა, მაგრამ საბოლოოდ ისეთი კანონი შეიქმნა, რომელიც საიმედოდ იცავდა და უზრუნველყოფდა მემამულეთა ინტერესებს. ამ დოკუმენტებით საქართველოში დროებით ვალდებულებითი ინსტიტუტი გაუქმდა. ნადელების გამოსასყიდ ღირებუ-

⁸ სცსა, ფ. 13, ანაწ. 2, საქ. 858, ფურც. 3—4.

⁹ იქვე, ფურც. 5.

¹⁰ იქვე, გვ. 319.

¹¹ სცსა, ფ. 2, საქ. 3652, ფურც. 9.

ლებას მემამულე სახელმწიფოსაგან იღებდა, შემდეგ კი გლეხი ამ ფულს პროცენტის დარიცხვით სესხის დაფარვამდე ხაზინას უხდიდა.

ქუთაისის გუბერნიაში 19631 კომლი დროებით ვალდებულ გლეხს უნდა გამოსეყიდა 2463 მამული ანუ 57244 დესეტინა მიწა¹². 1913 წლის 1 იანვრისათვის დროებით ვალდებულ გლეხთა ყველაზე დიდი რაოდენობა გუბერნიაში ზუგდიდის მაზრაზე მოდიოდა — 8262 კომლი, ლეჩხუმის მაზრაში კი 2662 კომლი¹³. 1913 წლის 1 იანვრიდან, მიუხედავად იმისა, რომ გამოსასყიდი აქტები ჯერ შედგენილი არ იყო, შეწყვეტილ იქნა დროებით ვალდებული გლეხების მიერ მემამულეებისათვის ლალა-კულუხის გადახდა და დაიწყო ხაზინისათვის გამოსასყიდი გადასახადის გაღება წინასწარ ანგარიშსწორების უწყისებით.

სანადელო მიწების გამოსყიდვის საფასურად ხაზინიდან თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობა იღებდა 4 917 846 მანეთს, ხოლო ქუთაისის გუბერნიის კი 2 444 146 მანეთს. ეს თანხა საქართველოს გლეხობას უნდა გაეღო, როგორც ვალი თავდახსნისათვის. მეფისნაცვლის კანცელარიის მონაცემებით ყოველწლიურად დროებით ვალდებულ გლეხებს გამოსასყიდი თანხის ანგარიშში თბილისის გუბერნიაში უნდა შეეტანათ 163 361 მანეთი, ხოლო ქუთაისის გუბერნიაში 68 100 მანეთი, სულ საქართველოს გლეხები იხდიდნენ წლიურად 231 461 მანეთს. ამას აძლევდა საქართველოს გლეხობას მიწების სახელმწიფოს დახმარებით გამოსყიდვის სიკეთე. „არავისთვის საიდუმლო არ არის, — წერდა ვ. ი. ლენინი, რომ სახელმწიფოებრივი გამოსყიდვის სიკეთე იმაში მდგომარეობდა, რომ ხაზინამ გლეხებს მიწისათვის იმაზე მეტი ფული წააგლიჯა (გამოსასყიდ გადასახდელთა სახით) ვიდრე მემამულეებს მისცა. ეს იყო მემამულეებისა და „ლიბერალური“ მოხელის ძმური კავშირი გლეხების დასაძარცვად“¹⁴.

1912 წლის 20 დეკემბრის კანონის გატარება დიდ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული. გამოსყიდვითი ოპერაციები ჭიანჭურდებოდა¹⁵. ამის მიზეზი ბევრი იყო, მათ შორის: დროებით ვალდებულ გლეხების მიწები ძალზე დაქუცმაცებული და სხვადასხვა ადგილში იყო ვაზნეული, არ კმაროდა მიწის მზომელები¹⁶, მიწების გამოსყიდვა შეაფერხა მსოფლიო ომის დაწყებამ. ბუნებრივია ბოლშევიკურ პლატფორმას მემამულეთა მიწების კონფისკაციისა და მისი გლეხებისათვის უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ, არ შეიძლება თავისებური გავლენა არ მოეხდინა გლეხების მსოფლმხედველობაზე და აქედან გამომდინარე გამოსყიდვითი ოპერაციების მიმდინარეობაზე. 1915 წლის აპრილისათვის ქუთაისის გუბერნიაში გამოსასყიდი აქტი შედგენილი იქნა გლეხთა 2463 მამულიდან 858-ზე¹⁷, ხოლო თბილისის გუბერნიაში კი 1915 წლის 1 იანვრიდან გლეხთა 2250 მამულიდან მხოლოდ 747-ზე¹⁸. 1916—1917 წლებში კიდევ უფრო შემცირდა გამოსყიდვითი აქტების შედგენა და გამოსყიდვითი ოპერაციების ჩატარება. 1916 წლის 22 ნოემბერს კავკასიის მეფისნაცვალი

¹² სცსსა, ფ. 13, ანაწ. 7, საქ. 1372, ფურც. 52.

¹³ სცსსა, ფ. 13, ანაწ. 17, საქ. 1570, ფურც. 82.

¹⁴ ვ. ი. ლენინი, თხზ. ტ. 12, გვ. 21.

¹⁵ სცსსა, ფ. 13, ანაწ. 7, საქ. 1590, ფურც. 138—141.

¹⁶ СХАО, т. IV, с. 612—622.

¹⁷ სცსსა, ფ. 13, ანაწ. 7, საქ. 1582, ფურც. 21.

¹⁸ სცსსა, ფ. 13, ანაწ. 7, საქ. 1588, ფურც. 23.

გუბერნატორებისადმი დაშვებულ ცირკულარში მოითხოვდა ამ საქმის დაჩქარებას, მაგრამ მისი საბოლოო ჩატარება მეფის ხელისუფლებამ ვერ შეძლო.

ხელისუფლება, 1912 წლის 20 დეკემბრის კანონის გამოცხადების პირველ დღიდანვე, შიშმა მოიცვა. მას აფიქრებდა, რომ ამ კანონის ცხოვრებაში გატარებას სოფლად გლეხების უკმაყოფილება მოჰყვებოდა. ამიტომ იგი პროფილაქტიკურ ღონისძიებებს ატარებს. 1913 წლის 12 იანვარს გორის მაზრის უფროსი ბოქაულებს სწერდა: „თქვენს უბანში 1912 წლის 20 დეკემბრის კანონის ცხოვრებაში გატარება, რომელიც გულისხმობს დროებითვადლებულებითი ურთიერთობის შეწყვეტას ნადელების გამოსყიდვის გზით, გლეხების მხრიდან შეიძლება შეხედვს მტრულ გამოხდომებს მემამულეთა მიმართ. ანდა პირიქით. ეს გაურკვეველობა თავიდანვე უნდა აღიკვეთოს მშვიდობიანი გზით. წინადადებას გაძლევთ უბნებში შემოვლის დროს მოსახლეობას აუხსნათ ყოველივე, შთააგონეთ, რომ კვლავაც შეინარჩუნონ კეთილი დამოკიდებულება ყოფილ მებატონეებთან, ყოველგვარი ურჩობა მკაცრად დაისჯება, მემამულეებსა და გლეხებს შორის ურთიერთობაში შექმნილი ვითარება, დაუყოვნებლივ გვაცნობეთ“¹⁹. მსგავსი მიმართვები მაზრის უფროსებმა დაგზავნეს ადგილებზე.

აგიტატორებმა, რომლებსაც მასებში რევოლუციური მუშაობის მდიდარი გამოცდილება ჰქონდათ, მთავრობის საწინააღმდეგო ფართო აგიტაცია გააჩაღეს სოფლად. გაზეთი „ნოვოე ობოზრენიე“ 1913 წლის დასაწყისში თავის მკითხველებს აუწყებდა იმ მძიმე და ცუდ განწყობილებაზე, რომელიც 1912 წლის 20 დეკემბრის კანონის გარშემო შეიქმნა კავკასიაში. „გლეხური ახალგაზრდობა, — წერდა გაზეთი, — რომელმაც ქალაქში პროლეტარიატის აგიტაცია გაიარა, გლეხობას უნერგავს რწმენას, რომ ეს კანონი გლეხობას არაფერს არ მისცემს, თქვენ, ეუბნებიან ისინი გლეხობას, გაქვთ უფლება თქვენს მიწებზე, ხოლო თქვენ გაიძულებენ მათზე ფული გადაიხადოთ, წინათ თქვენ ვალში იყავით მემამულეებთან, ესლა კი იქნებით გადაუხდელ ვალში რუსეთის მთავრობასთან, სულ ერთი არ არის? იფიქრეთ! ქართველ გლეხობას მხოლოდ ხაზინისათვის ექნება გადასახადი 7 362 000 მანეთი, მარტო პროცენტის სახით კი წელიწადში 368 000 მანეთი“²⁰.

მემამულეები კანონსაწინააღმდეგოდ ცდილობდნენ გამოსყიდვის დროს ამა თუ იმ მოტივით შეემციერებინათ ნადელები, ანდა წაერთმიათ გლეხებისათვის მათი კუთვნილი მიწები. ეს გარემოება კიდევ უფრო აძლიერებდა კლასობრივ ანტაგონიზმს სოფლად. ამ ნიადაგზე სერიოზულ წინააღმდეგობას ჰქონდა ადგილი მემამულე ნინო ამილახვარსა და გლეხ ღვეთაძეს შორის, სადავო იყო მიწის ნაკვეთი, რომელიც გლეხს ნადელში ჰქონდა მიღებული. მემამულემ მოინდომა მისი ჩამორთმევა, რაც ღვეთაძეს სამართლიან უკმაყოფილებას წააწყდა²¹. ამავე ნიადაგზე აღმოცენდა ანტაგონისტური დამოკიდებულება ახალციხის მაზრაში მემამულეებსა და გლეხებს შორის. აქაურმა ახალმოშენე სახელმწიფო გლეხებმა მოინდომეს საიჯარო მიწები გვერცელებინათ 1912

¹⁹ სცსსა, ფ. 17, ანაწ. 2, საქ. 1089, ფურც. 2.

²⁰ Газ. «Новое обозреше», № 1327, 1912, 13 февраля.

²¹ В о р о н и х Н. Закон 20 дек. 1912 г. О прекращении временнообязанных отношений крестьян и поселян к помещикам и землевладельцем Закавказских губерний, 1916, с. 39.

წლის 20 დეკემბრის კანონი. მათ მემამულეს შეუწყვიტეს საიჯარო ქირის გადახდა.

1912 წლის 20 დეკემბრის კანონი ნელა ხორციელდებოდა, გლეხების დიდი უმრავლესობა მიწების გამოსყიდვისაგან თავს იკავებდა. ბრძოლის მასობრივ ფორმას გამოსასყიდ გადასახადებზე უარის თქმა წარმოადგენდა. გლეხები ბატონყმური ურთიერთობის ამ გადმონაშთს თვითონ აუქმებდნენ, თვითნებურად ამბობდნენ უარს გამოსასყიდ გადასახადებზე, თვითონ აუქმებდნენ იმ ხელშეკრულებას, რომელიც პროცენტების დარიცხვით სესხის დაფარვას გულისხმობდა.

საქართველოს სოფელში გაჩაღებული კლასობრივი ბრძოლების ისტორიაში აგრარული ურთიერთობის საფუძველზე აღმოცენებულ ბრძოლებს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს.

გლეხკაცობას მძიმე ტვირთად აწვა მცირე მიწიანობით, ან უმიწობით გამოწვეული სიძნელეები, თითქმის არ მოიძებნებოდა დროებით ვალდებული გლეხი ან ხიზანი, რომ საკმარისი მიწა ჰქონოდა. ასეთი გლეხების ერთი ნაწილი ქალაქს მიეშურებოდა, ჰყიდდა თავის სამუშაო ძალას, მეორე სოფლად, ადგილზე რჩებოდა და იძულებული იყო მიწა იჯარით აეღო.

მიწის იჯარით გამცემნი ძირითადად ხაზინა და თავადაზნაურობა, ზოგჯერ კი მამულიანი ვაჭარ-მრეწველები, კულაკები და ლარიზი გლეხებიც იყვნენ. მიწის იჯარით ამღებნიც ყველა წოდებასა და სოციალურ ფენაში მოიძებნებოდა, მაგრამ მოიჯარადრეთა ძირითად კონტიგენტს მაინც ლარიზი გლეხობა ქმნიდა. „გლეხურ მეურნეობაში, — წერდა ვ. ი. ლენინი, — იჯარას სხვადასხვა მნიშვნელობა აქვს, ზოგისათვის იგი წარმოადგენს მეურნეობის ხელსაყრელ ვაფართოებას, ზოგისათვის კი ვაჭირვებით გამოწვეულ გარიგებას“²².

საქართველოში ქარბობდა გლეხური მოსახლეობის მცირე მიწიანობით გამოწვეული იჯარა.

სოფლის მდიდარი გლეხები — კულაკები მიმართავდნენ გრძელვადიან იჯარას, ლარიზი გლეხები კი მცირე ნაკვეთებს იღებდნენ მოკლე ვადით, რომლის პირობები ვაცილებით უფრო მძიმე იყო. მემამულეები ამჯობინებდნენ მიწები მოკლევადიანი იჯარით ვაცეათ, რადგან იგი საშუალებას აძლევდა მათ, ხელშეკრულების ყოველი განახლებისას, აეწიათ საიჯარო ფასი, გაეცათ მიწა იმაზედ, ვინც მეტს გაიღებდა.

მოთხოვნილება საიჯარო მიწაზე იმდენად დიდი იყო, რომ მოიჯარადრეთა შორის კონკურენცია იმართებოდა. მემამულეები კარგად სარგებლობდნენ შექმნილი ვითარებით და მიწას იმას აძლევდნენ, ვინც დაწესებული მოსავლის წახევარს მეტ ფულს დაუმატებდა.

საქართველოში საიჯარო ქირის დაფარვა შრომით, პროდუქტადი და ფულადი რენტით ხდებოდა.

იჯარის პირობების თაობაზე მწვავე ბრძოლები გაიშალა მოიჯარადრეებსა და გლეხებს შორის. გლეხები უარს ამბობდნენ მის შესრულებაზე. მემამულეები ცდილობდნენ ურჩი გლეხებისათვის ჩამოერთმიათ საიჯაროდ მიცემული მიწები.

მემამულე ამილახვარმა (გორის მაზრა) 1910 წელს გლეხებს იჯარა 120 მანეთიდან 360 მანეთამდე გაუდიდა. გლეხებმა ამ ფულის გადახდაზე უარი

22 ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 3, გვ. 218.

განაცხადეს. მემამულემ მღელვარე სოფელში, ჩაფრების თანხლებით, მოურავი გაგზავნა. მოხდა სისხლიანი შეტაკება მოურავ-ჩაფრებსა და გლეხებს შორის. ორივე მხრიდან მრავლად იყვნენ დაჭრილნი²³.

1911 წლის ოქტომბერში ახალ სოფელში (გორის მაზრა) მემამულემ მორიდომა გლეხებისათვის წაერთმია მათ მიერ დაკავებული მიწები და სხვებისათვის უფრო ხელსაყრელ პირობებში მიეცა. მემამულის ეს მცდელობა გლეხების წინააღმდეგობას წააწყდა. სოფელში ჩაფრები ჩავიდნენ, შეიარაღებული ბრძოლის დროს ადგილი ჰქონდა ორმხრივ მსხვერპლს.

1912 წლის აპრილში სოფ. ქარელში (გორის მაზრა)²⁴ მემამულემ გადაწყვიტა გლეხებისათვის ჩამოერთმია მიწები. ხუციშვილები წინ აღუდგნენ მემამულეს, შემთხვევის ადგილზე გაიგზავნა დამსჯელი რაზმი, მოხდა შეტაკება. დაიღუპა გლეხების მეთაური სიმონ ხუციშვილი, აბრამ ხორბალაძე, დააპატიმრეს სამი გლეხი.

აგრარულ საფუძველზე აღმოცენებული წინააღმდეგობა დაედო საფუძველად გლეხთა გამოსვლებს ახალქალაქის მაზრაში²⁵. აქაური მემამულე შეეცადა გლეხებისათვის წაერთმია მიწის ნაკვეთები, 8 დეკემბერს აჯანყდნენ მაზრის მთელი რიგი სოფლები. მასში მონაწილეობდა 400 გლეხი. შეშინებულმა მემამულემ დახმარებისათვის პოლიციას მოუხმო. გლეხებმა აიძულეს პოლიციელები უკან დაეხიათ. ხელისუფლებამ სოფლად ჯარის ნაწილები ჩააყენა, გაჭირვებით შეძლო შეიარაღებული აჯანყების ჩაქრობა.

მემამულე კვალიაშვილი 1913 წელს, როცა თვითონ ვერაფერს გახდა სოფ. რიეთში (გორის მაზრა) ურჩი გლეხების წინააღმდეგ ბრძოლაში, დახმარებისათვის ბოქაულს მიმართა. ეს უკანასკნელი ჩაფრებით გარს შემოერთყა სოფელს, დაანგრია გლეხების სახლ-კარი. ჩაფრებმა სცემეს გლეხებს, გარეკეს მათი პირუტყვი²⁶.

1913 წელს მემამულე ხიდირბეგაშვილი (ახალციხის მაზრა) შეეცადა გლეხებისათვის წაერთმია მათ მიერ დაკავებული მიწები. აღშფოთებულმა გლეხებმა მემამულეს გადაუწვეეს თივის ძნები, აუჩხეხეს ხეხილის ბაღები. ხელისუფლებამ, იმ მიზნით, რომ აღმოეფხვრა გლეხთა მსგავსი გამოსვლები, გადაწყვიტა სოფლად გაეძლიერებია სამეთვალყურეო პოსტები, გაადიდა პოლიციელთა რაოდენობა²⁷.

1914 წელს სოფ. ხიზაბაგრის, ხანდაკის, საროს (ახალციხის მაზრა) გლეხებმა წინააღმდეგობა გაუწიეს სახელმწიფო მიწების ზედამხედველს და ჩაფარს, რომლებიც ცდილობდნენ საგლეხო მიწების ხაზინისათვის მიკუთვნებას. საქმე ვართულდა, მაზრის უფროსი იძულებული გახდა გამოეძახა კახაკთა ასეული და ჩაეყენებია მღელვარე სოფლებში²⁸.

1915 წელს სოფ. ხურვალეთში (გორის მაზრა) მემამულე გურგენიძემ მორიდომა გლეხებისათვის მიცემული მიწების სხვებზე უკეთეს საიჯარო პირობით გადაცემა. გლეხები არ დაემორჩილნენ მემამულეს, წინააღმდეგობა

23 საქართველოს ისტორიის ნარკვევები, თბ., ტ. 6, 1972, გვ. 336.

24 სცსსა, ფ. 13, საქ. 904, ფურც. 15.

25 სცსსა, ფ. 13, საქ. 904, ფურც. 13.

26 სცსსა, ფ. 13, საქ. 1204, ფურც. 25.

27 სცსა, ფ. 13, საქ. 904, ფურც. 27.

28 სცსსა, ფ. 17, საქ. 7901, ფურც. 133—135.

გაუწიეს ადგილობრივ ხელისუფლებას, მღელვარე სოფელში ჩააყენეს ჯარის-კაცთა მესამე ასეული³⁰.

1916 წელს სოფ. ქვეხიანში (სიღნაღის მაზრა) თავადმა ვაჩნაძემ გადაწყვიტა აეყარა და საცხოვრებელი ადგილიდან გაესახლებინა გლეხობის 21 ოჯახი. მემამულე თავისი ძალებით უძლური აღმოჩნდა. საქმეს ვერც ხელისუფლების ჩარევამ უშველა, ადგილობრივი პოლიციის ცდაც უშედეგოდ დამთავრდა, გლეხებმა პოლიციას შეიარაღებული წინააღმდეგობა გაუწიეს. მაზრის მმართველობა იძულებული გახდა ლაგოდეხიდან გამოეთხოვა სამხედრო ქვეანაყოფი³¹.

მიწისათვის ბრძოლაში მემამულეები ყოველგვარ ზომებს მიმართავდნენ. აშინებდნენ გლეხებს, ემუქრებოდნენ, ფიზიკურად უსწორდებოდნენ, არ ერიდებოდნენ მათი სიცოცხლის ხელყოფასაც კი.

სოფ. სავანეში (შორაპნის მაზრა) 1910 წელს თავად აბაშიძის მოურავმა სიცოცხლეს გამოასალმა ამავე სოფელში მცხოვრები გლეხი. ხოლო სოფ. მუხურში (შორაპნის მაზრა) იმავე წელს აზნაურმა საყვარელიძემ მოჰკლა გლეხი ჯანიძე. ორივე შემთხვევაში მკვლელობის მიზეზი გლეხების საცხოვრებელი ადგილიდან აყრა და მათი მიწების მიტაცება იყო.

მემამულეთა ამგვარი თავგასულობით აღშფოთებული გლეხები თავდაპირველად სამართალს კანონით ეძებდნენ. მარტო გორის მაზრაში სხვადასხვა დაწესებულებაში, რომლებსაც ევალებოდათ სადავო საქმეების გარჩევა, 1909 წელს შესულა 22731 საქმე. გლეხები მემამულეებს უჩიოდნენ ძალმომრეობაზე, მემამულეები კი გლეხების ურჩობაზე. კანონი, სასამართლო ორგანოები, მეფის მოხელეები მემამულეთა ინტერესებს იცავდნენ, მათ უშიშროებას უზოუნველყოფდა ხელისუფლების ვეებერთელა აპარატი შეიარაღებული ძალებით.

თუ ერთ შემთხვევაში მემამულეები გვევლინებიან თავდამსხმელ მხარედ, რომლებიც ცდილობდნენ ძალის გამოყენებით აეყარათ გლეხები მათი საცხოვრებელი ადგილებიდან და მათი კუთვნილი მიწები სხვებზე გაეცათ, მეორე შემთხვევაში შემტევ ძალად გლეხკაცობა გვევლინება. ახალი რევოლუციური აღმავლობისა და იმპერიალისტური ომის წლებში, მნიშვნელოვნად შემცირდა სანაადგო მიწების შესყიდვა. გლეხობა აგარარული პრობლემის რევოლუციური ვხით გადაჭრის პოზიციაზე დადგა.

ჯერ კიდევ 1908 წლის 8—12 ივნისს გურიაში იმოგზაურა ქუთაისის გუბერნატორმა სლაფჩინსკიმ. მან მუქარით მიმართა გლეხებს შეეწყვიტათ მემამულეთა მიწების მიტაცება³². ცოტა მოგვიანებით მეფისნაცვალისადმი გაგზავნილ მოხსენებაში მიუთითებდა გლეხთა კლასობრივი ბრძოლის გამწვავებაზე, გლეხების მიერ მემამულეთა მიწების მიტაცებასა და ბოიკოტზე, რომლებსაც ისინი უცხადებდნენ მემამულეებს. გლეხების მიერ მიწების მიტაცება და ამ წინადაგზე აღმოცენებული ანტაგონიზმი, ჩვენი აზრით, გლეხთა გააქტიურებაზე მიგვიითებს.

კლასობრივი ბრძოლის გაღრმავება ხელისუფლებას იძულებდა ჯერ კიდევ რევოლუციის წლებში გამოცხადებული სამხედრო წესები შეენარჩუნებინა. 1910 წლის ივნისის დამლევს კავკასიის გუბერნატორების თათბირზე დაისვა

30 სცსა, ფ. 17, საქ. 690, ფურც. 6.

31 იქვე.

32 გაზ. „ნაპერწყალი“, 1908, № 20.

საერთო კავკასიაში გორის და ოზურგეთის მაზრების გარდა, ყველგან მოეხსნათ იგი. ამ წინადადებას მხარს უჭერდა კავკასიის მეფისნაცვალი, მაგრამ წინააღმდეგი წაიხდნენ თბილისის და ქუთაისის გუბერნატორები. მათ აწინებდათ შექმნილი ვითარება და „სიწყნარის“ დაცვის მთავარ გარანტიად სამიედრო წესების შენარჩუნება მიაჩნდათ. ამ შემთხვევაში თბილისის და ქუთაისის გუბერნატორები არ ცდებოდნენ. გლეხთა მოძრაობა თანდათან ძლიერდებოდა და აქტიურ ფორმებს იღებდა. გლეხები იარაღის ძალით ცდილობდნენ მემამულეთა მიწების დამკვიდრება-დაპატრონებას. ამ მოვლენამ მასობრივი ხასიათი მიიღო საქართველოს ყველა კუთხეში.

1912 წლის 9 აგვისტოს სოფ. ნაჩიხოსა და ნაგებორკოში (სენაკის მაზრა) 50-მა გლეხმა გარეკა თავად წულუკიძის მამულის მცველები და იწყო მემამულის მიერ დაკავებული მიწების მიტაცება³³.

1912 წლის ოქტომბერში მანგლისში (თბილისის მაზრა) გლეხებმა დაიკავეს მემამულის მიწები. ადგილობრივ ხელისუფლებასა და გლეხებს შორის სისხლიანი შეტაკება მოხდა, დაიღუპა და დაიჭრა 10 გლეხი.

გლეხბატობის ბრძოლა მარტო მემამულეთა მიწების მიტაცებით როდი გამოიხატებოდა. გლეხები მიმართავდნენ აგრარულ ტერორს. გახშირდა მემამულეებზე თავდასხმები, მათი მკვლელობის შემთხვევები. თოფებით, ხანჯლებით შეიარაღებული გლეხები არაფერს არ ეპუებოდნენ, მზად იყვნენ საკუთარი სიცოცხლის ფასადაც კი გასწორებოდნენ მემამულეებს და მათი ინტერესების დამცველ ძალებს. მემამულეთა თვითნებობას, ძალმომრეობას, მთავრობის რეპრესიებს რევოლუციურად განწყობილი გლეხები უპასუხოდ არ სტოვებდნენ. ტერორს ტერორი მოსდევდა.

1910 წელს საადგილმამულო დავა სოფ. ზახაროს გლეხებსა და მემამულე შაიშმელაშვილს შორის დამთავრდა მემამულის მკვლელობით³⁴.

1914 წლის 15 თებერვალს გლეხებმა სიცოცხლეს გამოასალამეს მემამულე ალექსანდრე გეგუქკორი³⁵, სოფ. თოხლიაურში (თელავის მაზრა) დავითაშვილი, გაიტაცეს 1000 მანეთი და ვერცხლის ქამარი. ორი დღის შემდეგ მოკლული იქნა კუჩინაბახი³⁶. მკვლელთა ჯგუფი 12 კაცს აერთიანებდა, 1915 წელს გლეხებმა არაერთი ტერორისტული აქტი განახორციელეს.

1910 წელს თიანეთის მაზრაში მემამულეთა მკვლელობის 10, ხოლო მკვლელობის მიზნით თავდასხმის ორი შემთხვევა მოხდა.

თელავის მაზრაში კი 1912 წლის მარტო პირველი სამი თვის განმავლობაში მემამულეთა მკვლელობის 10, ხოლო დაჭრის 2 შემთხვევას ჰქონდა ადგილი³⁷.

მემამულეებზე თავდასხმები ხშირად წინასწარგანზრახვით ეწყობოდა, გლეხები უთანხმდებოდნენ ერთმანეთს, აწყობდნენ შეთქმულებას. ადგენდნენ გეგმას, ზოგჯერ თვითონ, ხშირად კი დაიჭირებდნენ მკვლელებს და იწყებოდა

33 სცსა, ფ. 13, ანაწ. 21, საქ. 1660, ფურც. 66.
34 სცსა, ფ. 17, ანაწ. 21, საქ. 685, ფურც. 19.
35 სცსა, ფ. 17, ანაწ. 2, საქ. 685, ფურც. 19.
36 სცსა, ფ. 17, ანაწ. 2, საქ. 688, ფურც. 90.
37 სცსა, ფ. 17, ანაწ. 2, საქ. 699, ფურც. 6.



ჩანადიკრის სისრულეში მოყვანა. ამ ვზით მოუხწრაფეს სიცოცხლე 1912 წელს სოფ. ფლავისა და ფლავისმანის მემამულე მ. ერისთავს, ააოხრეს მისი სახლ-კარი. გლეხებმა შეპფიცეს ერთმანეთს, რომ მკვლელები არ გაეცათ.

1915 წლის 18 თებერვალს თბილისის გუბერნატორი მეფისნაცვალს სწერდა: „აგენტებისაგან მივიღე სარწმუნო ცნობა, რომ სოფ. ტიბინისში (გორის მაზრა) გლეხებმა გადაწყვიტეს დაჭირავებული პირების საშუალებით მოჰკლან მემამულე ნიკოლოზ სულხანიშვილი, რისთვისაც მათ გადაიხადეს 300 მანეთი, შეიძინეს „მაუზერის“ მარკის რევოლვერი, მიზეზი გლეხების ამგვარი მოქმედებისა, — განავრძობს გუბერნატორი, — არის ის, რომ სულხანიშვილს არეულობის დროს (1905—1907 წწ.) ადმინისტრაციისათვის უთხოვია კახათარაზში, რომელიც ეგზეკუციის სახით ჩაუყენებია სოფელში. სულხანიშვილის მითითებით კახაკებს დაუხვრეტიათ რამდენიმე გლეხი. ამის გამო გლეხებს ორჯერ მოუწოდომებიათ სულხანიშვილის მოკვლა, მაგრამ ვერ განუხორციელებიათ იგი“³⁸.

ტერორისტული თავდასხმების შემთხვევები იმდენად მასობრივი იყო, რომ მმართველობა იძულებული გახდა 1915 წლის თებერვალში ამ საკითხთან დაკავშირებით სპეციალური ცირკულარი დაეშვა. იგი აფრთხილებდა გუბერნატორსა და მაზრის უფროსებს ფხიზლად ედევნებინათ თვალყური მოვლენათა მსვლელობისათვის და გადამჭრელი ზომები მიეღოთ დამნაშავეთა წინააღმდეგ³⁹. მემამულეთა დასაცავად ფეხზე იდგა კავკასიის მხარის, გუბერნიის, მაზრის, სასოფლო საზოგადოების თუ უზნის მმართველობის მთელი აპარატი ათასობით ბოქაულითა და ჩაფრით, საჭიროების შემთხვევაში ჯარის ნაწილებითაც კი, მაგრამ ამაოდ, დანაშაულობანი იზრდებოდა. იგი სხვადასხვა ხასიათის იყო: ძარცვა-ჭურდობა, მემამულეთა სახლ-კარის გადაწვა და სხვ. მიზეზი კი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესება, ხელისუფლების ძალმომრეობა იყო. მძარცველები ძირითადად ღარიბი გლეხები იყვნენ, ხოლო ძარცვის ობიექტი კი შეძლებულნი, მდიდრები. 1912 წელს გორის მაზრაში ადგილი ჰქონდა ძარცვის მიზნით თავდასხმების 72 შემთხვევას. დაპატიმრებული იქნა 99 კაცი, ჭურდობის 40 შემთხვევა მოხდა. სულ საერთოდ მაზრაში ჩადენილი იქნა 209 დანაშაული. საინტერესოა თიანეთის მაზრაში მომხდარი დანაშაულობათა სტატისტიკა. აქ გლეხებმა 1911 წელს ძარცვის მიზნით 37 თავდასხმა განახორციელეს, ხოლო მემამულეთა სახლ-კარის გადაწვის 4 შემთხვევას ჰქონდა ადგილი.

თელავის მაზრაში 1912 წლის მარტო სამი თვის განმავლობაში ჩადენილი იქნა სხვადასხვა სახის 20 დანაშაული.

ანალოგიური ვითარება იყო საქართველოს ყველა მაზრაში. არ შეიძლება ამგვარ ვითარებას გავლენა არ მოეხდინა მთავრობის პოლიტიკაზე. საქართველოს სოფელში კლასობრივი ანტაგონიზმი, ისე გამწვავდა და იმდენად სერიოზული ხასიათი მიიღო, რომ მისი ლიკვიდაციის მიზნით ხელისუფლები იძულებულნი გახდნენ ქართლსა და კახეთში ჯარი გამოეყვანათ. შეშინებულმა მეფის მთავრობამ გამოსცა ბრძანება გლეხების განიარაღების შესახებ. ყოველ ტერორისტულ აქტს თან სდევდა ხელისუფლების მკაცრი რეაქცია, რასაც ათეუ-

³⁸ სცსა, ფ. 13, ანაწ. 2, საქ. 869, ფურც. 46.

³⁹ სცსა, ფ. 13, ანაწ. 2, საქ. 864, ფურც. 46.

ლი ადამიანების ციმბირის კატორღებში გადასახლება, მათი სახლ-კარის აოხრება მოჰყვებოდა. ეს კიდევ უფრო ართულებდა ვითარებას, მდგომარეობა სოფლად მეტად დაძაბული და შეიძლება ითქვას თითქმის უმართავი ხდებოდა, სულ უფრო უჭირდა ხელისუფლებას, გლეხების შეჩერება არავის შეეძლო.

Н. М. АХОБАДЗЕ

КРЕСТЬЯНСТВО ГРУЗИИ В БОРЬБЕ ЗА ЗЕМЛЮ И СВОБОДУ (1910 — февраль 1917 гг.)

Резюме

Крестьянское движение в Грузии за землю и свободу в 1910—1917 гг. (февраль) носило массовый характер. Оно выражалось в разных формах и объединяло тысячи сельских тружеников. Противоречия, возникавшие на основе аграрных отношений, усиливались и очень часто приводили к кровопролитию, участились проявления аграрного террора, случаи уничтожения помещичьих домов, поджогов и других форм борьбы.

Правительство было вынуждено применить оружие против выступлений крестьян. Аграрное движение в Грузии в 1910—1917 гг. (февраль) не достигло того размаха, которым отличалось движение 1905—1907 гг. Несмотря на это, оно представляет собой значительный этап в истории освободительной борьбы крестьян Грузии.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის საქართველოს ახალი ისტორიის განყოფილებამ

ლევან ურუხაძე

ქართული წარმოშობის მოღვაწენი ოსმალეთში
(XVI—XIX სს).

როგორც ცნობილია, ოსმალეთის იმპერიასთან პოლიტიკური ურთიერთობა მეტად ხანგრძლივი და მძიმე გამოდგა სამხრეთ-დასავლეთ და დასავლეთ საქართველოსთვის, თუმცა თურქეთის ხელისუფლება უმალ იყენებდა აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიების დალაშქვრა-დაპყრობის ხელსაყრელ მომენტებს. ამის ნათელი მაგალითია თუნდაც 1570-80-იანი წლების ლაშქრობანი თბილისსა და გორში, ოსმალთა ქართლში XVIII ს-ის პირველ ნახევარში.

XVI ს-ის მეორე ნახევრიდან ოსმალეთის სულთნის კარსა და პროვინციებში (საბეგლარბეგობსა და სანჯაყებში) ჩნდებიან ქართული წარმომავლობის მოღვაწენი, რომელთა რიცხვმა (მხედველობაში გვაქვს უმაღლესი რანგის მქონე მოხელენი) ორასორმოცდაათი წლის მანძილზე ასი გადააჭარბა. ეს ქვეშა-რიტად ეროვნული ტრავმდია იყო ქართველი ხალხისათვის, რადგან მისი წიაღიდან გამოსული საუკეთესო შვილები იძულებული იყვნენ უცხო ქვეყნის დიდებისა და კეთილდღეობისათვის შეეწირათ თავიანთი ნიჭი და ძალ-ღონე, მათმა დიდმა ნაწილმა სახელოვანი ფურცლები ჩაწერა მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიაში.

ოსმალეთში მოღვაწე ქართული წარმომავლობის დიდებულთა შესახებ მნიშვნელოვან ცნობებს ვხვდებით როგორც ოსმალურ (მეჰმედ სურეიას „სიჯილი-ოსმანი“, იბრაჰიმ ფეჩევის, მუსტაფა ნაიმას, შამსედდინ სამის და სხვა ავტორთა შრომები, თურქეთის ე. წ. პრემიერ-მინისტრის არქივში დაცული „მუჰიმე დავთრისა“ და „კივამის“ ქრონიკის მასალები), ისე თანამედროვე თურქულ ისტორიოგრაფიაში (ი. უზუნჩარშილის, ი. დანიშმენდის, ბ. ქუთუქოღლუს და სხვათა შრომები, „ოსმალეთის დაწვრილებითი ისტორიის“ ექვსტომეული, აჰმედ ოზქან მელაშვილის „გურჯისტანი“ და ა. შ.)

XVI—XIX სს-თა მანძილზე ოსმალეთის სულთნის კარზე დიდგვირის უმაღლეს თანამდებობაზე სამსახური არაერთ ქართველს მოუხდა. დიდგვირის სულთნის შემდეგ მეორე კაცად ითვლებოდა. ეს პატივი წილად ხვდათ გურჯი მეჰმედ-ფაშა I-ს (XVII ს-ის 10—20-იანი წლები), გურჯი მეჰმედ-ფაშა II-ს (მეჰმედ IV-ის დიდგვირი), გურჯი აბდუნები-ფაშას (XVII ს-ის 40-იანი წლები), გურჯი აჰმედ-ფაშას (XVIII ს-ის დამდეგი), გურჯი ისმაილ-ფაშას (XVIII 30-იანი წლები), იუსუფ-ფაშას (1780-იანი წლების ბოლო — 90-იანი წლების პირველი ნახევარი), ჰადიმ აჰმედ-ფაშას (XVIII ს-ის 80-იანი წლები), ზიადდინ-იუსუფ-ფაშას (XVIII ს. დასასრული — XIX საუკუნის პირველი ათწლეული), ხურშიდ-ფაშა გურჯის (დაახლ. 1810—1815 წწ.), მაჰმუდ ნედიმ-ფაშას (1870-იანი წლები) და სხვ. თურქეთში მცხოვრები ჩვენი თანამემამუ-

ლის, წლების მანძილზე ქ. ბურსას მთავარი არქიტექტორის, აწ განსვენებულ აჰმედ ოზქან მელაშვილის ცნობით (ეს ცნობა პრემიერ-მინისტრის არქივის მასალებისა და შემდგომდინ სამის თხზულების მონაცემებს ეყრდნობა), ასევე ქართული წარმოშობისა იყო ოსმალეთის გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწე და დიპლომატი, წლების მანძილზე დიდვეზირი მუსტაფა რეშიდ-ფაშა (1800—1858).

ქვემოთ შევხებით ზემოხსენებული დიდვეზირებიდან ზოგიერთის მოღვაწეობას.

XVII ს-ის ოსმალეთის სახელმწიფო მოღვაწეთაგან ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი იყო გურჯი მეჰმედ-ფაშა I (გარდაიცვალა 1626 წელს), რომელსაც აჰმედ I-ისა და მუსტაფა I-ის კარზე (1610-იან წლებში) იმპერიის დიდვეზირის თანამდებობა ეკავა. იგი აქტიური მონაწილე იყო ირანის წინააღმდეგ ბრძოლებისა, მაგალითად, მან დიდი წვლილი შეიტანა 1606 წელს ბელგრადზე, ხოლო 1610—1611 წლებში თავრიზზე ლაშქრობაში; 1613 წელს სარდლობდა ერევანზე ლაშქრობას. მნიშვნელოვანი იყო გურჯი მეჰმედის წვლილი ეგვიპტეში ოსმალთა ხელისუფლების განმტკიცების საქმეში. მანვე დიდი როლი შეასრულა საფინანსო რეფორმის შემუშავებასა და განხორციელებაში. გარდა ზემოთქმულისა, ფართო საქველმოქმედო მოღვაწეობასაც ეწეოდა. მეჰმედ-ფაშას აღზევება 1604 წელს დაიწყო, როდესაც სასახლეში ხასოდა-ბაშის¹ თანამდებობაზე დაინიშნა. მცირე ხნის შემდეგ, იმავე წლის აგვისტოში, იგი სასულთნოს მესამე ვეზირად დააწინაურეს, წლის დამლევს კი ეგვიპტის გამგებლად გაამწესეს. შემდეგ მას კაიმაკამის², მესამე და მეორე ვეზირის პოსტებზე ნიშნავენ. 1614 წელს მეჰმედ-ფაშა ოსმალეთის დიდვეზირი გახდა. ამ თანამდებობიდან გადადგომის შემდეგ სიცოცხლის ბოლომდე კვლავ კაიმაკამის მოვალეობას ასრულებდა.

გურჯი მეჰმედ-ფაშას შეუზღუდავმა ძალაუფლებამ მისდამი მტრულად განაწყო დიდებულთა ერთი ნაწილი ვეზირ რეჯებ-ფაშას მოთავეობით. მათ ბრალი დასდეს კაიმაკამს — ბაღდადზე ლაშქრობისას დახმარება არ გაეციწიაო, და მისი სიკვდილით დასჯა მოითხოვეს. დიდებულთა დაქინებულმა მოთხოვნამ თავისი გაიტანა, — 1626 წელს მეჰმედი ჩამოახრჩეს. იგი დაკრძალულია მუსლიმანთა წმინდა ქალაქ აიუბში (ეიუბში) მის მიერვე აგებულ შესანიშნავ აკლდამაში³. გურჯი მეჰმედ-ფაშას სიკვდილით დასჯის შემდეგ კაიმაკამი მისი დაუძინებელი მტერი რეჯებ-ფაშა გახდა⁴.

1 ხასოდა-ბაში სულთნის სასახლის მსახურთა უფროსი იყო, სასახლის საქმეთა მთავარ-გამგე. ამ თანამდებობაზე მყოფი მოხელე სულთნის ერთ-ერთ უახლოეს პიროვნებად ითვლებოდა (იხ. მუსტაფა ნაიშას ცნობები საქართველოს და კავკასიის შესახებ. თურქული ტექსტის ქართული თარგმანით, გამოკვლევითა და შენიშვნებით გამოსაცემად მოამზადა ნ. შენგულაძე, თბ., 1979, გვ. 261. M. Z. P a k a l ı n., Osmanlı tarih Deyimleri ve Terimleri Sözlüğü, III Fas., XIX, İstanbul, 1954, გვ. 221—225).

2 კაიმაკამი რომელიმე მსხვილი ოლქის გამგებლის ან დიდვეზირის მოადგილის აღნიშვნელი ტერმინია. ამ შემთხვევაში იგი დიდვეზირის მოადგილეს აღნიშნავს.

3 მეჰმედ-ფაშა I-ის შესახებ იხ.: მეჰმედ სურუია, „სიჯილი-ოსმანი“, ტ. II, მუსტაფა ნაიშას ცნობები, გვ. 123, 129—133, 164; Fehriç, Derin, Mehmed Paşa Gürçü I.—İslam Ansiklopedisi, 76 cüz, İstanbul, 1957, გვ. 585—587.

4 მუსტაფა ნაიშას ცნობები, გვ. 254.

ასევე ცნობილი პოლიტიკური და სამხედრო მოღვაწე იყო სულთან მეჰმედ IV-ის დიდგვირი გურჯი მეჰმედ-ფაშა II (გარდაიცვალა 1666 წელს). მასაც მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის ყიზილბაშთა წინააღმდეგ ბრძოლებში. მაგალითად, იგი სარდლობდა ლაშქარს, რომელსაც დავალებული ჰქონდა პროირანულად განწყობილი დიდებულის, წარმოშობით ქართველის, აბაზა-ფაშას დამორჩილება. ეს უკანასკნელი 1620-იანი წლების შუა ხანებში აუჯანყდა სულთნის ხელისუფლებას და პირი ირანისაკენ იბრუნა. გურჯი-ფაშას გამჟირაბმა, მოქნილმა ტაქტიკამ საბოლოოდ წარმატება ოსმალთა ვეზირს არგუნა — 1629 წელს აბაზა-ფაშა დამორჩილებულ იქნა. 1630-იან წლებში მეჰმედ-ფაშა II-ის სარდლობით თურქებმა წარმატებით ილაშქრეს ყარსსა და ერევანზე. იგი მზრუნველობას იჩენდა ოსმალეთის განაპირა ქართული ტერიტორიებისადმი. მაგალითად, მისი ინიციატივითა და ხელმძღვანელობით აღდგენილ იქნა ახალციხის ციხე-სიმაგრე. მისი აღზვევა სასულთნო კარზე 1614 წელს დაიწყო, როდესაც ჯებეჯი-ბაშის⁵ თანამდებობაზე დანიშნეს. მალე ჩავუშ-ბაშობაც⁶ უბოძეს. 1620—1623 წლებში იგი კაფუჯი-ბაშად⁷, ხოლო 1623 წელს რუმელიის ზეგლარბეგად დააწინაურეს. ამის შემდეგ, დიდგვირად დანიშნამდე ეკავა შამის, დაირბეჯირის, ანატოლიისა და ბურსას ბეგლარბეგის (ვალის) თანამდებობანი⁸.

ბევშობაში ტყვედ იყო გაყიდული ხურშიდ-ფაშა გურჯი. მისდამი მზრუნველობა გამოუჩენია რუმელიის ბეგლარბეგს, რომლის კარზეც დაწინაურებულია ხურშიდ-ალა. მოგვიანებით ალექსანდრიის კომენდანტად დანიშნეს. მცირე ხნის შემდეგ სამთულიანი ფაშას ტიტული უბოძეს და ეგვიპტის განმგებლად გაამწესეს. 1810-იანი წლების დამდეგს იგი დიდგვირი გახდა. ამ პერიოდში მან მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ყიზილბაშთა წინააღმდეგ ბრძოლაში. 1815 წელს ის ცილისწამების მსხვერპლი გახდა, გადააყენეს დიდგვირობიდან და ალემოში გადაასახლეს⁹.

1780-იანი წლების დამდეგს — 90-იანი წლების პირველ ნახევარში დიდგვირის თანამდებობა ეკავა იუსუფ-ფაშას. მის დამსახურებაზე ნათლად მეტყველებს შემდეგი ფაქტები:

1788—1791 წლებში, რუსეთთან და ავსტრიასთან ომის დროს იგი ოსმა-

5 ჯებეჯი-ბაში ჯებეჯიების სამხედრო ნაწილის მეთაური იყო, ოსმალეთის ლაშქარში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფიგურა. ჯებეჯიები სამხედრო სამსახურის გარდა სამეურნეო საქმიანობასაც ეწეოდნენ, — ამხადებდნენ და იცავდნენ საბრძოლო იარაღსა და ტყვიანაწილს. მათი საერთო რიცხვი XVII ს. 70. 000-ს აღემატებოდა (იხ. A. C. Твeритинова, Второй трактат Кочубея.—Уч. зап. ИВАН СССР, VI, 1953, გვ. 264).

6 ჩავუშ-ბაში სასახლის კარზე მსახურობდა. სულ იყო 500 ჩავუში. ისინი შეადგენდნენ სულთნის პირად გვარდას და სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის სხვადასხვა დავალებებს ასრულებდნენ (იხ. M. Z. Pakalın, Osmanlı Deyimleri ve Terimleri Sözlüğü, I Fas., IV, İstanbul, 1948, გვ. 336—339).

7 კაფუჯი-ბაში სულთნის სასახლის მუდმივი მცველების — კაფუჯიების მეთაური იყო (იხ. A. C. Твeритинова, დასახ. ნაშრომი, გვ. 235).

8 გურჯი მეჰმედ-ფაშა II-ის შესახებ იხ.: Fehri Ç. Derin. Mehmed Paşa Gürcü II.—İslam Ansiklopedisi 76 cüz., İstanbul, 1957, 587-588; I. H. Danişmend. İzahlı Osmanlı tarihi kronolojisi, c. III, İstanbul, 1961, გვ. 338—341.

9 ხურშიდ-ფაშას შესახებ იხ.: შამსედინ სამი-კამუსულ-ალემი“, ტ. I, სტამბოლი, 1896, გვ. 6.

ლეთის ჯარს სარდლობდა. 1788 წლის სექტემბერში მისი ხელმძღვანელობით თურქთა სამოცდაათასიანმა ლაშქარმა ლუდიშთან სასტიკად დაამარცხა ავსტრიის იმპერატორ იოსებ II-ის ორმოცათასიანი არმია.

1790 წლის 31 იანვარს და 29 მარტს ოსმალეთთან სამოკავშირეო ხელშეკრულება გააფორმეს პრუსიამ და პოლონეთმა. იმავე წლის ივლისში გერმანიის ქალაქ რაიხენბახში შედგა კონგრესი, რომლის პირობების ვათვალისწინებით და ავსტრია-პრუსიის 27 ივლისის კონვენციით ავსტრიამ „სტატუს ქვოს“ პირობებში ოსმალეთთან სეპარატული საზავო ხელშეკრულების დადგება ივალდებულა. 1790 წლის 19 ოქტომბერს ყურეყევის საზავო მოლაპარაკებების შემდეგ იუსუფ-ფაშამ ხელი მოაწერა ავსტრია-ოსმალეთის ხელშეკრულებას. 1791 წლის აგვისტოში ასევე მისი მონაწილეობით ბულგარეთის ქალაქ სისტოვში (სვისტოვში) თურქეთმა რაიხენბახის ხელშეკრულებით ვათვალისწინებული სეპარატული შეთანხმება დადო ავსტრიასთან. აღსანიშნავია, რომ ხელშეკრულების შედეგად რამდენადმე გაუმჯობესდა ოსმალეთის მძიმე შიდა და საგარეო პოლიტიკური მდგომარეობა, უპირველეს ყოვლისა, ფინანსური თვალსაზრისით. გარდა ამისა, ამ ზავით თურქეთმა დაიბრუნა უფლებები ქ. ბელგრადზე.

1791 წლის 11 აგვისტოს იუსუფ-ფაშამ და რუსეთის არმიის სარდალმა, გენერალმა ნ. რეპნიჩმა გალაკში რუსეთ-ოსმალეთის წინასწარ, საზავო პირობებს მოაწერეს ხელი. იმავე წლის ოქტომბერში იუსუფ-ფაშასვე აქტიური მონაწილეობით ამასიაში გაიმართა მოლაპარაკება, ხოლო 9 იანვარს ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას. სწორედ ამ ზავით ოსმალეთმა უარი თქვა საქართველოს მიმართ თავის პრეტენზიებზე. ამის შემდეგ იუსუფს ბრალი დასდეს არასაიმედოობაში, გაათავისუფლეს დიდგვზირის თანამდებობიდან და კუნძულ როდოსზე გადაასახლეს. მაგრამ, 1799 წელს სულთანი იძულებული გახდა გაეთავისუფლებინა ის და არზრუმის ბეგლარბეგობა უბოძა. პარალელურად 1799—1810 წლებში იუსუფ-ფაშა იყო ოსმალეთის მეორე ვეზირი და სიცოცხლის ბოლომდე აქტიურად მონაწილეობდა პოლიტიკურ ცხოვრებაში, გარკვეულწილად წარმართავდა მას. ეკვიპტეში ფრანგების ლაშქრობისას ის თურქეთის ლაშქრის მთავარსარდლის მოადგილე, ხოლო რუსეთ-თურქეთის შემდგომი ომის დროს აღმოსავლეთ ფრონტის სარდალი იყო.

იუსუფ-ფაშას მოღვაწეობაზე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ იგი იყო აქტიური წევრი ოსმალეთის დიდებულთა იმ მცირერიცხოვანი ჯგუფისა, რომლის თაოსნობითაც 1790-იან წლებში წარმოებდა რეფორმებისათვის ბრძოლა. მოხერხდა პროგრამის დებულებათა მხოლოდ მცირე ნაწილის განხორციელება, რადგან იანიჩრების მღელვარებისა და რეფორმებისადმი დიდებულთა უმეტესობის მტრული დამოკიდებულების გამო სულთანი სელიმ III (1789—1807) იძულებული გახდა უარი ეთქვა თავისი მიზნების აღსრულებაზე¹⁰.

XIX ს-ის ოსმალთა მოღვაწეთა შორის ერთ-ერთი ყველაზე გამოჩენილი ფიგურაა სახელგანთქმული სახელმწიფო მოღვაწე და დიპლომატი მუსტაფა რეშიდ-ფაშა (1800—1858), რომელიც 1837 წელს ოსმალეთის საგარეო საქმეთა მინისტრი იყო, 1834—1838 წლებში ელჩი პარიზსა და ლონდონში, 1846—1857

¹⁰ იუსუფ-ფაშას შესახებ იხ.: „სიჯილი-ოსმანი“, ტ. 11; შამსედინ სამი. „ქამუსულ-აღუნი“, ტ. 1, სტამბოლი, 1896, გვ. 3; Ahmed Özkan (Melaşvili), Gürcüstan, İstanbul, 1968, გვ. 12.

წლებში ექვსგზის იყო არჩეული ოსმალეთის იმპერიის დიდგვზირად. გარდა ამისა, რეშიდ-ფაშა სათავეში ედგა რეფორმისტთა პარტიას.

მან დიდი როლი შეასრულა ოსმალეთის სახელმწიფო წყობილების, ეკონომიკისა და განათლების ევროპულ ყიდაზე გარდაქმნის საქმეში, იყო ამ მოძრაობის სულისჩამდგემლი. ის იყო რეფორმების პერიოდის — ე. წ. „თან-ზიმათის“ პერიოდის (ეს მოძრაობა 1839 წელს ჩაისახა) გამოჩენილი მოღვაწე, საპროგრამო დოკუმენტის, — სულთნის 1839 წლის 3 ნოემბრის რესკრიპტის „ხატი-შერიფ გიულხანეს“ ტექსტის ავტორი.

როგორც ცნობილია, XVIII ს-ის დამდეგიდან ოსმალეთი საკმაოდ მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა როგორც ეკონომიკური, ისე სამხედრო თვალსაზრისით. ხსენებული რეფორმების უმთავრესი დანიშნულება სწორედ შექმნილი კრიზისული მდგომარეობიდან თავის დაღწევა, იმპერიის შენარჩუნება და როგორც ჯარის, ისე ეკონომიკის, განათლებისა და სასამართლო საქმის ევროპულ ყიდაზე მოწყობა იყო. „ხატი-შერიფ გიულხანეს“ შემუშავება მეტად პროგრესული მოვლენა იყო. აქ საკმარისია აღინიშნოს, რომ ის ითვალისწინებდა ეკონომიკის რეორგანიზაციას, სამხედრო სამსახურის ვადების შეკვეთრ შემცირებას, სარწმუნოებისა და სქესის განურჩევლად ოსმალეთის იმპერიის ყველა ქვეშევრდომის სიცოცხლისა და ქონების დაცვას, სასამართლო სისტემის სრულ გარდაქმნას და ა. შ.

გარდა ამისა, რეშიდ-ფაშას უშუალო აქტიური მონაწილეობით შედგა სხვა ისეთი დიდმნიშვნელოვანი დოკუმენტები, როგორცაა კანონ-პროექტი ილითიზამის გაუქმებისა და სასამართლოს რეორგანიზაციის შესახებ (1841), კანონ-პროექტი სამხედრო სამსახურის ცადების შემცირების შესახებ (1843) და სხვ.

თანამედროვე თურქულ ისტორიოგრაფიაში მუსტაფა რეშიდ-ფაშა სამართლიანად არის მიჩნეული თურქეთის ახალი ისტორიის ერთ-ერთ უდიდეს სახელმწიფო მოღვაწედ¹¹.

1579 წელს მიიტაცეს რა სამცხე-საათაბაგოს უდიდესი (დასავლეთი) ნაწილი, ოსმალებმა აქ ჩილდირის (ახალციხის) ვილაიეთი (საბეგლარბეგო) დააარსეს და მის გამგებლად მუსტაფას სახელით ყვარყვარე IV ჯაყელის ძმა — მანუჩარი დაამტკიცეს. აქედან მოყოლებული XVIII ს-ის 90-იან წლებამდე აღნიშნულ საბეგლარბეგოს ჯაყელთა საგვარეულოს 15 წარმომადგენელი განაგებდა მუსტაფა (მანუჩარი, 1578—1582), საფარ-ფაშა (ბექა III, 1625—1635), იუსუფ-ფაშა I (1635—1647), რუსტემ (როსტომ)-ფაშა I (1647—1659), ასლან-ფაშა I (1659—1679), იუსუფ-ფაშა II (1679—1690), სელიმ-ფაშა (1690—1701), ისაყ-ფაშა I (1701—1705), ასლან-ფაშა II (1705—1708), ისაყ-ფაშა II (1708—1716), ასლან-ფაშა III (1716—1718), ისაყ-ფაშა III (1718—1737), იუსუფ-ფაშა III (1737—1744), ჰაჯი აჰმად-ფაშა (1744—1758), სულეიმან-ფაშა (1780-იანი წლები), ამ უკანასკნელის ძე (1780-იანი წლების II ნახევარი — 90-იანი წლების დამდეგი)¹².

¹¹ მუსტაფა რეშიდ-ფაშას შესახებ იხ.: Ahmed Özkan (Melaşvili) Gürcüstan, Istanbul, 1968, გვ. 12—12; კრებული „Tanzimat“, Istanbul, 1940; Karal E. Z. Tanzimattan evvel garphlaşma hareketi, გვ. 1718—1839, იქვე.

¹² გ. ტივაძე, ოსმალეთის დერვიშობა და გლეხთა აჯანყებანი XVI საუკუნეში, თბ., 1946, გვ. 186; „სოჯლო-ოსმანი“, ტტ. II—IV; Бу р н а ш е в, Картина Грузии или описание политического состояния царств Карталинского и Кахетинского, СПб, 1786, გვ. 14

საინტერესო ცნობას გვაწვდის სპარსელი მემკვიდრე ისქანდერ მუნში. იგი მოგვითხრობს, რომ 1600-იანი წლების დამლევს (1608 წ.), სამცხის კვლავ მიტაცებისთანავე ახალციხის (ჩილდირის) გამგებლად დანიშნულ იქნა გამუსლი მანებული მესხი დიდებული, სასულთნო კარზე დაწინაურებული შაჰ იუსუფ-ფაშა¹³, რაც მიჩვენებელია იმისა, რომ რეგიონის კვლავ მიტაცებისთანავე თურქებმა ხელი მიჰყვეს აქ ოსმალური წეს-წყობილების დამკვიდრებას, მით უმეტეს, რომ უკვე არსებობდა „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი“ (1595 წ.).

1802—1815 წლებში, ოსმალ დიდებულის შერიფ-ფაშას დამარცხებისა და ახალციხიდან მისი განდევნის შემდეგ ჩილდირის ვილაიეთს განაგებდა სელიმ-ფაშა (ხიმშიაშვილი), რომელმაც თავის მემკვიდრეებთან ერთად დიდი როლი შეასრულა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის ისტორიაში 1828—1829 წლებში კი, ახალციხის მხარის საქართველოსთან შემოერთებამდე ოლქს განაგებდა ჩილდირის, შემდგომში კი ყარსის (1829—1836) ვალი (ბეგლარბეგი) აჰმედ-ფაშა ხიმშიაშვილი (სელიმის ვაჟი)¹⁴.

XVIII ს-ის მეორე ნახევარში ჩილდირის ვილაიეთის გამგებლად მოხსენიებულია მირმირანი¹⁵ ხიდირ-ფაშა¹⁶, რომელიც უნდა იყოს ამილახვართა ჩამომავალი გამუსლიმანებული ხიდირბეგიშვილთა გვარის წარმომადგენელი.

ახალციხის გამგებლები ორ და სამთულიანი ფაშები იყვნენ და ბევრი მათგანი ოსმალეთის ვეზირის სახელს ფლობდა. მავალითად, ვეზირთა საბჭოს (დივანის) წევრი იყო რუსტემ (როსტომ)-ფაშა¹⁷. რაც შეეხება სამცხე-საათაბაგოს საბოლოოდ გაუქმების შემდეგ (1625 წ.) აქ დანიშნულ პირველ ბეგლარბეგს — საფარ-ფაშას (ბექა III), იგიც სამთულიანი ფაშა იყო და ჩილდირის გამგებლად დანიშნამდე სულთან მურად IV-ის დროს უკვე სახელმწიფოში სამხედრო და სახელმწიფო მოღვაწის რეპუტაციით სარგებლობდა, — იგი ამირი და ყარსის ციხის ბეგი იყო¹⁸.

სამთულიანი ფაშა და ვეზირი იყო ისაყ-ფაშა III, მაგრამ 1730-იანი წლების დამდეგს ყიზილბაშების წინააღმდეგ წარუმატებელი მოქმედებისათვის მისთვის ჩამოუტოვებიათ ერთი თული და ვეზირობა¹⁹.

13 მ. ს. ვ ა ნ ი ძ ე. სამცხე-საათაბაგო XVII საუკუნის პირველ მესამედში, — საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, თბ., 1973, გვ. 306—307.

14 სელიმ და აჰმედ ხიმშიაშვილების შესახებ იხ.: ჯევედთის ისტორია, ტ. VIII, გვ. 358; ტ. X, გვ. 178 (ოსმალურად); У ш а к о в. История военных действий в Азиатской Турции в 1828—1829 гг., ч. I, Варшава, 1843, с. 59; 'Х. А х в л е д и а н и. Прогрессивные последствия Георгиевского трактата, Бат., 1963, с. 111—129.

15 მირმირანი — იგივე ვალი, ბეგლარბეგი.

16 გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი. თურქული ტექსტი გამოსცა, თარგმანი, გამოკლევა და კომენტარები დაურთო ს. ჯიქიამ, ტ. II, თბ., 1941, გვ. 47.

17 Д. Б а к р а д з е. Археологическое путешествие по Гурии и Адчаре, СПб, 1878, გვ. 196.

18 „სიჯილი-ოსმანი“, ტ. III, გვ. 41.

19 ვ ა ხ ლ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა — ქართლის ცხოვრება, ტ. IV, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით სიმ. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1973, გვ. 738—739.

ვეზირი იყო ისაყ-ფაშას ვაჟი — იუსუფ-ფაშა III. ჩილდირის ბეგლარბეგობამდე ყიზილბაშთა წინააღმდეგ ბრძოლაში გამოჩენილი მამაცობისათვის მას რუმელიის გამგებლის თანამდებობა მიუღია²⁰.

სამთულიანი იყო სულეიმან-ფაშაც, რომელსაც 1785 წელს ანატოლიის სერასკერობა ებოძა, მის ძეს კი — ჩილდირის ბეგლარბეგობა²¹.

ქართველები სხვა დიდ პროვინციებსაც ხელმძღვანელობდნენ.

1580-იანი წლების დამდეგს თბილისის ბეგლარბეგად იუსუფ-ფაშას სახელით დაინიშნა „საქართველოს ბეგებიდან ყველაზე უფრო გამჭრიახი“, ბაგრატიონთა საგვარეულოს გამუსლიმანებული წარმომადგენელი გიორგი ბეგი²².

XVII ს-ის 10—40-იანი წლების ცნობილი სამხედრო და სახელმწიფო მოღვაწე იყო მურთაზა-ფაშა. 1617—1635 წლებში იგი ჩილდირის ბეგი იყო და აქტიურ მონაწილეობას ლეზილობდა ირანის წინააღმდეგ ბრძოლაში, მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღოდა ახალციხისა და ერევნის ყიზილბაშთაგან დაცვაში. 1635 წელს ტყვედ ჩაუვარდა ირანელებს, მაგრამ მცირე ხნის შემდეგ თავი დააღწია პატიმრობას. იგი ოსმალეთის ლაშქრის სილაჰდარად²³, შემდეგ კი კვლავ სანჯაყ-ბეგად დაინიშნა. მურთაზა-ფაშა გარდაიცვალა დაახლ. 1647/48 წელს²⁴.

აღსანიშნავია გურჯი მეჰმედ-ფაშა I-ის ძმის აბაზა მეჰმედ-ფაშას მოღვაწეობა. 1617—1618 წლებში იგი მარაშისა და ალეპოს ბეგლარბეგი იყო. 1620 წელს ვეზირად და არზრუმის გამგებლად დაინიშნა. იგი მეტად ნიჭიერი, გამჭრიახი და ენერგიული მოღვაწეობითა და არზრუმის გამგებლობის ხანაში სულთნის ხელისუფლების საწინააღმდეგო, სეპარატისტული პოლიტიკით გამოირჩეოდა. 1625—1628 წლებში იგი აუჯანყდა ხელისუფლებას, ხელთ იგდო ახალციხე და ამდენად, მოახერხა უზარმაზარ ტერიტორიაზე გაბატონება. აბაზა-ფაშამ ირანის მმართველ წრეებთანაც კი დაამყარა კავშირი. მისი წინააღმდეგობა იმდენად ძლიერი აღმოჩნდა, რომ ამბოხების ჩასახშობად თვით იმპერიის დიდვეზირი ხალილ-ფაშა გამოგზავნეს. 1628 წელს ამ უკანასკნელმა დიდი გაჭირვებით მოახერხა აბაზას დამარცხება. ამ ლაშქრობაში აქტიურად მო-

²⁰ ნ. შენგელია, XV—XIX საუკუნეების საქართველოს ისტორიის ოსმალური წყაროები, თბ., 1974, გვ. 215—216.

²¹ О. П. Маркова, Россия, Закавказье и международные отношения в XVIII веке, М., 1966, с. 109—110.

²² იბრაჰიმ ფეჩევის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ. ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა, შესავალი და შენიშვნები დურთო ს. ჭიქამ, თბ., 1964, გვ. 51; B. K ü t ü k ö ğ l ü. Osmanlı — İran Siyasi Münasebetleri (1578—1590), İstanbul, 1962, გვ. 107.

²³ სილაჰდარი, იგივე სილაჰდარ-აღა — „საქურველმტვირთველი“, სულთნის სასახლეში ხასოლა-ბაშის შემდეგ უმოთვრესი მოხელე. მას ებარა სულთნის ყველა სახის იარაღი. გარდა ამისა, იგი იყო ცხენოსანი ჯარის მეორე ბოლქვის მეთაური (იხ.: მუსტაფა ნაიმას ცნობები, გვ. 261).

²⁴ მურთაზა-ფაშას შესახებ იხ.: „სიჯილი-ოსმანი“, ტ. IV, გვ. 360; I. H. D a n t ş m e n d, İzahlı, Osmanlı tarihi kronolojisi, с. III, İstanbul, 1961, გვ. 25; M. Cezar, M. Sertoğlu, Mufassal Osmanlı tarihi, с. IV, İstanbul, 1956, გვ. 1801—1802).

ნაწილებდნენ გურჯი მეჰმედ-ფაშა II და გურჯი მეჰმედ-ბეგი (გიორგი სააკაძე).

ნ. შენგელია შეცდომით აღნიშნავს, რომ იმავე წელს აბაზა-ფაშა სიკვლით დასაჯეს²⁵. სინამდვილეში დიდვეზირის მიერ არზრუმის დამორჩილებისთანავე ხალილ-ფაშას ეახლა აბაზა, პატიება სთხოვა და მორჩილება აღუთქვა. დიდვეზირამაც პატივით მიიღო იგი და თანმხლებ პირებთან ერთად საპატიო ხალათი უბოძა. ამის შემდეგ აბაზა მეჰმედ-ფაშა ბოსნიის ბეგლარბეგად დანიშნეს²⁶.

სიცოცხლის უკანასკნელი წლები ოსმალეთში გაატარა და მალაქ პოსტებს ფლობდა გამოჩენილი ქართველი მხედართმთავარი და პოლიტიკური მოღვაწე, „დიდმოურავად“ წოდებული გიორგი სააკაძე. იგი ჯერ ანატოლიის ერთ-ერთი სანჯაყის ბეგი, შემდეგ კი ფაშის ტიტულით ყარამანის ბეგი იყო. გ. სააკაძე ოსმალეთში 1627 წლის სექტემბერში ჩავიდა შეილთან და ორმოცდაათკაციან ამაღასთან ერთად. იგი დიდი პატივით მიიღო ხალილ-ფაშამ. სააკაძემ აქტიური მონაწილეობა მიიღო ყიზილბაშების და აბაზა-ფაშას წინააღმდეგ ბრძოლებში. მის ესოდენ სწრაფ დაწინაურებას შურით შეხვდა დიდებულითა ერთი ნაწილი ანატოლიის ბეგლარბეგის ზორ-ფაშას მოთავეობით. სულთნისა და დიდვეზირისგან ფარულად მან ხუსრევ-ფაშასთან ერთად დაატყვევა მოურავი, მისი ძე და ამაღა. 1629 წლის დამლევს ისინი ვერაგულად გამოასალმეს სიცოცხლეს²⁷.

1650-იან წლებში იანიჩართა აღას²⁸ და ოსმალეთის იმპერიის ვეზირის თანამდებობა ეკავა გურჯი ჰუსეინ-ფაშას²⁹.

1660-იან წლებში თემეშვარის გამგებელი იყო გურჯი იბრაჰიმ-ფაშა³⁰.

XVIII ს-ის უკანასკნელი მეოთხედის ცნობილი სამხედრო და პოლიტიკური მოღვაწე იყო ჰაჯი ალი-ფაშა, ოსმალეთში დაწინაურებული ქართული წარმომავლობის დიდებული, რომელიც, როგორც რიგი დოკუმენტებისა გვამცნობს, ფარულად ქრისტიანობა კიდევ³¹. იგი სხვადასხვა დროს იყო ტრაპიზონისა და არზრუმის (ერზერუმის) ვილაიეთების გამგებელი, ანატოლიის სერასკერი (სარდალ), ფლობდა ვეზირის სახელოს. გამოირჩეოდა საქართველოსადმი კეთილგანწყობით³².

²⁵ მუსტაფა ნაიფის ცნობები, გვ. 269.

²⁶ „სიჯილი-ოსმანი“, ტ. IV, გვ. 156; I. H. Danişmend. *Izahlı Osmanlı tarihi kronolojisi*, c. III, İstanbul, 1961, გვ. 331—339.

²⁷ ჭათბი ჩელების ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ. თურქულიდან თარგმანა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო გ. აღსანიამ, თბ., 1978, გვ. 227—229, 232, 234—235; ს. ჯიქია, ცნობა დიდი მოურავის უკანასკნელი დღეების შესახებ ოსმალეთში, — ენციკლის მოამბე, ტ. XIII, თბ., 1941.

²⁸ იანიჩართა აღა-იანიჩართა („იანიჩარი“ — ახალი ჯარი) კორპუსის მეთაური. იანიჩართა კორპუსი წარმოადგენდა ოსმალეთის ჯარის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ქვედანაყოფს, რეგულარულ ნაწილს, რომლის შეესება ზღვებდა ტყვე ქრისტიანებით. იანიჩართა აღა იყო ერთთულიანი გენერალი (ფაშა) (იხ. ნ. შენგელია, ოსმალური დოკუმენტები ანაკლიისა და არუხის ციხეების შესახებ, თბ., 1982, გვ. 160; გ. ტივაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 259).

²⁹ I. H. Uzunçarşılı, *Osmanlı tarihi*, c. III, I Bölüm, Ankara, 1951, გვ. 313-30 ივე, გვ. 522.

³¹ П. Бутков, *Материалы для новой истории Кавказа с 1722 по 1803 год*, ч. I, СПб, 1869, გვ. 227.

1749—1831 წლებში ერაყს მართავდა ქართველ „ქულემენთა“ დინასტიის 6 წარმომადგენელი. XVIII ს-ის 40-იანი წლების შუა ხანებში, ბასრის, ბაღდადის, შაჰრიზორისა და მოსულის ვილაიეთების ერთ მთლიან ერაყის (ბაღდადის) საბეგლარბეგოდ, ოსმალეთის ერთ-ერთ უდიდეს პროვინციად გავრთიანების შემდეგ ქვეყნის პირველი გამგებელი სწორედ ქართველი იყო, — სულეიმან-ფაშა მიზრაკ-ლი (აბუ ლილი. 1749—1762). აქ უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ხსენებული ოლქის ყველა ქართველი მმართველი სამთლიანი ფაშის ტიტულსა და ოსმალეთის იმპერიის ვეზირის სახელის ფლობდა³³.

სულეიმან-ფაშას გარდა ერაყის გამგებლობა წილად ხვდათ ქართველ ქულემენებს: სულეიმან-ფაშა ბუიუქის (1780-1802), ჰაფიზ ალი-ფაშას (1802—1807), სულეიმან-ფაშა ქუჩუქის (1807—1810), საიდ-ფაშა ასადს (1812—1815) და ამ დინასტიის უკანასკნელ წარმომადგენელს დაუდ-ფაშა გურჯის (მანველაშვილი. 1815—1831). მათგან დიდების მწვერვალს მიაღწია სწორედ დაუდ-ფაშამ. აღსანიშნავია, რომ იგი ხალიფას ტიტულს ფლობდა. 1830 წელს იგი აუჯანყდა ოსმალეთის ხელისუფლებას, მაგრამ მომდევნო წელს მარცხი განიცადა. დაუდ-ფაშამ დიდად შეუწყო ხელი ერაყის წინსვლა-განვითარებას, განმანთავისუფლებელი მოძრაობის ჩასახვას, ქვეყნის კულტურულ აყვავებას. სწორედ ამიტომ იგი ერაყის ყველა დროის ერთ-ერთ უდიდეს სახელმწიფო მოღვაწედ არის აღიარებული. 1834—1836 წლებში იგი ბოსნიის ბეგლარბეგი იყო, 1838—1839 წლებში კი — ოსმალეთის იმპერიის სახელმწიფო საბჭოს, — დივანის თავმჯდომარე. ამის შემდეგ, 1841 წლამდე ანკარის ვილაიეთს განაგებდა. 1846 წელს დაუდი მუჰამედ წინასწარმეტყველის აკლამის ზედა-მხედველად, — შეიხ ულ-ჰარამად დაინიშნა მედინაში. დაუდ-ფაშა გურჯი გარდაიცვალა 1851 წელს. განისვენებს იგი მუსლიმანთა წმინდა ქალაქ მედინაში, მართლმორწმუნე ხალიფა ოსმანის აკლამის გვერდით³⁴.

ამდენად, ამ მიმოხილვიდან ნათლად ჩანს, რომ ქართული წარმოშობის დიდებულები მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ XVI—XIX საუკუნეთა ოსმალეთის იმპერიის პოლიტიკურ ცხოვრებაში. სამწუხაროდ, ცალკეული გამოცემების გარდა ქართულ ისტორიოგრაფიაში ეს საკითხი შეტად ზედაპირულად არის გაშუქებული (ამ მხრივ აღსანიშნავია ბ. სილაგაძის, გ. ბეი-მამიკონიანის, ვ. ჩოჩიევის და სხვათა დამსახურება). ამ საკითხის საფუძვლიანი შესწავლით შესაძლებელი გახდება არაერთი საკითხის გარკვევა საქართველო-ოსმალეთის ურთიერთობათა ისტორიისა.

³² „სიკილი-ოსმანი“, ტ. II; დ. ჯანელიძე, ბ. სილაგაძე, ქართველი მამულეები ეგვიპტესა და ერაყში, თბ., 1967, გვ. 87; Джевет-паша, Описание события в Грузии и Черкесии по отношению к Оттоманской Империи от 1192 года по 1202 г. хиджры (1775—1784). „Русский Архив“, М., 1888, გვ. 375—376.

³³ А. А. Д а м о в, Ирак арабский, СПб, 1912, гв. 66—67.

³⁴ გ. ბეი-მამიკონიანი. ქართველ მამულეთა მბრძანებლობა ერაყში, XVIII—XIX საუკუნეებში. — საქ. სსრ მეცნიერებათა აკად. მოამბე, ტ. V, № 7, 1944; ბ. სილაგაძე. ერაყი მამულეების გამგებლობის ხანაში, თბ., 1978; Хусрев Ибн Мухаммад Бани Ардалан, Хроника, перевод, введение и примечания Е. И. Васильевой, М., 1984.

Л. З. УРУШАДЗЕ

ДЕЯТЕЛИ ГРУЗИНСКОГО ПРОИСХОЖДЕНИЯ В ОСМАНСКОЙ ИМПЕРИИ (XVI—XIX ВВ).

Резюме

На основе данных османских письменных исторических источников и современной турецкой историографии (работы И. Узунчаршылы, И. Данышменда, Б. Кютюкоглу, Ф. Дерина, М. Джебара, М. Сертоглу и др.) в статье рассматривается деятельность некоторых высокопоставленных сановников грузинского происхождения в Османском государстве. Показано, что отдавая все свои силы и талант служению Османской империи, они сыграли значительную роль во внутренней и внешней политической жизни турецкого государства на протяжении XVI—XIX веков.

წარმოადგენს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის
ინსტიტუტმა

გენიათის სილაგაჲ

იაჰია ანტიოქიელის ცნობების გაგება-შეფასების საკითხი
ქართულ ისტორიოგრაფიაში

აბუ ლ-ფარაჲ იაჰია იბნ სა'იდ იბნ იაჰია ალ-ანტაჲი (მოკლედ იაჰია ანტიოქიელი) დაიბადა 973 წელს ეგვიპტეში, იყო მართლმორწმუნე ქრისტიანი, პროფესიით ექიმი. 1013 წელს ხელისუფლებისაგან დევნილი ბიზანტიის სამფლობელო ქ. ანტიოქიაში გადასახლდა და იქვე გარდაიცვალა 1066 წელს.

მიუხედავად იმისა, რომ იაჰია საკმაოდ ცნობილი ექიმი იყო და ძირითადად მედიცინით იყო დაინტერესებული, ამას ხელი არ შეუშლია მისთვის დაეწერა ისტორიული ხასიათის თხზულება, რომელსაც „იაჰია იბნ სა'იდ ანტაჲის მიერ სა'იდ იბნ ბატრიკის ქრონიკის² გაგრძელება“³ (მოკლედ „თარნ აზ-ზაილი“) ეწოდება. ეს თხზულება სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში მსოფლიო ისტორიის ტიპის ნაშრომადაა მიჩნეული⁴. სინამდვილეში კი მასში აღწუსებულია მხოლოდ ის ამბები და მოვლენები, რაც X—XI საუკუნეებში ხდებოდა სირია-მესოპოტამიაში, ეგვიპტესა და ბიზანტიაში. კერძოდ, ვრცელი ადგილი აქვს დათმობილი ხალიფებს, ალექსანდრიის, იერუსალიმისა და კონსტანტინოპოლის პატრიარქებს, სირია-ეგვიპტის ქრისტიანებსა და მათი ეკლესიების მდგომარეობის აღწერას, ბიზანტიის ომებს ბალკანეთსა და სომხეთსაქართველოში.

„თარნ აზ-ზაილი“ — დაწერილია კეთილსინდისიერად, ამბის მომსწრე თვითმხილველის მიერ. ამდენად, მისი „სახით ჩვენ საქმე გვაქვს პირველხარისხოვან არაბულ წყაროსთან“⁵.

„თარნ აზ-ზაილი“-მა მუსლიმურ აღმოსავლეთში იმთავითვე მიიპყრო ყურადღება. ევროპაში კი მისი არსებობა მხოლოდ XVII-ს-ში გახდა ცნობილი ე. პოკოკის, ჰერბელოს, ლ. ლეკლერკისა და ი. ასემანის მეშვეობით⁶. რაც შეეხება მის მეცნიერულ შესწავლას, ის XIX საუკუნის 40-იანი წლებიდან იწყე-

¹ სა'იდ იბნ ბატრიკად ავტორი გულისხმობს ალექსანდრიის პატრიარქს ივტიხის.

² სა'იდ იბნ ბატრიკის ქრონიკას ეწოდება „ნაზმ ალ-ჯაჲაჲირი“ („ძვირფასი ქვების ძაფები“).

³ تاريخ الذيل الذى صنفه يحيى بن سعيد بن يحيى الانطاكى تبعاً لتاريخ سعيد بن بطريق.

⁴ Энциклопедический словарь, т. XII, СПб., 1904, гл. 857.

⁵ А. А. Васильев, Византия и арабы. Политические отношения Византии и арабов за время македонской династии, СПб., 1902, часть II, приложение, гл. 58, 61.

⁶ Contextio Gemmarum Eutychiei Patriarch Alexand. Annales etc. interprete E. Pocockio, Oxan, 1658; Herbelot de Malaville, Barthemi; Bibliothque Orientale...; L. Leclerc, Histoire de la médecine arabes. Paris, 1876, t. I, гл. 405; Josef Assemani, Bibliotheca Orientalis Clementino — Vaticana, t. II, Roma, 1721, гл. 393.

ბა და ამ საქმის მოთავენი იყვნენ ჰასლერი, მ. ამარი და გ. ფრეიტაგი⁷. მაგრამ არ შეეცდებით თუ ვიტყვით, რომ არავის იმდენი დრო და ენერგია არ დაუხარჯავს იაპიას ისტორიული თხზულების შესასწავლად, რამდენიც ვ. როზენმა (1849—1908) მოახმარა ამ კეთილშობილურ საქმეს. როგორც თვით ვ. როზენი აღნიშნავს, 1897 წელს პარიზის ეროვნული ბიბლიოთეკის არაბულ ხელნაწერთა კატალოგში ის შემთხვევით წააწყდა „თარახ აზ-ზაჰლ“-ს და მაშინვე შეუდგა მის გადაწერას, რათა სათანადო კვლევითი სამუშაოების ჩატარების შემდეგ გამოეცა თხზულების სრული ტექსტი და მისი რუსული თარგმანი. ხანგრძლივი მუშაობის შედეგად მან ეს საქმე წარმატებით დაასრულა. ერთმანეთს შეუდარა „თარახ აზ-ზაჰლ“-ს მისთვის ცნობილი ხელნაწერები, დაადგინა თხზულების სრული ტექსტი და მთლიანად თარგმნა რუსულ ენაზე, ოღონდ მისი გამოქვეყნება ვეღარ მოასწრო⁸. 1883 წელს დაბეჭდა თხზულების მხოლოდ ის ნაწილი, რომელიც თითქმის მთლიანად ეხება ბიზანტიის საშინაო და სავაზრო ვითარებას იმპერატორ ბასილ II-ის (976—1025) ხანაში⁹. ეს ხანა კი შფოთიანი იყო იმპერიისათვის. ბალკანეთში არ წყდებოდა ომები თავისუფლებისათვის მებრძოლი ბულგარელი ხალხის წინააღმდეგ. გრძელდებოდა მწვევე კონფლიქტური ვითარება ქვეყნის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილშიც, სადაც ორი ძალა მოქმედებდა: მუსლიმური სასულთნო-სამამრობები და ჯერ კიდევ იმპერატორ იოანე I ციმისხის (დაახლ. 925—976) დროს დაწყებული მძლავრი ანტისამთავრობო აჯანყებები ფოკა ბარდასა და სკლიაროსის (სკლეროსის) მეთაურობით. ამ საერთო არეულობაში დრო და დრო, ხან აჯანყებულთა წინააღმდეგ, ხან კი მათ მხარეზე გამოდიოდნენ საქართველოს დამოუკიდებლობა-გაერთიანებისა და მისი საზღვრების გასაფართოებლად მებრძოლი ქართველი პოლიტიკური მოღვაწენი, ტაოს მფლობელი დავით III დიდი კურაპალატი (+1000 წელს), გიორგი I (1001—27) და ბაგრატ IV (1013—1072), რომლებიც ასეთი მოქმედებისათვის ზოგჯერ იმპერატორის დიდ პატივს იმსახურებდნენ, ზოგჯერ კი მკაცრად ისჯებოდნენ.

იაპიას ეს ცნობები საქართველოს შესახებ ქართულ ისტორიოგრაფიაში ვ. როზენის გამოცემის მიხედვითაა ცნობილი. მათ კარგად იცნობდნენ და იცნობენ ივ. ჯავახიშვილი¹⁰, ს. ჯანაშია¹¹, ს. ყაუხჩიშვილი¹², ვ. გაბაშვილი¹³.

⁷ об. Verhandlungen der ersten Versammlung deutscher und ausländischer Orientalisten in Dresden 1844, Leipzig, W. Engelmann, 1845, გვ. 55; M. Amari, Storia dei Musulmani di Sicilia, 1854, tt. I—II; G. W. Freytag, Geschichte der Dynastien der Hamdaniden in Mosul und Aleppo.

⁸ „თარახ აზ-ზაჰლ“-ს სრული რუსული თარგმანი ამჟამად ინახება სსრ კავშირის მეცნ. აკად. არქივში (М. Ю. Рощин). Люди писания в государственной структуре фатимидского Египта. об. Сб. Государственная власть и общественно-политические структуры в арабских странах“, М., 1984, გვ. 17; ვ. ჯ ა ვ ა რ ი ძ ე, ერთი ტომონიშის შესახებ იაპია ანტიოქიელის „ისტორიაში“, „მაცნე“, ისტორიის, სერია I, 1986, გვ. 83.

⁹ ნაშრომის სათაურია: „Император Василий Болгаробойца“, извлечения из летописи Яхьи Антиохинского. Издал, перевел и объяснил В. Р. Розен, СПб., 1883.

¹⁰ ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, თხზულებანი ტ. II, თბ., 1983, გვ. 130, 134—135.

¹¹ С. Джанашиа. Об одном примере искажения исторической правды, по поводу книги Н. Токарского, Архитектура древней Армении, Тб., 1947, გვ. 29.

¹² ს. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი, „გეორგია“, ტ. V, 1963, გვ. 51.

¹³ ვ. გაბაშვილი, საქართველო-ეგვიპტის ურთიერთობის ისტორიიდან (XI—XII სს.), თსუ შრომები, ტ. 125, თბ., 1965, გვ. 55—81.



მ. ლორთქიფანიძე¹⁴, ვ. კობალიანი¹⁵, ნ. ლომოური¹⁶, მ. ბერძნიშვილი¹⁷,
ო. ცქიტიშვილი¹⁸, შ. ბადრიძე¹⁹, გ. ჯაფარიძე²⁰ ამ სტრიქონების ავტორი²¹ და
სხვები.

გ. ჯაფარიძის მიხედვით, იაპია ანტიოქიელის ჩვენებები, საქართველოს
რომ ეხებათ, არა მარტო ფართოდაა ცნობილი და გამოყენებული ქართველ
მკვლევართა მიერ, „სათანადოდაც არის შესწავლილი და შეფასებული²². სინამ-
დვილემო კი, ვფიქრობთ, საქმე მთლად ასე არ არის. ფართოდ გამოყენება
სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ, რასაც ვიყენებთ მას სათანადოდ ვაფასებთ.
ცნობის სათანადო ანუ სწორი შეფასება მაშინაა შესაძლებელი თუ მისი შინა-
არსი გასაგებია და იგი სხვა სარწმუნო (თანამედროვე) წყაროთა მონაცემებით
დასტურდება ან ბათილდება.

თუ იაპიას ცნობებს საქართველოს შესახებ ამ საზომით მივუდგებით, დავრ-
წმუნდებით, რომ ზოგიერთ საკითხში ზემოთ დასახელებულ ქართველ მკვლევ-
ართა შორისაც კი არაა აზრთა ერთიანობა.

როგორც იაპია იტყობინება, 987 წლის სექტემბერში ბიზანტიის იმპე-
რატორის ბასილ II ბულგარეთშემუსვრელის წინააღმდეგ აჯანყებული ბარდა
ფოკა და მისი დამხმარე ტაოს მფლობელი მეფე დავით III დამარცხდნენ, გან-
რისხებულმა იმპერატორმა დავით ქართველთა მეფის დასასჯელად დიდი ჯა-
რი გაგზავნა, ეს რომ დავითმა შეიტყო, „ბატიება... ითხოვა“, ბასილს მორჩი-
ლება აღუთქვა და ამას გარდა იმასაც შეპირდა, რომ „როცა მოკვდებოდა მი-
სი სამფლობელო სახელმწიფოს შეერთებოდა“²³.

ს. ჯანაშიას და შ. ბადრიძის დაკვირვებით, დავითის სამფლობელო უნდა
ყოფილიყო მხოლოდ ის მიწები, რომლებიც იმპერატორმა უბოძა მას სკლია-
როსის აჯანყების ჩასახშობად გაწეული დახმარებისათვის²⁴. ივ. ჯავახიშვილისა
და ვ. კობალიანის მტკიცებიდან კი ჩანს, რომ შეუძლებელია დავითის დასას-
ჯელად წამოსული იმპერატორი იმ ზომით დაკმაყოფილებულიყო, რასაც ს. ჯა-

¹⁴ მ. ლორთქიფანიძე, ტაო-კლარჯეთი („ქართველთა სამეფო“), „საქართველოს
ისტორიის ნარკვევები“, II, თბ., 1973, გვ. 479—481; მისივე, საქართველოს შინაპოლიტიკუ-
რი და საგარეო ვითარება X ს-ის 80-იანი წლებიდან XI ს-ის 80-იან წლებამდე. საქართველოს
ისტორიის ნარკვევები, III, თბ., 1979, გვ. 174—179.

¹⁵ ვ. კობალიანი, საქართველოსა და ბიზანტიის პოლიტიკური ურთიერთობა 970—
—1070 წლებში, თბ., 1969, გვ. 7, 29—31, 36, 52—53 და შმდ.

¹⁶ Н. Ломоури, К истории восстания Варды Склира, тшუ „შრომები, ტ. 67, თბ.,
1957, გვ. 36—40.

¹⁷ მ. ბერძნიშვილი, ისტორიულ-გეოგრაფიული მიმოხილვა, საქართველოს ისტო-
რიის ნარკვევები, III, გვ. 64.

¹⁸ თ. ცქიტიშვილი, მასალები საქართველოს საგარეო პოლიტიკის ისტორიისათვის
გიორგი I-ის მეფობის ხანაში. — „მაცნე“, ისტორიის, სერია, თბ., 1968, №4, გვ. 115—133.

¹⁹ შ. ბადრიძე, საქართველოს ურთიერთობები ბიზანტიასა და დასავლეთ ევროპას-
თან, თბ., 1984, გვ. 57—73.

²⁰ გ. ჯაფარიძე, დსახ. ნაშრომი, გვ. 83—87.

²¹ ბ. სილაგაძე, იაპია ანტიოქიელის ცნობები საქართველო-ბიზანტიის ურთიერთო-
ბის შესახებ X ს-ის ბოლო მეოთხედსა და XI ს-ის პირველ მეოთხედში, ქართული წყაროთ-
მცოდნეობა, VI, თბ., 1985, გვ. 108—126.

²² გ. ჯაფარიძე, დსახ. ნაშრომი, გვ. 84.

²³ В. Р. Розен, დსახ. ნაშრომი, გვ. 27.

²⁴ ს. ჯანაშია, დსახ. ნაშრომი, გვ. 29; შ. ბადრიძე, დსახ. ნაშრომი, გვ. 71.

ნაშია და შ. ბაღრიძე გვთავაზობენ, რადგან მათი კონცეპციით ფაქტობრივად, დავითი დაუსჯელი რჩებოდა იმ აუცილებელი ვარემოების გამო, რომ გაწეული სამსახურისათვის იმპერატორისაგან მიღებული ადგილები („ზემონი ქვეყანანი“) დავითის გარდაცვალების შემდეგ ისედაც უნდა დაბრუნებოდა იმპერიას სათანადო გარიგების თანახმად²⁵. ასეთივე აზრისაა ა. ბოგვერაძეც²⁶.

როგორც ვხედავთ, ქართველ მკვლევართა აზრთა სხვაობა არაბი მწერლის ამ პატარა ცნობასთან დაკავშირებით, თვალში საცემია. მიზეზი ამისა კი ის არის, რომ იპიას ცნობა „სათანადოდ არაა შესწავლილი და შეფასებული“. თორემ გაუგებარი, სადავო და სამკითხაო მასში ნამდვილად არაფერია, რადგან მემკვიდრე ხომ პირდაპირ იუწყება, „ჩაიბარა იმპერატორმა ქართველის ყველა ქვეყანა და მათ გამგებლად ბიზანტიელი მიუჩინა“-²⁷.

იპიას ცნობით, ბასილ II-მ მოიწონა დავითის პირობა გარდაცვალების შემდეგ მთელი მისი ქვეყნის გადაცემის შესახებ და მას „კურაპალატობა უბოძა“²⁸, მაგრამ როდის მოხდა მისი გაკურაპალატება? ს. ჯანაშიას, შ. მესხიას, ნ. ასათიანის, ე. ხოშტარიასა და ვ. სტეპანენკოს თანახმად, დავით III-ს კურაპალატობა უნდა მიეღო აჯანყებული ბარდა სკლიაროსის წინააღმდეგ ბრძოლაში დახმარების გამო 979 წელს²⁹. ნ. ლომოურს კი მიაჩნია, რომ ეს პატივი დავითმა მიიღო 978 წლამდე³⁰. კ. თუმანოვის, ე. დიოლგერისა და კ. იუზბაშიანის ვარაუდით, დავითისათვის კურაპალატობა 990 წელს მიუციათ³¹. ხოლო კ. კეკელიძე აღნიშნავს, რომ დავითი ჯერ კიდევ 961 წელს გახდა კურაპალატი³².

შეიძლებოდა ამ სისისათვის სხვა გვარებიც მიგვემატებინა, მაგრამ ისედაც ჩანს, რომ დავითის გაკურაპალატების საკითხიც ვერაა მკვლევართა მიერ

²⁵ ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი, II, გვ. 129; ვ. კობალიანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 67.

²⁶ ა. ბოგვერაძე, გურგენი (ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, 3, თბ., 1978); მისივე, დავით III კურაპალატის მემკვიდრეობა (იქვე).

²⁷ **وتسّم الملك سائر بلد الجزر و ولى عليها روم من قبله** (B. P. Розен, დასახ. ნაშრომი, არაბ. ტექსტი. გვ. 34, თარგმანი, გვ. 41) შ. ბაღრიძე, უნდობლობას უცხადებს ამ ცნობას, მაგრამ ის რაც მის ვასაბათილებლად მოაქვს, სწორედ იპიას სასარგებლოდ ლაპარაკობს (შ. ბაღრიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 68—70).

²⁸ B. P. Розен, დასახ. ნაშრომი, გვ. 27.

²⁹ С. Джанашия, დასახ. ნაშრომი, გვ. 75; Ш. А. Месхиа, Н. Асатиани, Э. Хоштария, Некоторые замечания по второму тому „История Византии“, VI., 1969. გვ. 179—180; В. П. Степаненко, Алахуник Таосско-византийских отношениях в период мятежа Варды Склира (976—979), АДСВ, 10, Свердловск, 1973, გვ. 221—224; მისივე, К датировке получения сана Куропалата Давидом II (ოსტუ შრომები, თბ., 1982, ტ. 227, ისტ. ხელნაწებთანმცოდნეობის და ეთნოგრ. სერია).

³⁰ Н. Ломоур, დასახ. ნაშრომი, გვ. 29, 37.

³¹ С. Тоштанов, The Bagratids of Iberia from the eight to the eleventh century. Le Museon 73, 1—2, 1961, 39 Stemma № 55; E. Dölger, Regesten der Kaiserurkunden des Oströmischen Reiches von 565 bis 1451, I, München, 1924, 99, № 780; К. Н. Юзбашян, Армянские государства эпохи Багратидов и Византия, IX—XI вв., М., 1988, გვ. 139.

³² კ. კეკელიძე, ორი ექვთიმე ძველ ქართულ მწერლობაში (ქართ. ლიტ. ისტორიიდან, ტ. IV, თბ., 1957, გვ. 92). იხ. აგრეთვე შ. ბაღრიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 62.

„სათანადოდ შესწავლილ-შეფასებული“ და საბოლოოდ გადაწყვეტილი. არადა იაპია ანტიოქელის ისტორიულ თხზულებაში ამომწურავი პასუხია გაცემული ამ კითხვებზეც. მისი ცნობით, ბარდა ფოკას აჯანყება დაიწყო 377 წლის ჯუმა-და I თვეში ჰიჯრით³³ ანუ 987 წლის სექტემბერში ქრისტიანული კალენდრით და დამთავრდა ერთ წელიწადსა და 7 თვეში³⁴. 379 წლის მუჰარამის თვის სამ რიცხვში ჰიჯრით, ე. ი. 989 წლის 13 აპრილს ქრისტიანული წელთაღრიცხვით, ფოკას თავი მოჰკვეთეს³⁵ და იმპერატორს მიართვეს. აჯანყება ჩაშობილი იქნა, რითაც ისარგებლა ბასილ II-მ და, როგორც ზემოთ იყო ნაჩვენები, იგი მაშინვე ფოკას მოკავშირე დავით ტაოელის დასასჯელად დაიძრა. თავის ვადარჩენის მიზნით, დავითმა იმპერატორს თავისი სახელო დაუთმო და მისგან სანაცვლოდ იმავე წელს კურაპალატობა მიიღო³⁶.

ამ პატივის მიღების შემდეგ დავითმა კიდევ კარგა ხანს იცოცხლა და შემდეგ გარდაიცვალა. მაგრამ მისი გარდაცვალების თარიღის შესახებაც არაა მკვლევართა აზრთა თანხმობა. XI ს-ის II ნახევრის ქართველი ანონიმი ავტორის თხზულებაში მითითებულია, რომ დავით დიდი კურაპალატი გარდაიცვალა „ქორნიკონსა სკა“³⁷, ე. ი. 1001 წელს. ამ თარიღს იმეორებენ ვახუშტი ბაგრატიონი, ივ. ჯავახიშვილი, ნ. ბერძენიშვილი, პ. ინგოროყვა, ზ. ანჩაბაძე, მ. ლორთქიფანიძე³⁸ და სხვები. ხოლო კ. თუმანოვი, შ. ბაღრიძე და კ. იუზბაშაიანი აღნიშნავენ, რომ დავით კურაპალატი გარდაიცვალა არა 1001 წელს, არამედ ოდნავ ადრე — 1000 წელს³⁹, რაც დასტურდება როგორც იაპიას, ისე ასოლოკის ცნობებითაც.

³³ و كاشف برذس الفقاس بالعصيان... من جمادى الاول سنة سبع و سبعين و ثلثمائة (B. P. Розен, დასახ. ნაშრომი, არაბული ტექსტი, გვ. 21).

³⁴ و كان مدة عصيانه سنة واحدة و سبعة اشهر (B. P. Розен, დასახ. ნაშრომი, არაბ. ტექსტი, გვ. 25).

³⁵ و ظفروا بالفقاس و قتل... المحرم سنة تسع و سبعين و ثلثمائة... وحمل راسه الى القسطنطينية (B. P. Розен, დასახ. ნაშრომი, არაბ. ტექსტი, გვ. 25).

³⁶ შ. ბაღრიძე კი თვლის, რომ ეს იყო დავითის ხელახალი გაკურაპალატება (შ. ბაღრიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 68), რასაც დასაბუთება უნდა. როდის ჩამოერთვა მას კურაპალატობა?

³⁷ შიტანე ქართლისა (ქართლის ცხოვრება, I, თბ., 1955, გვ. 266—271).

³⁸ ქართლის ცხოვრება, IV, თბ., 1973, გვ. 140; ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი, II, გვ. 128; ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ერთიანი ფეოდალური სახელმწიფოს წარმოქმნა (ნ. ბერძენიშვილი, ვ. დონდუა, შ. დუმბაძე, გ. მელიქიშვილი, შ. მესხია, პ. რატიანი, საქართველოს ისტორია I, თბ., 1958, გვ. 141); პ. ინგოროყვა, ვიორგი მერჩულე, თბ., 1954, გვ. 526; ზ. ანჩაბაძე, ეპოქის ზოგადი დახასიათება (საქართველოს ისტორიის ნარკვევები, III, გვ. 7); მ. ლორთქიფანიძე, საქართველოს შინაპოლიტიკური და საგარეო ვითარება X ს-ის 80-იანი წლებიდან XI ს-ის, 80-იან წლებამდე (საქ. ისტორიის ნარკვევები, III, გვ. 158; მისივე, დავით დიდი კურაპალატი (ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, III, თბ., 1978).

³⁹ შ. ბაღრიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 57; К. Н. Юзбашия, Аристакес Ластивертци и его исторический труд, წიგნი: „Повествование Вардапета Аристакеса Ластивертца“, М., 1968, გვ. 21—23; С. Гуманов, The Bagratids of Iberia from the eighth to the Eleventh century („Le Museon“, t. LXXIV, 1—2, 1961, გვ. 40).

იაპიას გადმოცემით 999 (389) წელს ბასილ II მუსლიმური ქვეყნების დასალაშქრავად გაემართა. 20 სექტემბერს ჯისრ ალ-ჰადიდს მიადგა, 28 ოქტომბერს ზანგრძლივი ალყის შემდეგ დაეუფლა შაიზარს, აგრეთვე ჰისნ აბუ კუბაისს, ჰისნ მასიატს, რაფანიუსს და ჰიმსს; 6 დეკემბერს ტრიპოლს მიადგა, მაგრამ 13 დეკემბერს იქ დამარცხდა და 17 დეკემბერს ანტიოქიისაკენ დაიხია. — ამასობაში, ამბობს მემატიანე — „გავიდა ორი თვე ერთი დღით ნაკლები“⁴⁰.

შემდეგ ბასილმა 6 თვე დაჰყო მასისსა და ტარსუსში იმ განზრახვით, რომ კვლავ დაბრუნებულიყო ისლამის ქვეყნებში მათ დასალაშქრავად, მაგრამ ამ დროს შეიტყო, რომ ქალაქ ტაოს ქართველთა მეფე დავით კურაპალატი გარდაცვლილიყო⁴¹.

არაბი მწერლის ამ დაწვრილებითი ცნობებიდან აშკარა ხდება, რომ დავით III დიდი კურაპალატი 1001 წელს კი არა, 1000 წლის მასში მომკვდარა. ამას თითქმის მთლიანად ადასტურებს იაპიას თანამედროვე, მაგრამ მისგან სრულიად დამოუკიდებელი ასოლიკი. ისიც პირდაპირ აღნიშნავს, რომ დავით კურაპალატი 1000 (449) წლის აღდგომა დღეს გარდაიცვალა და ეს ამბავი ბასილმა ტარსუსში შეიტყო⁴². ვფიქრობ, არაბი და სომეხი მწერლების ცნობათა თანადამთხვევა დავით კურაპალატის გარდაცვალების თარიღის საკითხში შემთხვევითი არ უნდა იყოს. ეს კი მათ სანდოობაზე მიგვიითხებს და ობიექტურობა მოითხოვს, უპირატესობაც ამ ცნობებს მივიანიჭოთ. რაც შეეხება ქართველი ანონიმის ცნობას, ის შედარებით გვიანდელია. მასი ავტორი არაა ამბის თანამედროვე. ყოველ შემთხვევაში, მის სისწორეს სხვა თანამედროვე წყაროები არ ადასტურებენ.

ზემოთ უკვე ვახსენეთ, რომ იაპია ანტიოქიელის ჩვენებით, ქართველთა მეფე დავით III დიდი კურაპალატი ქალაქ ܩܠܝܬܐ-ს („ალ-თაი“) აღესრულა. ეს ტომონიმი „თარზხ აზ-ზაღლი“ („ისტორიის გაგრძელებაში“) კიდევ ორჯერ გვხვდება დავითის ცხოვრება-მოღვაწეობასთან დაკავშირებით. ერთხელ ის ისევ ქალაქად („მადინათ“) არის მოხსენიებული. მეორედ — ქვეყანას, სამეფოს (ბალად) აღნიშნავს⁴³. მაგრამ ვინაიდან არსებობს აღნიშნული თხზულების სხვადასხვა დროს და სხვადასხვა ხელით გადაწერილი ნუსხები, ამ ტომონიმის გრაფიკული გამოსახულება გადაწერთა დაუდევრობის გამო ზოგ ხელნაწერში შერყვნილია. პ. უსპენსკისეულ ნუსხაში (როზენთან იგი აღნიშნულია „A“ ლიტერით), რომელიც თხზულების დღემდე მიკვლევულ ხელნაწერთა შორის ძველი და ამავე დროს სრულიცაა, ის ისეა დაწერილი როგორც ზემოთაა მოტანილი. პარიზულ ნუსხაში (როზენთან „B“ ლიტერით რომაა აღნიშნული),

و كان مَدّة مقام اهلك في ارض الاسلام منذ حصوله على الجسر الجديد و
رحيله عن طرابلس شهرين (B. P. Розен, დასახ. ნაშრომი, არაბული ტექსტი, გვ. 39,
თარგმანი, გვ. 41). იაპია აქ ერთ მექანიკურ შეცდომას უშვებს. 20 სექტემბრიდან, როცა ბასილი ჯისრ ალ-ჰადიდის ხელს მიადგა, ტრიპოლიდან წასვლამდე (17 დეკემბერი) ორი თვე კი არა, სამი თვეა.

⁴⁰ B. P. Розен, დასახ. ნაშრომი, გვ. 41.

⁴² Всеобщая история Степаноса Таронского. Асолика по прозванию писателя XI столетия. Переведена с армянского и объяснена Н. Эминьым, М., 1864, გვ. 199.

⁴³ B. P. Розен, დასახ. ნაშრომი, არაბული ტექსტი, გვ. 22, 2ა, 39; რუსული თარგმანი, გვ. 24, 27, 41.

რომელიც შედარებით გვიანდელი, თანაც არასრული და დაზიანებულია, იგივე ტოპონიმი გადამწერის გაუგებრობის თუ დაუდევრობის გამო, ჯერ ერთი, დაწერილია არასრულად“ აქ (ალთ) ფორმით და, მეორე, მიჩნეულია არა

გეოგრაფიულ სახელად, არამედ მიმართებით ნაცვალსახელად **آلتي** („ალ-ლათი“), რაც არაბულად ნიშნავს: „რომელიც, ის, ვინ“. ასეთმა მცდარმა წაკითხვამ შეუძლებელი გახადა ტექსტიდან რაიმე შინაარსის გამოტანა და გადამწერმა თუ რედაქტორმა სხვა რომ ვერაფერი მოახერხა წინადადებიდან მთლიანად ამოიღო გამოთქმა „ქალაქ ალ-თაი-ს პატრონი“⁴⁴.

ასეთივე აჩქარებისა და გაუგებრობის გამო იაპიას „თარზ აზ-ზაილი“-ს ნუსხაში **آلتي**-ს ნაცვლად ვხვდებით ისეთ ფორმებსაც, როგორიცაა **آلي** („ალი“) და **آلي** („აქი“) ⁴⁵. **آلي** თავდაპირველად ვ. როზენს **آلي** („ანი“-ს დამახინჯებულ ფორმად მიაჩნდა, მაგრამ სხვადასხვა ხელნაწერთა შესწავლამ მალე დაარწმუნა, რომ აქ ანი არ შეიძლება იყოს და უპირატესობა მან ისევ **آلي** ფორმას მისცა⁴⁶. რაც შეეხება **آلي**-ს ის გადამწერისა თუ რედაქტორის შეცდომადაა მიჩნეული.

ტექსტის რედაქტორისა თუ გადამწერის აჩქარება-გაუგებრობის შედეგი უნდა იყოს აგრეთვე **آلي** („აქი“, „იქი“ ან „უქი“) ფორმის გაჩენაც. თუ პირველ შემთხვევაში სიტყვას დიაკრიტიკული წერტილი დააკლეს და **آلي** („თ“) ასოს ნაცვლად **آلي** („ნ“) დაწერეს, მეორე შემთხვევაში გადამწერს აჩქარების გამო კალმის ჩქარი მოსმით **آلي** („ლ“) ასოს მაგიერ **آلي** („ქ“) გამოუვიდა. ყოველ შემთხვევაში ჩვენი მსჯელობის სასარგებლოდ მეტყველებს ის საყურადღებო გარემოება, რომ, ჯერ ერთი, იაპია ანტიოქიელის თხზულების „თარზ აზ-ზაილი“-ს დღემდე მიკვლეულ ნუსხათა უმრავლესობაში, მათ შორის ყველაზე უძველესში, ფიქსირებულია **آلي** ფორმა. მეორე, როგორც ვ. როზენი, ისე ე. კრაჩკოვსკი და ა. ვასილიევი თავიანთ გამოცემებში უპირატესობას ანიჭებენ სწორედ ამ ფორმას და ათავსებენ თხზულების ძირითად ტექსტში⁴⁷. მართალია, მათგან განსხვავებით იაპიას თხზულების ლ. შეიხოს, ბ. კარრა დე ვოსა და პ. ზაიათისეულ გამოცემაში, რომელიც 1909 წელს განხორციელდა, ჩვენთვის საინტერესო ტოპონიმი ძირითად ტექსტში კი არა, მხოლოდ ვარიანტებშია შეტანილი⁴⁸, მაგრამ უნდა შევნიშნოთ, რომ ეს გამოცემა არაა სრულფასოვანი და ზემოაღნიშნულ გამოცემებს ვერ შეედრება.

⁴⁴ В. Р. Розен, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 202, შენიშვნა 160.

⁴⁵ Histoire de Iahya-ibn-Sa'id d'Antioche continuateur de Sa'id-ibn-Batriq. Éditée et traduite en Français par I. Kratchkovsky et A. Vasiliev, Fasc I, „Patrologia Orientalis“, t. 18, fasc. 5, Paris, 1924, 1957, გვ. 701—833, fasc. II, „Patrologia Orientalis“, t. 23, fasc. 3, Paris, 1932, 1976, გვ. 349—520—fasc. II, გვ. 429, შენიშვნა 6 და გვ. 460, შენიშვნა 7; გ. ჯაფარიძე, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 85.

⁴⁶ В. Р. Розен, *დასახ. ნაშრომი*, არაბ. ტექსტი, გვ. 22, შენ. გვ. 208.

⁴⁷ Histoire de Iahya-ibn-Sa'id d'Antioche, fasc. II, გვ. 424, 429, 460.

⁴⁸ Eutychie Patriarchal Alexandrii Annales. Paris posterior aecedunt Annales Iahya ibn Sa'id Antiochensis. Coniuncta Opera ediderunt L. Cheiko, B. Carra de Vaux, H. Zayyat. Corpus Scriptorum Christianorum Orientalium. Scriptores Arabici, Series perta, tomus—VII, Beruti—Paris, 1909, გვ. 168, შენ. 11 და გვ. 184, შენ. 3. დამოწმებული გვაქვს გ. ჯაფარიძის *დასახ. ნაშრომის* მიხედვით, გვ. 85.

التى არის ტაო⁴⁹, ძველთაგანვე ცნობილი მხარე ისტორიულ სამხრეთ დასავლეთ საქართველოში მდინარე კოროხის შუა დინების აუზში, ახ. წ. VIII საუკუნიდან შედიოდა ქართლის სამეფოში. X ს-ში მისი ერთ-ერთი მფლობელი იყო ბაგრატიონთა თვალსაჩინო წარმომადგენელი დავით III კურაპალატი. ეს საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია, და ამდენად, იაპიას ცნობა, სადაც დავითი ტაოს მფლობელადაა მოხსენიებული სადავო არ უნდა იყოს. სამაგიეროდ დავასა და უნდობლობას იწვევს ამ არაბი მემკვიდრის ის ჩვენება, სადაც التى ქვეყნის გარდა, დავით კურაპალატის ადგილსამყოფელ ქალაქადაა დასახელებული. სულ პირველად ამ ცნობის სისწორეში ეჭვი ვ. როზენმა შეიტანა და იგი ავტორის შეცდომად გამოაცხადა იმის გამო, რომ თურმე სხვა არაბი მწერლებისათვის ეს სახელი სრულიად უცნობია⁵⁰. მაგრამ მიგვაჩინია, რომ ეს დიდი მეცნიერი ამ შემთხვევაში მართალი არ არის. ის გარემოება, რომ სხვა არაბი მწერლები ტაოს შესახებ არაფერს წერენ (თუმცა ეს ასე არაა), იაპიას ცნობის საწინააღმდეგო არგუმენტად არ გამოდგება. იაპია ანტიოქიელი არის ამბის მომსწრე-თვითმხილველი, ახლოს იყო დავით III-ის სახელსთან, იცნობდა მის ქვეყანას და სხვაზე კარგადაც იცოდა, ის, რასაც წერდა. კერძოდ, მისთვის საიდუმლოებას არ წარმოადგენდა, რომ ტაოს ხელმწიფეს ჰქონდა თავისი რეზიდენცია, სატახტო ქალაქი, რომელსაც ამ სამეფოს სახელწოდების მსგავსი სახელი ტაო ეწოდებოდა. ტაოს ცენტრი რომ ქ. ტაო იყო, ეს ერთგან აღნიშნული აქვს მ. ლორთქიფანიძეს⁵¹.

ამ უკანასკნელ ხანს ქართულ ისტორიოგრაფიაში გამოითქვა აზრი, რომ არაბული წყაროების შესწავლა უკვე საფუძველს იძლევა გადაისინჯოს التى-ის ანუ ტაოს ტრადიციული წაკითხვა-იდენტიფიკაციის საკითხი და ასეთ წყაროებზე დასახელებულია ალ-იაკუთის, მუჰამმად ალ-ჰამაენს, ალ-იუნინისა და იბნ ად-დავადარის თხზულებანი⁵².

იაკუთ იბნ აბდ ალლაჰ ა-ჰამაენ არ-რუმე XIII ს-ის არაბი გეოგრაფია (გ. 1229 წ.) მისი თანამედროვეა ისტორიკოსი მუჰამმად ალ-ჰამაენი. ხოლო იბნ ად-დავადარი და კუტბ ად-დინ მუსა იბნ მუჰამმად ალ-იუნინი კიდევ უფრო გვიანდელი, კერძოდ, XIV ს-ის ავტორებია არიან. ამიტომ არაა გვგონია, მათ იმაზე მეტი იცოდნენ X ს-ის ამბების შესახებ, ვიდრე თანამედროვემ იცოდა. ისინი ამ პერიოდის შესახებ მხოლოდ იმას ამბობენ, რაც სხვისაგან სმენიათ ან მათ ღრთს იყო მიღებული. ამიტომ ისინი არ არიან დაზღვეული შეცდომისაგან და იაპიაზე მალლა ვერ დავაყენებთ.

იაკუთის წაკითხვით, التى არის التى (ჰამზა დამით, ლამი სუქუნიით და თა ორი წერტილით ზემოთ). მისი განმარტებით, იგი მდებარეობს თბილისის ახლოს, წარმოადგენს ციხე სიმაგრეს, საიდანაც არზან არ-რუმამდე სავა

⁴⁹ В. Р. Розен, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 71; *Histoire de Iahya ibn-Saï'd d'Antioche...* fasc. II, გვ. 224, 229; В. Т. Степаненко, *К датировке получения сана Куропалата Давидом II, Багратидом Тао*, გვ. 76; ბ. ს ი ლ ა გ ა ძ ე, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 115.

⁵⁰ В. Р. Розен, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 208, შენიშვნა 160.

⁵¹ მ. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე, *ტაო-კლარჯეთი (საქართველოს ისტორიის ნარკვევები, II, თბ., 1973, გვ. 446)*, თუმცა ის 455 გვერდზე ტაოს ცენტრად ბანასაც ასახელებს.

⁵² გ. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 85—86.



დღის სავალია⁵³. თუ არაბი გეოგრაფის ეს ცნობა სწორია, მაშინ ექვს გარეშეა, რომ მისი **التى** („ულთა“) არც დაწერილობით და არც მდებარეობით არ შეიძლება იყოს იაპიას თხზულებაში მოხსენიებული ქალაქი **التى** („ალიფი შამ-ზითა და ფათხით, ლამი სუქონით, თინი ფათხით და იოტათი“) ანუ ტაო, რომელიც თბილისის ახლოს კი არა, მისგან შორს, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში იმყოფებოდა. ალბათ, ეს შეუსაბამობა იყო ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ ვ. როზენმა, რომელიც კარგად იცნობდა და საჭიროების შემთხვევაში იყენებდა კიდევაც იაკუთის გეოგრაფიულ თხზულებას, უპირატესობა მიანიჭა ამბის თანამედროვის **التى** -ს ტაოდ წაკითხვას მიანიჭა. აქეთკენ უბიძგებდა

მას, ალბათ, ის გარემოებაც, რომ **التى** („ულთა“), რომელიც ჩვეულებრივ ოლთისის არაბულ ფორმადაა მიჩნეული, შედარებით გვიანდელი წარმონაქმნია.

XI ს-ის II ნახევარში მოღვაწე სომეხი მწერალი სტეფანოს ტარონეცი, რომელიც თავისი „მსოფლიო ისტორიის“ III ნაწილში მნიშვნელოვან ადგილს სწორედ X ს-ში ტაო-კლარჯეთში მიმდინარე ამბების აღწერას უთმობს, ტაოს (**Sakp**), როგორც პოლიტიკურ-ადმინისტრაციულ ერთეულს სულ მცირე 14-ჯერ მიიხსენიებს⁵⁴. მხოლოდ ორგან აღნიშნავს, რომ ტაოში არის ქალაქი „უხთიქ“ (**ukhshik**)⁵⁵, რომელიც, როგორც ზემოთ ვთქვით, არაა გამორიცხული რომ **التى**-ს შერყევილი **التى** („აქით“) ფორმიდან მომდინარეობდეს და იმავე ტაოს ნიშნავდეს. ამასთანავე, ვინაიდან არსებობს სტეფანოსის თხზულების სხვადასხვა დროს გადაწერილი ნუსხები, გამორიცხულად არ მიგვაჩნია, რომ „უხთიქ“ ოლთისის მნიშვნელობით, მხოლოდ რომელიმე გვიანდელ ხელნაწერშია ფიქსირებული. ამას გვაფიქრებინებს, ჯერ ერთი, ის გარემოება, რომ სომხურში „ს“ ასოს გაჩენა „ლ“-სა და „ლ“-ს ადგილზე გვიანდელი მოვლენა⁵⁶. მეორე, სომხური წყაროს გარდა ოლთისი გვხვდება აგრეთვე მოგვიანო ხანის ქართულ, სპარსულ, არაბულ და თურქულ თხზულებებშიც. „მატიანე ქართლისა“-ის ავტორი აღნიშნავს, რომ მოვიდა მეფე გიორგი და „დაწუა ქალაქი ოლთისი“⁵⁷. „ოლთისის დაწუა“ დამოწმებულია დავით აღმაშენებლის ისტორიკოსთანაც⁵⁸. იბნ ბიბისთან, ალ-იუნინისთან და „ჩილდირის ვილაიეთის ჯაბა დავთარში“ ოლთისის ნაცვლად ვკითხულობთ **اولتى** („ოლთი“)⁵⁹, ხოლო

⁵³ Jacul's geographisches Wörterbuch aus den Handschriften zu Berlin. St. Petersburg und Paris herausgegeben von Ferd. Wüstenfeld. Leipzig. Bd. I, 1866, გვ. 350; ე. ს. ხ ა რ უ ლ ი ძ ე, იაკუთის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, თბ., 1964 ქართული თარგმანი, გვ. 17, არაბული ტექსტი, გვ. 19.

⁵⁴ Всесобщая история Степаноса Таронского, СПб., 1885, გვ. 88, 98, 124, 131, 153, 188, 192—193, 252, 269, 270, 272, 277—278. თხზულება სომხურ ენაზეა. საჭირო ცნობების მოძიებაში დახმარება გავეციეა ლ. დავლიანიძემ.

⁵⁵ იქვე, გვ. 189, იხ. აგრეთვე, С. Тоуманофф. Studies in Christian Caucasian History georgetown Universiti, Paris, 1963, გვ. 455.

⁵⁶ ვ. შილაგაძე, ძველი სომხური ენის გრამატიკა, თბ., 1975, გვ. 99.

⁵⁷ ქართლის ცხოვრება, I, გვ. 284.

⁵⁸ ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი, ქართლის ცხოვრება, I, გვ. 244.

⁵⁹ Ibn-Bibi, Akhbare Seljuq-ye Ie Rum. The Historical texts about the Seljuq⁵ in Asia Minor with an Introduction and Appendixes by Dr. T. Mashkour, Teheran, 1971,

გვ. 178; ذيل مرآة الزمان للشيخ قطب الدين موسى بن محمد اليونيني 'هيدرابد', 1952, ج 2, ص 111.

„გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში“ — **اولك** („ოლთ“)⁶⁰. მაგრამ „მატიანე ქართლისა“-ის არც ავტორი და მისი მოღვაწეობის დრო ვიცით და არც თხზულების დაწერის ზუსტი თარიღი. მხოლოდ ის არის ცნობილი, რომ თხზულება XI საუკუნემდე ვერ დაიწერებოდა. უფრო გვიან კი სრულიად შესაძლებელია. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი XII ს-ში ცხოვრობდა და, ბუნებრივია, IX—X საუკუნეებში მომხდარი ამბების თანამედროვე ვერ იქნებოდა. სპარსულენოვანი ისტორიკოსი იბნ ბიბი XIII—XIV სს. ავტორია, არაბი მწერალი ალ-იუნინი — XIV საუკუნისა, ხოლო ჩილდირის ვილაიეთისა და გურჯისტანის ვილაიეთის დავთრები XVI საუკუნეში შეუდგენიათ. ამდენად, ისინი იპია ანტიოქიელთან მოხსენიებული ქალაქი ტაოს არსებობა-არარსებობის დამადასტურებელ საარწმუნო წყაროებად, ვფიქრობთ, არ გამოდგებიან და, ამდენად, **تاي** („ტაოს“) ტრადიციული წაკითხვა-იდენტიფიკაცია ძალაში უნდა დარჩეს.

თუ ვ. როზენი თავის დროზე იმას აღნიშნავდა, იპია ანტიოქიელის „ალთაი“ („**ал-тай**“) მხოლოდ ქვეყანაა და არა ქალაქია, ქართულ ისტორიოგრაფიაში ამ ბოლო დროს უკვე გამოითქვა სრულიად სწორი მოსაზრება, რომ იპია „არ ცდება, როცა **تاي**-ს ქალაქს უწოდებს“⁶¹.

მაგრამ ამ მოსაზრების ავტორი მიიჩნევს, რომ იპიას მხედველობაში ტაო კი არ აქვს, არამედ „ულთა“ ანუ ოლთისი და დასძენს „რამდენადაც ვიცით, არაბულ წყაროებში ეს ოლთისის ყველაზე ადრეული მოხსენიებაა“⁶².

იპიას **تاي** რომ ქალაქია ეს ზემოთაც დადასტურდა. რაც შეეხება იმას, რომ ამ არაბ ავტორს მხედველობაში ჰქონდეს „ულთა“ („ოლთისი“) და არა ტაო, შეუძლებელია. ჩვენი ვარაუდით, თუ „ულთა“ და „ალ-თაი“ ერთ და იმავე ტოპონიმს აღნიშნავს, და არა სხვადასხვას, მაშინ „ულთა“ „ალ-თაი“-დან (ტაოდან) უნდა იყოს წარმომდგარი დროთა განმავლობაში, კერძოდ თურქთა მოძალების ხანაში, განსაზღვრულობის მაჩვენებელი“ **اي** („ალ“) არტიკლის სახელის ფუძესთან — **تاي** („თაი“) — შერწყმის შედეგად. ამას გვაფიქრებინებს ის ანგარიშგასაწევი გარემოება რომ იპიას ცნობით, დავით კურაპალატი მართო ქალაქ **تاي**-ს კი არა, ამავე სახელწოდების ქვეყნის პატრონიც იყო. ამას ადასტურებს ასოლიკიც. ისიც ხომ არაერთგან მიუთითებს, დავითი ტაოს განაგებდაო⁶³. ანალოგიურ ცნობებს ვხვდებით ქართულ საისტორიო მწერლობაშიც. „მატიანე ქართლისა“-ში აღნიშნულია, რომ დავითი იყო „უმეტეს ყო-

(იხ. З. М. Бунятов, Материалы по истории Грузии в сочинение Кутб ад-Дина ал-Иунини „Завил“ „мират аз Заман“, „მაცნე“, ისტორიის სერია, თბ., 1972, № 4, გვ. 130); ჩილდირის ვილაიეთის ჯაბა დავთარი, თურქულ ტექსტი, ქართული თარგმანით გამოსაცემად მოამზადა ც. აბულაქემ, გამოკვლევა დაურთო შ. სვანიძემ, თბ., 1979, გვ. 36.

⁶⁰ გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, თურქული ტექსტი გამოსცა, თარგმანი და კომენტარები დაურთო ს. ჩიქიამ, წიგნი 1, თბ., 1947, გვ. 408—410.

⁶¹ გ. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 86.

⁶² იქვე.

⁶³ ს ტ ე ფ ა ნ ო ს ტ ა რ ო ნ ე ც ი (ასოლიკი), დასახ. თხზულება, გვ. 88, 98, 124, 131 და შმდ.

ველთა მეფეთა ტაოსთა⁶⁴, რასაც იმეორებენ, ოღონდ სხვა სიტყვებით, ვახუშტი ბაგრატიონი⁶⁵, ივ. ჯავახიშვილი⁶⁶, მ. ლორთქიფანიძე⁶⁷ და სხვები.

მსოფლიო ისტორიაში არც თუ იშვიათი შემთხვევაა, როცა ქვეყანა მისი დედაქალაქის სახელს ატარებს.⁶⁸ თავის დროზე არაბთა პოლიტიკურ-ადმინისტრაციულ ერთეულს ქართლში ქ. თბილისის მიხედვით თბილისის საამირო ეწოდებოდა. ასეთივე პრინციპი ედო საფუძვლად განძის საამიროს, ხლათის სასულთნოს, ყარსის „ქვეყანას“, ვლადიმირის, ნოვგოროდის, კიევის, მოსკოვისა და სხვა მრავალ სამთავროს. ცხადია, რომ ყოველი პოლიტიკური ერთეულის (სახელმწიფოს, ქვეყნის, სასულთნოს, საამიროს, სამთავროს და მისთ.) მბრძანებელი მისი სატახტო ქალაქის გამგებელიც იყო და ამ ადმინისტრაციული ცენტრის, მფლობელად იხსენიებოდა. იბნ ად-დავადარის ცნობითაც ხომ „კილიკიის სომხეთის მეფეები სატახტო ქალაქის — სისის მიხედვით სისის მფლობელად (საჰიბ სის), ხოლო აღმოპადიანთა (მალრბში) სახელმწიფოს გამგებელი აბუ ჰაფს აღ-მურთადა (1248—1266) თავის რეზიდენციის მარაქიშის მიხედვით მარაქიშის მფლობელად (საჰიბ მარაქიშ) იწოდებოდნენ⁶⁹. ასე უწოდებდა იაჰია ანტიოქიელი ტაოს გამგებელს დავით კორაპალატს ქალაქ **التی**-ს საჰიბს (ტაოს მფლობელს, პატრონს). ვფიქრობთ, ამ მაგალითების საფუძველზე იმ დასკვნის გაკეთება შეიძლება, რომ თუ ქალაქ **التی**-ს „ულთად“ ანუ ოლთისად წავეითხავთ, მაშინ ამ ქალაქის მფლობელის მთელ სახელოსაც იგივე სახელი — ოლთისი უნდა რქმევოდა. ეს კი ძალიან რბილად რომ ვთქვათ, გაუგებრობა იქნებოდა, რადგან დავით III კურაპალატი ყველა ცნობის მიხედვით ტაოს გამგებელი იყო, ხოლო ოლთისი — მისი მცირე ნაწილი, ერთ-ერთი ოლქი. ამდენად, მოტანილი მაგალითები, რამელთა გამრავლება კიდევ შეიძლებოდა, იმის უტყუარი დადასტურებაა, რომ იაჰიას **التی** ოლთისი კი არა, ტაო არის. ასე რომ არა, ე. როზენი, ე. კრაჩკოვსკი და ა. ვასილიევი იაჰიას „თარან აზ-ზაილი“-ს რუსულ და ფრანგულ თარგმანებში **التی**-ს დეფისით („ალ-ტაი“) არ დაწერდნენ. თუ ჩვენი ეს მსჯელობა სწორია, მაშინ უდავოდ ეჭვქვეშ უნდა დავაყენოთ სანდოობა ქართულ ისტორიოგრაფიაში უკვე არსებული იმ მოსაზრებისა, რომლის თანახმად ქალაქი ოლთისი წარმოადგენდა დავით III კურაპალატის რეზიდენციას, იმიერ ტაოს პოლიტიკურ ცენტრს⁷⁰ და დავითის

64 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 273, 975, 400.

65 იქვე, IV, გვ. 136—137, 140, 699.

66 ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი, II, გვ. 65, 123.

67 მ. ლორთქიფანიძე, საქართველოს შინაპოლიტიკური და საგარეო ვითარება... (საქართველოს ისტორიის ნარკვევები, III, გვ. 153).

68 J. A u b i, Elements pour l'etude des agglomerations urbaines dans L'Iran medieval, The Islamic City by A. H. Haurani. S. M. Gtern, 1970; მ. ცინცაძე, საქართველო და ქართველები X—XI საუკუნეების სპარსულ წყაროებში, „მაცნე“ ისტორიის სერია, 1984, № 4, გვ. 86.

69 გ. ჯაფარიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 87.

70 ე. კობალიანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 65; დ. მუსხელიშვილი, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, II, თბ., 1980, გვ. 174; მისივე, ოლთისი (ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, 7 თბ., 1984); გ. ჯაფარიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 86.

გარდაცვალების ადგილს⁷¹. ასეთ ეჭვს კიდევ უფრო აძლიერებს ის ანგარიშგასაწევი გარემოებაც, რომ ს. ერემიანის ვარაუდით, რომელიც სანდო წყაროთა მონაცემებს ემყარება, ტაოს ძველი ცენტრი იყო „ტაიოც ქარი“-ი⁷². ხოლო ვახუშტის განმარტებით, „ტაიოც ქარი“ ანუ ტაოსკარი არის ტაო⁷³.

ტაო (||ტაოსკარი||ტაიოც ქარი) ბერძნულ საისტორიო თხზულებაში მოხსენიებულია ჯერ კიდევ 401 წელს ძველი წელთაღრიცხვით. ე. თაყაიშვილის აღწერილობით, რომელიც მეცნიერმა 1907 წელს ჩაატარა ადგილზე, ძველი ტაოს აღმნიშვნელი დაბა ტაოსკარი ზედ გამოჭრილი სახელია ამ ადგილისათვის ვინაიდან ტაოში ვიწრო კლდოვან გასასვლელს მდინარისას თუ ხევისას კარს უწოდებენ. ტაოსკარი „გაშენებულია ერთობ ფართო... ქვაბულში, იქ, სადაც ტაოსკარის წყალი ერთვის სალუჩურის წყალს. ეს ქვაბული ყოველი მხრით შემოზღუდულია მაღალი კლდოვანი მთებით⁷⁴... აღმოსავლეთ ტაოსკარისა... ზეკარია, რომელსაც ჰქვია ჰიშკარი. ამას ზემოდ (კი) მეორე ზეკარია და სახელ დევს საჩინო“⁷⁵ ეს აღწერილობა იძლევა როგორც იმის დადასტურებას, რომ ტაოსკარი ტაოს ძველი სახელია, ისე ამ სახელის ეტიმოლოგიასა და იმის წარმოდგენასაც თუ ზუსტად სად მდებარეობდა იგი.

ეტყობა, ე. თაყაიშვილის ამ აღწერილობამ და ვახუშტის მიერ ტაოსკარის იდენტიფიკაციამ ავარაუდებინა და მუსხელიშვილს, რომ ტაოსკარი უნდა წარმოდგენდეს იმ თავდაპირველ „ვეეს“, რომლის სახელიც შემდეგ გაცილებით უფრო ვრცელ ტერიტორიაზე გავრცელდა“, რომ ტაოსკარი „უნდა იყოს თავდაპირველი ტაო“⁷⁶. ვფიქრობთ, ამასვე ნიშნავს კონსტანტინე პორფიროგენეტის მიერ მოხსენიებული „კარნატაი“⁷⁷, რომელიც კ. თუმანოვისა და ა. ბოგვერადის წაკითხვით არის „კარნი ტაოსი“ ანუ იგივე „ტაოსკარის“ სახე-შეცვლილი ფორმა, მიღებული სიტყვების ადგილშენაცვლების შედეგად.

როგორც პორფიროგენეტის, ისე, ვახუშტისა და ე. თაყაიშვილის აღწერილობიდან კარგად ჩანს, რომ ტაო (||„კარნატაი“ ანუ ტაოსკარი) თავდაპირველად წარმოდგენდა გარკვეულ ტერიტორიულ-ადმინისტრაციულ ერთეულს (ხევს⁷⁸, დაბას⁷⁹, სამთავრო-საერისთაოს⁸⁰), მაგრამ იგივე აღწერილობანი და ზოგი სხვა მასალაც ეჭვს არ ტოვებენ, რომ მას ჰქონდა ადმინისტრაციული

71 გ. ჯაფარიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 86.

72 **U. ბრეჩქან, ლახაათანდ რას მკლარაგიე, სრქჟან**, 1963, გვ. 84.

ცნობა მოგვაწოდა პროფ. ზ. ალექსიძემ.

73 ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 684.

74 ამიტომ, რომ მას სომხურად „ტაიოც ქარი“ — ტაოელთა კლდე, ბუნებრივი სიმაგრე ეწოდება.

75 ე. თაყაიშვილი, არქეოლოგიური ექსპედიცია კოლა-ოლთისში და ჩანგლში 1907 წელს, პარიზი, 1938, გვ. 67—68.

76 დ. მუსხელიშვილი, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, II, გვ. 167.

77 გეორგიკა, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტ. IV, ნაკვ. II, ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანით გამოსცა და განმარტებანი დაურთო ს. ყაუხჩიშვილმა, თბ., 1952, გვ. 291.

78 ე. თაყაიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 67; დ. მუსხელიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 167.

79 ე. თაყაიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 67.

80 კონსტანტინე პორფიროგენეტი (გეორგიკა, IV (II), გვ. 291).

ცენტრიც, რომელიც, ეტყობა, გაშენებული იყო „იქ, სადაც ტაოსკარის წყალი ერთვის სალუჩურის წყალს“, შედგებოდა დიდი ციხისა და ორი ეკლესიისაგან (რომელთაგან ერთს მრგვალი რომაა IX ს-ში აშენებული, თავისი გეგმის მიხედვით ბადალი არ მოეძებნება მთელს საქართველოში)⁸¹ და უკვე X ს-ში წარმოადგენდა ბაგრატიონთა ტაოს შტოს ქართველ მეფეთა ადგილსამყოფელს. რაც შეეხება ოლთისს, ის X ს-ის დასასრულსაც სასაზღვრო პუნქტს წარმოადგენდა, მუდამ განიციდდა მეზობელი მაჰმადიანი სასულთნო-საამიროების განუწყვეტელ თავდასხმებს⁸² და, სხვა რომ არაფერი, მარტო ამის გამო ვერ იქნებოდა იგი დავით III დიდი კურაპალატის რეზიდენცია და გარდაცვალების ადგილი.

ვასათვალისწინებელია. აგრეთვე ის გარემოებაც, რომ X ს-ის პირველ ნახევარში მოღვაწე არაბი მოგზაური, ისტორიკოსი და ჯეოგრაფი ალ-მასუდი (+956) ქართველთა სამეფოზე მსჯელობისას, მეფის ადგილსამყოფელად ასახელებს არა „ოლთისს“, არამედ „მასჯიდ ზილ-კარნაინ“-ს⁸³, რომელიც ტაოსკარის წყალის სალახურის წყალთან შეერთების ადგილას არსებული ქ. ტაოსკარი ანუ იგივე ტაო უნდა იყოს.

В. Г. СИЛАГАДЗЕ

К ВОПРОСУ ПОНИМАНИЯ И ОЦЕНКИ СВЕДЕНИЯ ЯХЬИ АНТИОХИЙСКОГО В ГРУЗИНСКОЙ ИСТОРИОГРАФИИ

Резюме

В статье дана разъяснения и оценки некоторым сведениям о Грузии, содержащиеся в сочинении «Тарих аз-Занл» арабоязычного автора X—XI в. Яхьи Антиохийского.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ძველი და შუა საუკუნეების წყაროთმცოდნეობის განყოფილებამ

⁸¹ ე. თაყაიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 68—69. ტაოსკარის ციხე-სიმაგრეს იხსენიებს თამარ მეფის I ისტორიკოსიც (ქართლის ცხოვრება, II, გვ. 55). ასეთი საჯულტო და თავდაკეითი ნაგებობების არსებობა იმაზე მიუთითებს, რომ ის იყო მსხვილი დასახლებული ადგილი.

⁸² Ш. А. М е с х и я. Города и городской строй феодальной Грузии, Тб., 1959, გვ. 37.

⁸³ ١٩٧٨، مروج الذهب و معادن الجواهر ج-١، بيروت، ص ٢٢٩—ص

გოგა ჯავახიძე

ქართული მონეტები არაბული ზედწერილებით

(დავით V-ის სპილენძის მონეტები)*

XII ს-ის არაბი ისტორიკოსი, დემეტრე I-ის (1125—1156) თანამედროვე, იბნ ალ-აზრაყ ალ-ფარიყი მოგვითხრობს, რომ დავით აღმაშენებელს თბილისის აღების (1122 წ.) შემდეგ თბილისელ მუსლიმთათვის მოუჭრია ახალი ტიპის ღირებულებები. ამ მონეტების ერთ მხარეზე აღბეჭდილი იყო სულტნისა და ხალიფას, მეორეზე კი — ალაჰისა და მისი მოციქულის (მუჰამადის) სახელები. მეფის სახელი მოთავსებული ყოფილა მონეტის კიდეზე¹.

დავით აღმაშენებლის ეს მონეტები დღემდე აღმოჩენილი არ არის. მათი გამოვლენა მომავლის საქმეა. მანამდე კი ქართველი ნუმიზმატები, ისევე ალ-ფარიყის ცნობიდან გამომდინარე, დავითს უკავშირებენ ორი განსხვავებული ტიპის სპილენძის მონეტებს, რომლებზედაც არაბული ზედწერილებია აღბეჭდილი.

პირველი ამ სამონეტო ტიპთაგან, რომლის ერთ მხარეზე მოთავსებულაა ცხენზე ამხედრებული გვირგვინოსანი, ხოლო მეორეზე კი არაბულად მოხსენიებულია მეფეთ-მეფე და მესიის მახვილი დავით გიორგის ძე, დიდი ხანია ცნობილია ნუმიზმატათების². ამ ტიპის ატრიბუცია სადავოა და მკვლევართა ერთი ნაწილი (ე. პ ა ხ ო მ ო ვ ი, თ. ლ ო მ ო უ რ ი, ი. ჯ ა ლ ა დ ა ნ ი ა) მას არცთუ უსაფუძვლოდ, დავით ულუს (1247—1270) მიაკუთვნებს³.

* წაკითხულ იქნა მოხსენებად („დავით აღმაშენებლის არაბულენოვანი სპილენძის მონეტების შესახებ“) 1989 წ. 25 აპრილს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკად. ვ. წერეთლის სახ. აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის სამეცნიერო სესიაზე, რომელიც მიეძღვნა დავით აღმაშენებლის საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწეობის ასპარეზზე გამოსვლის 900 წლისთავს.

¹ Ibn al-Qalanisi, History of Damascus from the Bodleian Ms. Hunt 125 being a Continuation of the History of Hilal as-Sabi. Ed. with Extracts from Other Histories and Summary of Contents by H. F. Amedroz. Catholik Press of Beirut, 1908, გვ. 206, ვ. ფუთურაძე არაბი ისტორიკოსი XII საუკუნის თბილისის შესახებ, „ენიმუსის მოამბე“, XII, 1943, გვ. 141, ე. სიხარულიძე, ალ-ფარიყი საქართველოში.. „სემიოტოლოგიური ძიებანი“, II, თბ., 1985, გვ. 89.

² V. Langlois. Supplement à l'essai de classification des suites monétaires de la Géorgie, „Revue de la numismatique Belge“, t. V, 1861, გვ. 8-9; Д. Капанадзе, Медная монета грузинского царя Давида, сына Георгия. „Эпиграфика Востока“, т. XII, 1958, გვ. 39—47; დ. კ ა პ ა ნ ა ძ ე, ქართული ნუმიზმატიკა, თბ., 1969, გვ. 70 № 56; Д. Капанадзе. Комментарии, წიგნი: Е. Пахомов, Монеты Грузии, Тб., 1970, გვ. 306—309.

³ Е. Пахомов, დასახ. ნაშრ., გვ. 135, № 80; თ. ლ ო მ ო უ რ ი, ფული შოთარუსთაველის ეპოქაში, კრ. შოთარუსთაველის ეპოქის მატერიალური კულტურა, თბ., 1938, გვ. 292—93; მისივე. XIII საუკუნის ქართული ფულის საკითხთა გამო, „საქართველოს სახ. მუზეუმის მოამბე“, ტ. X—V, 1940, გვ. 126—27.; И. Джалагания, Из истории монетного

რაც შეეხება მეორე სამონეტო ტიპს, რომელიც ქვემოთ იქნება განხილული, მისი ატრიბუცია დღემდე დავას არ იწვევდა და უეჭველად იყო მიჩნეული. ამ ტიპის ორი სპილენძის მონეტა დაცული იყო ე. პახომოვის მდიდარ ნუმიზმატიკურ კოლექციაში და მისი გარდაცვალების (1965 წ.) შემდეგ ერთი მათგანი (იხ. რამდენჯერმე გადიდებული მისი ფოტო) ანდერძით გადაეცა საქართველოს სახ. მუზეუმს (ნუმიზმატიკის განყოფილება, ქართული ფულების ძირითადი ფონდი, ინვ. № 4076, 14×23 მმ, 6,09 გ.).

სწორედ ეს მონეტა ჯერ კიდევ 1958 წელს პირველად აღწერა და გამოაქვეყნა ი. ჯალაღანიამ. ზედწერილები, რომლებიც საკმაოდ გადაშლილია, მან ასე წაიკითხა:

შუბლი: ك...كلم — მეფე (მეფეთა).

...حسام انام — მახვილი მე[სისა]

داود — დავითი

ზურგი: محمد — მუჰამადი...

...السلطان العا — სულტანი უმ[აღლესი]

و...بر — ბარ[ქია] რუ[კ]?

ი. ჯალაღანიას დასკვნით, მონეტაზე მოხსენიებული დავითი, რომელიც ატარებს ეპითეტს „მესიის მახვილი“, შეიძლება იყოს მხოლოდ დავით აღმაშენებელი⁴. ასეთი დასკვნის საფუძველს იძლეოდა აქვე დასახელებული დიდ სელჩუკთა სულტანი ბარქიარუჯი (1094—1105), რომელიც დავითის თანამედროვე იყო. ამ სახელის წაკითხვას მკვლევარმა თავდაპირველად კითხვის ნიშანი დაუსვა, მაგრამ მოგვიანებით მოხსნა ის⁵. ცხადია, ეს მონეტა ზუსტად არ შეესაბამება ალ-ფარიკის მიერ აღწერილს, მაგრამ, როგორც აღნიშნავს. ი. ჯალაღანია „ახლოს დგას მასთან ფაქტურითა და ტიპით“⁶.

აღნიშნულ სამონეტო ტიპს რამდენჯერმე შეეხო დ. კაპანაძე. თაბაშირის ანაბეჭდის მიხედვით მან გამოცა ე. პახომოვის კოლექციაში დაცული ამ ტიპის მეორე ეგზემპლარიც⁷, რომლის ზედწერილები ახალს არაფერს არ შეიცავს. სამწუხაროდ, ეს მონეტა საქართველოს სახ. მუზეუმში არ შემოსულა. ამჟამად ნუმიზმატიკის განყოფილებაში არც მისი ანაბეჭდი იძებნება და ინფორმაციის წყაროდ მხოლოდ პირველი ეგზემპლარი (ინვ. № 4076) რჩება.

дела в Грузии XIII века, Тб., 1958, გვ. 36—39. ამ თვალსაზრისს ჩვენც ვიზიარებთ. მხედრის გამოსახულება და წარწერის ხელი (ნახი) მონეტაზე უაღრესად საეკუოდ ზღის აღნიშნული სამონეტო ტიპის დავით აღმაშენებლისადმი მიკუთვნების შესაძლებლობას. ვფიქრობთ, რომ მისი ემისია დაკავშირებულია 1260—61 წ. მონღოლთა წინააღმდეგ დავით ულუს აჯანყებასთან. სწორედ ამ დროს დავით ულუს თავისუფლად შეეძლო აედგინა თავის საფასეზე დიდი წინაპრების ტიტულატურა — მეფეთ-მეფე და მესიის მახვილი.

⁴ И. Джалаганиа, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 40.

⁵ მისივე, *Иноземная монета в денежном обращении Грузии V—XIII вв.* Тб., 1979, გვ. 77; მისივე, *Монетное дело и денежное обращение Грузии V—XIII вв. (По шумизматическим данным)*, Автореферат диссертации на соискание ученой степени доктора исторических наук. М., 1981, გვ. 29.

⁶ И. Джалаганиа. *Из истории...*, გვ. 40.

⁷ დ. კაპანაძე, *ქართული ნუმიზმატიკის სიახლენი*, კრ. კავკასიის ხალხთა ისტორიის საკითხები, თბ., 1966, გვ. 65, № 5. აქ დაბეჭდილი მკრთალი ფოტორეპროდუქციის მიხედვით

თავდაპირველად დ. კაპანაძეს არ მიაჩნდა მიზანშეწონილად, რომ მონეტაზე აღნიშნული დავითი კატეგორიულად გაეიგივებინა დავით აღმაშენებელთან, რადგანაც ამავე სახელს ატარებდა სხვა მეფეც, დემეტრე I-ის უფროსი ვაჟი⁸, მაგრამ შემდეგ, ისევ ბარქიარუჯის წაქითხვის საფუძველზე, მან შეცვალა თავისი პოზიცია, ფაქტობრივად გაიზიარა ი. ჯალალნიას თვალსაზრისი და შეეცადა კიდევ უფრო დაესაბუთებინა ის⁹.

ამგვარი ატრიბუცია დღეს გადასინჯვას საჭიროებს. ამის საფუძველს იძლევა აღნიშნული საფასის ზოგიერთი ზედწერილის დაზუსტება და ახლებური წაკითხვა.

ჩვენი შენიშვნები არ ეხება მონეტის შუბლს. მიუხედავად იმისა, რომ ეს მხარე საკმაოდ გაცვეთილია, და პირველი სტრიქონი თითქმის არ იკითხება, ცენტრალური სამსტრიქონიანი ზედწერილი სწორად არის აღდგენილი. გარემოვლებული ზედწერილი ჩამოჭრილია. დამატებით აღენიშნავთ, რომ ცენტრალური ზედწერილის მარჯვნივ, რკალის ფრაგმენტის შიდა მხარეს მოთავსებულია გაურკვეველი ნიშნები, შესაძლოა, არაბული წარწერის ფრაგმენტი, ანდა ორნამენტი.

არსებითი და გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ზურგის ზედწერილებს. პირველ სტრიქონზე აშკარად იკითხება **الله** — მუჰამმადი. დ. კაპანაძე მას კითხვის ნიშანს უსვამდა, მაგრამ ეს ეჭვი უსაფუძვლოა. ვინაობა ამ პიროვნებისა, რომელსაც მკვლევარებმა ვვერდი აუარეს, გაირკვევა მესამე სტრიქონის წარწერით.

მეორე სტრიქონზე იკითხება **السلطان** — სულტანი... მეორე სიტყვიდან შემორჩენილია მხოლოდ ლაჰაბის (ტიტული) „ალ“ არტიკლი.

მესამე სტრიქონზე ბარქიარუჯის წაქითხვა აბსოლუტურად გამორიცხულია. პირველი ორი ასო **ش** — არის არა **ب** — ბარ, არამედ **ن** — იბნ, ძე. მას მოსდევს არა **و** — ვაეი, რომელიც საერთოდ არ არის სახელ ბარქიარუჯში, არამედ **م** — მჰ..., რაც კარგად იკითხება. მისი გრაფიკული მონახულობა ასეთია:



ეს არის პირველი ორი ასო საკუთარი სახელისა, რომელიც მთლიანად მონეტაზე არ მოთავსდა და აღდგება, როგორც **الله** — მუჰამმადი ან **الله** — მაჰმუდი.

მესამე სტრიქონი პირველის დაბოლოებას წარმოადგენს. პირველ სტრიქონზე აღნიშნული მუჰამმადი მესამე სტრიქონის მუჰამმადის ან მაჰმუდის ძე ა. თანაც ის — მეორე სტრიქონის მიხედვით — სულტანი ა. რადგანაც მონეტა წარწერის ხელით (ქუფური შრიფტი) და ფაქტურით აშკარად XII

⁸ თუ ვიმსჯელებთ, ანაბექდი (მისი ცული ნეგატივი დაცულია მეჩეუმის ფოტოარქივში, ინვ. № 25270) აღწერისათვის მეტ შესაძლებლობას იძლეოდა. ასე მაგ., ზურგზე სულტნის გარდა პირველ სტრიქონზე აშკარად ჩანს მუჰამმადი, რომელიც არ იქნა წაკითხული.

⁹ დ. კაპანაძე, ქართული ნუმისმატიკის სიახლენი, გვ. 66.
⁹ მისი ვე. ქართული ნუმისმატიკა, გვ. 70. Д. Капанадзе, Комментарии, . . . გვ. 294-295.

საუკუნისაა, უნდა ვიგულისხმოთ, რომ ამ შემთხვევაში სელჩუკიანი სულტანია დასახელებული. ვინაიდან თურქ-სელჩუკთა სულტნების გრძელ რიგში გვეყვს მხოლოდ მ უ ჰ ა მ მ ა დ ი ბ ნ მ ა ჰ მ უ დ ი (მუჰამმად მაჰმუდის ძე), ერთადერთ პართებულ წაქითხვად სწორედ ეს ვარიანტი რჩება.

მუჰამმად იბნ მაჰმუდი, ერაყის სელჩუკიანი სულტანია, რომელიც 1153—1159 წლებში მოღვაწეობდა¹⁰. არაბი ისტორიკოსი იმად ად-დინ ალ-ისფაჰანი მას ახასიათებს როგორც ყველაზე დიდებულს, განათლებულსა და სამართლიანს იმდროინდელ სელჩუკ სულტანთა შორის¹¹. თავისი მმართველობის 6 წლის მანძილზე ის ენერგიულად ცდილობდა აღედგინა სელჩუკთა შერყეული ავტორიტეტი ერაყში, ებრძოდა ტახტის სხვა პრეტენდენტებს, მათ დამხმარე თურქ ამირებსა და აბასიან ხალიფას ალ-მუკთაფის (1136—1160), რომელსაც სურდა თავი დაეღწია სელჩუკთა ბატონობისაგან.

ცნობილია რამდენიმე დინარი, რომელიც მუჰამმადმა მოჭრა რეისა და ბაღდადში 549/1154-55—551/1156-57 წლებში¹². მისი სახელი აღნიშნულია აზერბაიჯანის ათაბეგის შამს ად-დინ ელდიგუზის (ილდენიზის) ერთ სპილენძის მონეტაზეც, რომელიც 1156 ან 1157 წ. მოიჭრა¹³. მონეტებზე ის ჩვეულებრივ ატარებს ლაყაბს **اعظم** — უდიდესი. სწორედ ეს ტიტულია მოსალოდნელი აქ განხილული სპილენძის მონეტის ზურგის მეორე სტრიქონის მეორე ნაკლები სიტყვის ადგილზე. საბოლოოდ კი, ამ საფასის ზედწერილები ასე წარმოგვიდგება:

შუბლი: **كلمة الملوك** — [მე]ფე [მეფეთა]

سما — მახვილი მე [სიისა]

او — დავი[თი]

ზურგი: **محمد** — მუჰამადი

السلطان اعظم — სულტანი [უდიდესი]

بن — ძე მაჰ[მუდისა]


¹⁰ დიფერილებით მუჰამად იბნ მაჰმუდის ზოღვაწეობის შესახებ იხ. *The Cambridge History of Iran. vol. 5, The Saljuq and Mongol Periods*, Ed. by J. A. Boyle, Cambridge, 1968, გვ. 169, 175-176; З. М. Бунятов, *Государство атабеков Азербайджана*, Баку, 1978, გვ. 38—42.

¹¹ *The Cambridge History of Iran*, გვ. 169.

¹² Т. Ходжаниязов, *Каталог монет государства Великих Сельджуков*, Ашхабад, 1979, გვ. 138; С. Alptekin, *Selçuklu paraları, „Selçuklu Araştırmaları Dergisi“*, 3, 1971, გვ. 553.

¹³ D. K. Kouymjian, *A Numismatic History of Southeastern Caucasia and Adharbayjan Based on the Islamic Coinage of the 5 th/11th to the 7 th/13 th Centuries*, Columbia University, 1969, გვ. 300 № 4.

ახლა, როცა გაირკვა, რომ მონეტის ზურგზე არ იკითხება ბარქიარუკი, ბუნებრივია, რომ დავით აღმაშენებლისადმი მისი მიკუთვნების საკითხიც საბოლოოდ უნდა მოიხსნას. სულტან მუჰამად იბნ მაჰმუდის თანა-



მედროვე ქართველი მეფეთ-მეფე და მესიის მახვილი დავითი არის მხოლოდ და მხოლოდ დავით აღმაშენებლის შვილიშვილი, დემეტრე I-ის ვაჟი დავით V, რომლის მეფობაც 1155 წელზე მოდის¹⁴. ორი ზემოხსენებული სპილენძის საფასე ე. პახომოვის კოლექციიდან სწორედ მას ეკუთვნის¹⁵ და ეს მონეტები ჭერჭერობით წარმოადგენს დავით V-ის ხანმოკლე (ალბათ ექვსთვიანი) მეფობის ხანიდან ჩვენამდე მოღწეულ ერთადერთ ნივთიერებას.

დავით V-ის განხილული სპილენძის საფასე თავისი ტიპითა და ფაქტურით ახლოს დგას მისი მამის დემეტრე I-ის მონეტებთან¹⁶. მათთვის დამახასიათე-

¹⁴ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტომი III, საქართველო XI—XV საუკუნეებში, თბ., 1979, გვ. 286—288.

¹⁵ ამ სამონეტო ტიპის ახალი ატრიბუციის შემდეგ აღარ რჩება რაიმე მტკიცე საბუთი, რომლის მიხედვითაც შესაძლებელია მსჯელობა 1122 წლამდე დავით აღმაშენებლის მიერ არაბულ ზედწერილიანი საფასის ემისიის შესახებ. ამ ხანებამდე ასეთი მონეტების ძიება უნაყოფო და არარეალური საქმეა.

¹⁶ დემეტრე I-ის მონეტების შესახებ იხ. Е. Пахомов, დასახ. ნაშრომი, გვ. 74—79; დ. კაპანაძე, ქართული ნემიზმატიკა, გვ. 71—72.

ბელია არასწორი ჭრა. ამ მონეტებზე მამა და შვილი მეფეთ-მეფეებად და მესიის მახვილებად იწოდებიან. ორივენი ფორმალურად აღიარებენ ერაყის სელჩუქიანი სულტნებისა და არა უკანასკნელი დიდი სელჩუკი სულტნის სანჯარის (1118—1147) უზენაესობას¹⁷. ფაქტობრივად, როგორც ცნობილია, არავითარი პოლიტიკური დაქვემდებარება არ არსებობდა¹⁸.

მართალია, დავით V-ის საფასეზე არ არის ხალიფას სახელი, მაგრამ ეს უკანასკნელი, ზოგჯერ არც დემეტრე I-ის ფულზეზეა მოხსენიებული. უფრო არსებითია ის, რომ მასზე არ იკითხება ქართული ასომთავრულით დაქარაგმებული დავითის სახელი. საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ სელჩუკთა სულტანი უკანასკნელად დავით V-ის ფულზე ჩანს. გიორგი III-ის მონეტებზე და ისიც მხოლოდ გარკვეულ დრომდე, იხსენიებოდა მხოლოდ აბასიანი ხალიფა.

XII ს-ის ქართველ მეფეთაგან დავით V ერთადერთ ხელმწიფედ რჩებოდა, რომლის ნუმისმატიკური მასალებიც დღემდე უცნობი იყო მკვლევართათვის. ამჟამად ეს ლაკუნა შეივსო, გაირკვა, რომ მიუხედავად ხანმოკლე მეფობისა, დავითი V ჭრიდა მონეტას. ეს ფაქტი ერთხელ კიდევ გვიჩვენებს, თუ რა დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ყოველი ახალი მეფე საკუთარი მონეტის ემისიას და რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სამონეტო რეგალიას შუა საუკუნეების საქართველოში.

Г. И. ДЖАПАРИДЗЕ

ГРУЗИНСКИЕ МОНЕТЫ С АРАБСКИМИ НАДПИСЯМИ (Медные монеты Давида V)

Резюме

В нумизматической литературе известны две медные монеты неправильного чекана, из бывшей коллекции Е. Пахомова, исключительно с арабскими надписями и носящие имя грузинского царя-царей и меча мессии Давида, отождествленного нумизматами (И. Джалагания, Д. Капанадзе) с Давидом IV Строителем (1089—1125). Основным аргументом в пользу такой атрибуции послужило имя сельджукского султана Баркйарука (1094—1105), якобы упомянутого на третьей строке об. ст. одной из этих монет (поступившей после кончины Е. Пахомова в основной фонд грузинских монет Гос. музея Грузии, инв. № 4076, д. 14×23 мм, в. 6,09 г.). Новое изучение монеты показало, что на ней вместо Баркйарука читается имя Иракского сельджукского султана Мухаммада б. Махмуда (1153—1159) и что ее следует отнести к современнику этого султана грузинскому царю Давиду V (1155), нумизматические памятники которого не были раньше известны.

17 აღსანიშნავია, რომ სწორედ სანჯარის მოუხსენებლობა განხილულ მონეტებზე დ. კანანაძემ მიიჩნია იმის ერთ-ერთ საბუთად, რომ ისინი არ იყო მოჭრილი დავით V-ის მიერ.

18 მ. გაბაშვილი, ქართული ნუმისმატიკის ისტორიიდან (XII ს-ის მონეტები არაბული ზედწერილებით). თბილისის უნივერსიტეტის შრომები, 273, აღმოსავლეთმცოდნეობა, 1987, გვ. 67—72. იქვე ლიტერატურა აღნიშნულ საკითხზე.

ნალი ბრეგაძე

**ზოგიერთი ტრადიციული წეს-ჩვეულების
შესწავლისათვის**

ათასწლეულების სიღრმეში წარმოშობილი ხალხური ტრადიციული წეს-ჩვეულებების ირგვლივ ჩატარებულმა კვლევამ შექმნა კულტურის არაერთი საყოფადღებო საკითხის წამოჭრისა თუ გადაჭრის საფუძველი. ამ მხრივ განსაკუთრებული მნიშვნელობისაა ჩვენში ბერიკაობის (ან ბერიკაობა-ყუენობის) სახელით ცნობილ, მსოფლიოს მრავალი ხალხის ყოფაში გავრცელებულ აგრარულ დღესასწაულთან დაკავშირებული წეს-ჩვეულებები. მაგრამ რამდენადაც გარკვეული რიგის, მათ შორის საბერიკო, რიტუალებს ხშირად ადვილი აქვს არაერთი დღესასწაულისა თუ სხვა ყოფითი მოვლენის დროსაც, ამდენად მათ წარმოშობასა, შემდგომ განვითარებასა, გავრცელებასა თუ ტრანსფორმაციასთან დაკავშირებული საკითხების კვლევისას აუცილებელია სხვადასხვა დროს შესასრულებელი ურთიერთმსგავსი წეს-ჩვეულებების გამოვლენა და შედარებითი განხილვა. ამ ამოცანის დასაძლევად კი საჭიროა ბერიკაობისათვის დამახასიათებელი უმთავრესი ნიშან-თვისებებისა და წეს-ჩვეულებების გათვალისწინებით შეირჩეს შესაძარბებელი მასალა და შესატყვისად დაზუსტდეს რომელ ხალხურ კალენდარულ დღესასწაულსა თუ საყოფაცხოვრებო მოვლენებს მიეჭყეს ყურადღება.

ამ მიმართულებით ჩატარებული მუშაობის შედეგად ბერიკაობის წეს-ჩვეულებებთან შედარებით ჭრილში შესწავლილი იქნა ახალ წელს შესასრულებელი ზოგიერთი რიტუალი¹. შემდგომი კვლევა კი მოითხოვს (ასევე ბერიკაობასთან შედარებით ჭრილში), ერთი მხრივ, ახალი წლის ციკლთან დაკავშირებული დამატებითი მასალის მოძიებას, მეორე მხრივ კი (იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ბერიკაობის მთავარი რიტუალები კვდომა-აღორძინებას და, შესატყვისად, ლიკვდილის თემასა და ეროტულ მოტივს ეძღვნება), მიცვალებულის კულტისა და ქორწილის შესახებ არსებული მონაცემების განხილვას.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კალენდარული სისტემების (შესატყვისად, საახალწლო სეზონის) ცვლისა და არაერთი სხვა მიზეზის გამო, დროთა განმავლობაში წეს-ჩვეულებათა უმეტესობამ მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა, ზოგიც ახლებურად იქნა გააზრებული². ამიტომ წლის სხვადასხვა დროს, სხვადასხვა დღესასწაულსა თუ ყოფით მოვლენასთან დაკავშირებული რიტუალების ურთიერთშედარებისას შესაძლებელია სავსებით იდენტურ მონაცემებთან არ გვექნოდეს საქმე, მაგრამ ამჭერად მთავარია მათში შინაარსობრივი თუ ფუნქციური მსგავსების ამოკითხვა და მასალის ამ კუთხით შეფასება.

1 ნ. ბრეგაძე, ბერიკაობის ისტორიის შესწავლისათვის, „მაცნე“, ისტორიის სერია, № 1, 1980.

2 ნ. ბრეგაძე, ძველქართული წარმართული და ხალხური აგრარული კალენდრების ურთიერთმიმართების საკითხისათვის, კრებ. „ძიებანი საქართველოსა და კავკასიის ისტორიიდან“, თბ., 1976.

მეორე მხრივ, ვასათვალისწინებელია ისიც, რომ ბერიკაობის რიტუალების ზუსტი პარალელი ზოგჯერ აღარ შეინიშნება უშუალოდ კვლევის ობიექტად ქცეულ დღეობებსა და ყოფით მოვლენებთან დაკავშირებულ მასალებში (და პირიქითაც), მაგრამ რომელიმე სხვა დროს შესასრულებელ ამა თუ იმ ჩვეულებაში მათი მსგავსი მონაცემების ან სულაც მხოლოდ რაიმე ანარეკლის დამოწმებამ თუ ამოცნობამ შესაძლებელია შუალობითი მაგალითის როლი შეასრულოს და გარკვეული სამსახური გავეწიოს საკითხზე მუშაობაში, სათანადო სურათის წარმოჩენასა და ზოგადი კანონზომიერების დადგენაში. ამ თვალთახედვით მივუდგეთ განსახილველ მასალას.

თავდაპირველად დავაზუსტოთ, რომ ბერიკაობა ჩვენში ცნობილია როგორც საგაზაფხულო დღეობა, რომელსაც ადგილი აქვს ყველიერის კვირაში³. მას წინ უძღვის მოსამზადებელი პერიოდი⁴. იგი გრძელდება რამდენიმე დღე და ხასიათდება მასობრივობით — მასში მთელი მოსახლეობა მონაწილეობს. ასევე, წინასწარი მზადების შემდეგ, რამდენიმე დღე გრძელდება და მასობრივ ხასიათს ატარებს საახალწლო დღესასწაულის, ტრადიციული ქორწილისა და მიცვალებულის დაკრძალვის დროს შესასრულებელი წეს-ჩვეულებებიც.

ბერიკაობა მომკვდავ-აღორძინებადი ვეგეტატური ღვთაებისადმი მიძღვნილი დღესასწაულია. მომკვდავ-აღორძინებადი ღვთაების კვალი თავს იჩენს დღეობათა საახალწლო ციკლშიც. აღნიშნულის დამადასტურებელია შემდეგი ფაქტები: ახალ წელთან დაკავშირებული და წლის შემცვლელად მიჩნეული წარმართული ღვთაება ბასილი//ბოსელი იდენტურია ბერიკასი⁵ და კვირიასი⁶. თეონიმი კვირია კი გარკვეული ხანიდან ქრისტეს ეპითეტადაა გააზრებული⁷; თიანური მასალით, საახალწლო დალოცვაში ბასილს ჩანაცვლება ქრისტე⁸ — ჯვარცმული და მკვდრებით აღმდგარი ძე ღვთისა; საახალწლო რიტუალურ ნამცხვრებს შორის გვხვდება ე. წ. კაცა-ბასილა, კერია-ბერი⁹ და ქრისტეს სახელზე გამოცხვარი პური¹⁰; იმერეთში ჩიჩილაკი ჯვარცმულ ქრისტედაა გადააზრებული¹¹. დაბოლოს, თვით საახალწლო ციკლის დღეობები ხომ იმავ ქრისტეშობით იწყება.

3 ბერიკაობის, როგორც საგაზაფხულო დღესასწაულის მოწვევა მისი თავდაპირველი მხის საგაზაფხულო ბუნიაობის — თარიღისაგან (ნ. ბრეგაძე, ბერიკაობის ისტორიის შესწავლისათვის, გვ. 55, 64) და ყველიერის კვირასთან დაკავშირება ახსნას მოითხოვს. ეს საკითხი ცალკე კვლევის საგანია.

4 დ. ჯანელიძე, ქართული თეატრის ხალხური საწყისები, თბ., 1948, გვ. 465.

5 ვ. ბარდაველიძე, ქართული (სვანური) საწესო გრაფიკული ხელოვნების ნიმუშები, თბ., 1953, გვ. 104, 110, 116.

აღნიშნულთან კავშირში ნიშანდობლივი ჩანს ყველიერში (ანუ როცა ბერიკაობასა აქვს ადგილი) ღვთაება ბოსელის ხსენების ჩვეულება (მ. მაკალათია, მესაქონლეობასთან დაკავშირებული რწმენა-წარმოდგენები გურიაში, კრებ. „გურია“, თბ., 1980, გვ. 73).

6 გ. ონიანი, ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან, საქანდ. დისერტაცია, თბ., 1969.

7 ა. ლეკიაშვილი, აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა თეონიმიდან: ღვთაება კვირის სახელები და ეპითეტები, მსგ, XXI, თბ., 1987.

8 ნ. ღამბაშიძე, საახალწლო დღესასწაული ერწო-თიანეთში, „ისტორიულ-ეთნოგრაფიული შტუდები“, 1985, გვ. 192.

9 ნ. მაკალათია, მთის რაჭა, ტფ., 1930, გვ. 58.

10 ს. მაკალათია, ხევი, ტფ., 1934, გვ. 185.

11 В. Ломинадзе, Встреча Нового года в Имерети, СМОМПК, XIII, отд. II, 1892, с. 5.



თუ გავიხსენებთ, რომ ისტორიულად საახალწლო თარიღს საფუძვლად დავდო ახალი სამეურნეო სეზონის დაწყების დღე და თავდაპირველად კი იგი მოსავლის აღებასთან უნდა ყოფილიყო დაკავშირებული¹², მაშინ საგანგებო მნიშვნელობის გამოჩნდება ის ფაქტიც, რომ სწორედ მომაკვდავ-ალორძინებად ღვთაებად გააზრებული ჭაბუკის¹³ სახელს ატარებს რელიქტური, ინიციალური კულტურული ხორბლის — მახას — მოსავლის აღების პირველი დღე („მახი-კრფის ჭაბუკობა“)¹⁴.

იმავ ჭაბუკის სახელით ცნობილი ღვთაება თავს იჩენს საქორწილო წეს-ჩვეულებებშიც. ხალხური რწმენით, პატარძლის პირველი დამე ეკუთვნის მი-თოურ ღვთაება ჭაბუკს, რომლის კულტთან პირველი დამის უფლების და-კავშირების საკითხს სვამს თ. იველაშვილი¹⁵. ეს მართებული ვარაუდი შეიძ-ლება უფრო დაზუსტდეს, თუ გავიხსენებთ, რომ მომაკვდავ-ალორძინებადი ღვთაების, ანუ ზეციური მეუფის, მიწიერი ხორცშესხმა — მეფე იმავდროულ-ლად ნეფეც ანუ ღვთაებრივი სასიძოც იყო¹⁶. მაშინ მართლაც, სწორედ მომა-კვდავ-ალორძინებადი ღვთაებისადმი მიძღვნილ დღესასწაულთან კავშირში და მისგან მომდინარედ შეიძლება განვიხილოთ ე. წ. პირველი დამის უფლებაც.

ასევე საქმროს ღვთაებრივობის შესახებ შორეული წარსულიდან მომდი-ნარე შეხედულების¹⁷ და ასტრალურ კულტთან კავშირის ანარეკლი შეიძლება დავინახოთ არა მარტო მექორწინეთა სახელწოდებაში — ნეფე//მეფე-დედო-ფალი თუ საქორწილო სამოს-რეკვიზიტში (იხ. ქვემოთ), არამედ ნეფისადმი, როგორც უზუნაესი მბრძანებლისადმი დამოკიდებულებაშიც, რომლის მიხედვით ქორწილის დღეებში მისი ნება-სურვილი გარდუვალი და საქციელიც განუს-ჯელია¹⁸, აგრეთვე მზის გამოსახულების მქონე „ნეფის კვერში“¹⁹ თუ საქორ-წილო სიმღერის ტექსტშიც: „გაბრიელის ხარებითა მზე ქალწულმა მუცლად ილო...“²⁰

რაც შეეხება მიცვალებულთან დაკავშირებულ წეს-ჩვეულებებს, აქ თუმც სახელდებითი ხსენება არაა მომაკვდავ-ალორძინებადი ღვთაებისა, მაგრამ თავ-ვალ სიკვდილისა და მკვდრის მნიშვნელობის მქონე სიტყვები — გარდაცვალება და მიცვალებული, აგრეთვე კუბოს სინონიმი — სასახლე²¹ ან საკულტო და საფლავის კოშკების ურთიერთმსგავსება²² გადმონაშთური მინიშნება უნდა იყოს იმაზე, რომ მიცვალებული გააზრებულია მომაკვდავ-ალორძინებადი ას-

12 ნ. ბრეგაძე, ძველქართული წარმართული და ხალხური აგარაღი..., გვ. 399.

13 ნ. აბაკელია, ჭაბუკი ღვთაების კულტი დასავლეთ საქართველოში, „ისტორიულ-ეთნოგრაფიული შტუდიები“, III, თბ., 1988.

14 ნ. ბრეგაძე, მემინდერობასთან დაკავშირებული წეს-ჩვეულებანი რაჭა-ლეჩხუმში, მაცნე, № 2, 1964, გვ. 128; მისივე, მთის მიწათმოქმედება დასავლეთ საქართველოში, თბ., 1969, გვ. 222, 226.

15 თ. იველაშვილი, საქორწინო წეს-ჩვეულებანი სამცხე-ჯავახეთში, თბ., 1987, გვ. 95.

16 ნ. ბრეგაძე, მეფე, „საქ. სსრ. მეცნ. აკად. მოამბე“, ტ. 100, № 3, 1980.

17 იქვე.

18 ნ. მანაბელი, ქორწინების ინსტიტუტი ქართლში, თბ., 1978, გვ. 79, 109.

19 თ. სახოკია, ეთნოგრაფიული ნაწერები, თბ., 1956, გვ. 109; ბ. ნანობაშვილი, სოციალური ყოფა აღმოსავლეთ საქართველოში, თბ., 1988, გვ. 115—116.

20 თ. იველაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 87.

21 ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. VI, თბ., 1960, გვ. 800—801.

22 В. В. Бардавелидзе, Исторические корни традиционных общественно-культурных памятников Кавказа, М., 1968, с. 15—16.

ტრალური დღეთაების ტოლად, რომლის სამყოფელია სწორედ სასახლე და კოშკი. ასევე საბერიკო, საახალწლო და საქორწილო წეს-ჩვეულებებში აშკარად გამოხატულ ასტრალურ კულტთან მიცვალებულის კავშირზე უნდა მიგვი-თითებდეს როგორც მზის ჩასვლამდე ან მზის გადასვლისას²³ დაკრძალვის წესი, ისე მიცვალებულთან დაკავშირებული სამოსი (იხ. ქვემოთ), თუ ხალხის რწმენა, რომ ხელმეორედ გათხოვილი ქვრივი საიქიოში პირველი ქმრის მეუღლედ რჩება²⁴.

რამდენადაც ბერიკაობა ეძღვნება მომაკვდავ-აღორძინებად ასტრალურ ღვთაებას, ამდენად მისი მთავარი რიტუალებიც, ცხადია, სიკვდილსა და მკვდრებით აღდგომას ეხება. იმავდროულად სიკვდილის თემას აქ უკავშირდება დღეობის მონაწილეთა ჩხუბ-შერკინებაც, ხოლო აღდგომის შემდგომ სიცოცხლის განახლება-გაგრძელების თემას ემსახურება რიტუალურ ქორწინებასთან თუ ეროტულ მოტივთან დაკავშირებული და სხვა წეს-ჩვეულებებიც. ამ რიგის მასალის მოხმობამდე გავიხსენოთ, რომ ბერიკაობის ერთ-ერთი მთავარი დამახასიათებელი ნიშანია ნიღბოსნობა. თუ ამ მხრივ გადავხედავთ ქართულ საწეს-ჩვეულებო მასალას, აღმოჩნდება, რომ ბერიკაობას (ნიღბოსნობას) ადგილი ჰქონდა არა მარტო გაზაფხულზე (ყველიერში, როცა სრულდება ეს დღეობა), არამედ დღესასწაულთა თანამედროვე საახალწლო ციკლშიც, ზაფხულშიც და ყველა დღესასწაულზე. ეს კი დ. ჯანელიძის აზრით, უნდა მომხდარიყო მას შემდეგ, რაც ბერიკაობამ დაკარგა საკულტო მნიშვნელობა და ყოველი დროისა და ხასიათის დღესასწაულის კუთვნილ საერო სანახაობად იქცა²⁵. ცხადია, ბერიკაობა თავდაპირველად ერთ გარკვეულ თარიღთან უნდა ყოფილიყო დაკავშირებული და წლის სხვადასხვა დროს მისი შესრულება შედარებით გვიანი მოვლენაა, მაგრამ საფიქრებელია, მაინც იმ დროსა, როცა მას ჯერ კიდევ არ უნდა ჰქონოდა დაკარგული საკულტო მნიშვნელობა. ამდენად, მის დაკავშირებას წლის სხვადასხვა სეზონთან და თარიღთან სხვა ახსნა უნდა მოეძებნოს. სახელდობრ, აგარარული დღეობა ბერიკაობა წარმოშობით დაკავშირებული იყო ახალი სამეურნეო სეზონის დადგომასთან, რომელიც თავის მხრივ, უძველეს ხანაში საფუძვლად დაედო კალენდარული წლის დასაწყისს. ე. ი. ახალი წელიცა და ბერიკაობაც (ორივე შინაარსით აგარარული დღესასწაული) ოდესღაც ურთიერთთანხვედრილი უნდა ყოფილიყო²⁶. უძველესი კალენდრის მიხედვით კი ახალი წელი მზის საზაფხულო ნაბუნიაობის დღეს ემთხვეოდა²⁷. აღნიშნულიდან გამომდინარე, დასაშვებია ნიღბოსნობა ზაფხულზე გავიზაროთ არა როგორც გვიანი, მეორადი მოვლენა, არამედ როგორც გადმონაშთი იმ შორეული ხანისა, როცა ბერიკაობა ჯერ კიდევ არ იყო ჩამოყალიბებული თავისი საბოლოო საგაზაფხულო დღეობის სახით (თუმც

²³ ხალხის რწმენით, „მიცვალებული ჩამავალ მზეს მიჰყვება სასულეთში“ (ნ. ქაჯაია, მიცვალებულის კულტი ლეჩხუმში, კრებ., „ლეჩხუმი“, თბ., 1985, გვ. 186).

²⁴ დ. გიორგაძე, დაკრძალვისა და გლოვის წესები საქართველოში, თბ., 1987, გვ. 73.

²⁵ დ. ჯანელიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 397.

²⁶ ნ. ბრეგაძე, ბერიკაობის ისტორიის შესწავლისათვის, გვ. 54, 63.

²⁷ პ. ინგვროყვა, ძველქართული წარმართული კალენდარი, „საქ. მუზ. მოამბე“, ტ. VI, გვ. 418—433, ტ. VII, გვ. 285; ნ. ბრეგაძე, ძველქართული წარმართული და... გვ. 398, 400. ი. Идельсон, История календаря, М., 1925, с. 37, 41; С. М. Селешников, История календаря и хронология, М., 1972, с. 104.

კი უკვე სრულდებოდა მისი უმათავრესი რიტუალები), როცა ჯერ კიდევ მოქმედებდა ზემონახსენები უძველესი კალენდარული სისტემა (წლის საზაფხულო საწყისით, რომელსაც ემთხვეოდა ბერიკაობა). მოგვიანოდ, ე. წ. საზაფხულო კალენდრის შემოღების დროისათვის, საბოლოოდ ჩამოყალიბებული დღესასწაულის, ბერიკაობის რიტუალები თუმცა კი გადაინაცვლებდა წლის ახალი კალენდარული საწყისისაკენ (გაზაფხულისაკენ), მაგრამ ბუნებრივია, მათი ტრადიციული შესრულება შემორჩებოდა თავდაპირველ, უძველეს სახალწლო თარიღსაც. შემდეგში კი იულიანური სისტემის გავრცელება-დამკვიდრებას მოჰყვა ძველ სახალწლო თარიღთან დაკავშირებული წეს-ჩვეულებების დუბლირება თანამედროვე (ხამთრის) ახალი წლის ციკლში²⁸. რაც შეეხება ბერიკათა მონაწილეობას ნადიმებსა და ქორწილში²⁹, ამ ფაქტს (ისევე როგორც ქორწილთან და მიცვალებულის კულტთან დაკავშირებულ, საბერიკო რიტუალების მსგავს სხვა წეს-ჩვეულებებს) თავისი ახსნა უნდა მოეძებნოს, რასაც მოემსახურება ქვემოთ მოტანილი მასალა.

თავდაპირველად გავიხსენოთ, რომ საინგილოში ჯერისწერის გათავებისთანავე სიძე საჩქაროდ გამოდის ეკლესიიდან ნაბდით მობუნდული და ვენახ-ვენახ მიიპარება სახლისაკენ³⁰. ამ ჩვეულების აღწერას არ ახლავს ახსნა-განმარტება, მაგრამ ნაბდით მოფუთვრა იწვევს (შესაძლებელია, სრულიად უსაფუძვლო) ასოციაციას ბერიკას სამოსთან — გადაბრუნებულ ტყაბუტთან. სრქესთან და მის სამოს-შემკვლობასთან დაკავშირებით კვლავ გავიხსენოთ, რომ მექორწინე ვაჟს, მსგავსად ბერიკაობის პერსონაჟისა, ეწოდება მეფე//ნეფე და მისი ერთ-ერთი ატრიბუტია გვირგვინი. ამ უკანასკნელის წარმოშობა კი უკავშირდება იმ მომავლად აღორძინებადი ასტრალური ღვთაების კულტს, რომლისადმიც მიძღვნილია თავად ბერიკაობა³¹.

საქორწილო სამოსის ირგვლივ არსებული სხვა მასალაცაა გასათვალისწინებელი. სახელდობრ, ჩვენში წარჩინებული ქალის სამოსი იყო ე. წ. სარტყელ-გულისპირიანი ქართული კაბა ქართულივე თავხურვით. და აი, სწორედ ეს ტანსაცმელი წარმოადგენდა საქორწილო ანუ სავეირგვინო კაბის საუკეთესო ნიმუშს³², რაც თავისებური მინიშნებაა იმაზე, რომ პატარძალი, ანუ დედოფალი, მეფის//მეუფის//უფლის³³ — ღვთაების მეწყვილედ გაიზარებოდა³⁴. აქვე დავსძინოთ — იმ შემთხვევაში, თუ პატარძალს არ ექნებოდა ქართული

28 ნ. ბ რ ე გ ა ძ ე, ძველქართული წარმართული და..., გვ. 397, 400.

29 დ. ჯ ა ნ ე ლ ი ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 27, 109, 465; ჯ. რ უ ხ ა ძ ე, სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული ქართული საწესო ნიღბები, მსგ, VII, 1955, გვ. 192; ნ. ნ ა ნ ო ბ ა - შ ე ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 114; ნ. ბ რ ე გ ა ძ ე, კახეთის ეთნოგრაფიული ექსპედიციის დღიური, 1977 (ხელნაწ.).

30 ზ. ე დ ი ლ ი, საინგილო, თბ., 1947, გვ. 103.

31 ე. ბ ა რ დ ა ვ ე ლ ი ძ ე, ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან (ღვთაება ბარბარ-ზაბარ), თბ., 1940, გვ. 76; ნ. ბ რ ე გ ა ძ ე, მეფე, გვ. 750—751.

32 ლ. ბ ო ჯ ო რ ი შ ვ ი ლ ი, კახური ჩაცმა-დახურვა, „ახალუბი“, I, 1947, გვ. 208; ნ. მ ა ჩ ა ბ ე ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 87; ც. ბ ე ზ ა რ ა შ ვ ი ლ ი, რიტუალური სამოსელი, „ქსნის ზეობა“, თბ., 1957, გვ. 125; მ ი ს ი ე ვ ე, გლეხი ქალის ჩაცმულობა იმერეთში, „იმერეთი“, თბ., 1978, გვ. 111—112; მ ი ს ი ე ვ ე, სამეგრელოში ქალის ჩაცმულობა, „სამეგრელო“, თბ., 1979, გვ. 118; მ ი ს ი ე ვ ე, ქალის ტანსაცმელი გურიაში, „გურია“, გვ. 98; მ ი ს ი ე ვ ე, ჩაცმულობა ლეჩხუმში, „ლეჩხუმი“, გვ. 116; თ. ი ვ ე ლ ა შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 68.

33 ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. V, თბ., 1958.

34 ნ. ბ რ ე გ ა ძ ე, მეფე, გვ. 751.

კაბა, ტრადიციის ძალით, თავი მაინც ქართულად უნდა ჰქონოდა დახურული³⁵. ზოლო ქართული თავხურვის (ანუ საგვირგვინო თავსაბურავის საუკეთესო ნიმუშის) აუცილებელი შემადგენელი ნაწილია ჩიხტაკობი³⁶. ეს უკანასკნელი კი, ისევე როგორც გვირგვინი, უნდა იყოს სიმბოლური გამოსახულება ასტროლოგიური ღვთაებისა, რომელსაც ეძღვნება დღესასწაული ბერეკაობა.

აღნიშნულთან კავშირში საყურადღებოა მიცვალებულისა და ჰირსუფლის შემოსვის წესებიც. საქართველოში, ტრადიციულად, მეუღლის დასაფლავების დღეს ცოლი ან ქმარი იმოსებოდა თეთრ საქორწილო ტანსაცმელში³⁷. ქსნის ზეობასა და თუშეთში დამოწმებული ჩვეულებითაც, ჰირსუფლობის დროს მეუღლის დაკრძალვამდე ახალგაზრდა ქვრივ ქალს აცმევდნენ საგვირგვინო კაბას და რთავდნენ სამკაულებით³⁸, ჩანს, იმის ნიშნად, რომ იგი სადედოფლოდ გამოწყობილი აცილებდა თავის მეუღლე „მეფეს“. გარდა ამისა, იგივე სადედოფლო კაბა საუკეთესო სამოსად ითვლებოდა თავად მიცვალებულისათვისაც³⁹, რასაც ადასტურებს საფლავის ქვებზე დამოწმებული საპატარძლო სამოსში გამოწყობილი ქალის გამოსახულებები⁴⁰. ზოგჯერ ღრმა მოხუცს არ გამოაწყობდნენ ამ კაბაში, ოღონდ სამარეში მაინც ჩაატანდნენ⁴¹. საერთოდ კი აუცილებლად ითვლებოდა ჯვარნაწერი ნივთის მიცვალებულისათვის ჩატანება⁴². ამასთან, სასუდრე სამოსი, ტრადიციის მიხედვით, სამჯერ მაინც უნდა ყოფილიყო ჩაცმული. ჩაცმის დღეებად ირჩევდნენ აღდგომას, „დიდ ხატობას“ და ახალ წელს⁴³ ანუ საზეიმო დღეებს. ახალ წელს კი, ხალხის რწმენით, ანგელოზები წერენ ვინ უნდა მოკვდეს. ხოლო ვინც რა სამოსში იქნება, საიქიოსაც იმითი წვა. ამიტომაც ამ დღეს კარგ სამოსში ეწყობოდნენ⁴⁴.

ბერეკაობის ერთ-ერთი მთავარი რიტუალი ეძღვნება კვდომა-აღორძინებას. ლიკვილის თემასთან კი მკიდრო კავშირშია დღესასწაულის მონაწილეთა ჩხუბ-შერკინება. ჩხუბისა და სიკვილის შეხახებ არსებული გადმონაშთური მასალის ერთი რიგი ხაზს უსვამს ამ თემის ირგვლივ შესრულებული წეს-ჩვეუ-

35 ც. ბეზარაშვილი, რიტუალური სამოსელი, გვ. 127.
36 იქვე; მისივე, გლეხი ქალის ჩაცმულობა იმერეთში, გვ. 112; თ. ივკლაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 68.
საყურადღებოა, რომ ჩიხტაკობის გაქობასთან ერთად გამქრალა საქორწილო გვირგვინი (ც. ბეზარაშვილი, ქართული ჩაცმულობა, „შიდა ქართლი“, თბ., 1987, გვ. 77—78).
37 ივ. ჯავახიშვილი, მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, III—IV, თბ., 1962, გვ. 77.
38 ც. ბეზარაშვილი, რიტუალური სამოსელი, გვ. 129; მისივე, ქალის სამოსელი აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, თბ., 1974, გვ. 94; დ. გიორგაძე, დასახ. ნაშრ. გვ. 73.
39 ც. ბეზარაშვილი, სვანი ქალის სამოსი, „სვანეთის ეთნოგრაფიული შესწავლისათვის“, თბ., 1970, გვ. 181, 183; მისივე, ქალის სამოსელი აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, გვ. 94; მისივე, რიტუალური სამოსელი, გვ. 127—128; მისივე, გლეხი ქალის ჩაცმულობა იმერეთში, გვ. 114; მისივე, სამეგრელოში ქალის ჩაცმულობა, გვ. 120—122; მისივე, ქალის ტანსაცმელი გურიაში, გვ. 191; დ. გიორგაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 8.
40 ც. ბეზარაშვილი, ქართული ჩაცმულობა, გვ. 78; ე. ნადირაძე, ქვითხურობა და საფლავის ძეგლები შიდა ქართლში, კრებ. „შიდა ქართლი“, გვ. 145, სურ. 2 და გვ. 149, სურ. 12.
41 ც. ბეზარაშვილი, ქალის ტანსაცმელი გურიაში, გვ. 101.
42 ც. ბეზარაშვილი, რიტუალური სამოსელი, გვ. 128.
43 ც. ბეზარაშვილი, სვანი ქალის სამოსი, გვ. 183—184.
44 ს. მკაცლათია, ფშავი, ტფ., 1934, გვ. 159.

ლებების კავშირს დღესასწაულის საახალწლო ციკლთან. მაგალითად, შობის წინა საღამოს სვანეთში მოზარდები ყაერის ხმლებით თამაშობენ გათენებამდე. მეორე დღეს კი ჩამოივლიან სოფელს და ხმლებით აწიოკებენ ხალხს⁴⁵. ან აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში დამოწმებულია ახალ წელს ე. წ. დარბევის, ხელჩართული ჩხუბისა და ომის გათამაშების შედეგად „სიკვდილიცა“ და „გაცოცხლებაც“, თუ „ტყვეთა მოტაცებაც“⁴⁶. ამავე ჭრილში შეიძლება განვიხილოთ ე. წ. მეფის განადირების ჩვეულებაც (იხ. ქვემოთ).

აღორძინება-განახლების საწყისად მიჩნეულ საახალწლო თარიღს ხალხის რწმენა უკავშირებს საიქიოს წამსვლელთა სიის შედგენასაც⁴⁷. ამავე დღისათვის ცხვება რიტუალური პურიც, ე. წ. მიქელ-გაბრიელი⁴⁸. გარდა ამისა, დღეობათა საახალწლო ციკლში ადგილი აქვს მიცვალებულთა მოხსენიებას. მიცვალებულს იხსენიებენ წყალკურთხევასა⁴⁹ და ლიფანაღში, რომლის დროსაც თავს იჩენს ბერეკაობისათვის დამახასიათებელი ჩხუბისა და კარდაკარ სურსათის შეგროვების ჩვეულებაც⁵⁰. ამ უკანასკნელზე ქვემოთ იქნება საუბარი. მანამდე კი გავიხსენოთ, რომ ახალი წლის მეორე დღე — კუმუტი/კუმეტობა⁵¹ განიხილება ასევე საიქიოსთან და მიცვალებულის კულტთან კავშირში. მიცვალებული კი, ხალხის რწმენით, უწმინდურია⁵². ამიტომაც ბუნებრივია, რომ კუმუტი შეესატყვისება ბერეკაობა-ყვიენობის ციკლის ე. წ. შავ ორშაბათს⁵³, რომელიც კუდიანების ღამედაა მიჩნეული.

ავსულ-ეშმაკეულთან დაკავშირებული სხვა დღეებიცაა ცნობილი ქართველთა ყოფაში, მაგრამ მათზე მასალის მოტანამდე შევჩერდით კვლავ მიცვალებულის მოსახსენებელ დღეებზე. ასეთებია — ხევსურეთში ე. წ. თიბის სამშაბათი ანუ თიბების დაწყების დღე⁵⁴, რაც საესებით ლოგიკური ჩანს, ვი-

45 ამ საბავშვო თამაშობასთან დაკავშირებით ჯერ კიდევ ბ. ნიქარაძე აღნიშნავდა, რომ ხალხი პატივს სცემს რა ჩვეულებას, ითმენს ამ „მეომრებისაგან“ ოჯახის „დარბევა-აწიოკებას“, რის საფუძველზეც ნ. ლოღობერიძე მართებულად ასკვნის, რომ ამ საბავშვო გართობამ ასახა და შემოინახა ძველი ყოფისათვის დამახასიათებელი ტრადიციული წესი (ნ. ლოღობერიძე, ხალხური აღზრდის წესები სვანეთში, „სვანეთის ეთნოგრაფიული შესწავლისათვის“, გვ. 195).

46 გ. თევდორაძე, ხუთი წელი ფშავ-ხევსურეთში, ტფ., 1930, გვ. 42; ს. მაკალათია, ხევსურეთი, თბ., 1984, გვ. 216; მისივე, თუშეთი, თბ., 1983, გვ. 184; ნ. ბრეგაძე, თუშეთის ეთნოგრაფიული ექსპედიციის დღიური, 1965 (ბელნაწ.).

47 ს. მაკალათია, ფშავი, გვ. 159.

48 ნ. ღამბაშიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 194.

49 დ. გიორგაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 61.

50 ე. ბარდაველიძე, სვანურ ხალხურ დღეობათა კალენდარი. I ა. ახალწლის ციკლი, მსე, VI, თბ., 1953.

51 ს. მაკალათია, ხევსურეთი, გვ. 217—218; დ. გიორგაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 66.

კუმუტს შეესატყვისება მომავლდავ-აღორძინებადი ღვთაებისადმი მიძღვნილი დღესასწაულის ის მონაკვეთი, რომელიც მისი კვდომისა და აღორძინებამდე საიქიოში ყოფნის პერიოდს ემთხვევა (ნ. ბრეგაძე, ქართულ-ბულგარული ისტორიულ-ეთნოგრაფიული პარალელები, საახალწლო დღეობათა ციკლი, 1985. ბელნაწ.).

52 დ. გიორგაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 22—26; გ. კობალეიშვილი, „სამზეო“ და „სულეთი“ ფშავ-ხევსურთა წარმოდგენების მიხედვით, მსე, XIII, გვ. 213.

მიცვალებულის უწმინდურობაზე შეხედულებასთან კავშირში გავიხსენოთ თუნდაც პანანაშვილიდან და ვასუნიშვილან სტუმრად მისვლის აკრძალვის წესი.

53 კუმეტობასთან კავშირში შავი ორშაბათის განხილვის საყიბის წამოჭრა ბლაიხშტაინერმა (იხ. ჯ. რუხაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 196—197).

54 დ. გიორგაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 62.

ნაიდან ჩვენი წინაპრების უძველესი ანიმისტური წარმოდგენების მიხედვით, მცენარის მოჭრა მისი სულის კვდომის იდენტურად გაიაზრებოდა⁵⁵. აქვე თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ ბერეკაობის ერთ-ერთი მთავარი რიტუალი — კვდომა — წარმოშობით უკავშირდება მოსავლის აღებას, პურის სულის მოკვლას⁵⁶, გასაგები გახდება თუ რატომ ატარებს მომაკვდავ-აღორძინებადი ღვთაების სახელს ინიციალური კულტურული ხორბლის მოსავლის აღების პირველი დღე („მახიკრეფის ჭაბუკობა“).

დავუბრუნდეთ ქართველთა ყოფაში დამოწმებულ ეშმაკეულთან დაკავშირებულ დღეებს. ესენია: სამეგრელოში — 20 ივლისი და 15 აგვისტო⁵⁷, იმერეთში — 15 აგვისტო⁵⁸, გურიაში — 20 ივლისი და 1 სექტემბერი ანუ დადგობა⁵⁹. ეს თარიღები ერთმანეთისაგან დაშორებულია. მაგრამ თუ შევეცდებით განვსაზღვროთ მათი ადგილი და მნიშვნელობა ხალხურ კალენდარში, მივალთ საყურადღებო დასკვნამდე. სახელდობრ, 1 სექტემბერი, როგორც ზემოთ აღინიშნა, ძველი კალენდარული სისტემის ახალი წელია. 14 აგვისტო კი ქართველი ხალხის დღეობათა კალენდარში წლის ერთ-ერთი საწყისი თარიღთაგანია⁶⁰ (ე. ი. 15 აგვისტო კუმეტით მეორე დღეა ახალი წლისა) და რიცხვთა მცირეოდენი მერყეობის მიუხედავად უახლოვდება ძველქართული წარმართული კალენდრის საახალწლო თარიღს, რომელსაც ადგილი უნდა ჰქონოდა კუროს ეპოქაში; 20 ივლისი კი შეიძლება დავუკავშიროთ ვერძის ეპოქის წლის დასაწყისს⁶¹. მაშასადამე, თუ ზემოდასახელებულ თარიღებს განვიხილავთ როგორც ქართველთა ყოფაში მოქმედი ძველი კალენდარული სისტემების პირველ დღეებს და გავითვალისწინებთ იმასაც, რომ ამ დღეებში „გულთმისნები არკვევდნენ“ ვინ უნდა მომკვდარიყო იმ წელს⁶², დავრწმუნდებით, რომ ეშმაკეულისადმი განკუთვნილი დღეები თავისი წეს-ჩვეულებებით ემთხვევა სწორედ ახალ წელს და გამოდის, რომ ეს ფაქტიც კიდევ ერთი დამადასტურებელია იმისა, რომ მომაკვდავ-აღორძინებადი ღვთაებისადმი მიძღვნილი დღესასწაული წარმოშობით დღეობათა საახალწლო ციკლს უკავშირდება.

საქორწილო რიტუალების კავშირზე ჩხუბთან და მიცვალებულის კულტთან მიგვანიშნებს მაყრიონის გზაზე მოჭიდავეთა დახვედრისა და მაყართან დაქიდების⁶³, აგრეთვე ქორწილის შემდეგ სასაფლაოზე გასვლის (ე. წ. განადი-

55 Дж. Фрезер. Золотая ветвь, III, Л., 1928, с. 54.
56 ბ. ბრეგაძე, ბერეკაობის ისტორიის შესწავლისათვის, გვ. 58—60.
57 ც. ბეზარაშვილი, ქალის ტანსაცმელი გურიაში, გვ. 106; ნ. დოღობერიძე, ხალხური აღზრდის წესები სამეგრელოში, კრებ. „სამეგრელო“, გვ. 163.
58 ნ. დოღობერიძე, ხალხური აღზრდის წესები და საბავშვო გართობა-თამაშობანი იმერეთში, „იმერეთი“, გვ. 181—182.
59 თ. სახოკია, მოგზაურობანი, თბ., 1950, გვ. 49; ც. ბეზარაშვილი, ქალის ტანსაცმელი გურიაში, გვ. 106; მ. ნადარაია, დემონოლოგიის საკითხები საქართველოში, „გურია“, გვ. 184—185.
60 ვ. ბარდაველიძე, სენაურ ხალხურ დღეობათა კალენდარი. 1, თბ., 1939, გვ. X1.
61 Н. А. Брегадзе, Очерки по агроэтнографии Грузии, Тб., 1982, с. 170.
62 ბ. კაპანაძე, ბავშვის დაბადებასთან დაკავშირებული რწმენა-წარმოდგენები, „ისტორიულ-ეთნოგრაფიული შტუდები“, III, 1988, გვ. 157.
63 თ. იველაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 78; ბ. ნანობაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 87, 115.

აღბათ ამ ჩვეულებიდან მომდინარეა ხალხის რწმენა, რომ ქორწილი უჩუბბრად არ ჩაივლის.

რების) ჩვეულებანი⁶⁴ და სხვ. ქორწილსა და სიკვდილთან დაკავშირებული ურთიერთმსგავსი რიტუალებისა და, საერთოდაც, სიკვდილ-სიცოცხლის თემების ურთიერთკავშირისა და ურთიერთგადაჯაჭვულობის დამამტკიცებელ სხვა მაგალითებზე საუბარი იქნება ქვემოთ. მანამდე კი გავიხსენოთ, რომ ქორწილის დროს უწმინდურისა და ავსულ-ეშმაკეულისაგან ნეფე-დედოფლის დაცვის მნიშვნელობა მიეწერება არაერთ რიტუალს, მათ შორის ისეთებს როგორცაა მყრიონის მგზავრობისათვის არჩევა შაბათი დღისა, როცა ხალხის რწმენით ავსულებს ნაკლები ძალა აქვთ; მგზაურობისას მყრიონის მიერ თოფის სროლა; ნეფის უბნის ბიჭების მიერ სოფლის გარშემო ეჩნედილის ანთება და ასე ნეფის კარამდე მყარების მიცილება⁶⁵ ან ცხენიდან ჩამოხდომისას დედოფლის მიერ ფეხის დადგმა გამურულ ქებაზე⁶⁶; ნეფე-დედოფლის გატარება გადაჯვარედინებული ხმლების ქვეშ; ზღურბლზე დადებული ჯამის გატეხვა⁶⁷; ქორწინების პირველ დამეს მექორწინეთა თავქვეშ ხანჯლის ამოდება თუ მყარის მიერ მათი საწოლი ოთახის დარაჯობა⁶⁸ და სხვ.

მკვდრებით აღდგომა-აღორძინებისა და ზოგადად კეთილდღეობის თემას ემსახურება ბერიკაობის მთავარი პერსონაჟის მიერ შესასრულებელი არაერთი წეს-ჩვეულება, იქნება ეს ბარაქიანობა-სიუხვის უზრუნველყოფის მიზნით დალოცვა, თუ ზოგადად ეროტულ მოტივთან, საწესო ქორწინებასა და ხენათესვასთან დაკავშირებული და სხვა რიტუალები. ბერიკაობის მთავარი პერსონაჟი კი (ბერი/ბერიკა) თავისი წეს-ჩვეულებებით თავდაპირველად ახალ წელთან იყო დაკავშირებული და მისი უფლება-მოვალეობანი ემთხვეოდა საახალწლო მეკვლის ფუნქციებს⁶⁹. ამ უკანასკნელთა რიგს კი განეკუთვნება ერთ-ერთი მთავარი საახალწლო რიტუალი — მეკვლეობა, რომელიც სრულდება დამდეგ წელს ჯანმრთელობა-კეთილდღეობის, ნაყოფიერება-გამრავლებისა და ბარაქიანობა-დოვლათიანობის უზრუნველყოფის მიზნით. მეკვლეობას ადგილი ჰქონდა როგორც ბერიკაობაში⁷⁰, ისე ბარბალობასა — 4 დეკემბერს⁷¹ და 1 სექტემბერსაც⁷², რაც საყვებით ბუნებრივი და გასაგები გამოჩნდება თუ გავიხსენებთ, რომ ბარბალობა ხალხური აგარარული დღესასწაულების თავთარილია⁷³ და ხალხური კალენდრის მიხედვით წლის დასაწყისადაა მიჩნეუ-

64 თ. იველაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 100—105; მისივე, ხალხური სანახაობითი წარმოდგენების ელემენტები საქორწინო რიტუალში, მსგ. XXIII, გვ. 110; ბ. ნანობაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 111—112; ს. ვახუთია, მიცვალებულთან დაკავშირებული წეს-ჩვეულებები ბასკეთში და მათი ქართული პარალელები, „ისტორიულ-ეთნოგრაფიული შტუდიები“, 1982, გვ. 78; ნ. მაჩაბელი, დასახ. ნაშრომი, გვ. 107.

65 ბ. ნანობაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 82—83.

66 ს. მაკალათია, მესხეთ-ჯავახეთი, თბ., 1938, გვ. 84; თ. იველაშვილი, საქორწინო წეს-ჩვეულებანი სამცხე-ჯავახეთში, 79—81.

67 ბ. ნანობაშვილი, საქორწინო წეს-ჩვეულებათა საკითხისათვის, „მნათობი“, № 9, 1979, გვ. 187; თ. იველაშვილი, საქორწინო წეს-ჩვეულებანი..., გვ. 81.

68 ნ. მაჩაბელი, დასახ. ნაშრომი, გვ. 129—131.

69 ნ. ბრეგაძე, ბერიკაობის ისტორიის შესწავლისათვის, გვ. 51—52.

70 ჯ. რუხაძე, ძველი ქართული აგარარული დღესასწაულის მთავარი პერსონაჟი ბერიკა, მსგ. IX, გვ. 174.

71 ვ. ბარდაველიძე, ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან, (ღვთება ბარბარ-ბაბარ), გვ. 92; ნ. დოლობერიძე, ხალხური აღზრდის წესები და საბავშვო გართობა-თამაშობანი იმერეთში, გვ. 182.

72 Т. Мамаладзе, Народные обычаи и поверья гурийцев, СМОМПК, XVII, с. 63.

73 ვ. ბარდაველიძე, მთის მიწათმოქმედება დასავლეთ საქართველოში, გვ. 227.



ლი⁷⁴. ხოლო 1 სექტემბერი კი ძველი კალენდარული სისტემის ახალი წლის დღეა⁷⁵ (რაცეც მკერმეტყველურად მიგვანიშნებს ამ თარიღის ხალხური სახელწოდება — დადგე⁷⁶). მეკვლეობის გადმონაშთური ანარეკლი თავს იჩენს საქორწილო წეს-ჩვეულებებშიც. მაგალითად, ქიზიყში მაყრები ოჯახს ლოცავენ საახალწლო მეკვლის სიტყვებით: „შემოვდგი ფეხი, გწყალობდეთ ღმერთი. ფეხი ჩემი — კვალი ანგელოზისა“⁷⁷. დალოცვის ამავე ფორმულით იწყება ჯვარობის სიმღერა ფშაურ ქორწილში⁷⁸. ხოლო მეგრული მაყრული „კუჩხა ბედნიერი“⁷⁹, რომელიც ბუნებრივად იწვევს ასოციაციას სვებედნიერ მეკვლენაფეხესთან, სრულდება ქორწილშიც და ახალ წელსაც⁸⁰.

როგორც ბერიკას, ისე მეკვლის მიერ შესასრულებელ ერთ-ერთ მთავარ რიტუალს — საწესო თესვას (ან მის იმიტაციას) ადგილი ჰქონდა არა მარტო საბერძნო დღესასწაულის დროს და საახალწლო დღეობათა ციკლში, არამედ ახალი სამეურნეო სეზონის დასაწყისად მიჩნეულ დღეებშიც (რაიონების მიხედვით), კერძოდ, თედრობას, 9 მარტს⁸¹, ხარებას — 25 მარტს ანუ ე. წ. ოცობას⁸² და დიდმარხვის მეორე კვირის შაბათს, რომელსაც თუშეთში სულთაყრეფა ეწოდება⁸³ და როგორც ამ სახელწოდებიდან ჩანს, იგი იმავდროულად მიცვალებულის კულტსაც უკავშირდება (ეს ფაქტი, თავის მხრივ, კიდევ ერთხელ მიგვითითებს ახალი სამეურნეო სეზონის დასაწყისის წეს-ჩვეულებებთან მიცვალებულის კულტის კავშირზე). ამავე კრილში შეიძლება განვიხილოთ საფლავში ხორბლის ჩათესვის ჩვეულება⁸⁴, ხოლო რიტუალი, რომლის მიხედვით ნეფის ოჯახში შესული პატარძალი ღომის მარცვლებს მოაბნევს სახლის კუთხეებსა და კერის გარშემო⁸⁵, ასევე მოგვაგონებს საწესო თესვას და მის იმიტაციად წარმოგვიდგება. იმავდროულად დამოწმებულია ქორწილის დროს გუთნის შემოტარების ჩვეულება⁸⁶.

ბერიკაობისათვის დამახასიათებელი რიტუალური ქორწინებისა და ზოგადად ეროტული მოტივის შესატყვისი მასალის ამოკითხვა შესაძლებელია დღეობათა საახალწლო ციკლშიც. აქაც ვლინდება ტრადიციულად შექმნილი ჩვეულებები, რომლებიც რიტუალური სქესობრივი კავშირისა და ზანგასმული ფალიური კულტის გადმონაშთებადაა მიჩნეული. ასეთებია საახალწლო მორი, სვანეთში დამოწმებული ჩვეულება ახალი წლის წინა ღამით ჩხირით განატეხების ჩხვლეტისა შეძახილით „ჭუ-„ჭუ“⁸⁷, რომელიც ჰგავს სვანეთშივე მელია-ტულეფიას

74 ვ. ბარდაველიძე, ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან, გვ. 92.

75 პ. ინგოროყვა, დასახ. ნაშრომი.

76 თ. სახოკია, მოგზაურობანი, გვ. 49; მ. ნაღარია, დასახ. ნაშრომი, გვ. 184—185; ც. ბეზარაშვილი, ქალის ტანსაცმელი გურიაში, გვ. 106.

77 ბ. ნანობაშვილი, საქორწილო წეს-ჩვეულებათა საკითხისათვის, გვ. 184.

78 ს. მაკალათია, ფშავი, გვ. 133.

79 თ. სახოკია, ეთნოგრაფიული ნაწერები, გვ. 97.

80 ქ. ჭითანავა, მეგრული სიმღერა „კუჩხა ბედნიერი“, მსუ, XXI, გვ. 256—257.

81 ნ. ბრეგაძე, მთის მიწათმოქმედება დასავლეთ საქართველოში, გვ. 221, 223.

82 ს. მაკალათია, თუშეთი, გვ. 195.

83 დ. გიორგაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 62—64; ნ. აზიკაური, თუშური „ბაცუკა“, „მეკვლის მეგობარი“, № 42, 1976, გვ. 68.

84 დ. გიორგაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 15.

85 თ. სახოკია, ეთნოგრაფიული ნაწერები, გვ. 100.

86 ნ. ბრეგაძე, კახეთის ეთნოგრაფიული ექსპედიციის დღიური.

87 ვ. ბარდაველიძე, ქართული (სვანური) საწესო გრაფიული ხელოვნების ნიმუშები, გვ. 94, 115, 134.

რიტუალის შესრულების დროს სქესობრივი აქტის გასაძლიერებლად ნახშირ მაგიურ შეძახილს „ჯუპ-ჯუპ“⁸⁸; სამცხე-ჯავახეთში გავრცელებული ჩვეულება ცოლ-ქმრის ერთად წოლისა ვაჟის გაჩენის მიზნით⁸⁹; სამეგრელოში კუნჩხა ღამეს მოწყობილი მასკარადისა⁹⁰ თუ ხევსურეთში გათამაშებული დარბევის დროს⁹¹ ქალის მოტაცება და სხვ. ქორწილის დროსაც სრულდებოდა ქალის მაყრის მიერ ნეფის სოფელში ქალიშვილის ან გოგონას მოტაცების რიტუალი⁹². ზოგიერთ რაიონში კი წესად ყოფილა საცოლის მოტაცება⁹³. მართალია, ამ უკანასკნელის ბოლო დრომდე შემორჩენა განპირობებული იყო ყოფითი მოვლენებით, სოციალ-ეკონომიკური პირობებით, მაგრამ საფიქრებელია, რომ დროთა განმავლობაში შეცვლილი და ახალშინაარსმიღებული ეს ჩვეულება საწყისს იღებს მომაკვდავ-აღორძინებადი ღვთაებისადმი მიძღვნილი დღესასწაულისათვის დამახასიათებელი რიტუალიდან (პატარძლის მოტაცება ბერეკაობაში), რომელიც შესაძლებელია ბუნებრივი ანარეკლ-გამოძახილი იყოს მომაკვდავ-აღორძინებადი ღვთაების ისტორიაში მოგვიანო ხანის მითისა პლუტონის მიერ პერსეფონას მოტაცების შესახებ.

მიცვალებულის კულტისადმი მიძღვნილი წეს-ჩვეულებებიდან ყურადღებას იქცევს მიცვალებულის ღამისმთევველთა მიერ ცოლ-ქმრული ურთიერთობის სიმულაციის — „წოლა-დგომის“ წესის შესრულება⁹⁴. საფიქრელია, რომ ეს საწესო ერთობში დაკავშირებულია კვდომა-აღორძინების იდეასთან და თავისებური გადმონაშთური ანარეკლია საბერეკო რიტუალისა, რომელიც ეძღვნება როგორც კვდომას, ისე აღორძინებას, სიცოცხლის გაგრძელებასა და საწესო ქორწინებას.

ბერეკაობისათვის დამახასიათებელია კარდაკარ სიარული, ბარაქიანობა-ნაყოფიერების სურვილით დალოცვა-მოსახლეობისა, სურსათ-სანოვაგისა და სხვა შესაწირავების შეგროვება, რაც საერთო ტრადიციით მთავრდება. მსგავს ჩვეულებას დღეობათა საახალწლო ციკლში ადგილი აქვს, ერთი მხრივ, მიცვალებულის კულტთან დაკავშირებულ დღეს — ლიფანალში (რახეც ზემოთ იყო საუბარი), მეორე მხრივ კი, მეალილოეთა მსვლელობისას, რომლებიც თუმც კი ქრისტიანული დღესასწაულის — შობის — მონაწილენი, მაგრამ უეჭველია, წარმართული დროიდან მომდინარე პერსონაჟები არიან. აღნიშნულის დასტური უნდა იყოს ის ფაქტიც, რომ ალილოზე მოსიარულეთა სიმღერას წარმართული ჰანგი უდევს საფუძვლად⁹⁵.

აღნიშნულთან კავშირში საყურადღებოა, რომ იმერეთში ეწოდება ალილოზე ჩამოვლა ქორწილის დროს შესასრულებელ რიტუალსაც⁹⁶, რომელიც აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოში ცნობილია ნეფის განადირების სა-

88 ჯ. ო ნ ი ა ნ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 282.

89 ს. შ ა კ ა ლ ა თ ი ა, მესხეთ-ჯავახეთი, გვ. 107.

90 თ. ს ა ხ ო კ ი ა, ეთნოგრაფიული ნაწერები, გვ. 56.

91 ს. შ ა კ ა ლ ა თ ი ა, ხევსურეთი, გვ. 217.

92 ს. შ ა კ ა ლ ა თ ი ა, ფშავი, გვ. 141.

93 თ. ს ა ხ ო კ ი ა, ეთნოგრაფიული ნაწერები, გვ. 91; რ. ე რ ი ს თ ა ე ვ ი, ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული წერილები, თბ., 1986, გვ. 81.

94 დ. გ ი ო რ გ ა ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 11.

95 ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. I, 1975.

96 თ. ი ვ ე ლ ა შ ვ ი ლ ი, ხალხური სანახაობითი წარმოდგენების ელემენტები..., გვ. 110.

ხელით⁹⁷. ეს უკანასკნელი თ. იველაშვილმა შეუდარა ბერიკაობას და ხაზი გაუსვა მათ შორის არსებულ მსგავსებას. ორსავე შემთხვევაში საქმე გვაქვს საერთო სასოფლო ხასიათის ღონისძიებასთან, რომლის მონაწილენი შედიან ოჯახებში, სადაც მათ უმასპინძლებდებიან და აძლევენ ძღვენს სურსათის სახით. დასასრულს კი შენაქრებ-„ნანადირევით“ მართავენ სუფრას⁹⁸. ამას თუ დაუმატებთ, რომ ორსავე შემთხვევაში სრულდება ალილო⁹⁹ და განადირებისას სახლში შესულ მაყრიონს, ისევე როგორც მეკვლეს, მასპინძელი თავს დაალოცვინებს¹⁰⁰. კიდევ ერთხელ გაცხადდება საბერიკო, საახალწლო და საქორწილო რიტუალების ურთიერთმსგავსება.

შესაწირავის გარდაც და რიტუალური საერთო ტრაპეზა ასევე ტრადიციულია მიცვალებულთან დაკავშირებულ წეს-ჩვეულებებისათვის¹⁰¹. ამ რიგის მასალებიდან საყურადღებოა ტერმინი სანიჭარი, რომელიც თუშეთში ჭირისუფლისათვის გაღებულ მატერიალურ დახმარებას¹⁰², სამცხე-ჯავახეთში კი ქორწილის შესაწევარს ჰქვია¹⁰³. ამავე შესაწევარს კახეთში¹⁰⁴ და ფერეიდნელ ქართველებშიც¹⁰⁴ ნიჭს უწოდებენ. იმავდროულად ნიჭი, როგორც წყლისადმი მისართმევი ძღვენ-შესაწირი, გვხვდება საახალწლო რიტუალშიც¹⁰⁶.

ბერიკაობასა და ალილოობასთან მსგავსების მქონე ნეფის განადირების ჩვეულება იერშეცვლილი წესი თუ სიმულაცია უნდა იყოს ნამდვილი ნადირობისა, სამეფო კარზე გავრცელებული საახალწლო ტრადიციული რიტუალის ერთ-ერთი მთავარი კომპონენტისა¹⁰⁷, რაზეც უნდა მიგვითითებდეს მაყრულის¹⁰⁸ და თვით ამ განადირებისადმი მიძღვნილი სიმღერების ტექსტები¹⁰⁹. ამავე ჭრილში საყურადღებოა მასალა, რომელიც იქნებ ასევე განვიხილოთ, როგორც რიტუალური ნადირობის გადმონაშთი. მაგალითად, ახალ წელს მთის რაჭასა¹¹⁰ და სვანეთში¹¹¹ მონადირეები დასაბედებლად ისვრიან ნიშანში, ხოლო ერწო-თიანეთში ვაქები ერთობიან* მოხარშული ღორის თავის „დაკენკვით“¹¹². ახალი სამეურნეო სეზონის საწყისის მნიშვნელობის მქონე, დიდ-ზარხვის მეორე შაბათს, ე. წ. სულთაკრეფას (რომელიც მიცვალებულებსაც

97 ს. შაკალათია, მესხეთ-ჯავახეთი, გვ. 95—96; ნ. მაჩაბელი, დასახ. ნაშრომი, გვ. 122; ს. ხოსიტაშვილი, ქორწინება მესხეთ-ჯავახეთში, „მესხეთ-ჯავახეთი“, თბ., 1972, გვ. 188; ნ. ნანობაშვილი, საოჯახო ყოფა აღმოსავლეთ საქართველოში, გვ. 113; თ. იველაშვილი, საქორწინო წეს-ჩვეულებანი სამცხე-ჯავახეთში, გვ. 100—105.

98 თ. იველაშვილი, იქვე; მისივე, ხალხური სანახაობითი წარმოდგენების ელემენტები...

99 ბ. ნანობაშვილი, საოჯახო ყოფა აღმოსავლეთ საქართველოში, გვ. 112—114.

100 თ. იველაშვილი, ხალხური სანახაობითი წარმოდგენების ელემენტები..., გვ. 110.

101 დ. გიორგაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 50—70.

102 იქვე, გვ. 69; თ. იველაშვილი, საქორწინო წეს-ჩვეულებანი..., გვ. 99.

103 ს. შაკალათია, სამცხე-ჯავახეთი, გვ. 96; თ. იველაშვილი, საქორწინო წეს-ჩვეულებანი..., გვ. 96—100.

104 თ. იველაშვილი, საქორწინო წეს-ჩვეულებანი..., გვ. 98.

105 გ. გოცირიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 87—97.

106 ნ. დამბაშიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 193, 196.

107 ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. VII.

108 ბ. ნანობაშვილი, საქორწინო წეს-ჩვეულებათა საკითხისათვის, გვ. 183.

109 თ. იველაშვილი, ხალხური სანახაობითი წარმოდგენების..., გვ. 109.

101 ს. შაკალათია, მთის რაჭა, გვ. 59.

111 დადუანი, სვანეთი, გვ. 13.

112 ნ. დამბაშიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 196.

უკავშირდება) იმართება მამაკაცების შეჯიბრი მიცვალებულის სახელზე გამართულ სამიზნეებისათვის თოფის სროლაში და ბავშვების პაექრობა ცხოველთა გამოსახულებიანი რიტუალური პურებისათვის მშვილდ-ისრის სროლაში¹¹³. ხევსურეთში კი მიცვალებულის დასაფლავებასთან დაკავშირებული ცერემონიისა და კუდიან წუხრის დროს ბავშვები რიტუალური დანიშნულებით იყენებენ მშვილდ-ისარს¹¹⁴.

რიტუალური პურები, რომელთა მრავალსახეობაა დადასტურებული (მათ შორის ზემონახსენები კაც-ბასილია, კერია-ბერია, ქრისტე, მიქელ-ვაბრიელი, ნეფის კვერი), ცხვეობდა არა ერთი დღესასწაულისა თუ ყოფასთან დაკავშირებული საგანგებო შემთხვევების დროსაც. მაგრამ ამჟერად გავიხსენოთ გურიაში დამოწმებული ვერცხლისმონეტაჩართული ხაჭაპური, რომელიც ცხვეობდა ყველიერში, როცა ღვთაება ბოსელსაც ასხენებდნენ¹¹⁵. ამგვარი მონეტის რიტუალური ნამცხვარი კი საახალწლო სუფრის აუცილებელი ატრიბუტი და ისევე, როგორღ ღვთაება ბოსელი//ბასილი და მის სახელზე გამოცხვარი პური, უკავშირდება წლის საწყის დღეს.

საბატო ადგილი ეთმობა ბერიკაობა-ყვენობაში დროშას — სიცოცხლისა და ნაყოფიერების ხის სიმბოლოს¹¹⁶. საბერიკო სახიობა-თამაშობები უაღმოდ ვერ ვაიმართებოდა. ამ დღეობის პერსონაჟებს — მეფესა და ყენს — თავთავისი აღმები ჰქონდათ¹¹⁷.

თუშეთში მიცვალებულის დოღში მონაწილე მხედრებსაც თან ჰქონდათ ალამი//ბაირალი¹¹⁸ — სიცოცხლის ხის სიმბოლო, რითაც კვლავ ხაზი აქვს გასმული რწმენას სიკვდილ-სიცოცხლის ციკლურობისა (გარდაცვალებისა და არა კვდომის) და სიცოცხლის გაგრძელება-მარადიულობის შესახებ.

სიცოცხლისა და ნაყოფიერების ხეს სიმბოლური გამოსახულებებია საახალწლო ჩიჩილაკი¹¹⁹ და მის ანალოგებად მიჩნეული, მიცვალებულის კულტთან დაკავშირებული კამარაჲ¹²⁰ (წლისთავისა და აღდგომის აუცილებელი ატრიბუტი) თუ საქორწილო ხონჩა¹²¹ და მისი ვარიანტები: ჩირაღანი¹²², კირანჩხა¹²³, ჯვარი¹²⁴, „მოსავლეჯი ხე“¹²⁵ და სხვ.) (აქედან კვლავ პარალელი საბერიკო სიცოცხლის ხესთან — ალამთან).

113 დ. გიორგაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 63—64; ნ. აზიკური, დასახ. ნაშრ., გვ. 68. აქაც, როგორც ბავშვთა არაერთ გასართობ-თამაშობაში, საქმე გვაქვს უფროსთა ყოფაში გავრცელებული ძველთა-ძველი ტრადიციული ჩვეულების ანარეკლთან.

114 ალ. რობაქიძე, კოლექტიური ნადირობის ვადმონაშთები რაჭაში, თბ., 1941, გვ. 159.

115 მ. მაკალათია, დასახ. ნაშრ., გვ. 72—73.

116 ვ. ბარდაველიძე, სიცოცხლისა და სიუხვის ხე ქართველთა სარწმუნოებაში, მსგ., XIV.

117 დ. ჯანელიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 92, 329, 476.

118 დ. გიორგაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 57.

თბალსიცი ხომ, ახლო წარსულშიც, დამკრძალავ პროცესის წინ უძღვოდა დროში.

119 ვ. ბარდაველიძე, ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან, გვ. 74; ა. სურგულაძე, ქართული საახალწლო ჩიჩილაკი, „ძეგლის მეგობარი“, № 36, გვ. 56—57.

120 ჯ. ონიანი, სვანური კამარაჲ, „ძეგლის მეგობარი“, № 55, გვ. 31—35.

121 ს. მაკალათია, ფშავი, ტფ., 1934, გვ. 132—133, 138.

122 ს. მაკალათია, მთიულეთი, ტფ., 1930, გვ. 117.

123 ს. მაკალათია, ხევი, გვ. 161; ვ. ითონიშვილი, ქართველ მთიელთა საოჯახო ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 1960, გვ. 178.

124 თ. იველაშვილი, საქორწინო წეს-ჩვეულებანი სამცხე-ჯავახეთში, გვ. 63—64.

125 ვ. გოცირიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 96—97.

მოთქმა-ტირილი-გოდება, რომელიც ასე ბუნებრივი და ჩვეულებრივია მიცვალბულთან თუ ბერიკაობის მთავარ რიტუალთან — კვდომასთან კავშირში, ასევე დამახასიათებელი ყოფილა ტრადიციულ საქორწინო წეს-ჩვეულებების დროსაც. ესაა მამის ოჯახთან გამოთხოვების ეპოს პატარძლის რიტუალური გოდება, რაც სიმბოლურად ქალის „გარდაცვალების“ ანუ ძველთან განშორებისა და ახალი ცხოვრების დაწყების ნიშნად სრულდება¹²⁶.

ბერიკაობაში დიდი ადგილი უკავია სიცილის გამომწვევ ხუმრობა-მასხარაობას. ცნობილია, სიცილს მიეწერება ამალორძინებელი და მწარმოებლურ-განმანაყოფიერებელი ძალების გაძლიერების მაგიური მნიშვნელობა¹²⁷. სწორედ ამ ფუნქციას უნდა ემსახურებოდეს ჩვეულება, რომლის მიხედვით, ახალი წლის მეკვლე ცეცხლთან შესასრულებელი რიტუალის დროს ხარხარებს¹²⁸. სიცილისა და მხიარულების გამომწვევი ხუმრობა-მასხვილსიტყვაობა ახლაც საქორწინო წეს-ჩვეულებებსაც¹²⁹.

რიტუალური ცეკვა ფერხული, რომელიც ასტრალურ კულტს უკავშირდება¹³⁰ და დამახასიათებელია როგორც ბერიკაობისათვის თუ საერთოდ აგრარული დღესასწაულებისათვის¹³¹, ისე ქორწილისათვის¹³², სრულდება სულის მოსახსენებელი ცერემონიალის დროსაც¹³³. ამავე ჭრილში საყურადღებოა ნესხეთში („გულთამაში“) და ქართლში დამოწმებული საქორწინო თამაშობა, რომელიც მსგავსია ყველიერში შესასრულებელი „ილას თამაშის“ სახელით ცნობილი, ნაყოფიერების ღვათებისადმი მიძღვნილი რიტუალური ცეკვისა¹³⁴.

გამრავლების, უხვმოსავილანობისა და ჯანმრთელობის უზრუნველყოფელი მაგიურივე მნიშვნელობა მიეწერება საქანელაზე ქანაობის ჩვეულებას. აგრეთვე ციგაობასა და მარხილით სეირნობასაც, რასაც ადგილი აქვს ბერიკაობის კვირაში თუ დღეობათა საახალწლო ციკლშიც¹³⁵.

¹²⁶ ს. ჩოხელი, პატარძლის რიტუალური ტირილი ქართულ საქორწინო ფოლკლორში, საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე, ტ. 117, № 3, 1985, გვ. 649—651.

¹²⁷ В. Я. Пропп, Русские аграрные праздники, Л., 1963, с. 103-104.

¹²⁸ Г. Джапаридзе, Народные праздники, обычаи и поверья рачинцев, СМОМПК, XXI; მ. მაკალათია, დასახ. ნაშრ., გვ. 61.

¹²⁹ თ. იველაშვილი, საქორწინო წეს-ჩვეულებანი სამცხე-ჯავახეთში, გვ. 69.

¹³⁰ ვ. ბარდაველიძე, ქართლის (სვანური) საწესო გრაფიკული..., გვ. 127—131.

¹³¹ ს. მაკალათია, ფალისის კულტი საქართველოში, „მიომომილველი“, I, 1926, გვ. 121—125; დ. ჯანელიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 99—104, 107, 169.

¹³² დ. ჯანელიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 169; ნ. მაჩაბელი, ქორწინების ინსტიტუტი ქართლში, თბ., 1978, გვ. 123; თ. იველაშვილი, საქორწინო წეს-ჩვეულებანი..., გვ. 79, 90, 94, 100—102; ს. ხოსიტაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 184, 188; ბ. ნანობაშვილი, საოჯახო ყოფა აღმოსავლეთ საქართველოში, გვ. 99—190.

¹³³ არქ. ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა, თბ., 1938, გვ. 67—68; დ. ჯანელიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 169, 238; მ. მაკალათია, მ. ბალიაური, მიცვალბულის კულტი არხოტის თემში, მსე, 111, გვ. 46; დ. გიორგაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 68.

¹³⁴ ნ. მაჩაბელი, დასახ. ნაშრ., გვ. 124—126.

¹³⁵ დ. ჯანელიძე, სახობა, თბ., 1980, გვ. 62—67; ნ. დოლობერიძე, ხალხური აღზრდის წესები იმერეთში, გვ. 177; მისივე, ხალხური აღზრდის წესები სამეგრელოში, გვ. 162; მისივე, ხალხური აღზრდის წესები სვანეთში, გვ. 227—228; მისივე, ხალხური საბავშვო გართობა-თამაში ქსნის ხეობაში, „ქსნის ხეობა“, გვ. 231; ს. მაკალათია, ფშავი, გვ. 163.

М. Сагарадзе, Обычаи и поверья в Имерети, СМОМПК, XXVII, отд. 1; Т. Мамаладзе, Указ. раб.; СМОМПК, X, отд. 2, с. 261.

დასასრულ, თუნდაც ორიოდ სიტყვით აღვნიშნოთ, რომ საბერძნო, საახალწლო და სხვა დღეობა-დღესასწაულთათვის დამახასიათებელი კავშირი მარნის, კერის, ცეცხლისა და წყლის კულტებთან თავს იჩენს საქორწილო თუ მიცვალებულისადმი მიძღვნილ წეს-ჩვეულებებშიც (მარანში ჩიჩილაცის შენახვა თუ ჯვრის წერა; კოცონ-ჩირაღდნები; პატარძლის შემოტარება ნუფის კერის გარშემო; მისი რიტუალური განბანვა თუ წყალზე გაყვანა და სხვა მრავალი), რომელთაგან ზოგიერთს მაგიურს გარდა, ცხადია, აქვს მწინდა რაციონალური მნიშვნელობაც. მაგრამ ამ რიგის მასალიდან განსაკუთრებით საინტერესო ჩანს ის ფაქტი, რომ საკულტო კოშკი, მიცვალებულის კოშკი, აკლამა და მიცვალებულის სახელზე აგებული „სულის წყარო“ ერთი ტიპის ნაგებობებია¹³⁶.

ამგვარად, წამოჭრილ საკითხთან დაკავშირებული ზემომოტანილი მასალის ამ მოკლე მიმოხილვიდანაც ნათელია, რომ მიუხედავად დროთა განმავლობაში მომხდარი საგრძნობი ცვლილებებისა, რაც რიც შემთხვევაში აძნელებს ზოგიერთი წეს-ჩვეულების თავდაპირველი შინაარსის და მნიშვნელობის ამოცნობას, მაინც შესაძლებელი ჩანს ბერიკაობა-ყეენობაში, დღეობათა საახალწლო ციკლსა თუ ახალი სამეურნეო სეზონის დასაწყისში, აგრეთვე ქორწილისა თუ გლოვის ყამს შესასრულებელ რიტუალებს შორის არსებული საგრძნობი მსგავსებისთვის თვალის გადევნება. მაგალითად, ზემოდსახელებულ ყველა შემთხვევაში ფიგურირებს მომაკვდავ-ალორძინებადი ღვთაება ან ადგილი აქვს ბასზე მინიშნებას (ბერიკაობაში — ბერიკა, ბასილი, მეფე//ნუფე; ახალი წლის ციკლში — ბასილი//ბოსელი, ბერიკა, ქრისტე; ახალი სამეურნეო სეზონის დასაწყისში — ჭაბუკი; ქორწილში — ჭაბუკი, მეფე-დედოფალი. საქორწილო სამოსი, გვირგვინი; გლოვის ყამს — მიცვალებულისა თუ ქვრივის გამოწყობა საქორწილო სამოსში, ტერმინები: გარდაცვალება, მიცვალებული, სასახლე; საფლავის კოშკ-აკლამისა, საკულტო ნაგებობებისა და „სულის წყაროს“ ურთიერთმსგავსება და ა. შ.). ასევე ყველა დასახელებულ შემთხვევაში ვხვდებით თვით სიკვდილთან და აღდგომა-ალორძინებასთან თუ ბარაქაინობა-კეთილდღეობის უზრუნველყოფასთან და სიცოცხლის მარადიულობის თემასთან დაკავშირებულ წეს-ჩვეულებებს (ან ამ უკანასკნელთა იმიტაციას) და მათი თანმხლები მატერიალური კულტურის ერთნაირ ელემენტებს (ჩხუბ-შერკინება, კვდომა და გაცოცხლება, რიტუალური ეროტიზმი და ქორწილი, მეკვლეობა, საწესო ზენა-თესვა, რიტუალური პურები, ნიღბოსნობა, ნაყოფიერებისა და სიცოცხლის ხის სიმბოლოები. საქანელა, რიტუალური ცეკვა, ცეცხლის, კერის, წყლისა თუ სხვა კულტებთან დაკავშირებული ქმედებანი...).

ცხადია, ამ მსგავსებას ან ერთი და იმავე შინაარსისა თუ დანიშნულების მქონე რიტუალების სხვადასხვა მოვლენასთან დაკავშირების ყველა შემთხვევას ერთნაირი ახსნა არ უნდა ჰქონდეს. ზემომოტანილი მასალის წყალობით კი თითქოს რამდენადმე საცნაურდება თუ საიდან იღებს სათავეს და რატომ დაუკავშირდა ზოგიერთი წეს-ჩვეულება გარკვეულ მოვლენებს. მაგრამ ამჟამად ამ საკითხზე ზოგადი თუ თითოეული შემთხვევის ირგვლივ კონკრეტული მსჯელობისაგან და შესაძლებელი წინასწარი, თუნდაც საგარაუდო, დასკვნებისაგან თავის შეკავება სჯობს, ვინაიდან მსგავსების შესახებ ზემომოტანილი ფაქტების სწორად გააზრება მოითხოვს კვლევის გაფართოვებას როგორც შესწავლილი საკითხების, ისე გეოგრაფიული არეალის თვალთახედვით. ეს კი მომავალი სამუშაოა. რომ-

ლის შედეგები შექმნის სათანადო, მართებული დასკვნების გამოტანის საფუძველს. მანამდე კი მაინც შეიძლება ითქვას, რომ რომელიმე კონკრეტულ დღეებთან კავშირში წარმოშობილი და გარკვეული შემთხვევისათვის განკუთვნილი ზოგიერთი (უმთავრესად, თავის დაზღვევისა და კეთილდღეობა-ბარაქიანობისადმი მიძღვნილი) რიტუალი სრულდება სხვა დღეებშიც და ნებისმიერი ლოცვის დროს. იმავედროულად, არის ისეთი თარიღებიც, რომლებიც ისტორიულად ხალხის ყოფის გარკვეულ კალენდარულ დღეებსა და ვადებს თანხედება და თუმცა სადღეისოდ დაკარგულია მათი თავდაპირველი მნიშვნელობა, ტრადიციის ძალით მაინც შემოგვრჩნია ერთ დროს ამ თარიღებთან დაკავშირებული, ამჟამად შინაარსგამოკლილი ძველი წესების შესრულების ჩვეულება.

მეორე მხრივ, ზემომოტიანილი მასალის ურთიერთშედარებითი განხილვის შედეგები საფუძველს უმაგრებს ზოგიერთ ადრე გამოთქმულ მოსაზრებას (მაგალითად, კიდევ ერთხელ მტკიცდება, რომ ბერიკაობა-ყვენობა შინაარსით საახალწლო დღესასწაულია და იგი თავდაპირველად ახალი სამეურნეო სეზონის, შემდეგ კი კალენდარული წლის დასაწყისს უკავშირდებოდა და სხვ.); ან იძლევა ზოგიერთი ფაქტის ახსნის საშუალებას (მაგალითად, საცნაური ვახდა ინიციალური კულტურული ხორბლის მოსავლის აღების პირველი დღის სახელწოდების მნიშვნელობა...). ეს გარემოება კი ნათელი დადასტურებაა იმისა, რომ ზემომოტიანილი ფაქტების დადგენისა და ანალიზის მნიშვნელობა სცილდება ვიწროლოკალურ ფარგლებს და ფასს იძენს კულტურის ისტორიის ზოგადი საკითხების კვლევისათვისაც. მით უფრო, რომ აქ განხილული წესჩვეულებანი (რომელთა წარმოშობა, გავრცელება და ყოფაში დამკვიდრება თუ ტრადიციად ქცევა განპირობებული იყო ადგილობრივი ისტორიული ვითარებითა და სამეურნეო თუ საზოგადოებრივი ყოფის თავისებურებებით) მოქცეულია უძველეს მიწათმოქმედთა და მესაქონლეთა რელიგიურ აზროვნებასთან დაკავშირებულ რწმენა-წარმოდგენათა ერთიან სისტემაში.

Н. А. БРЕГАДЗЕ

К СРАВНИТЕЛЬНОМУ ИЗУЧЕНИЮ НЕКОТОРЫХ ТРАДИЦИОННЫХ ОБЫЧАЕВ И ОБРЯДОВ

Резюме

Традиционные обычаи и обряды со временем претерпевают значительные изменения, из-за чего в ряде случаев затрудняется определение их первоначального значения. Тем не менее, сравнительное изучение ритуалов, выполняемых во время праздника масленичного цикла «Берикаоба», а с другой стороны, в цикле новогодних праздников, в начале аграрного сезона, во время свадьбы и в связи с культом покойника дает возможность проследить между ними сходство. А для правильного осмысления этого факта и соответствующих выводов необходимы дальнейшие изыскания в этом направлении с расширением сферы изучаемой проблемы и географического ареала исследований, в результате чего представится возможность постановки и решения ряда вопросов общей истории культуры.

წარმოდგენა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის, საქართველოს სულიერი კულტურის ეთნოგრაფიული შესწავლის განყოფილებაში.



დინარა პანაძე

ეპისკოპოსის სასახლე ნეკრესში

ნეკრესის სამონასტრო კომპლექსი სოფელ შილდას რვა კილომეტრითაა დაშორებული. მონასტერი გაშენებულია კავკასიონის მთის ქედიდან წინ წაპოწეულ სამხრეთ მასივზე, რომელიც მოდის ქედის მთელი სიმაღლის შუა დონემდე. კომპლექსი მთის ფონში ოსტატურადაა ჩაწერილი. ალაზნის ველზე ვაჭიმული სამანქანო გზიდან მხოლოდ რამდენიმე ძეგლის ფრაგმენტით იქმნება მონასტრის ფრონტისპირი. მასზე ვახუშტი წერს: „ამ წყალზედ (ყვარლის წყალი — დ. ვ.), ყვარელს ზეით მთასა შინა არს ნეკრესი“¹.

ქართლის ცხოვრების მიხედვით აქ ქალაქის მშენებლობა დაწყებულია ძვ. წ. II ს-ში მეფე ფარნაჯომის დროს: „და იწყო შენებად კახეთს ქალაქსა ნელქარისსა, რომელ არს ნეკრესი“². ზადენის ციხის აგების შემდგომ ნეკრესი მეორეა ფარნაჯომის მიერ აგებული.

ძვ. წ. I ს-ის მიწურულს მეფე არშაკ II პოლიტიკური და შემოქმედებითი მოღვაწეობის ნაყოფია ქალაქ ნეკრესში ჩატარებული მშენებლობა: „ამან არშაკ განაშენა ნელქარ, ქალაქი კახეთისა, რომელ არს ნეკრესი“³.

ამის შემდეგ ახ. წ. IV ს-ის დასაწყისამდე ნეკრესი წყაროებში არ იხსენიება. მხოლოდ ფარნავაზიანთა ნათესავის, უკანასკნელი მეფის ასფაგურის დროს, უფრო ზუსტად მისი მეფობის პირველ წლებში მირვანოზი ამაგრებს ქალაქ ნეკრესის ზღუდეს: „ხოლო ამან მირვანოზ ჰმატა ყოველთა სიმაგრეთა ქართლისათა და უმეტეს ყოველთასა მოამტკიცნა ზღუდენი ნეკრესისა ქალაქისანი“⁴. ამ ცნობის მიხედვით დიდი ყურადღება ეთმობა ნეკრესის მშენებლობა-განმტკიცებას, რაც ამ პუნქტის მნიშვნელობაზე მეტყველებს.

ამავე საუკუნის მიწურულს ლეონტი მროველი ნეკრესში ეკლესიის აგებას მეფე თრდატის მშენებლობას მიაწერს: „და მანვე ალაშენა ეკლესია ნეკრესისა“⁵, რასაც ვახუშტი ბაგრატიონი უფრო განავრცობს და აკონკრეტებს: „შემდგომად მეფემან თრდატ ალაშენა ეკლესია დიდშენი, გუმბათიანი“⁶.

ზემოჩამოთვლილი ყველა ცნობა გვიჩვენებს ამ ადგილის ინტენსიურ დასახლებას ანტიკური ხანიდანვე და, რაც მთავარია, ქალაქის არსებობას.

ვახტანგ გორგასალი თავის ძეს დაჩის აძლევს ქალაქებს: ჭერემს, ნეკრესს და ხორნაბუჯს: „ხოლო ძესა მისსა პირშშოსა პირველისა ცოლისასა, დაჩის,

¹ ქართლის ცხოვრება, ტ. IV, ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბ., 1973, გვ. 545.

² ქართლის ცხოვრება, ტ. I, თბ., 1955, გვ. 29.

³ იქვე, გვ. 33.

⁴ იქვე, გვ. 65; Меликишвили Г. А., К истории древней Грузии. Тб., 1959.

⁵ ქართლის ცხოვრება, ტ. I, თბ., 1955, გვ. 137.

⁶ ქართლის ცხოვრება, ტ. IV; ვახუშტი, აღწერა..., თბ., 1973, გვ. 545.

მისცა ქალაქი ჭერემისა და ნეკრესისა და ქალაქი კამბეჩოვანისა, რომელ არს ზორნაბუჯი, და ყოველი ქუეყანა მტკუარსა აღმოსავლით⁷.

ნეკრესი ამ დროისათვის თავისი არსებობის დაახლოებით შეიდ საუკუნეს რთვლის და დანარჩენ ორზე უფრო მდიდარი და „დიდშენი“ ადგილია. დაჩისათვის ტერიტორიულად ერთმანეთისაგან დაცილებული პუნქტების გადაცემა, მთელი კახეთის ბოძებას უღრიდა და ეს სამემკვიდრეო აქცია ვახტანგის სიკვდილის შემდგომ უფრო ფართოვდება.

თუ V ს-ის ბოლომდე ნეკრესი მოიხსენიება როგორც ქალაქი, ე. ი. პოლიტიკურად და ეკონომიკურად ძლიერი სტრატეგიული პუნქტი, VI ს-ის შუა ხანებიდან იგი იძენს ახალ მნიშვნელობას. აბიზოს ნეკრესელის აქ დამკვიდრება ხელს უწყობს მის, როგორც რელიგიური ცენტრის შემდგომ არსებობას; განსხვავებით სხვა ადგილებისაგან, რომლებიც დანარჩენმა ასურელმა მამებმა მონასტრების დასაარსებლად ამოირჩიეს, ნეკრისი რადიკალურად გამოირჩეოდა. ქალაქის გარდაქმნა რელიგიურ ცენტრად განსაკუთრებული შემთხვევაა, მაშინ როცა სხვა ადგილები თავიდან აშენდა და დამკვიდრდა როგორც რელიგიური და შემდეგ კულტურული ცენტრი.

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ივ. ჯავახიშვილის მითითებით გარდა უღვაწი, უდაბნო ადგილების აშენებისა და იქ კულტურული კერების შექმნისა... „დიდებული ნანგრევები, მიტოვებული ციხე-ქალაქები და ეკლესიები განახლდა“, ამას ადასტურებს ნეკრესის სამონასტრო კომპლექსის დაარსება ქალაქთან ახლოს, რომელიც უნდა ვივარაუდოთ, რომ VI საუკუნეში უკვე მიტოვებული და დანგრეულია⁸.

ქალაქი ნეკრესი მთის ძირში ყოფილა გაშენებული, სამონასტრო კომპლექსი კი მთის ქედზე „სოფელი მთის ძირი, სადაც ქალაქის საქმიანი ნაწილი ყოფილა გაშენებული, — დაცემული ადგილია. დღეს ტყით დაფარული მიდამოები ძველი ნასახლარებით არის მოფენილი. ეჭვგარეშეა სამეურნეო პირობები აქ კარგი იყო, რასაც გამოუწვევია მოსახლეობის დამკვიდრება ჯერ კიდევ ადრე ბრინჯაოს ხანიდან“⁹.

დანგრეულ ქალაქთან მონასტრის აგება მნიშვნელოვანი ადგილის ხელახალ განახლებას და რაც უფრო საგულისხმოა, მთის ზოლში ქრისტიანობის გავრცელებას ემსახურება, აქ ხომ უმნიშვნელოვანესი სავაჭრო მაგისტრალი არსებობდა დალესტნის მიმართულებით. „აქა დაადგრა წმიდა აბიზოს, ივ მამათაგანი, და იქმნა იგი ეპისკოპოზ, მწყემსი გალმა მკრისა დიდოთურთ... ამან მოაქცივნა უმრავლესნი მითულნი“¹⁰, რამაც განსაზღვრა თავისთავად ნეკრესის პოლიტიკური სიმტკიცე — „მითულების მოქცევა და შესაბამისად პოლიტიკური ბატონობის გავრცელება — ეს არის ძირითადი მიზანი, რაც ქართლის მეფეებს აწუხებდათ, რისთვისაც განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ ნეკრესს“¹¹.

თანდათან ნეკრესის მონასტრის პოზიციები სუსტდება წინა პერიოდთან შედარებით. გრემის დედაქალაქად გახდომის შემდეგ კი (1466 წ.) ნათელია ნეკ-

7 ქართლის ცხოვრება, ტ. IV; ვახუშტი, აღწერა..., გვ. 199.

8 ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წ. II, თბ., 1965, გვ. 115—119, წ. I, თბ., 1960, გვ. 358—370.


9 ლ. კილაშვილი, ქალაქები ფეოდალურ საქართველოში, ტ. I, თბ., 1968, გვ. 64.

10 ქართლის ცხოვრება, ტ. IV; ვახუშტი, აღწერა..., გვ. 545.

11 ლ. კილაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 65.

რესის პოზიციების დათმობა და მისთვის მხოლოდ ეკონომიკური ფუნქციის დარჩენა.

ნეკრესის სამონასტრო კომპლექსში სამი საკულტო ნაგებობაა — მცირე სამნავიანი ბაზილიკა, დიდი სამეკლესიანი ბაზილიკა და გუმბათიანი ეკლესია. ბაზილიკები კომპლექსის ცენტრშია ჩართული, გუმბათიანი ეკლესია კი ანსამბლს წარმოადგენს სამხრეთის და დასავლეთის მხარებიდან. მას კომპოზიციის ვერტიკალური ღერძი „უკავია“ განსაკუთრებულად წაგრძელებული გუმბათის ყელით.



სურ. № 1. ნეკრესი, გენერალური გეგმა.

ახალ ტერასაზე გვიან შექმნილი საერო ნაგებობები სხვადასხვა რაკურსით ზღუდავს კომპლექსს. ესენია — სამხრეთით ეპისკოპოსის სასახლე, ჩრდილოეთით მიმართული სატრაპეზოს შენობა და ჩრდილოეთიდან სამხრეთით შექრილი ნაგებობა. მათ შორის დარჩენილ სივრცეში იწერება ტაძართა მასები. უკიდურეს ჩრდილოეთ კუთხეში შემორჩენილია მარნის და საწნახლის ნაშთები ქვევრებით და კედლის ფრაგმენტებით. პალატების ჩრდილოეთ ბოლოზე დაშენებულია კოშკი.

მონასტრის შიგნით ყოფნისას იქმნება შთაბეჭდილება, რომ ეს ადგილი მთის მწვერვალია. მთა აქ ძალიან უსწორმასწოროა, პატარა აღმართს მიჰყვება E. „მაე ნე“, ისტორიის ხერია, 1989, № 4

დაღმართი, ან მოსწორებული ადგილი, ამიტომაც ზუროთმოძღვარს ტერასაზე აკეთებს ხელოვნურად ნიველირებულ ბაქნებს.

მთელ კომპლექსში საშენ მასალად გამოყენებულია ადგილობრივი ფლეთილი ქვა, შემკვრელ კირის ხსნარში ქვიშის მაგიერ შერეულია კედლის ნაფშხეენი.

მცირე სამნავიანი ბაზილიკა, რომელზედაც გ. ჩუბინაშვილი წერს: „ჩვენი ბაზილიკას ვეძახით მას, რადგან მასში ვხედავთ მაინც სამი ნავის ნასახს“¹². შემორჩენილი ფორმებით და „მოქცევაა ქართლისაა“-ს ქრონიკის ცნობით დათარიღებულია IV ს-ის მესამე მეოთხედით. შ. ამირანაშვილი კი მას „წმინდანის დაკრძალვის ადგილზე აგებულ მარტირუმს“¹³ ეძახის, თარიღად მასაც სავარაუდოდ IV საუკუნე მიაჩნია. დიდი სამეკლესიანი ბაზილიკა ღვთისმშობლის მიძინების სახელობისა დათარიღებულია VI—VII სს.¹⁴ (მოხატულია



სურ. № 2. ეპისკოპოსის სასახლე. სამხრეთი ფასადი.

¹² გ. ჩუბინაშვილი, ქართული ხელოვნების ისტორია, ტ. I, ტფ., 1936, გვ. 25—26.

¹³ შ. ამირანაშვილი, ქართული ხელოვნების ისტორია, თბ., 1971, გვ. 112.

¹⁴ Г. Н. Чубинашвили, Архитектура Кахетии. Тб., 1959, с. 173.

მეფე ლევან I დროს — 1550 წელს)¹⁵. გეგმაში სწორკუთხა, ხუთსართულიანი კოშკი კი XVII ს-ით¹⁶. სამხრეთი და ჩრდილოეთი ფასადები სივრცით ჭარბობს აღმოსავლეთის და დასავლეთის ფასადებს. მეოთხე სართული გახსნილია თაღებით, დანარჩენი სიბრტყე დანაწევრებულია სათოფეებით.

ეპისკოპოსის სასახლე სამონასტრო კომპლექსის განაპირა ნაგებობაა, იგი მდებარეობს ხრამის პირას და მიმართულია ალაზნის ველისკენ. სასახლის სამხრეთი ფასადი გვევლინება ერთდროულად მზლუდავ კედლად, ალაზნის ველიდან მთავარ ფასადად და ერთგვარად კომპლექსის სახედ. ეს ადგილი შემთხვევით არ ქცეულა სასახლის სუბსტრუქციად, იგი საგანგებოდაა შერჩეული ხუროთმოძღვრის მიერ.

სასახლე გეგმაში გრძელი სწორკუთხედია. იგი შედგება სამი ნაწილისაგან, ამათგან პირველი საცხოვრებელია, მეორე ე. წ. „მარანი“ და მესამე კვლავ საცხოვრებელი თუ მისაღები კამაროვანი დარბაზი. სასახლის ორსართულიანობა ჩანს დასავლეთი და სამხრეთი მხრიდან, პირდაპირ მეორე სართულზე მოხვედრა შეიძლება ჩრდილოეთის მაღალი ტერასიდან (ამ მხრიდან სასახლე აღიქმება როგორც ერთსართულიანი). აღმოსავლეთის მხარე ებმის ე. წ. „მარანს“, რის გამოც მას დამოუკიდებლობა არ გააჩნია (საცხოვრებელი ნაწილის ფართობი 67 კვ. მეტრია).

ეპისკოპოსთა სასახლე გარედან მონუმენტურ შთაბეჭდილებას ტოვებს. ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს ერთიან, მაგრამ დანაწევრებულ მასასთან და ამის შესაბამისად დანაწევრებულ ლოკალურ სივრცესთან.

სასახლის პირველი სართული სივრცით ვიწროა. ხუროთმოძღვარი კლდეს პირველი სართულისათვის საგანგებოდ ვიწრო მართკუთხა ფორმის ბაქნად ჭრის, მეორე სართულზე კი სივრცის გასაზრდელად გადადის ჩრდილოეთით მაღალ ტერასაზე. მოგვიანო ხანის კედლის ტიხრის წყალობით ვადაჩენილი რვაკუთხა სვეტი ფრაგმენტია პირველი სართულის სვეტებით დანაწევრებული შიდა სივრცის თავდაპირველი კომპოზიციისა. სვეტები ამკირებდა გადახურვის მალს, კონსტრუქციულ სიმყარეს ანიჭებდა ძეგლს და მომავალში დიდ სივრცის შექმნის უფლებას აძლევდა ხუროთმოძღვარს. გადახურვის მალის საგრძნობი ზრდა მომდევნო ხანის სასახლეებში სვეტების უკვე ორ რიგად გამართვაზე გვაფიქრებინებს.

სასახლეს განსხვავებული ფასადები აქვს, რაც ხუროთმოძღვრის ჩანაფიქრს მიეწერება. მთავარი, სამხრეთის გრძივი ფასადი ჩაფიქრებულია შორი მანძილიდან ხედვისთვის, ხუროთმოძღვარი არ გაურბის პორიზონტალის უტრირებას სარკმელთა თაღების ორ სართულად გაშლით. საცხოვრებლის ორიარუსიან სარკმლებს აგრძელებს პირველ სართულზე ე. წ. „მარანის“ თაღები (საცხოვრებლის მსგავსი), ამ უკანასკნელის მეორე სართულს კი (დღეს) — კოშკის ვერტიკალი და მის ზედა სარტყელში დატანებული ღიადები. სამხრეთი

¹⁵ საკტიტორო წარწერა ორენოვანია ქართულ-ბერძნული. М. А. Вачнадзе, Кахетинская школа живописи XVI века и ее связь с Афонской живописью. IV Международный симпозиум по грузинскому искусству. Тб., 1983, с. 3; там же М. А. Вачнадзе, Некоторые особенности и хронологическая последовательность группы кахетинских расписей XVI в. II Международный симпозиум по грузинскому искусству, Тб., 1977, с. 4.

¹⁶ Г. Н. Чубинашвили, დასახ. ნაშრომი, გვ. 533.



პორიზონტალი აღმოსავლეთის მიმართულებით სხვადასხვა ფორმის მასებითაა დაცხოველებული და ლანდშაფტში მოხდენილად ჩაწერილი.

განსაკუთრებული მნიშვნელობისაა დასავლეთის ვიწრო ფსადი, რომელიც ახლოდან მნახველს მთელი სიმაღლით წარუდგება, ამიტომ მისი სრულქმნა საგულისხმოა, რომ ამოცანა ყოფილიყო ხუროთმოძღვრისთვის, კერძოდ გველისხმობთ მისასვლელი მოედნის საგანგებოდ მოვაკებულ ფართობს და კარსარკმელთა ფსადაზე განაწილებას. მთავარი კართ და სარკმელთა სხვადასხვა რეგისტრით მსუბუქი ასიმეტრია იგრძნობა სიბრტყის დანაწევრებაში, ფსადი მთავრდება ფრონტონით და გრძელდება სივრცეში კოშკის ვერტიკალით მიუხედავად კოშკის დასავლეთი ფსადის ღრმა პლანში განთავსებისა. XVII ს-ის კოშკი ჩრდილოეთიდან ერთვის სასახლის მასივს. სასახლის პირველი სართულის სივანის შესაბამისა მეორე სართულთან შედარებით თითქოს გულისხმობს სხვა ნაგებობით მის გამოყენება-შეგნებას. კოშკის გარეშე ძნელად გაიზრება სასახლის კომპოზიცია. მის დასავლეთ ფსადს აშკარად ითვისებისწინებს ხუროთმოძღვარი სასახლის დასავლეთი ფსადის გადაწყვეტისას, ამიტომაც ვფიქრობთ, რომ კოშკი გვიანშუასაუკუნეებში მხოლოდ განახლდა, რამაც კოშკს სრულად უცვალა სახე და თავისი ეპოქის საკუთრებად აქცია. სხვა შემთხვევაში კოშკის აშენების შემდგომ უნდა ვივარაუდოთ მარნის და კამაროვანი დარბაზის მშენებლობა. თუ კოშკის თაღებმა ეპოქის შესაბამისად იცვალეს ფორმა, მაშინ საკითხავია, რატომ დარჩა მარანს სასახლისდროინდელი ფორმის სარკმლები, რომლებიც ასე ორგანულად აგრძელებენ სასახლის სარკმელთა რეგისტრს. სასახლის აღმოსავლეთი კედლის პირველი სართულის თაღებით გახსნაც ხომ უდავოდ მიუთითებს, რომ ხუროთმოძღვარი აქ წერტილის დასმას არ აპირებდა. სხვადასხვა სიღრმეში პლანებად გამოკვეთილი არათანაბარი ზომის სიბრტყეები სხვადასხვა დონეზეა აგებული და ასიმეტრიულად განაწილებული. კოშკის სიბრტყის აღქმა, სასახლის დასავლეთი ფსადის მეორე სართულის თითქმის სარკმელთა ქვედა წირთხლის სიმაღლიდან იწყება, გრძელდება ყრუ სიბრტყით, შემდეგ ორი თანაბარი ზომის თაღოვანი სარკმლის ღიადით და მაღალი ფრონტონით მთავრდება.

სასახლის პირველი სართული გახსნილია ცენტრიდან სამხრეთით გადაწეული სწორკუთხა კარის ჭრილით, მეორე კი — ორი სარკმლის ღიადით. კომპოზიციის ცენტრში იმავე პორიზონტალზე არის კვალი ორი ამოქოლილი სარკმლისა, რომელთა გაჭრა და ამოვსება შემდგომი ხანის შეკეთების შედეგი უნდა იყოს. ზევით დარჩენილ სიბრტყეში ერთი მცირე ზომის სარკმლის თაღური ღიაობა ზუსტად ცენტრში. ფსადის ასიმეტრიულობას ქმნის კარის ჭრილის სამხრეთით გადაწევა, რომელსაც აწონასწორებს კოშკის ჩრდილოეთი მხარის მასა და მისი წარმოდგენილი დასავლეთი ფსადი.

სამხრეთის გრძელ პორიზონტალურ ფსადს სიმაღლეში ზრდის კოშკის ვერტიკალი და გარკვეულ თანაფარდობას ქმნის მასათა განაწილებაში; დასავლეთის ვიწრო ფსადი კი მიუხედავად გარკვეული სიმაღლისა კიდევ უფრო ზევითაა ატყორცნილი და ზედდებულ სხვადასხვა ზომის სიბრტყეებით გააქტიურებული.

ამ ორი ფსადის აღწერაც საკმარისია რათა გამოჩნდეს განსხვავებული მიდგომა შედარებით მარტივი, ერთი ხუროთმოძღვრული მასალის, პლასტიკურ ფორმად წარმოჩენისთვის.

ჩრდილოეთ ფასადს მხოლოდ კარის ერთი ჭრილი აცოცხლებს. იგი შედარებით ნაკლებ საინტერესო ფასადია ხუროთმოძღვარისთვის, მას დაქვემდებარებული, მეორადი მნიშვნელობა აკისრია. ამავე ფასადიდან ამოდის კოშკის მასა და რჩება ვიწრო გასასვლელი სასახლის კოშკის, კამაროვანი დარბაზის ყრუ კედელსა და სამეკლესიან ბაზილიკას შორის, რომელიც თანდათან განიჭრდება, უხვევს სამხრეთ-აღმოსავლეთით და შესაძლებელს ხდის ტაძრის სამხრეთი ფასადის აღქმას ქვედა ტერასიდან.

სასახლის ჰორიზონტალური დასავლეთ-აღმოსავლეთი ღერძი იხრება სამხრეთისაკენ; სამეკლესიანი ბაზილიკა — მის საწინააღმდეგოდ, ჩრდილოეთით მიემართება. ეს ეხმარება მყურებელს ორი გრძივი ღერძის შქონე ნაგებობის დამოუკიდებელ აღქმაში და „მსგავსი“ ხუროთმოძღვრული მასების თანაარსებობას.

დავასკნით, რომ ასეთი სიმეტრია-ასიმეტრია, დამოუკიდებელი ხუროთმოძღვრული მასების განაწილება-დაგეგმარება მეტყველებს სხვადასხვა ეპოქის ხუროთმოძღვრის ტაქტზე, ოსტატობაზე და ანსამბლურობის განსაკუთრებულ შეგრძნებაზე.

სასახლის პირველი სართულის შედარებით მცირე ზომებს, მეორე სართულთან შედარებით, შეესაბამება კარ-სარკმელთა ღიადების ნაკლებობაც — სამხრეთ ფასადზე ოთხი სარკმელია, დასავლეთისაზე კი ერთი კარი; მაშინ როცა მეორე სართულზე სამხრეთით ხუთი სარკმელია გაჭრილი, დასავლეთით — ოთხი, ჩრდილოეთით კი ერთი კარი. გარდა სარკმელთა ღიადებისა, ინტერიერში თვალშისაცემია ბუდეთა მრავალი სწორკუთხა ფორმის ხერელი, რომელიც განივ და გრძივ კედლებში ხართულშორისი გადახურვის მაჩვენებლად დარჩენილა. მრავლადაა შემორჩენილი თახჩები, რომლებიც სხვადასხვა დროისა უნდა იყოს (ამის საფუძველს გვაძლევს მათი უსისტემო და ძნელად მოსახმარ ადგილებზე მდებარეობა).

საშენი მასალა ხუროთმოძღვარს არ აძლევდა საშუალებას დაეცვა ჰორიზონტალური რიგები — ესაა უსისტემო განლაგება სხვადასხვა ზომის და ფორმის ნატეხი ქვისა. განსხვავებული წყობა შეინიშნება სარკმელთა თაღების ამოყვანაში, რომელთაც ჩამოყალიბებული ნალისებური ფორმა აქვთ, რაც მიღწეულია ფიქალის ქვის მარტივი კაპიტელის ჩატანებით კედლის წყობაში. სარკმელთა სწორკუთხა ქვედა ნაწილი სიმაღლით თითქმის უთანაბრდება თაღოვანი ნაწილის სიმაღლეს. სარკმელთა წირთხლებზე დარჩენილია ვიწრო ხის ჯღლის ხერელები. ცუდადაა შემორჩენილი ტიხრები, განსხვავებით კაპიტალური განივი კედლებისგან.

სასახლის აღმოსავლეთი კედელი იმავე დროს „მარნის“ დასავლეთი კედელიცაა. პირველ სართულში გაჭრილია თაღოვანი დიდი ზომის ორი გასასვლელი (ჩრდილოეთისა დღეს ამოშენებულია და დატოვებულია მცირე სწორკუთხა კარი); მეორე სართულში კი — ორი შეწყვეილებული სარკმელი და ფრონტონის კეხთან კიდევ ერთი მცირე ზომის სარკმელი. გასასვლელთა და სარკმელთა ზომები თანდათანობით მცირდება სიმაღლის ზრდასთან ერთად. სასახლის განივი კედლები ახლანდელ რესტავრატორთა მიერ დატოვებულია ნახევარწრიული ფრთებაკეცილი მრუდის ფორმით.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სასახლის მომდევნო ნაწილი „მარნად“ მოიხსენიება¹⁷. მის დასავლეთ კედლად გამოყენებულია სასახლის აღმოსავლეთი კედელი; აღმოსავლეთ კედლად — კამარული დარბაზის დასავლეთი კედელი, რომელიც გახსნილია სწორკუთხა კარით და დამუშავებული სხვადასხვა ზომის თახჩებით (სამხრეთით იატაკის დონესთან ახლოს, ჩრდილოეთით — კარის ზემოთ); ჩრდილოეთის კედელზე დაშენებულია კოშკის სამხრეთი კედელი, დაახლოებით მის ცენტრში, იატაკის დონიდან ოდნავ მაღლა თახჩაა — გახსნილი ქვედა წიბოთი, მის ქვევით ზედ იატაკზე შემორჩენილია მცირე ზომის სფერული ფრაგმენტის ნაწილი. იმავე ვერტიკალზე შედარებით მცირე ზომის კიდევ ერთი ორკალთა გადახურვიანი თახჩა. აღნიშნული ლერძიდან მარცხნივ ერთი ხოლო მარჯვნივ სამი თახჩაა ამოყვანილი. კედლის უკიდურეს აღმოსავლეთ კუთხეში შემორჩენილია ქვის კიბეების სავარაუდო ფრაგმენტები. დასავლეთის კარის შესასვლელთან, პირველი სარკმლის ქვეშ იატაკის დონეზე ჩანს ვიწრო ხერელი, რომელიც ქვევრების გასარეცი წყლის გასასვლელი იქნებოდა. ერთი სართულის დონეზე შემორჩენილი სამხრეთი კედელი გახსნილია სარკმლის ოთხი ღიადით, მათი ზომები იმეორებს სასახლის საცხოვრებელი ნაწილის სარკმელთა ზომებს, ორგანულად აგრძელებს და ერწყმის სასახლის პირველი ნაწილის ფასადს.

„მარნის“ პირველი სართულის სიგანე საგრძნობლადაა შეზღუდული სასახლის პირველი ნაწილის და მისივე მეორე სართულის სიგანესთან შედარებით. თუ არა საგანგებო შემთხვევა, რაშიც ვგულისხმობთ XVII საუკუნით დათარიღებული კოშკის ადგილას მსგავსი ფორმის და ფუნქციის ნაგებობის არსებობას, ხუროთმოძღვარს არ გაუჭირდებოდა კედლის დარჩენილი ნაწილის ჩამოჭრა, რაც გაუტოლებდა სასახლის და „მარნის“ პირველი სართულის სიგანეს. კოშკის სამხრეთი კედლის დასავლეთ კუთხეში, მეორე სართულის დონეზე კარია გაჭრილი. თუ გავითვალისწინებთ გ. ჩუბინაშვილის მოსაზრებას შენობის ამ ნაწილის ერთსართულიანობის თაობაზე, მაშინ გამოდის, რომ ბანიდან კოშკში მოხვედრა სიძნელეს არ შექმნიდა, რაც თავისთავად კოშკის, როგორც საფორტიფიკაციო ნაგებობის ფუნქციის დაკარგვას გამოიწვევდა. კოშკი აღნიშნულ ადგილას გვიანშუასაუკუნეებშიც რომ აგებულიყო, მაშინ მაინც უნდა დაემყენებინათ „მარნისთვის“ მეორე სართული. ჩვენ მიგვაჩნია უფრო მართებულად „მარნის“ ორსართულიანობა და საერთოდ სასახლის ამ ნაწილის მარნად გადაქცევა მომდევნო საუკუნეებში, რომელიც გააგრძელებდა სასახლეს, მოიტყვედა კოშკის კარს და შექმნიდა ფუნქციურად და მხატვრულად დასრულებულ ნაწარმოებს. კოშკის მეორე სართულზე სათოფეების უქონლობაც ხელს უწყობს ჩვენი ვარაუდის სისწორეს. „მარნის“ ფართობი 41 კვ მეტრს უდრის, შემორჩენილია რვა ქვევრი.

სასახლის ე. წ. მეორე ნაწილს აგრძელებს დარბაზი (ფართობით 55 კმ. მ.) მის ცენტრში შემორჩენილი თაღის შემცვერი კამარის გამო დარბაზს კამაროვანით მოიხსენიებენ. დარბაზი ერთსართულიანია, მისი სიმაღლე თითქმის

17 გ. ჩუბინაშვილი, დღეს არსებული რვა ქვევრის საფუძველზე შენობის ამ ნაწილს — მარანს უწოდებს.

გ. ჩუბინაშვილი, საქართველოს საერო ხუროთმოძღვრების რამდენიმე ნიმუში, ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე, ტ. 111, ტფ., 1923. გვ. 110.

უტოლდება სასახლის ორსართულიანი ნაწილიც სიმაღლეს. გ. ჩუბინაშვილი მარანთან უშუალოდ დაკავშირებულ დარბაზს მიიჩნევს მონასტრის ძველ საოსტიგნედ. დარბაზის დასავლეთი კედელი გრძელდება სამხრეთით და გამოადის ძირითადი საფასადო სიბრტყიდან. დიდი სივრცის კამარით გადახურვა, განსაკუთრებული შემთხვევაა კახეთში შემორჩენილ საერო ნაგებობათა შორის. მართალია, შემორჩენილი ფრონტონების სიმაღლე არ იძლევა საშუალებას სასახლეში კამარის სისტემის გამოყენებისა, მაგრამ მათი სრული იგნორირებაც არ შეიძლება. უდავოა ბრტყელ გადახურვასთან ერთად არსებობდა კამაროვანიც. რომელიც კონსტრუქციულად ძნელად შესასრულებელია, მაგრამ მხატვრულად უფრო გამართული და მომგებიანი სწორკუთხა წაგრძელებული ბლოკის ცენტრალურ სივრცედ გადაქცევისათვის. დარბაზის დასავლეთ კედელს აშკარად ეტყობა შეკეთების კვალი, კარს ნალისებური თაღი უნდა ჰქონოდა.

დარბაზის იატაკის ქვეშ არსებული სათავსი მცირე, სწორკუთხა ფორმის სარკმლებით სამხრეთის მხარეს — ბერების საცხოვრებელი სენაკი უნდა ყოფილიყო (კამაროვანი დარბაზის ქვედა სართულის სენაკის დანახვას აადვილებს დარბაზის სამხრეთ-აღმოსავლეთით დაზიანებული კედელი). სენაკის გეგმა უახლოვდება ოთხკუთხედს (მისი ფართი 9,5 კვ მეტრს უდრის). განიერი კედლები აადვილებს კოჭების დახმარებით ბრტყელ გადახურვას, რომელიც სქელი შრის დადების შემდეგ კამაროვანი დარბაზის იატაკად გადაიქცევა. ასეთი სენაკები უნდა ყოფილიყო ჩრდილოეთის მზლუდავი კედლის სამხრეთ მონაკვეთშიც. სავარაუდოა კამაროვანი დარბაზის აგების მოგვიანო ხანა. აქნებ კოშკის დროინდელი. მაშინ მშენებლობის პირველ პერიოდში უნდა იყოს აგებული სასახლე და მარანი, მეორეში კი — კოშკი და კამაროვანი დარბაზი.

ზემოაღნიშნული ეპისკოპოსის სასახლის საერთო ფართი 183 კვ მეტრს უდრის.

ნეკრისის სამონასტრო კომპლექსში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს სატრაპეზოს და უცნობი დანიშნულების საერო ნაგებობას. ორივე გეგმაში წაგრძელებული სწორკუთხედია, ერთსართულიანი ორკალთა გადახურვით.

ბიზანტიაში ხუროთმოძღვრული ანსამბლის განსაკუთრებული ტიპი იყო — მონასტერი. მათი მთავარი შენობები საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობები იყო, რომლებიც ეკვროდნენ გალავანს, სატრაპეზო ცენტრში იგებოდა, დომინანტს კი მთელი ანსამბლისა — ტაძარი წარმოადგენდა. ნეკრისის სამონასტრო ანსამბლის კომპოზიცია ზუსტად ამ პრინციპითაა აგებული — გაზარებული დასახლება, შიდა ეზო სატრაპეზოთი ცენტრში, სამეურნეო ნაგებობები და ბოლოს თავშეყრილი ძმების საკრებულო ტაძარი, მათი რწმენის მთავარი სიმბოლო. სატრაპეზო შემორჩენილია თითქმის თავდაპირველი სახით. მისი მართკუთხა გეგმა აღმოსავლეთით შესამჩნევად განივრდება. სწორ ხაზს აღმოსავლეთ ფასადზე ჭერ ბუხრის ნახევარი წრე არღვევს — ცენტრიდან ჩრდილოეთით გადაწეული და შემდეგ სამხრეთით თავად სატრაპეზოს ფორმის მცირე უსარკმლო სენაკი.

სატრაპეზოს ოთხივე კედელი ინტრეიერში მრავალი თაღით და თახჩე-ზითაა დანაწევრებული. აღმოსავლეთ კედელში ბუხრის ჩრდილოეთით ხუთი თახჩაა, სამხრეთით — ორი. ბუხრის თავზე ჩაჭრილი დიდი თახჩა სახატე უნდა ყოფილიყო. სამხრეთ კედელში სამი თაღია გამართული, აქედან აღმოსავლეთისა გაჭრილია კარით (სენაკში შესასვლელი), ჩრდილოეთით კედელ-

ში ორი თალია — ცენტრში ჩაქრილი თახჩებით. ისინი ერთდროულად ატარებენ კონსტრუქციულ და დეკორატიულ ფუნქციებს. ერთ-ერთი კარი გაჭრილია დასავლეთი ფასადის ცენტრში. სატრაპეზოს გადარჩენილ კედლებში სარკმლის კვალი არ ჩანს. მცირე სენაკი კამაროვანი გადახურვისაა. არაა გამორიცხული იმავე ხერხთან გვექონდეს საქმე სატრაპეზოს გადახურვაშიც. საშენ მასალად უფრო ხშირად გამოყენებულია ფიქალი, რომელიც მას სხვა ნაგებობებისგან გამოარჩევს (სატრაპეზოს ფართობი 35 კმ მეტრია).

ყველაზე ცუდადაა შემორჩენილი საერო ნაგებობა, რომელიც სატრაპეზოს აღმოსავლეთით მდებარეობს. იგი სატრაპეზოზე დიდია (მისი ფართობი დაახლოებით 60 კმ მეტრს აღწევს). შემორჩენილი კედლების სიმაღლე ერნახევარ მეტრს არ აღემატება. ნაგებობას ორი კარი ჰქონია, სრულიად სადაა მისი კედლები ინტერიერშიც და ექსტერიერშიც. მისი ფუნქცია გაურკვეველია.

ნეკრისის სამონასტრო კომპლექსი დღეს კარგადაა დაცული. 1972 წელს რესტავრატორ თეიმურაზ კანდელაკის ხელმძღვანელობით ჩატარებულმა სამუშაომ ძეგლს ნაწილობრივ დაუბრუნა პირვანდელი იერი. 1987 წლიდან ისევ განახლდა სარესტავრაციო სამუშაოები.

დასკვნის სახით განსაკუთრებით აღვნიშნავთ ეპისკოპოსის სასახლის თავისებურებებს:

ეპისკოპოსის სასახლისათვის საგანგებოდაა შერჩეული ადგილი.

სასახლის კომპოზიციაში განმსაზღვრელია გრძივი, მართკუთხედს მიხლოებული გეგმა.

სასახლის მდებარეობამ განსაზღვრა მთავარი კარის დასავლეთის ვიწრო ფასადზე გაჭრა; ჩრდილოეთის მხრიდან მეორე სართულის დონეზე არსებული კარი დამხმარეა, მეორეხარისხოვანი.

აქტიური როლი ეკისრება სამხრეთის და დასავლეთის ფასადებს, აქედან დასავლეთი ფასადის გაზრდილი მნიშვნელობა კონკრეტულ შემთხვევაში მისი მდებარეობიდან მომდინარეობს მხოლოდ, რადგან შემდგომი ხანის ყველა სასახლეში აღმოსავლეთის ფასადის მნიშვნელობა განმსაზღვრელია.

ბუხრის უქონლობა გამონაკლისია იმ ეპოქის სხვა სასახლეებთან შედარებით.

საყურადღებოა ნეკრისის სასახლის რვაკუთხა სვეტი, რომელიც დროთა ქართველს სრულიად შემთხვევით გადაურჩა მასზე მიშენებული მცირე გამყოფი კედლის წყალობით. აღნიშნული მაგალითი სხვა სასახლეებშიც სვეტების არსებობის ვარაუდს ბადებს.

ნაღისებური მოხაზულობის თაღები წამყვანი თემაა ეპისკოპოსთა სასახლის კონსტრუქციაში. თაღის ნაღისებურ ფორმას შირიმის ე. წ. კაპიტელი ქმნის და მას თვალსაჩინოს ხდის.

ნეკრისის ეპისკოპოსის სასახლეში პირველი და მეორე სართულის ერთნაირი ზომის სარკმლებით გახსნა კერძო შემთხვევად რჩება, რადგან არცერთ სხვა სასახლეში აღარ მეორდება მსგავსი გადაწყვეტა. აღნიშნული მომენტი ცხადია საყურადღებო და გასათვალისწინებელი მაგალითია შუაფეოდალური ხანის კახეთის სასახლეების ერთი ტიპის განსხვავებული ვარიაციებით დამუშავებისათვის

IX საუკუნით დათარიღებული ნეკრესის გუმბათიანი ტაძრის ყელის წახნაგებზე დიდი ნაღისებური თაღები (რვა წახნაგიდან, ე. ი. რვა თაღიდან მხოლოდ სამია გახსნილი მცირე ზომის სარკმლით, რომელიც ბოლოვდება ნალი სებური თაღით და ისევ ნაღისებური თავსართით), რომელიც სიბრტყის ჩაჭრით არის ამოყვანილი და გუმბათის ყელის დეკორაციულ სამკაულს წარმოადგენს, გარკვეულად პასუხობს იმ ტენდენციას, რომელიც გავრცელებული და მიღებული იყო საერო ხუროთმოძღვრებაში ფასადების სარკმელთა მაქსიმალურად დიდი ღიადებით გახსნაში.

ეპისკოპოსთა სასახლეშია მხოლოდ შემორჩენილი დიდი სივრცის დარბაზი, კამაროვანი გადახურვით.

ნეკრესის სამონასტრო ანსამბლში საერო ხუროთმოძღვრების მიმართება საკულტოსთან გარკვეულია კომპლექსის სრული სახით შემორჩენის გამო. საერო ძეგლები არაფრით არ ჩამოუვარდება საკულტოს, მათ თითქოს ტოლფასი ღირსება და ღირებულება აქვთ. ყველა კონსტრუქციული ელემენტი ერთდროულად გამოიყენება ორივეში.

ძირეულად განსხვავდება ეპისკოპოსის სასახლისგან სატრაპეზოს შენობა, როგორც ინტერიერის, ისე ექსტერიერის გაფორმებაში.

ზემოთქმულიდან გამომდინარე ნეკრესის ეპისკოპოსის სასახლე შუაფეოდალური ხანის სასახლეთა შორის ერთ-ერთი ყველაზე ადრეული ნაგებობაა და VIII—IX სს-თა მიჯნით შეიძლება დათარიღდეს.

Д. З. ВАЧНАДЗЕ

ЕПИСКОПСКИЙ ДВОРЕЦ В НЕКРЕСИ

Резюме

В статье рассмотрены светские строения Некресского монастырского ансамбля. Описание и анализ сохранившегося до сегодняшнего дня епископского дворца и выявление его индивидуальных особенностей, а также наличие в регионе Кахети восьми дворцов подобного типа позволяют автору считать Некресский епископский дворец одним из древнейших, высококачественных образцов дворцовой архитектуры Кахети и датировать его порогом VIII—IX веков.

Скудность исторических источников и плохая сохранность светских строений Кахети усложняют их изучение. Сегодня, когда памятники грузинского культового зодчества в основном «определены», облегчается и притом становится необходимым изучение ряда светских памятников и их включение в историю грузинского зодчества. Единство культового и светского строительства дает возможность восстановить полную картину грузинской архитектуры.

წარმოადგინა შრომის წითელი დროშის ორდენისა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბელოგნების ისტორიის კათედრამ

რუსულან რუსიშვილი, ბასარიონ მაისურაძე

აღრებრინჯაოს ხანის ყორღანული სამარხები შირაქის ტერიტორიიდან

1984 წელს წითელწყაროს რაიონის სოფ. ჯაფარიძის სავარგულები ტერიტორიაზე, ალაზნის ველზე, წნორი-სამთაწყაროს გზის მარჯვენა მხარეს, აღვილ „ენამთაზე“, კოლმეურნეობის მიერ მიწის დაპლანტაჟების დროს გორასამარხს გადააცალეს ყრილი (d-22 მ).

შირაქის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ 1985 წლის ოქტომბრის თვის დასაწყისში დაიწყო ამ გორასამარხის გათხრა. გაიჭრა სადაზვერვო თხრილი (22×3,50 მ), რომლის ცენტრალურ ნაწილში შემოიხაზა დასაკრძალავი კამერის მცირე ნაწილი. მისი დარჩენილი ნაწილი გრძელდებოდა სამხრეთით. ამ მიზართულებით შეიჭრა 6,30×5,74 მ. კრილი.

მიწის ზედაპირიდან 0,85 მ. სიღრმეზე გამოვლინდა ქვამიწაყრილიანი დასაკრძალავი ორმო (4×4 მ), რომელიც დამხრობილი იყო ჩრდილოეთიდან დასავლეთით. დასაკრძალავ ორმოს არასწორი კედლები ჰქონდა (ტაბ. I) მისი იატაკი მდებარეობდა 1,90 მ. სიღრმეზე.

სამარხი ორმოს ცენტრალურ ნაწილში აღმოჩნდა ძირითადი მიცვალებული, რომელიც დაკრძალული იყო მარცხენა გვერდზე თავით დასავლეთით. ძირითადი მიცვალებულის გარდა სამარხში აღმოჩნდა ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში მიხვეტილი ხუთი მიცვალებულის თავის ქალა და სხვა ძვლები.

სამარხი ორმოს ჩრდილო-აღმოსავლეთ და ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში გამოვლინდა მსხვილფეხა საქონლის ძვლები და ხარის მთლიანი თავის ქალა.

სამარხი ორმოს სხვადასხვა ნაწილში მოთავსებული იყო თექვსმეტი თიხის ჭურჭელი, ოქროს და ბრინჯაოს ნივთები, სარდიონის და პასტის მძივები, ძვლის მძივსაკიდი.

სამარხის ცენტრალურ ნაწილში აღმოჩნდა №№ 1, 14, 16 ჭურჭლები. ძირითად მიცვალებულთან მოთავსებული იყო № 7 ჭურჭელი. სამარხის სამხრეთ-აღმოსავლეთ მხარეს იდგა № 2, სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში № 3, სამხრეთ კედელთან კი № 4 ჭურჭელი. №№ 5, 8, 9, 10 ჭურჭლები სამარხის ჩრდილოეთის მხარეს გამოვლინდა, № 6 აღმოსავლეთ მხარეს, №№ 11, 12, 13 ჭურჭლები კი სამარხის ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში. ოქროს ხვია პასტისა და სარდიონის მძივები გაბნეული იყო ძირითადი მიცვალებულის ქვედა კიდურების არეში. სამარხის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში იდო ძვლის მძივსაკიდი, სამხრეთ დასავლეთ ნაწილში ბრინჯაოს ბიპირამიდალური ისრისპირი, ზოლო სამარხის აღმოსავლეთ მხარეს ბრინჯაოს ოთხწახნაგა სადგისი.


ქვემოთ აღვწერთ ენამთის № 1 გორასამარხში მოპოვებულ მასალას:

1. დერგი. ზედაპირი შავი, სუსტად ნაპრიალები, შიდაპირი მოყავისფრო, გლუვი. კეცი შავი და ყავისფერი. უხეში. სისქე — 0,8 სმ. ჭურჭელი ნაკლულია



(ტაბ. III₁₀); 2. ხელადა. მოყვითალო-მოყავისფრო, ნაპრიალები, შიდაპირი გლუვი-კეცი ალაგ-ალაგ ნაცრისფერი, მკვრივი, წვრილი თეთრი მინარევით. სიმაღლე — 14,3 სმ. პირის დმ. — 11,3 სმ. მუცლის დმ. — 20,2 სმ. ძირის დმ. — 6,2 სმ. (ტაბ. III₉); 3. ბადია. ზედა და შიდაპირი მოყავისფრო-მონაცრისფრო, ზედაპირი სუსტად ნაპრიალები. შიდაპირი გლუვი. კეცი რუხი, უხეში, ქვიშის და თეთრი მინარევით. სისქე პირთან — 0,5 სმ. მუცელთან — 1,1 სმ. ჭურჭელი ნაკლულია. (ტაბ. II₆); 4. ქოთანი. მოყავისფრო-მონაცრისფრო, რუხი ლაქებით. ზედაპირი პრიალა, შიდაპირი გლუვი. კეცი უხეში, წვრილი თეთრი მინარევით. სისქე გვერდთან — 4,8 სმ. ძირთან — 0,5 სმ. სიმაღლე — 9,6 სმ. პირის დმ. — 9,9 სმ. მუცლის დმ. — 36 სმ. ძირის დმ. — 5,9 სმ. (ტაბ. II₁); 5. ჯამი. მოყავისფრო, რუხი ლაქებით. ზედაპირი სუსტად ნაპრიალები, შიდაპირი გლუვი. კეცი უხეში, სისქე გვერდთან — 1 სმ. ძირთან — 0,9 სმ. ძირის დმ. — 8 სმ. ჭურჭელი ნაკლულია. (ტაბ. II₇); 6. ჯამი მოყავისფრო-მონაცრისფრო, ალაგ-ალაგ რუხი ლაქებით. ზედაპირი სუსტად ნაპრიალები. შიდაპირი გლუვი. კეცი უხეში, ქვიშანარევი. სისქე პირთან — 0,7 სმ. გვერდთან — 0,5 სმ. ჭურჭელი ნაკლულია. (ტაბ. II₁₀); 7. ტოლჩა. მოყავისფრო-მონაცრისფრო. ერთ მხარეს შავი ლაქით. ზედაპირი სუსტად ნაპრიალები. შიდაპირი გლუვი. სიმაღლე — 9,4 სმ. პირის დმ. — 7,6 სმ. მუცლის დმ. — 27,5 სმ. ძირის დმ. — 4,5 სმ. 8. ბადია. მოყავისფრო-მონაცრისფრო, ალაგ-ალაგ რუხი ლაქებით. ზედაპირი სუსტად ნაპრიალები. შიდაპირი გლუვი. კეცი უხეში. სისქე პირთან — 1 სმ. ძირთან — 0,7 სმ. სიმაღლე — 10,6 სმ. პირის დმ. — 25,1 სმ. ჭურჭელი ნაკლულია (ტაბ. II₁₁); 9. ბადიის პირ-გვერდის ფრაგმენტი

ტაბ. II







და ძირი. მოყავისფრო-მონაცრისფრო. ზედაპირი სუსტად ნაპრიალები. შიდა-
პირი გლუვი. კეცი რუხი, უხეში. წვრილი თეთრი მინარევით. სისქე — 11 სმ.
ძირის დმ. — 11,8 სმ. ჭურჭელი ნაკლულია. (ტაბ. II); 10. მცირე ზომის
თიხის ჭურჭლის პირგვერდის ფრაგმენტები. მოყავისფრო-ნაცრისფერი. ზედაპი-
რი სუსტად ნაპრიალები. შიდაპირი გლუვი. კეცი რუხი, უხეში, წვრილი თეთრი



მინარევით. სისქე პირთან — 0,6 სმ. გვერდთან — 0,7 სმ; 11. ქოთანი. მოყავისფრო-მონაცრისფრო. ზედა და შიდაპირი გლუვი. კეცი უხეში, სიმაღლე — 14,1 სმ. პირის დმ. — 13,5 სმ. მუცლის დმ. — 25,2 სმ. ძირის დმ. — 7 სმ. (ტაბ. II₂); 12. ტოლჩა. მოყავისფრო-მონაცრისფრო, რუხი ლაქებით. ზედაპირი პრილა, შიდაპირი გლუვი. კეცი უხეში. სიმაღლე — 14,7 სმ. პირის დმ. — 13 სმ., მუცლის დმ. — 24 სმ. ძირის დმ. — 5,9 სმ. (ტაბ. III₆). 13. ქოთანი. მოყავისფრო, ზედაპირი შავი ლაქით. ზედაპირი სუსტად ნაპრიალევი. შიდაპირი გლუვი. კეცი უხეში. ქევის და კენჭების მინარევით. სისქე პირთან — 0,5 სმ. ძირთან — 0,6 სმ. სიმაღლე — 8,8 სმ. ძირის დმ. — 5,4 სმ. ჭურჭელი ნაკლულია. (ტაბ. II₃); 14. ჯამის პირგვერდის ფრაგმენტი. ღია ყავისფერი. ზედაპირი სუსტად ნაპრიალევი, შიდაპირი გლუვი. კეცი უხეში, წვრილი

ტაბ. III





თეთრი მინარევით. სისქე პირთან — 0,8 სმ. გვერდთან — 0,5 სმ. (ტაბ. II₈); 15. ბადია. მოყავისფრო, შავი და მოყვითალო ლაქებით. შიდაპირი და კეცი მორუხო-მოყავისფრო. ზედაპირი პრიალა, შიდაპირი გლუვი. კეცი უხეში, ქვიშის და თეთრი მინარევით. სისქე პირთან — 0,6 სმ. გვერდთან — 0,7 სმ. სიმაღლე — 9,7 სმ. პირის დმ. — 18 სმ. მუცლის დმ. — 26 სმ. ძირის დმ. — 8,5 სმ. ჭურჭელი ნაკლულია (ტაბ. II₄); 16. ბადია. ზედაპირი მოყავისფრო-მონაცრისფრო, რუხი ლაქებით. სუსტად ნაპრიალები. შიდაპირი მოყავისფრო. გლუვი. კეცი მოყავისფრო-მონაცრისფრო, უხეში, სისქე პირთან — 0,6 სმ. გვერდთან — 0,8 სმ. ჭურჭელი ნაკლულია. (ტაბ. III₅); 17. სარდიონის მძივი (4 ც) მრგვალი. დმ. — 0,7 სმ. (ტაბ. III₃); 18. სარდიონის მძივსაკიდი (3 ც) (ტაბ. III₁); 19. პასტის მძივი (8 ც) მრგვალი (ტაბ. III₅); 20. ძელის მძივსაკიდი, სამკუთხედის ფორმის. სიგრძე 2,3 სმ. დმ. თავთან — 0,3 სმ. ძირთან — 1,3 სმ. (ტაბ. III₂); 21. ბრინჯაოს სადგისი (ისრისპირი) ოთხწახნაგა. სიგრძე — 4,9 სმ. დმ. თავთან 0,3 სმ. ძირთან — 0,1 სმ. (ტაბ. III₆); 22. ბრინჯაოს ისრისპირი. ოთხწახნაგა, ბიპირამიდალური, სიგრძე 4,9 სმ. დმ. თავთან — 0,8 სმ. ძირთან — 0,2 სმ. (ტაბ. III₇); 23. ოქროს ხვია (ტაბ. III₄).

ენამთის № 1 გორასამარხში გამოვლენილი კერამიკა მსგავსებას ამჟღავნებს როგორც მტკვარ-არაქსის ადრეულ ძეგლებთან, ასევე ამ კულტურის გვიანო საფეხურის ძეგლებზე გამოვლენილ კერამიკულ ნაწარმთან.

ენამთის № 1 გორასამარხის დერგი (ტაბ. III₁₀) დამზადების ტექნიკით, პირის და ტანის მოყვანილობით უახლოვდება თრიალეთის ადრეული ყორღანების შავპრიალა დერგებს¹. რაც შეეხება ჭურჭლის მუცელზე მიძერწილ შევრილებს, იგი დამახასიათებელი ჩანს მტკვარ-არაქსის ადრეული ძეგლების (საშუალო და მომცრო ზომის) ჭურჭლებისათვის². ის იშვიათად, მაგრამ მაინც გვხვდება აღნიშნული კულტურის ადრებრინჯაოს პერიოდის კერამიკაზე, რაც ტრადიციების გაგრძელებაზე მიუთითებს.

განსახილველი გორასამარხის კერამიკული კოლექცია ხუთი ბადისაგან შედგება (ტაბ. II₄, 5, 6, 9, 11) ჭურჭლის ეს ფორმა უცხო არ არის მტკვარ-არაქსის კულტურის ადრეული ძეგლებისათვის. განსაკუთრებით ეს ეხება ყურთან ბადიებს (ტაბ. II₄, 5, 6).

სამ ბადიას ერთმანეთის საპირისპიროდ მიძერწილი ორი ყური აქვს. ორი ბადია (ტაბ. II₅, 6) ერთმანეთის მსგავსია. მათ ფართო, ოღნავ გადაშლილი პირი, დაბალი შეზნექილი ყელი, წიბოიანი მხარი და ბრტყელი ძირისაკენ შევიწროებული კედლები აქვთ. ყურები მიძერწილი აქვთ პირზე და მხარზე. ანალოგიური, ოღონდ ცალყურა ჭურჭელი ცნობილია დიდუბიდან³. მსგავსება შეინიშნება სამშვილდის № 17 სამარხის ორ ორყურა ჭურჭელთან⁴. აგრეთვე კიკეთის № 8 და № 14 სამარხების კერამიკასთან⁵.

¹ ე. გოგაძე, თრიალეთის ყორღანული კულტურის პერიოდიზაცია და გენეზისი, თბ., 1972, ტაბ. 79.

² გ. ფხაკაძე, ქვემო ქართლის ნეოლითი, თბ., 1969, სურ. 312, 526, 630, 32, 33, 52, 53, 1073.

³ თ. ჯაფარიძე, ლითონის წარმოების ადრეული საფეხური საქართველოში, თბ., 1955, სურ. 321.

⁴ გ. მირცულავა, სამშვილდე, თბ., 1975, ტაბ. XXV₃, 5.

⁵ გ. ფხაკაძე, დასახ. ნაშრომი, სურ. 522, ტაბ. VIII₅, XIII₉.

ჩვენი გორასამარხის მესამე ყურთან ბადიას ახასიათებს ფართო პირი, ზედა ნაწილში სუსტად გამობერილი და ძირისაკენ თანდათან შევიწროებული მუცელი. პირზე და მხარზე მას მიძერწილი აქვს მინიატურული, ნახევარფერული ყურები (ტაბ II₄). აღწერილი ბადია ეხმაურება სამშვილდის I ფენაში მოპოვებულ ცალყურა ჭურჭელს⁶. მსგავსი ჭურჭელი აღმოჩენილია კიკეთში ბ. კუფტინის მიერ 1947 წელს⁷. ასეთი ბადია (უფრო მოზრდილი ყურებით) გვხვდება თრელის მტკვარ-არაქსის კულტურის ნასახლარის ქვედა ფენებში (№ 1 ორმო)⁸. აქვე № 3 ორმოში მოპოვებულ ჯამს ჩვენი ბადიის მსგავსი ყურები აქვს⁹. ნამოსახლარის ქვედა ფენების ქვედა ქრონოლოგიურ საზღვრად ზოგადად ძვ. წ. IV ათასწლეულის შუახანება მიჩნეული, ხოლო ზედა საზღვრად კი ძვ. წ. IV ათასწლეულის მესამე ნახევარი¹⁰. თარიღი განისაზღვრება ნასახლარზე მტკვარ-არაქსის კულტურის ადრეულ ჯგუფის კერამიკასთან ერთად აღმოჩენილი ბზენარევი კერამიკის მიხედვით, რომელიც დამახასიათებელია ამიერკავკასიის წინამორბედი კულტურისათვის¹¹.

ენამთის № 1 გორასამარხის უყურო ბადიები (ტაბ. II₉, 10) ფორმით განსხვავდებიან როგორც ზემოთ აღნიშნული ბადიებისაგან, ისე ერთმანეთისაგან. უყურო ბადიებს საერთო აქვთ მხოლოდ ფართო, ოდნავ შიგნითა მხარეს გადახრილი პირი, ერთი მათგანის პირზე ერთმანეთის საპირისპიროდ ორი შვერილია მიძერწილი. ამ ჭურჭელს ზედა ნაწილში გამობერილი და განიერი ძირისაკენ თანდათან შევიწროებული კედლები აქვს (ტაბ. II₁₁). მეორე ბადია ხასიათდება სუსტად გამობერილი მუცლით და ბრტყელი, ფართო ძირით (ტაბ. II₉). ფორმით ეს ჭურჭელი მოგვაგონებს შენგავითის ნამოსახლარის ქვედა ფენის უხეშად ნაძერწ ჯამს¹².

ჩვენი ბადიის მსგავსი შვერილები აქვს ჩვენთვის საინტერესო გორასამარხის დერგს (ტაბ. III₁₀) და ჯამს (ტაბ. II₁₀), ზილიჩის № 4 გორასამარხის ბადიას და ჯამს (ტაბ. V₃, 5), კიკეთის ქვაბქოთანას, კოკობს¹³, აგრეთვე იანიკთეფეს ადრებრინჯაოს ფენაში მოპოვებულ ჯამ ფილას¹⁴.

ენამთის გორასამარხის შვერილიან ჯამს ფართო, ზემოდან სწორი პირი აქვს. მისი გვერდები ძირისაკენ მკვეთრად ვიწროვდება. ტანის მოყვანილობით ჩვენი ჭურჭელი ჰგავს მტკვარ-არაქსის კულტურის ნასახლარის „ცხრაკარას“ ცალყურა ჭურჭლებს¹⁵. ხიზანაანთ გორის ადრებრინჯაოს ხანის ნასახლარის

6 გ. მი რ ც ხ ლ ა ვ ა, დასახ. ნაშრომი, ტაბ. VII₂₆.

7 ო. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე, დასახ. ნაშრომი, ტაბ. II₅.

8 რ. ა ბ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი, დ. გ ო ც ი რ ი ძ ე, თრელის მტკვარ-არაქსის კულტურის ნასახლარი, თბ., 1978, ნა. 752.

9 იქვე, ნახ. 9162, ტაბ. X₁₆.

10 იქვე, 33-44.

11 იქვე, 33-43.

12 К. Х. Кушнарева, Т. Н. Чубинашвили, Древние культуры Южного Кавказа, Тб., 1970, სურ. 157.

13 ო. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე, ქართველ ტომთა ეთნიკური ისტორიის საკითხებისათვის, თბ., 1976, სურ. 33.

14 იქვე, სურ. 36₆.

15 Г. Мирцхулава, Н. Мирцхулава, Археологическая экспедиция Иорского ущелья. ПАИ, Тб., 1983.

ყვითლად გაპრიალებულ ჯამს¹⁶ და საგვარჯილეს ნეოლით-ადრებრინჯაოს ფენაში მოპოვებულ ჭურჭელს¹⁷.

სრულიად განსხვავებული ფორმისაა საკვლევი სამარხის ორი ჯამი (ტაბ. II₇, გ), რომლებსაც ახასიათებთ ფართო, ოდნავ შეივნით გადახრილი პირი, ზედა ნაწილში გამობერილი და ძირისაკენ თანდათან შევიწროებული გვერდები. ამ ტიპის კერამიკა გვხვდება მტკვარ-არაქსის კულტურის ადრეულ და მოგვიანო ხანის ძეგლებზე. მსგავსი პირის მოყვანილობა აქვს სამშვილდის № 20 სამარხის ჯამს¹⁸. უახლოესი ანალოგიები წარმოდგენილია კიკეთის, თამარისის, დიდუბის და ზღუდრის გვერდას კერამიკულ მასალაში. ამგვარი ფორმის ჭურჭელი ცნობილია ჩრდილო კავკასიიდან: ლუგოვოეს ნასახლარიდან, კაიაკენტიდან და ველიკენტიდან¹⁹. ამ ტიპის ჯამები სადაა, მათ არც ყური აქვთ და არც შევრილი კოპები²⁰.

ენამთის № 1 გორასამარხში სამი ქოთანია აღმოჩენილი (ტაბ. II₁-ვ), რომლებსაც ერთმანეთთან აახლოვებს დამზადების ტექნიკა, პირის მოყვანილობა და მტკვარ-არაქსის ადრეულ და მოგვიანო ხანის კერამიკაზე გავრცელებული პირზე და მხარზე მიძერწილი, ზემოდან მომრგვალებული ორი ყური.

აღნიშნული ქოთნებიდან ყველაზე მოზრდილს (ტაბ. II₂) დაბალი ყელი, მსუბუქად გამობერილი და ძირისაკენ თანდათან შევიწროებული გვერდები აქვს. ასეთივეა (ტაბ. II₃) მომცრო ქოთანიც. მესამე (ტაბ. II₁) მცირე ზომის ქოთანს დაბალი ცილინდრული ყელი აქვს, რომელსაც მხარზე გადასვლის ადგილას წიბო შემოსდევს. ჭურჭლის მრგვალი მუცელი ძირისაკენ თანდათან ვიწროვდება და მთავრდება შედრეკილი ძირით.

ბირველი ორი ქოთანია (ტაბ. II₂, ვ) ეხმაურება მარტყოფის № 3 ყორღანის ძირითად სამარხში გამოვლენილ* ორყურა ჭურჭლებს²¹. განსხვავება შეინიშნება მუცლის მოყვანილობაში. ჩვენ ქოთნებს მხარში ოდნავ გაზიდული მუცელი აქვთ, მარტყოფის ჭურჭლებს კი შუა ადგილას. აღნიშნული სამარხი ძვ. წ. III ათასწლეულის მეორე ნახევრის შუა ხანებს მიეკუთვნება²².

ენამთის მცირე ზომის ქოთნის (ტაბ. II₁) ანალოგიური, ოღონდ სწორ-ძირიანი თიხის ჭურჭელი აღმოჩენილია სამშვილდეში²³.

შედრეკილძირიანი ჭურჭლები ცნობილია კიკეთის²⁴ სამარხებიდან, ზღუდ-

16 ი. კიკვიძე, ხიზანათ გორის ადრებრინჯაოს ხანის ნასახლარი, თბ., 1972, სურ. 19.

17 გ. ფხაკაძე, დასავლეთ საქართველოს ადრებრინჯაოს ხანის კულტურისა და შაიკობის კულტურის ურთიერთობის საკითხები (გამოკვებულების მასალების მიხედვით), საქართველოს არქეოლოგიის საკითხები, თბ., 1985, ტაბ. IV.

18 გ. მირცხულავა, დასახ. ნაშრომი, ტაბ. XXVIII.

19 გ. ფხაკაძე, ქვემო ქართლის ენეოლითი, თბ., 1963, გვ. 81.

20 ივე.

21 თ. ჯაფარიძე, გ. ავალიშვილი, ა. წერეთელი, კახეთის (მარტყოფის) არქეოლოგიური ექსპედიციის 1980—1981 წლების მუშაობის ანგარიში, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციები, VIII, თბ., 1986, სურ. 5.

22 თ. ჯაფარიძე, გ. ავალიშვილი, ა. წერეთელი, დასახ. ნაშრომი, გვ. 34.

23 თ. ჯაფარიძე, ქართველ ტომთა ეთნიკური ისტორიის საკითხები, თბ., 1976, სურ. 35.

24 გ. ფხაკაძე, დასახ. ნაშრომი, ტაბ. VIII, ტაბ. VIII, სურ. 5.

რის გვერდადან²⁵, ბარმაქსიზის²⁶ ენეოლითური ხანის სამარხიდან. იგი გვხვდება უფრო მოგვიანო ხანის ძეგლებზე, ხიზანანთ გორაზე²⁷, ქვაცხელაზე²⁸. აგრეთვე ილტოს ნამოსახლარის № 1 სამარხში²⁹. შედრეკელი ძირი უპირატესად შეიმჩნევა ძირვიწრო სასმისებზე და კოჭობის ტიპის ჭურჭლებზე³⁰. შედრეკელი ძირი აქვს ენამთის № 1 გორასამარხის ტოლჩასაც, რომელსაც ახასიათებს ფართო, ოდნავ გადაშლილი პირი და სუსტად გამობერილი მუცელი. პირს ქვემოთ და მხარზე მას მიძერწილი აქვს გაზიდული, ბრტყელი ყური, რომელიც შუა ადგილას მომრგვალებულია (ტაბ. IIIგ). მეორე ტოლჩა ფრავმენტების სახით არის წარმოდგენილი.

მტკვარ-არაქსის ადრეულ და გვიანდელ საფეხურზე სხვადასხვა ფორმის ტოლჩები გვხვდება. ამ ტიპის ჭურჭლებში ყველაზე გავრცელებული ჩანს ტოლჩა³¹, რომელსაც წიბოიანი მხარი ან მუცელი, ვიწრო ძირისაყენ მკვეთრად დაქანებული კალთა და პირზე და წიბოზე მიძერწილი ყური აქვს. ხშირად ამ ჭურჭლებს ორნამენტი ამკობს³². აღსანიშნავია, რომ ენამთის გორასამარხის არც ტოლჩაზე და არც სხვა ჭურჭელზე ორნამენტი არ შეინიშნება.

ჩვენი ტოლჩის მსგავსი, ოღონდ სწორძირიანი ჭურჭელი აღმოჩენილია თრელის მტკვარ-არაქსის კულტურის ნასახლარის № 2 ორმოში³³.

ენამთის № 1 გორასამარხში ერთი ხელადაა მოპოვებული (ტაბ. IIIგ). მას ფართო, გადაშლილი პირი, დაბალი ყელი, მრგვალი მუცელი და ბრტყელი ძირი აქვს. მის ყელზე და მხარზე მიძერწილია ნახევარსფერული, ზემოდან მომრგვალებული ყური. ანალოგიური ჭურჭელი აღმოჩენილია ღრმახევისთავის ადრებრინჯაოს ხანის № 77 სამარხში³⁴. მსგავსებას ვხედავთ ჩვენ ჭურჭელსა და სამშვილდის №№ 14³⁵, 15³⁶, 25³⁷ და 38³⁸ სამარხების ჭურჭლებს შორის.

²⁵ ო. ჯაფარიძე, ქართული ტომების ისტორიისათვის ლითონის წარმოების ადრეულ საფეხურზე, თბ., 1961, გვ. 51, სურ. 8.

²⁶ Б. А. Куфтин, Урартский «колумбарий» у подошвы Арарата и Куро-аракский энеолит, საქ. სახ. მუზეუმის მოამბე, ტ. 13, თბ., 1943, გვ. 108.

²⁷ ი. კიკვიძე, ხიზანანთ გორის ადრებრინჯაოს ხანის ნამოსახლარი, თბ., 1972, გვ. 72.

²⁸ ალ. ჯავახიშვილი, ლ. დლონტი, ურბნისი I, თბ., 1972, გვ. 38, ო. ჯაფარიძე, დასახ. ნაშრომი, სურ. 10ა.

²⁹ Ш. Ш. Дедабришвили, Памятники эпохи ранней и средней бронзы, ТКАЭ, I, Тб., 1969, სურ. 7ა.

³⁰ ო. ჯაფარიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 51.

³¹ ო. ჯაფარიძე, ქართველ ტომთა ეთნიკური ისტორიის საკითხისათვის, თბ., 1976, სურ. 32, 34, 42, 43; Ш. Ш. Дедабришвили, დასახ. ნაშრომი, სურ. 6ა, 7ა, 8ა.

³² Ш. Ш. Дедабришвили, დასახ. ნაშრომი, სურ. 6ა, 7ა; ო. ჯაფარიძე, დასახ. ნაშრომი, სურ. 46.

³³ რ. აბრამიშვილი, დ. გოცირიძე, თრელის მტკვარ-არაქსის კულტურის ნასახლარი, I, თბ., 1978, ნახ. 8გო, ტაბ. VIIIგო.

³⁴ რ. აბრამიშვილი, ლ. გიგუაშვილი, კ. კახიანი, ენეოლით-ადრებრინჯაოს ხანის ძეგლების კატალოგი, ღრმახევისთავის არქეოლოგიური ძეგლები, თბ., 1980, გვ. 68, ნახ. 604.

³⁵ გ. მირცხულავა, დასახ. ნაშრომი, ტაბ. XXII7.

³⁶ იქვე, ტაბ. XXIII5.

³⁷ იქვე, ტაბ. XXXI4.

³⁸ იქვე, ტაბ. XXXIX234.

როგორც ვიცით, განსახილველი სამარხი კერამიკული კომპლექსის გარდა შეიცავდა სარდიონის და პასტის მძივებს, ძვლის საკიდს, ოქროს ხვიას, ბრინჯაოს ოთხწახნაგა სადგისს (ისრისპირს) და ბიპირამიდალურ ისრისპირს (ტაბ. III₁₋₇).

სარდიონის მძივი მოპოვებულია ბ. კუფტინის მიერ ცარცის გორაზე³⁹. იგი გვხვდება ქვაცხელების სამაროვნის № 2 სამარხშიც⁴⁰. აქვეა აღმოჩენილი ჩვენი ძვლის საკიდის ფორმის, ოღონდ სარდიონის საკიდი⁴¹; ასეთივეა მარტყოფის № 3 ყორღანის ძირითად სამარხში მოპოვებული საკიდებიც⁴². ამ სამარხში გვხვდება ოქროს ხვია, ბრინჯაოს ოთხწახნაგა სადგისი და ისრისპირი⁴³. ოქროს ხვია და ბრინჯაოს ისრისპირი ცნობილია მარტყოფის № 3 ყორღანის ჩაშვებული სამარხიდანაც⁴⁴. ბ. კუფტინის მიერ ცარცის გორაზე გათხრილ ორმოსამარხში ოქროს ხვიაა⁴⁵ აღმოჩენილი, ქორეთის ერთ-ერთ სამარხში კი ოქროს რგოლი⁴⁶.

ენამთის № 1 გორასამარხის ბრინჯაოს ოთხწახნაგა სადგისის (ისრისპირი) (ტაბ. III₈) მსგავსია ურბნისში, ხიზანაანთ გორაზე⁴⁷ და ქვაცხელებზე⁴⁸, აგრეთვე შენგავითში⁴⁹ გამოვლენილი სადგისები.

ჩვენ ბიპირამიდულ ისრისპირს (ტაბ. III₇) პირდაპირი ანალოგი აქვს ზეიანის ძვ. წ. III ათასწლეულის მეორე ნახევრით დათარიღებულ № 1 გორასამარხში⁵⁰. მსგავსი ისრისპირი დამოწმებულია მარტყოფში ულევარის № 2 ყორღანში⁵¹, რომელიც ძვ. წ. XXIV—XXIII სს. არის განსაზღვრული⁵². ბრინჯაოს ისრისპირები გვხვდება მარტყოფის № 3 ყორღანის ძირითად⁵³ და ჩაშვებულ სამარხშიც⁵⁴. ყორღანი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ძვ. წ. III ათასწლეულის მეორე ნახევრის შუა ხანებით თარიღდება⁵⁵.

ბრინჯაოს ბიპირამიდალური ისრისპირების შესახებ გამოთქმულია მოსა-

39 ო. ჯაფარიძე, ქართული ტომების ისტორიისათვის ლითონის წარმოების ადრეულ საფეხურზე, თბ., 1961, გვ. 132.

40 აღ. ჯავახიშვილი, ლ. ლონტი, დასახ. ნაშრომი, ტაბ. XXXVI.

41 იქვე.

42 ო. ჯაფარიძე, გ. ავალიშვილი, ა. წერეთელი, დასახ. ნაშრომი, სურ. 4.

43 იქვე.

44 იქვე, სურ. 2.

45 იქვე, გვ. 132, ტაბ. XVI₁₀.

46 იქვე, გვ. 137, ტაბ. VIII₈.

47 იქვე, გვ. 94.

48 იქვე.

49 იქვე.

50 კ. ფიცხელაური, ვ. ვარაზაშვილი, ზეიანის გორასამარხი № 1, გარეჯი, თბ., 1988, გვ. 50, 51, ტაბ. VI₄.

51 ო. ჯაფარიძე, ი. კიკვიძე, გ. ავალიშვილი, ა. წერეთელი, კახეთის (მარტყოფის) არქეოლოგიური ექსპედიციის 1978—1979 წლების მუშაობის ანგარიში, საქ. სახ. მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციები VII, თბ., 1980, ტაბ. VIII.


52 იქვე, გვ. 40.

53 ო. ჯაფარიძე, გ. ავალიშვილი, ა. წერეთელი, კახეთის (მარტყოფის) არქეოლოგიური ექსპედიციის 1980—1981 წლების მუშაობის ანგარიში, საქ. სახ. მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციები VIII, თბ., 1986, სურ. 4.

54 იქვე, სურ. 2.

55 იქვე, გვ. 34.

ტაბ. IV



ზრება, რომ ისინი აღმოსავლეთ საქართველოს ძეგლების მიხედვით პირველად ჩნდება ძვ. წ. III ათასწლეულის მეორე ნახევრიდან⁵⁶.

ფეიქრობთ, ენამთის № 1 გორასამარხი მასში გამოვლენილი მასალის საფუძველზე ძვ. წ. III ათასწლეულის მეორე ნახევრით უნდა დათარიღდეს.

რაც შეეხება გორასამარხში ზოგიერთი არქაული იერის მქონე კერამიკის არსებობას, იგი აღნიშნულ პერიოდში მეთუნეთა მიერ ძველი ტრადიციების გაგრძელებაზე უნდა მიუთითებდეს.

ენამთის № 1 გორასამარხის გარდა ნაშრომში განვიხილავთ ზილიჩის № 4 გორასამარხს. იგი აღმოჩნდა 1986 წელს ზილიჩის ტაფობის სარწყავი არხის სამხრეთ მხარეს 15 მეტრის მოშორებით (ტაბ. IV).

ზილიჩის ტაფობი მდებარეობს წითელწყაროდან დასავლეთის მიმართულგბით 82—85 კმ-ის მანძილზე. იგი წარმოადგენს ყორღანულ ველს. აქ მდებ-

⁵⁶ კ. ფიცხელაური, ვ. ვარაზაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 51.

ბარეობს ორ ათეულზე მეტი გორასამარხი, რომელთა დიდი ნაწილი დანგრეულია ამ ადგილზე ვენახების გაშენების დროს.

ზილიჩის № 4 გორასამარხის დიამეტრი ჩრდილოეთიდან სამხრეთის ხაზზე 15 მეტრია, აღმოსავლეთიდან დასავლეთის ხაზზე 12 მეტრი. სიმაღლე — 0,80 მეტრი.

გორასამარხის ცენტრალურ ნაწილში, მიწის ზედაპირიდან 0,70 მეტრის სიღრმეზე გამოვლინდა რიყის ქვის წრიული წყობა, რომელსაც ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში ჰქონდა ქვის წყობის მეორე რიგი, ხოლო სამხრეთ-აღმოსავლეთით რიყის ქვის დროშისი. სიგრძე — 2,8 სმ. სიგანე — 2 მ.

ქვის წრიული წყობის სიღრმეში ჩასვლის დროს კარგად იკვეთებოდა ცეცხლის და ნაცრის კვალი. ორმოს კედლები ქვით და თიხის ხსნარით ყოფილა ამოშენებული.

დასაკრძალავი ორმოს იატაკი აღმოჩნდა ზედაპირიდან 1,60 მ სიღრმეზე. მისი ზომებია: სიგრძე — 3 მ. სიგანე — 2,50 მ.


სამარხი ორმოს ჩრდილო დასავლეთ ნაწილში დაფიქსირდა შეღვსილობის კვალი. იგი ვრცელდებოდა სამხრეთ კედლის გასწვრივაც. შესაძლოა ორმოს კედლები მთლიანად იყო შეღვსილი.

ენამთის № 1 გორასამარხის მსგავსად შესწავლილი სამარხიც კოლექტიურია (ტაბ. I, IV).

სამარხის ცენტრალურ ნაწილში გამოვლინდა ნაცრის კვალი, რომელშიც იყო მიცვალბულის ძლიერ დამწვარი ძვლები და თავის ქალის ფრაგმენტები. მიცვალბულის ძლიერ დამწვარი ძვლები და თავის ქალის ქვედა ყბა, მკლავის და ქვედა კიდურების ძვლები აღმოჩნდა სამარხი ორმოს სამხრეთ-დასავლეთ კედლის გასწვრივაც. მიცვალბულის ქალა და ზედა კიდურების ძვლების ფრაგმენტები გამოვლინდა აგრეთვე ორმოს სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში. თავის ქალა იდო მარჯვენა გვერდზე, სამხრეთის მიმართულებით.

დასაკრძალავ ორმოში აღმოჩნდა ხელით ნაძერწი თიხის ექვსი ჭურჭელი: 1. ორყურა ქოთანია. არათანაბრად გამომწვარი, მოყავისფრო-მონაცრისფრო, ზედაპირი სუსტად ნაპრიალები. შიდაპირი უსწორმასწორო.

პირი სუსტად გადაშლილი, ყელი დაბალი. მუცელი ზედა ნაწილში მრგვალი. ძირთან ოდნავ ვიწროვდება. გვერდიდან ძირზე გადასვლის ადგილი მომრგვალებული. ძირი ბრტყელი. პირზე და მხარზე ერთმანეთის საპირისპიროდ მიძერწილია ორი ოვალურგანიკვეთიანი ყური. სიმაღლე — 12 სმ. პირის დმ. — 12 სმ. მუცლის დმ. — 14 სმ. ძირის დმ. — 5 სმ. (ტაბ. V₁); 2. ტოლჩა. არათანაბრად გამომწვარი. მოყავისფრო-მონაცრისფრო. ზედაპირს ეტყობა გაპრიალების კვალი. შიდაპირი მოგლუვებული. კეცი უხეში. ქვიშანარევი. პირი ფართო, გადაშლილი. ყელი ცილინდრული. მხარი წიბოიანი. მუცელი სუსტად გამობერილი. ძირისაკენ თანაბრად ვიწროვდება. პირზე და წიბოზე მიძერწილია ერთი, ოვალურგანიკვეთიანი ყური. სიმაღლე — 14 სმ. პირის დმ. — 11 სმ. მუცლის დმ. — 13 სმ. ძირის დმ. — 5 სმ. (ტაბ. V₂); 3. ჯამი. არათანაბრად გამომწვარი, მოყავისფრო, რუხი ლაქებით. ზედაპირი ნაპრიალები, შიდაპირი მოგლუვებული. დამზადებულია უხეში, ქვიშანარევი თიხით. პირი ფართო, სწორი, ბაკო ბრტყელი, გვერდები ძირისაკენ თანაბრად ვიწროვდება. ძირი ბრტყელი. პირზე ცალ მხარეს პატარა, ბრტყელი შევრილი აქვს. სიმაღლე — 7 სმ. პირის დმ. — 18 სმ. ძირის დმ. — 7 სმ. (ტაბ. V₃). ჭურჭელი დაზიანებულია. აკლია ნაწილები; 4. ცილინდრული ფორმის ორყურა ჭურ-



ქული. რუხი. ზედაპირი სუსტად ნაპრიალები. შიდაპირი მოკლუვებული. კეცი მკვრივი. პირი ფართო, სწორი. ბაკო ბრტყელი. კედლები სწორი. ძირი ფართო და ბრტყელი. პირზე და გვერდზე ერთმანეთის საპირისპირო მხარეს ორი, ოვალურგანივკვეთიანი ყური აქვს მიძერწილი. სიმაღლე — 12 სმ. პირის და ძირის დმ. — 12 სმ. (ტაბ. V₄); 5. ბადია. რუხი. კეცი ქვიშანარევი. პირი ფართო, ოდნავ შიგნით გადახრილი. გვერდი სუსტად გამობერილი. პირისაკენ მკვეთრად ვიწროვდება. ძირი ბრტყელი. პირზე ცალ მხარეს ბრტყელი შევრილი აქვს მიძერწილი (ტაბ. V₅). ჭურჭელი დაზიანებულია. აკლია ნაწილები.

6. წამი. ზედაპირი მორუხო-მოყავისფრო, შავი ლაქებით, ეტყობა გაპრიალე-ბის კვალი. შიდაპირი მოშავო-მოყავისფრო. კეცი მკვრივი, სილანარევი. გვერდ-თან — 0,6 სმ. ძირთან — 1 სმ. პირი ფართო, სწორი. გვერდები ძირისაკენ თანდათან შევიწროებულნი. ძირი ფართო და ბრტყელი. სიმაღლე — 10 სმ. პირის დმ. — 22 სმ. მუცლის დმ. — 37 სმ. (ტაბ. V₆).

ზილიჩის № 4 გორასამარხის № 1 თიხის ჭურჭელი გამოვლინდა სამარხის სამხრეთ-დასავლეთ კედლის ძირში. № 2 და № 3 თიხის ჭურჭელი სამარხის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში. სამარხის ცენტრალურ ნაწილში აღმოჩნდა № 4 ჭურჭელი, ხოლო ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში № 5 და № 6 ჭურჭლები. სამარხის ჩრდილოეთ კედლის გასწვრივ ხის ძელების ნაშთების ალაგების დროს გამოვლინდა № 6 თიხის ჭურჭელი.

ზილიჩის № 4 გორასამარხის კერამიკა საერთო იერით და ფორმით ახლოს დგას მტკვარ-არაქსის კულტურის განვითარებული საფეხურის ძეგლების კერამიკასთან, ამავე დროს დამზადების ტექნიკით და ფორმის ზოგიერთი დეტალით უკავშირდება აღნიშნული პერიოდის ადრეულ კერამიკას.

განსახილველი გორასამარხის ტოლჩა (ტაბ. V₇) მოგვაგონებს ღიდუბის ჭურჭელს⁵⁷ (ოლონდ მას ჩვენისაგან განსხვავებით ძირისაკენ უფრო შევიწროებული გვერდები აქვს).

ჩვენი ცილინდრული ფორმის ჭურჭელს (ტაბ. V₈) ზუსტი ანალოგი არ ეძებნება. მსგავსი ფორმის კერამიკის ფრაგმენტები კი გვხვდება მტკვარ-არაქსის კულტურის როგორც ადრეული, ისე მისი განვითარებული საფეხურის ძეგლებზე. მსგავსი ფრაგმენტები ცნობილია უფრო ადრეული ხანიდან, ანა-სეულის ნეოლითური ხანის მასალებიდან⁵⁸ და თეთრიწყაროს ენეოლითური ხანის ნასახლარიდან⁵⁹. ეს ჭურჭლები უზემად ნამზადი თიხით არის ნაძერწი. ასევეა გამოძერწილი კიკეთის № 4 ორმოში⁶⁰ აღმოჩენილი ორი ჭურჭლის სწორი კედლის და ბრტყელი ძირის ნატეხი და № 14 სამარხის ქვედა ფენის ცილინდრული ფორმის ჭურჭელი⁶¹.

ფორმით, კეციით და ზედაპირის დამუშავებით ჩვენ ჭურჭელს უახლოვდება ქორეთის № 1 სამარხში გამოვლენილი ცილინდრული ფორმის შვერილებიანი ჭურჭელი⁶², რომელსაც შავპრიალა ტანზე ამოღარული აქვს ფხური ორნამენტი. განსხვავებას ქმნის ის, რომ ჩვენი ჭურჭელი ორყურა და უორნამენტოა.

დამზადების ტექნიკით ჩამოთვლილ კერამიკას შორის გამორჩეული ადგილი უჭირავს კაჭრეთის № 1 გორასამარხის (თარიღდება ძვ. წ. III ათასწლეულის დასასრულით)⁶³ ცილინდრული ფორმის ჭურჭელს⁶⁴. იგი დამზადებულია კარგად განლექილი თიხით, შავპრიალა და შემკულია ამოღარული

57 ო. ჯაფარიძე, ქართველ ტომთა ეთნიკური ისტორიის საკითხისათვის, თბ., 1976, სურ. 32.

58 გ. ფხაკაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 85.

59 იქვე.

60 იქვე, გვ. 105.

61 იქვე, სურ. 10.

62 ო. ჯაფარიძე, ქართველი ტომების ისტორიისათვის ლითონის წარმოების ადრეულ საფეხურზე, თბ., 1961, სურ. 29.

63 ა. ბუჩუკური, კაჭრეთის ძვ. წ. III ათასწლეულის დასასრულის გორასამარხი, არქეოლოგიური ძიებანი, თბ., 1985, გვ. 16.

64 იქვე, ტაბ. 11.

და წერტილოვანი საზებით შესრულებული რთული ორნამენტით. ყოველივე ეს იმაზე მეტყველებს, რომ ჩვენში, ადრეულ ხანაში შექმნილი ჭურჭლის ეს ფორმა შემდგომ განვითარებასა და სრულყოფას განიცდის.

თუ შევადარებთ ზილიჩის № 4 და ენამთის № 1 გორასამარხების კერამიკულ კომპლექსებს დავრწმუნდებით, რომ მათი დამზადების მეთოდი ერთგვაროვანია: უხეში, ქვიშანარევი კეცი, არათანაბარი გამოწევა და ზედაპირის სუსტად გაპრიალება. ამ ნიშან-თვისებებით ისინი მოგვაგონებენ მტკვარ-არაქსის კულტურის ადრეულ კერამიკას.

აღნიშნული ძეგლების თიხის ჭურჭლების შედარება გვაძლევს მსგავს ფორმებს. მსგავსებას ვხედავთ ორყურა ქოთნებს (ტაბ. II₂, 3, V₁), შვერილიან ჯამებს (ტაბ. II₁₀, V₃) და ბადიებს (ტაბ. II₁₁, V₅) შორის. შესაბამისად ზილიჩის ეს ჭურჭლები (ტაბ. V₁, 3, 5) უკვეშირდებიან ენამთის ჩვენთვის საინტერესო კერამიკისათვის (ტაბ. II₂, 3, 5, 10) მოძიებულ პარალელურ მასალებს (გვ. 7, 8).

ზილიჩის და ენამთის გორასამარხებში მსგავსი კერამიკის აღმოჩენა საფუძველს გვაძლევს ზილიჩის № 4 გორასამარხი ენამთის ძეგლის მსგავსად ფ. წ. III ათასწლეულის მეორე ნახევრით დავათარიღოთ.

Р. Н. РУСИШВИЛИ, В. Г. МАЙСУРАДЗЕ

КУРГАНЫ ЭПОХИ РАННЕЙ БРОНЗЫ С ТЕРРИТОРИИ ШИРАКА

Резюме

Ширакская археологическая экспедиция в 1985 году раскопала курган № 1 (2—22 м), в Цителцкарройском районе, Алазанской долине, в местечке «Энамта». Насыпь кургана была разрушена.

На глубине 0,85 м от уровня земли была выявлена погребальная яма (4×4 м), ориентированная по линии Nw. Яма была неправильной формы (табл. I), ее пол располагался на глубине 1,90 м.

В центральной части погребальной ямы обнаружен костяк основного погребенного. Погребенный лежал на левом боку, головой на запад. В углу были обнаружены черепа и другие кости еще пяти погребенных, которые свалены в кучу.

В северо-восточной и юго-западной частях погребальной ямы были обнаружены кости крупного рогатого скота и целый череп быка.

В разных частях погребальной ямы обнаружены пятнадцать лепных сосудов (табл. II, III), сердоликовые (табл. III_{1,3}) и пастовые бусы (табл. III₅), костяная подвеска (табл. III₂), бронзовое четырехгранное шило (табл. III₆), бронзовый бипирамидальный наконечник стрелы (III₇) и золотой завиток (III₄).

На основе анализа материала, погребение кургана Энамта №1 датируется второй половиной III тыс. до н. э.

В 1986 году экспедицией был раскопан курган №4 в долине Зилича, расположенной 82—85 км западней г. Цителцкаро, диаметр кургана по линии Ns 15 м, по линии ow 12 м, высота 0,80 м.

В центральной части кургана на глубине 0,70 м от поверхности земли выявлена круглая кладка из булыжника, у которой в Nw части был второй ряд кладки, а с so стороны находился дромос, также из булыжников, длина 2,8 м, ширина 2 м, (табл. IV).

Стенки погребальной ямы были возведены из камней и глины. Пол ямы обнаружен на глубине 1,60 м, размеры ямы: длина 3 м, ширина 2,50 м.

Погребение было коллективным. Здесь обнаружены сильно обожженные кости и фрагменты черепов погребенных.

В погребальной камере обнаружены шесть лепных сосудов (табл. V), которые находят много общего с керамикой кургана Энамта №1, на основании чего курган №1 Зиличи также можно датировать второй половиной III тыс. до н. э.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
 ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის
 ინსტიტუტის არქეოლოგიური კვლევის ცენტრმა

რამინ რამიშვილი

**ზოგიერთი მოსაზრება საქართველოში ფეოდალიზმის განეხილის
საკითხთან დაკავშირებით**

ფეოდალური ხანის საქართველოს ისტორიის პერიოდიზაციის ერთ-ერთ საკვანძო საკითხს, როგორც არაერთხელ აღინიშნა ქართულ ისტორიოგრაფიაში¹, წარმოადგენს ფეოდალიზმის გენეზისის, ფეოდალურ ურთიერთობათა ჩასახვისა და გამარჯვების დროისა და პირობების განსაზღვრა.

ამ საკითხთა ირგვლივ მკვლევართა შორის შეიქმნევა აზრთა საგრძნობი სხვადასხვაობა². თუმცა ამ ბოლო დროს ქართულ საბჭოთა ისტორიოგრაფიაში შედარებით მკაფიოდ გამოიხატა ის მაგისტრალური ხაზი, რომელსაც სათავე აკად. ს. ჯანაშიას ნაშრომებში დაედო და რომელსაც ამჟამად მკვლევართა საკმაოდ მოზრდილი ნაწილი იზიარებს და შემოქმედებითად ავითარებს³.

აკად. ს. ჯანაშია, ენებოდა რა საქართველოში გვაროვნული საზოგადოების ნანგრევებზე კლასობრივი საზოგადოების ჩამოყალიბების საკითხს, თავის ნაშრომში „ფეოდალური ურთიერთობის წარმოშობისათვის საქართველოში“ წერდა: „მიუხედავად მონობის განსაკუთრებული მნიშვნელობისა ქართველ ტომთა უძველეს ისტორიაში, არ ჩანს, რომ თვი აქ მთლიან ფორმაციად ჩამოყალიბებულ იყოს. გვაროვნულ წყობილებას აქ ფეოდალიზმი სცვლის“⁴. იბერიის სა-

1 საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. II, თბ., 1973, გვ. 12; ჯავახიშვილი ივ. ქართული სამართლის ისტორია. — თბულებანი 12 ტომად, ტ. VI, თბ., 1982, გვ. 198; ჯანაშია ს., საქართველო ადრინდელი ფეოდალიზაციის გზაზე, — შრომები, I, თბ., 1949, გვ. 170; ჯანაშია ს., ადრეული ფეოდალიზმი, — შრომები, II, თბ., 1952, გვ. 422—429; ბერძენიშვილი ნ., საქართველოს რუსეთთან შეერთების ისტორიული მნიშვნელობა, — „ნათობა“, 1959, № 6, გვ. 125; დუმბაძე მ., საქართველოს ფეოდალური ხანის ისტორიის პერიოდიზაციისათვის (XV საუკუნემდე). — წიგნში: საქართველოს ფეოდალური ხანის ისტორიის საკითხები, III, თბ., 1980, გვ. 5—43 (ქვემოთ სფხის) და სხვა.

2 საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. II, გვ. 5—26; დუმბაძე მ., დასახ. ნაშრომი და სხვა.

3 მელიქიშვილი გ., ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გავითარება და საქართველოში ფეოდალურ ურთიერთობათა განვითარების ზოგიერთი საკითხი, თბ., 1973; მისივე, მახლობელი აღმოსავლეთის და კავკასიის უძველესი კლასობრივი საზოგადოების ბუნების გაგებისათვის. — აკად. ივ. ჯავახიშვილის 10 წლის იუბილესადმი მიძღვნილი კრებული, თბ., 1971; მისივე, კლასობრივ საზოგადოებათა ტიპოლოგიური და სტადიალური კლასიფიკაცია და უძველესი კლასობრივი საზოგადოების საკითხი, — „მაცნე“, ისტორიის სერია, 1971, № 3; სურგულაძე ი., საქართველოს ისტორიის პერიოდიზაციის ზოგიერთი საკითხისათვის. — თსუ შრომები, 94, თბ., 1963; მისივე, საქუთრების უფლება ფეოდალურ საქართველოში IV—X საუკუნეებში. — ქართული სამართლის ისტორიის საკითხები, I, თბ., 1973; ლორთქიფანიძე ო., ანტიკური სამყარო და ქართლის სამეფო, თბ., 1968 და სხვა.

4 ჯანაშია ს., ფეოდალურ ურთიერთობათა წარმოშობისათვის საქართველოში. — შრომები, II, თბ., 1952, გვ. 131.

ზოგადოების სოციალურ სტრუქტურაზე მსჯელობისას, როდესაც სტრატონი-სეული ცნობების საფუძველზე ეხება სოციალური კიბის ერთ-ერთ ყველაზე დაბალ საფეხურზე მდგომ ფენას — „ლაოებს“, ს. ჯანაშია მიდის იმ დასკვნამდე, რომ ეს არის ფეოდალური საზოგადოების კატეგორია, კატეგორია „ყმები-სა“... „კატეგორია პირადად დამოკიდებულ უმეშვეო მწარმოებელთა, რომელნიც მთლად მოკლებულნი არ არიან საწარმოო საშუალებებს“⁵.

ამ თვალსაზრისის შემდგომი გაღრმავება-განვითარება ძლიერ შეაფერხა 20-იანი წლების დასასრულისა და 30-იანი წლების დასაწყისის ცნობილმა დისკუსიამ, რომლის შემდეგაც საბჭოთა ისტორიოგრაფიაში დამკვიდრდა ვ. სტრუვესა და მის მიმდევართა თვალსაზრისი იმის თაობაზე რომ ანტიკური (ბერძნულ-რომაული) და ძველადმოსავლური საზოგადოებები სოციალური განვითარების თვალსაზრისით ტიპოლოგიურად ერთგვაროვანი იყო და რომ მათ ყველამ გაიარეს განვითარების მონათმფლობელური საფეხური⁶. საყურადღებოა, რომ ამ თვალსაზრისის დღესაც საკმაოდ ბევრი მიმდევარი ჰყავს⁷ ვ. სტრუვეს კონცეპციის უცილობელმა გაბატონებამ მაშინდელ საბჭოთა ისტორიოგრაფიაში მკვეთრი გავლენა მოახდინა საქართველოს ისტორიის შემდგომ კვლევაზე. ალბათ, ამით იყო გამოწვეული, რომ ს. ჯანაშიამ თავისი ადრინდელი შეხედულება საქართველოს სოციალური განვითარების შესახებ, რომელიც გულისხმობდა ძველი ქართული საზოგადოების მრავალწყობიანობას, საგრძნობლად შეცვალა, თუმც, როგორც დაკვირვება გვიჩვენებს, ძირითადად სხვადასხვა სასკოლო სახელმძღვანელოებში მოცემული ეს თვალსაზრისი (ე. ი. მონათმფლობელური წყობის არსებობის თეზისი) მის სპეციალურ სამეცნიერო გამოკვლევაში ნაკლებადაა ასახული. ერთი კი იყო, რომ ამ ტრანსფორმაციის შედეგად და, ალბათ, იმიტომაც, რომ ამ თვალსაზრისს სხვა მკვლევრებიც უჭერდნენ მხარს, ადრეფეოდალური ხანის საწყის პერიოდად მიჩნეულ იქნა ახ. წ. IV საუკუნე, რაც ფაქტობრივად დღემდე შემორჩა საქართველოს ისტორიის პერიოდიზაციაში⁸.

ამვე გარემოებით უნდა აიხსნას ის ფაქტიც, რომ 1954 წელს, როდესაც ქ. თბილისში ჩატარდა ფეოდალიზმის გენეზისისა და საერთოდ ფეოდალურ ურთიერთობათა შესწავლისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესია, მასში მონაწილეთა უდიდესი უმრავლესობა იცავდა საქართველოში მონათმფლობელური საზოგადოების არსებობის თეზისს⁹.

ქართველი ერის სოციალური ისტორიის კვლევაში გარდატეხა იწყება 50-იანი წლების დასასრულს და 60-იანი წლებიდან. ასეთ მობრუნებას, ერთი

⁵ ჯანაშია ს., დასახ. ნაშრომი, გვ. 161.

⁶ Семенов Ю. И., Проблема социально-экономического строя Древнего Востока, НАА, 1965, № 4.

⁷ Дьяконов И. М., Основные черты экономики в монархиях древней Западной Азии. — «Народы Азии и Африки», 1966, № 1; Дьяконов И. М. Проблемы собственности: О структуре общества Ближнего Востока до сер. II тысячелетия до н. э. — ВДИ, 1967, № 3; Дьяконов И. М., Рабы, илоты и крепостные в ранней древности, ВДИ, 1973, № 4; Еремян С. Г., Армения в период кризиса рабовладельческого общества и формирования феодальных отношений, ОН СССР, III—IX вв, 1958; История Византии, в трех томах, т. I, М., 1967.

⁸ საქართველოს ფეოდალური ხანის ისტორიის პერიოდიზაცია. — კრებული, სტხის, III, თბ., 1980.

⁹ Новосельцев А. П., Генезис феодализма в странах Закавказья, М., 1980, с. 69.

მხრივ, ხელი შეუწყო ისტორიული წყაროების ღრმა ანალიზმა, ხოლო მეორე მხრივ, ჩვენში ეთნოგრაფიის, ისტორიული გეოგრაფიისა და, განსაკუთრებით, არქეოლოგიურ დარგებში მოპოვებულმა დიდმა მიღწევებმა¹⁰.

უკანასკნელი დროის ქართულ ისტორიოგრაფიაში ამ კვლევა-ძიების საფუძველზე თეზისი ქართული კლასობრივი საზოგადოების მონათმფლობელობის შესახებ გადასინჯულ და უუუგდებულ იქნა. ამ თვალსაზრისის მიხედვით, საქართველოში (ქართლის სამეფოში) თემური წყობილების რღვევის შედეგად მონათმფლობელური წყობილება არ წარმოქმნილა. სოციალური განვითარების მაგისტრალური ხაზი მიიმართებოდა ფეოდალიზმის სასარგებლოდ. თემური წყობილების ნგრევის შედეგად ძვ. წ. დასასრულისათვის ქართლის სამეფოში ჩამოყალიბდა საზოგადოება, რომელიც ტიპოლოგიურად „წინაფეოდალური“ იყო, ხოლო სტადიალურად — ადრეკლასობრივი¹¹. ამ „წინაფეოდალურმა“ თუ „პროტოფეოდალურმა“ საზოგადოებამ, რა თქმა უნდა, გაიარა თავისი განვითარების გარკვეული გზა და საფეხურები და მთელი მისი წინსვლა, მიუხედავად მძლავრი გარე ზემოქმედებისა, ემყარებოდა საზოგადოების შინაგან ევოლუციას.

გ. მელიქიშვილის თვალსაზრისით, ქართლის სამეფოში, ისევე როგორც სომხეთში, არისტოკრატიული ზედაფენა ძირითადად ფორმდებოდა არა სახელმწიფო აპარატის მეშვეობით, არამედ ცალკეულ რეგიონებში ძველადვე დაწინაურებულ, დიდი ეკონომიური შეძლების მქონე საგვარეულოთა ხარჯზე¹².

ეს ძლიერი გვარები, სამეფო სახლის ჩათვლით, ექსპლუატაციას უწევდნენ თანამეტომეებს — თავისუფალ მწარმოებლებსა და ამავე დროს ცდილობდნენ შეენარჩუნებინათ „გვაროვნული ერთიანობა“ ანუ საგვარეულო საკუთრება. ტერმინი „გლეხი“ მიჩნეულია ამ დროის ნაყოფად¹³. გლეხებად გ. მელიქიშვილი მიიჩნევს დამორჩილებული თემის წევრებს, რომლებიც სამეფო მიწაზე ისხდნენ და ასრულებდნენ მთელ რიგ მძიმე ვალდებულებებს, იხდიდნენ ხარკს (გადასახადს) და ისინი საზოგადოების გაბატონებულ წრეს „ცხოვრებისათვის საჭირო ყოველივეს მიართმევდნენ“. ექსპლუატაციის ხასიათით ეს ხალხი, უეჭველია, უფრო ახლო იდგა ყმებთან, ვიდრე მონებთან, თუმც სტრატონი მათ „სამეფო მონებს“ უწოდებს. „გლეხად“ იქცეოდნენ, ალბათ, მიწაზე დასმული გადმოსახლებულებიც. ყველა ისინი ასრულებდნენ სათანადო ვალდებულებებს თავისი „უფლის“ მიმართ¹⁴.

წყაროთმცოდნეობითი ბაზის შესამჩნევმა გაფართოებამ და ქართლის სამეფოს სოციალურ ისტორიასთან დაკავშირებით ახალი ნაშრომების ნაკადმა საფუძველი შექმნა იმისათვის, რომ 1978 წელს ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში ჩატარებულიყო სპეციალური სამეცნიერო სესია,

¹⁰ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. I, 1970; ტ. II, თბ., 1973.

¹¹ მელიქიშვილი გ., კლასობრივ საზოგადოებათა ტიპოლოგიური და სტადიალური... — „მაცნე“, ისტორიის სერია, 1971, № 3.

¹² Меликишвили Г. А., К вопросу о социально-экономическом строе древней Иберии (Картли), — ВДИ, № 4, 1977; მელიქიშვილი გ. მახლობელი აღმოსავლეთის...; მისივე, კლასობრივი საზოგადოებარა ტიპოლოგიური... და სხვა.

¹³ ჯანაშია ს., ადრეული ფეოდალიზმი. — შრომები, II, თბ., 1952, გვ. 166—167; ბერძენიშვილ ნ., საქართველოს ისტორიის საკითხები. VIII, თბ., 1975, გვ. 416—418; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, I, გვ. 483—499.

¹⁴ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, I, გვ. 612.

რომელიც მიეძღვნა საქართველოს ფეოდალური ხანის ისტორიის პერიოდიზაციის საკითხებს. წარმოდგენილ მოხსენებათა შორის საგანგებო ყურადღება მიექცა ფეოდალიზმის გენეზისსაც¹⁵. აღნიშნულ სესიაზე მთავარ მოხსენებაში პროფ. მ. დუმბაძე აღნიშნავს, რომ „ძველი ქართლის სოციალური განვითარების მაგისტრალური ხაზი მიიმართებოდა ფეოდალიზმისაკენ, რომ მონურ შრომაზე დამყარებულმა წარმოების წესმა ჩვენში სათანადო განვითარება ვერ პოვა. ეს დებულება ადრეც და ახლაც საკმაოდ არგუმენტირებული იყო და არის“¹⁶. თუმც მკვლევარს აღნიშნული პროცესი მეტად მღორედ მიმდინარედ წარმოუდგენია. მას ახ. წ. IV—V საუკუნეები მიაჩნია წინაფეოდალურ ხანად, ხოლო ადრეფეოდალური პერიოდი კი იწყება VI საუკუნიდან, როდესაც, მისი აზრით ქართლში წარმოიქმნება ფეოდალთა კლასობრივი ორგანიზაცია. ადრე-ფეოდალურ ურთიერთობათა სტადიალური განვითარების ეს სქემა, ვფიქრობთ, დასაზუსტებელია.

1978 წლის სესიის მონაწილეთა აბსოლუტურმა უმრავლესობამ (ი. პაპუაშვილი¹⁷, ა. ბოგვერაძე¹⁸, გ. ძიძიგური¹⁹ და სხვები) მთლიანად გაიზიარა ძველი საქართველოს სოციალური განვითარების ის სქემა, რომელიც შემუშავებული და განვითარებულია გ. მელიქიშვილის ნაშრომებში. ამასთანვე ამ გამოკვლევებში აღძრულია არა ერთი უაღრესად საინტერესო საკითხი, რომელსაც მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს წამოჭრილი პრობლემების გაღრმავებულ კვლევაში.

გ. წ. ანტიკური და ადრე შუა საუკუნეების ხანის ქართლის მოსახლეობის სოციალური განვითარების ისტორიის კვლევის საქმეში ფასდაუდებელია ის არქეოლოგიური მონაპოვარი, რომლის ბაზაზეც ამ ბოლო ორ ათეულ წელში შეიქმნა არა ერთი საყურადღებო გამოკვლევა (ა. კალანდაძე, გ. ლომთათიძე, გ. გობეჯიშვილი, ნ. ხოშტარია, ა. აფაქიძე, დ. ხახუტაიშვილი, ოთ. ლორთქიფანიძე, თ. მიქელაძე, ლ. ჭილაშვილი, გ. ლორთქიფანიძე, ი. გაგოშიძე, ა. კახიძე და სხვ.), რომლებმაც დიდად შეუწყვეს ხელი საქართველოს ისტორიის არა ერთი საკვანძო საკითხის გაშუქებას. ამ მხრივ ჩვენთვის უაღრესად საყურადღებოა სოციალურ პრობლემატიკასთან დაკავშირებული ის გამოკვლევები, სადაც ფეოდალიზმის გენეზისზეცაა საუბარი და სადაც მოცემულია ერთ-ერთი პირველი ცდები არქეოლოგიური მასალით იმ მაგისტრალური ხაზის მხარდაჭერის, რომელმაც ჩვენში 60-იანი წლებიდან მკაფიოდ იჩინა თავი საქართველოს სოციალური ისტორიის შესწავლის სფეროში. ასე მაგ.: ო. ლორთქიფანიძის სავესბით მისაღებ ვარაუდს, რომ წინარეელისისტური ხანის ქართლში უკვე არსებობდნენ დამოუკიდებელი მცირე პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ერთეულები (რომლის ბაზაზეც მოგვიანებით შეიქმნა ქართლის სამეფო), მხარს უჭერს არქეოლოგიური მასალაც — კერძოდ,

15 საქართველოა ფეოდალური ხანის ისტორიის პერიოდიზაცია. — კრებულში: სფხის—III.

16 დუმბაძე მ., დასახ. ნაშრომი, გვ. 12.

17 ბოგვერაძე ა. მიწის ფეოდალური საკუთრების ფორმათა განვითარება ადრე-ფეოდალურ ხანაში. სფხის, III.

18 პაპუაშვილი თ. ფეოდალური სენიორიების წარმოქმნა განვითარების ისტორიიდან საქართველოში (IV—IX სს.) წიგნში: სფხის, III.

19 ძიძიგური გ. ფეოდალური რენტის განვითარების ძირითადი ეტაპები საქართველოში. სფხის, III.



მას მხედველობაში აქვს ახალგორის²⁰, ყანჩაეთისა²¹ და წინწყაროს²² მდიდრული სამარხები. ვგონებთ, აქ შეიძლება დასახელებულიყო ითხვისის მდიდრული კომპლექსები²³ და ყაზბეგის სამაროენიდან მომდინარე მასალები²⁴. სადღესოდ ამ ძეგლებს მიემატა საირხის უბრწყინვალესი მასალები, სადაც სავარაუდოა წინაელისტიური ხანის ძალზე მნიშვნელოვანი პოლიტიკური და კულტურული ცენტრი, ეგების რადაც დიდი პოლიტიკური ერთეულის მესვეურია, რომელთანაც ისტორიული იბერია, შესაძლოა, უმჭიდრესად იყო დაკავშირებული²⁵, და ციხიაგორის მდიდრული კომპლექსი²⁶.

აღნიშნული ტიპის ძეგლებს მეცნიერები განიხილავენ, როგორც გვაროვნული არისტოკრატის წიაღში აღზევებულ საერო და სასულიერო პირთა სამარხებს²⁷, რომლებიც დაწინაურებული უნდა ყოფილიყო არა მარტო ქონებოვრად, არამედ სოციალურადაც. ვარაუდობენ, რომ მათ უკვე უზურპირებული ჰქონდათ საერო და, შესაძლებელია, სასულიერო ხელისუფლება²⁸. ახალგორის, ყანჩაეთის, წინწყაროსა და სხვა მასალები გარკვევით მიუთითებენ, რომ „ჩვენ სახეზე გვაქვს აშკარად გამოხატული კლასობრივი საზოგადოება“. ძვ. წ. V—IV საუკუნეებში აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ჯერ კიდევ არ იყო ჩამოყალიბებული ერთიანი სახელმწიფო, მაგრამ, ო. ლორთქიფანიძის თვალსაზრისით, უკვე არსებობენ ცალკეული დამოუკიდებელი კლასობრივ-პოლიტიკური (სახელმწიფოებრივი) ცენტრები, „ქალაქები, აგრეთვე დამოუკიდებელი პოლიტიკური ადმინისტრაციული ერთეულები, რომელთა სათავეში გვაროვნული არისტოკრატიაა. სწორედ ისინი წარმოადგენენ კლასობრივი საზოგადოებისა და სახელმწიფო ორგანიზაციის ადრინდელ და უძველეს ცენტრებს აღმოსავლეთ საქართველოში“²⁹. ი. გაგოშიძის სამართლიანი დაკვირვებით, მდიდრულ სამარხში დროში ჩატანება აშკარად მიუთითებს იქ დაკრძალულის პოლიტიკურ და სოციალურ უპირატესობაზე³⁰.

ელისტიურ ხანაში ასეთ ბაზისზე აღმოცენებული სახელმწიფო, ო. ლორთქიფანიძისა და ი. გაგოშიძის ვარაუდით, მიემართებოდა ფეოდალური განვითარებისაკენ, ამიტომაც ექსპლუატაციის იმ ფორმის აღსანიშნავად, რომელიც ჩამოყალიბებული იყო ქართლის სამეფოში, ო. ლორთქიფანიძეს გასაზიარებლად მიაჩნია გ. მელიქიშვილის ტერმინი — „პროტოფეოდალური“.

²⁰ Такайшвили Е. С., Археологические экскурсии, разыскания и заметки, — ИКОИМАО, вып. IV, Тифлис, 1913, с. 139—146; Смирнов Я. И., Ахалгорийский клад, Тб., 1934.

²¹ გაგოშიძე ი., აღრეანტიკური ხანის ძეგლები ქსნის ხეობიდან, თბ., 1964.

²² Кухтин Б. А., Археологические раскопки в Триалети, I, Тб., 1941, с. 34—41, табл. VIII—VII.

²³ აბრამიშვილი რ., ითხვისის არქეოლოგიური ექსპედიციის მუშაობის ანგარიში: — სამეცნიერო სესია, მიძღვნილი 1962 წ. საველე-არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგებსადმი, ანოტაციები, თბ., 1963, გვ. 5—8; გაგოშიძე ი., ითხვისის სამარხი. — სსმ, XXV, 1966, გვ. 31.

²⁴ წითლანაძე ლ., ხევის არქეოლოგიური ძეგლები, თბ., 1976.

²⁵ ნაღორაძე ჯ., ყვირილის ხეობის არქეოლოგიური ძეგლები, თბ., 1975.

²⁶ Икитишвили Г. Г., Результаты работ на Цихна-гора (1971—1974)—КС, № 51, М., 1977.

²⁷ გაგოშიძე ი., აღრეანტიკური ხანის ძეგლები ქსნის ხეობიდან, თბ., 1964, გვ. 77—87.

²⁸ ლორთქიფანიძე ო., ანტიკური სამყარო..., გვ. 15—16.

²⁹ იქვე, გვ. 18—19.

³⁰ გაგოშიძე ი., აღრეანტიკური ხანის..., გვ. 79.

რომ სოციალური განვითარების მაგისტრალური ხაზი აქეთვე წარიმართა და რომ იგი აღმავალ პროცესს წარმოადგენდა, სხვა მონაცემებთან ერთად კარგად ჩანს არქეოლოგიური გზით მოპოვებული სხვა მასალების ანალიზითაც.

კერძოდ, ამ მოვლენაზე მიუთითებს: არმაზის ბილინგვაში იბერიის „დიდი მეფის“ მოხელეთა შორის ეპიტროპოსის ანუ „ეზოს მოძღვრის“ თანამდებობის დადასტურება³¹, (რომელიც განიხილება, როგორც სამეფო მეურნეობის გამგებელი³² და არა როგორც სამხედრო მოხელე³³), იბერიის დიდი მოხელეების სწრაფვა სამოხელეო ხელისუფლების მემკვიდრეობით მითვისებისადმი, რაც იმავე არმაზის ბილინგვიდან ჩანს³⁴ და სხვა. სხვათაშორის, მმართველი არისტოკრატის შემდგომ გაძლიერებასა და აღზევებაზე მიუთითებენ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში არმაზისხევის ტაძის მდიდრული სამაროვნების აღმოჩენაც, რომელთა რიცხვმა ამ ბოლო წლებში საგრძნობლად იმატა³⁵.

ე. წ. ანტიკური ხანის ქართლში (იბერიაში) მსხდომი მოსახლეობა თავისი ეკონომიკური და სოციალური განვითარებით რომ თავიდანვე მიემართებოდა ფეოდალური ურთიერთობისაკენ და რომ ეს პროცესი თავისი არსით ადგილობრივ ნიადაგზე იყო აღმოცენებული, გარდა არქეოლოგიური მასალებისა, კარგად საბუთდება საქართველოში ჩატარებული ისტორიულ-გეოგრაფიული კვლევა-ძიების შედეგებითაც. ამ ძიებათა უაღრესად ანგარიშგასაწევი მონაცემები ძირითადად კონცენტრირებულია ნ. ბერძენიშვილის³⁶ და დ. მუსხელიშვილის ნაშრომებში³⁷. არქეოლოგიური და წერილობითი ძეგლების ერთობლივი ანალიზის შედეგად ამ ნაშრომთა მიხედვით ირკვევა, რომ უძველესი დროიდანვე მოყოლებული საქართველოს მიწა-წყალზე მიმდინარე ყველა დიდი ტეხილი (ეკონომიურ, სოციალურ თუ პოლიტიკურ სფეროში) უნდა ასახულიყო და ასახა კიდევაც ქვეყნის ისტორიულ გეოგრაფიაში. ამის ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითია „ხევების“ არსებობის ფაქტი. ნ. ბერძენიშვილმა გამოიკვლია, რომ მიწა-წყლის ერთეულის აღმნიშვნელ ამ ჩვეულებრივ სახელწოდებაში დევს ღრმა შინაარსი და რომ მასში ასახულია გვაროვნული

³¹ Церетели Г. В., Армазская билингва, Тб., 1941, с. 23.

³² ლორთქიფანიძე თ., ანტიკური სამყარო..., გვ. 26.

³³ წერეთელი გ., დასახ. ნაშრომი, გვ. 65; ლომთათიძე გ., საქართველოს მოსახლეობის კულტურა და ყოფა I—XIII სს., თბ., 1977, გვ. 51.

³⁴ Церетели Г. В. დასახ. ნაშრომი, გვ. 16; ლორთქიფანიძე თ., ანტიკური სამყარო... გვ. 46; აფაქიძე ა., გობეჯიშვილი გ., კალანდაძე ა., ლომთათიძე გ., დასახ. ნაშრომი.

³⁵ რამიშვილი რ., ქართლის სამეფო ახალი წელთაღრიცხვის I ათასწლეულის პირველ ნახევარში. — საღისურტაიო ნაშრომი ისტ. მეცნ. დოქტ. სამეცნიერო ხარისხის მოსალოდნელად, ნაწილი I, თბ., 1983, გვ. 55—202; ინახება ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში.

³⁶ ბერძენიშვილი ნ., ერთი ფურცელი ისტორიულ-გეოგრაფიული დღიურიდან.— საქართველოს ისტორიის საკითხები, I, თბ., 1964; ბერძენიშვილი ნ. ისტორიულ-გეოგრაფიული ექსპედიცია 1932 წ. (დღიური). — საქართველოს ისტორიის საკითხები, I, თბ., 1964.

³⁷ მუსხელიშვილი დ., საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის საკითხები. — ნ. ბერძენიშვილის ნაშრომებში, „მაცნე“, 1965, № 2; მუსხელიშვილი დ., საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, I, თბ., 1977; მუსხელიშვილი დ., საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, II, თბ., 1980 და სხვა.



საზოგადოების წიაღში მიმდინარე მეტად რთული ეკონომიკური და სოციალური ძვრები. ნ. ბერძენიშვილის დაკვირვებით, აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე მოსახლეობის (სოფლების) „ხევებად“ განლაგება გამოიწვია მეურნეობრივმა აუცილებლობამ, „ქართული სოფლები ხევისპირული გახდნენ მას შემდეგ, რაც მორწყვა მათთვის უმთავრესი მნიშვნელობის სამეურნეო საქმიანობა შეიქმნა“. სწორედ ამის ნიადაგზე „ხევი“ მოსახლეობის ბუნებრივი, ტერიტორიული ერთეული შეიქნა. აქედან ადვილი გასაგებია, თუ საიდან მოდის ის ფაქტი, რომ საქართველოს მთელი ტერიტორია, მთელი მოსახლეობა ხევებად და მოხევეებად დაიყო³⁸. მეურნეობრივ ნიადაგზე სარწყავი არტერიების გასწვრივ და, ამდენად, ცალკეულ ხევებში განლაგებული მოსახლეობა დროთა ვითარებაში ჩამოყალიბდა გარკვეულ ეკონომიკურ და, მოგვიანებით, პოლიტიკურ და სოციალურ ერთეულებად, რამაც არსებითი როლი შეასრულა საქართველოს ტერიტორიაზე მსხდომი საზოგადოების შემდგომ განვითარებაში აღმოსავლეთ საქართველოში ჩატარებულმა ფართო სადაზვერვო კვლევამ და, პირველ რიგში, ხოველგორას გათხრების შედეგად მოპოვებული მასალების შესწავლამ შესაძლებელი გახადა გარკვეულიყო ხევების წარმოქმნის ქრონოლოგიური ჩარჩოები და ის თავისებურებანი, რაც „ხევების“ წარმოქმნის პროცესს ახლდა თან³⁹. ამ ძიებათა შედეგად გაირკვა, რომ ხოველგორა წარმოიქმნა ძვ. წ. XV ს-ში და რომ იგი ამ დროისათვის უნდა ყოფილიყო ერთი გვარის სამოსახლო. ძვ. წ. XII საუკუნიდან ხოველგორის სამოსახლოს, რომელიც ხევხმელას ხეობის გამოსასვლელოში მდებარეობს და სტრატეგიულად ხელსაყრელი მდებარეობა უჭირავს, იტყობა თვალსაჩინო დაწინაურება, რაც ამ მცირე ხეობის დანარჩენ ორ გორაზე არ შეიმჩნევა. გამთხრელთა ვარაუდით, ხოველგორა ამ დროიდან, როგორც ჩანს, ჩემულობს ამ მცირე ხევის ეკონომიკური და პოლიტიკური მესვეურის როლს, რის საფუძველზედაც გამოთქმულია სავსებით დამაჯერებელი ვარაუდი, იმის თაობაზე, რომ ამ დროიდან ხევეხმელას ხეობა ყალიბდება „ხევედ“⁴⁰. ხოველგორის სტრატეგრაფიულმა კვლევამ ისიც ნათელყო, რომ ძვ. წ. XII საუკუნისათვის სამოსახლოზე აშკარად შეიმჩნევა დიდი ცვლილებები, დასახლება ფართოვდება, ბორცვის მოსახლეობა აშკარად გამოყოფია მის გარშემო სოფელს, რაც, გამთხრელთა ვარაუდით, გვარის გარკვეული დიფერენციაციის მანიშნებელია. ეს ტენდენცია კიდევ უფრო გაღრმავებული ჩანს ძვ. წ. IX—V საუკუნეებით დათარიღებულ ფენებში, რის მიხედვითაც ჩანს, რომ სამოსახლო მაქსიმალურადაა გაფართოებული და რომ ბორცვზე აუშენებიათ საკმაოდ მძლავრი სათავდაცვო სისტემა. ყოველივე ამის საფუძველზე დ. მუსხელიშვილი გამოთქვამს სავსებით მისაღებ ვარაუდს იმის თაობაზე, რომ „ხევის“ წარმოქმნა „პირველყოფილი თემური წყობილების წიაღში მისი რღვევის პარალელური მოვლენა უნდა ყოფილიყო, რომ ფაქტობრივად გვაროვნული სამოსახლოს — „გორის“ თანდათანობით მიტოვება და მისი თავდაპირველი ფუნქციის შეცვლა ამავე დროს და ამასთან კავშირში გულისხმობდა „ხევის“ თანდათანობით წარმოქმნას. რამდენადაც ხოველგორის მაგალითზე ამ პროცესის თვალის მიდევნება შესაძლებელია ძვ. წ. V საუკუნემდე (ხოველ II), ამდენად, თუ ეს

38 ბერძენიშვილი ნ., ერთი ფურცელი... გვ. 423.

39 მუსხელიშვილი დ., საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, I, თბ., 1977, გვ. 38—41.

40 მუსხელიშვილი დ., დასახ. ნაშრომი, გვ. 41.

სწორია, ჩვენ შეგვეძლებოდა კონკრეტულ-ქრონოლოგიურად წარმოგვედგინა ჩვენში პირველყოფილი თემური წყობილების რღვევის დასაწყისი და დასასრული⁴¹.

ხევებში მიმდინარე სოციალურმა ძვრებმა, რაც დაფუძნებული იყო ხევებში მსხდომი მოსახლეობის ეკონომიკურ დაწინაურებაზე (იგულისხმება რკინის ფართო ათვისება, ომიანობაში მონაწილეობა, რწყვის ორგანიზაცია, მემინდვრეობის და მრავალწლიანი კულტურების, განსაკუთრებით მევენახეობის, დაწინაურება, მესაქონლეობის წინსვლა, ხელოსნობის განვითარება და მოსახლეობის თანდათანობით ჩაბმა ალებ-მიცემობაში და სხვა), ეს მცირე თუ მოზრდილი გეოგრაფიული ერთეულები (ხევები) აქცია ერთგვარ თვითმყოფად (თვითმმარ) ეკონომიკურ და პოლიტიკურ წარმონაქმნებად, რომლებსაც სათავეში მოექცნენ ხევების წიაღში, მიწის კერძო საკუთრების საფუძველზე დაწინაურებული „თემისმტეხელი“ ცალკეული სახლები თუ დაწინაურებული გვარები, რომელთა კეთილდღეობაც, ბუნებრივია, აღმოცენებული იყო ერთ დროს მათივე ტოლი, მაგრამ დროთა ვითარებაში დამორჩილებული თანამემთემეების ექსპლუატაციაზე, მიწის ახალი ფართობების მითვისებაზე. ასეთი ხევები შესაძლოა გამსხვილებულიყვნენ რამდენიმე წვრილი ხევის შეერთების ხარჯზე ან შემცირებულყვნენ, მაგრამ თავის სოციალურ სახეს, მის ბუნებას ამით არ იცვლიდნენ. სწორედ ამ ხევებში, მისი განვითარების გარკვეულ ეტაპზე, გაჩნდნენ ხევისთავები და ხევისუფლები, რომლებმაც საბოლოოდ შტაკიყედ იგდეს ხელთ ამ ცალკეული მიკროპოლიტიკური ერთეულების ეკონომიკური და პოლიტიკური სადავეები. ნ. ბერძენიშვილი ვარაუდობდა, რომ „ერთ დროს ხევისუფალი და ერისთავი ერთიმეორის შესატყვისად იხმარებოდნენ, მაინცდამაინც სახევისუფლო ტერიტორია (ხევი) და საერისთავო ტერიტორია ერთი და იგივე შეიძლებოდა ყოფილიყო და უმრავლეს შემთხვევაში იყო კიდეც“⁴². მიწისმფლობელობა, ნ. ბერძენიშვილის ვარაუდით, ამ მცირე მიკროპოლიტიკურ და მიკროეკონომიკურ სამყაროებში, ამ ხევებში თუ ხევთა კრებულებში, ვაფორმდა ბუნებრივად, მეურნეობისდა გვარად⁴³. და ამდენად, როდესაც კლასობრივ ნიადაგზე ორგანიზებული სახელმწიფოს აღმოცენება ჩვენში აუცილებელი და გარდაუვალი შეიქნა, ამაში უმთავრესი როლი შეასრულეს ადგილებზე, ცალკეულ ხევებში აღმოცენებულმა და დაწინაურებულმა ხევისთავებმა თუ ერისთავებმა. უფრო სწორედ, ამ საქმის მოთავეობა და ხელმძღვანელობა იკისრა, ალბათ, ყველაზე უფრო დაწინაურებულმა ასეთმა „სახევისთაო“ თუ „საერისთაო“ სახლმა, რა თქმა უნდა, დანარჩენთა თანხმობითა და თანადგომით. ამიტომ სავესებით სწორი იყო ნ. ბერძენიშვილი, როდესაც მიუთითებდა, რომ ერისთავები მეფის დასმულეები კი არ იყვნენ, როგორც ამას გვიხატავენ შედარებით გვიანდელი წერილობითი წყაროები, არამედ პირიქით, ერისთავები მეფის უწინ გაჩნდნენ⁴⁴ და მათი წიაღიდან წარმოიშვა ის მეფე თუ მეფეები, რომლებიც შემდგომ სრულიად ბუნებრივად ცდილობენ ამ „ხევების“ თუ „ქვეყნების“ წიაღში აღმოცენებული ერისთავების თუ ხევისთავების შეზღუდვას და „სახელმწიფოსადმი“ დამორჩილებას. ეს დაპირისპირება, ანტაგონიზმი და შიდა კლასობრივი

41 მუსხელიშვილი დ., დასახ. ნაშრომი, გვ. 41.

42 ბერძენიშვილი ნ., საქართველოს ისტორიის საკითხები, VIII, გვ. 140.

43 იქვე, გვ. 41.

44 იქვე.

ქიდილი შემდგომ მთელი ფეოდალური განვითარების მანძილზე თან დაჰყვა ჩენს ისტორიას.

ნ. ბერძენიშვილი, ითვალისწინებდა რა ყოველივე ამას, თვლიდა, რომ მიწათმფლობელობის საკითხისათვის ვადაწყვეტი მიწმფენლობა აქვს ხევის („ქვეყნის“) შესწავლას და რომ ამ მიმართულებით, ე. ი. მიწის მფლობელობის ინსტიტუტის პერიპეტეების შესახებ, ფეოდალური მიწათმფლობელობის შესახებ, მისი ძირითადი, განსხვავებულობის შესახებ აზიური ფეოდალიზმისაგან არსებით მასალას იძლევა ისტორიული გეოგრაფია.

„ხევეების“ აღმოჩენამ და ამ ხევეების წილიდან აღმოცენებული გვაროვნული არისტოკრატიის ბუნების გარკვევამ ნ. ბერძენიშვილი მიიყვანა იმ უღარესად საყურადღებო დასკვნამდე, რომ ფარნავაზი არ შეიძლებოდა ყოფილიყო და ვერც იქცა აღმოსავლური ტიპის დესპოტად იმის გამო, რომ „იბერიის“ საზოგადოებრივი განვითარება „აღმოსავლური“ არ ყოფილა და ხევეების („ქვეყნების“) საზოგადოებრივი მიწმფენლობა იმ ძალისა იყო, რომ გადაულახავ დაბრკოლებას უქმნიდა აღმოსავლური დესპოტიის შექმნას⁴⁵.

სწორედ ამ ხევეებში ჩასახული მიწისმფლობელობის ადგილობრივ სისტემაზე დაყრდნობით საქართველოში შემდგომ თანდათანობით აღმოცენდა ისეთი ფეოდალური მიწისმფლობელობა და ფეოდალური ურთიერთობები, რომლებიც ტიპოლოგიურად სრულიად განსხვავებული იყო აღმოსავლურისაგან. ამასთანავე აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ივ. ჯავახიშვილი ამ ასპექტში საქართველოს ფეოდალიზმს საგრძნობლად განასხვავებდა ბიზანტიური ფეოდალიზმისგან⁴⁶. ამავე დროს ქართულ ფეოდალიზმს, ივ. ჯავახიშვილის აზრით, გასაოცარი მსგავსება გააჩნდა დასავლეთ ევროპის ფეოდალურ წეს-წყობილებასთან⁴⁷, რისი მაღალმეცნიერულ აღონეზე წარმოჩენაც სამართლიანადაა მიჩნეული თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიის გადაუდებელ ამოცანად⁴⁸.

ახლა, თუ გავითვალისწინებთ ყოველივე ზემოთ თქმულს, გაიარებდა, რომ ფეოდალური ურთიერთობები, რომლებმაც საქართველო მოიცვა მთელი შუა საუკუნეების მანძილზე, აღმოცენებული ყოფილა ადგილობრივ ნიადაგზე და რომ „შესაბამისად, მას აქვს განვითარების ყველა ფაზა — ჩასახვიდან დასასრულამდე. წყაროთმცოდნეობის დღევანდელი ბაზა (ფართო გაგებით) თითქოს უკვე იძლევა საშუალებას, რომ გარკვეული პასუხი გაცეს ამ სოციალური წყობილების ისეთ საკამათო და ნაკლებ შემუშავებულ საკითხსაც, როგორცაა ქართული ფეოდალიზმის გენეზისი და ამ სოციალური სისტემის განვითარების თავისებურება მის ადრეულ პერიოდში. შესაბამისად, ალბათ, უკვე მომწიფებულია იმის აუცილებლობაც, რომ გარკვეული ყურადღება მიექცეს ამ ფორმაციის საწყისი ფაზის პერიოდიზაციის დაზუსტებასაც. თუმცა, როგორც 1978 წელს თბილისში სავანგებოდ ჩატარებული სესიის მასალებიდან ჩანს, ფეოდალიზმის სხვა ეტაპების პერიოდიზაციაზეც არ არის აზრთა სრული ერთიანობა. ირკვევა, რომ ფეოდალური ურთიერთობ-

45 ბერძენიშვილი ნ., საქართველოს ისტორიის საკითხები, VIII, გვ. 160.

46 ჯავახიშვილი ი., ქართული სამართლის ისტორია. — თხზულებანი 12 ტომად. ტ. VI, თბ., 1982, გვ. 257.

47 ჯავახიშვილი ი., დასახ. ნაშრომი, გვ. 249.

48 ყორანაშვილი გ., ფეოდალიზმის ცნების საკითხისათვის; სტხის, III, თბ., 1980.

10. „მაცნე“, ისტორიის სერია, 1989, № 4

ბების დღეს არსებული ქრონოლოგიური შკალა საჭიროებს შემდგომ დახვეწასა და დაზუსტებას. იმ გამოკვლევებს შორის, რომლებიც ამ მიზნის განხორციელებას ემსახურება, საგანგებო ყურადღებას იპყრობს დ. მუსხელიშვილის გამოკვლევა — „ფეოდალური ხანის საქართველოს ისტორიის პერიოდიზაციისათვის (IV—X საუკუნეები)“, რომელსაც მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ქრონოლოგიური შკალის შემდგომ სრულყოფაში⁴⁹.

რაც შეეხება ფეოდალური წყობილების საწყის საფეხურს, მისი გამოკვლევა კიდევ უფრო მეტ სიზუსტეზე მიიყვანება დაკავშირებული. რა თქმა უნდა, ჩვენი დაკვირვებები ამ საკითხთან დაკავშირებით ბევრ შემთხვევაში წინასწარულია, მაგრამ ამ თვალსაზრისის მკითხველისათვის შეთავაზება მიზანშეწონილად ვცანით თუნდაც იმიტომ, რომ ამ მიმართულებით ყურადღების საგანგებოდ გამახვილებამ და მოსალოდნელმა კამათმა, შესაძლოა, უფრო ახლოს მიგვიყვანოს ჭეშმარიტებასთან.

საქართველოს მოსახლეობის ეკონომიკური და სოციალური დიფერენციაციის პროცესი, რომელიც შეეხო გვაროვნულ, ხოლო შემდეგ სასოფლო თემს, წარმოადგენდა საკმაოდ ხანგრძლივ პროცესს. ამ პროცესის დაჩქარება ძვ. წ. I ათასწლეულის პირველ ნახევარში უნდა გამოეწვია რკინის ინდუსტრიის ფართო ათვისებას და შრომისა და ბრძოლის იარაღების მკვეთრ გაუმჯობესებას, რამაც სარწყავი მეურნეობის განვითარებასთან ერთად ძვ. წ. IV—VI საუკუნეებში, უდავოა, ხელი შეუწყო სოფლის მეურნეობის არნახულ ინტენსიფიკაციას. ამ დროისათვის ეკონომიკურად მოწინავე ცენტრები უპირატესად ბარშია საძიებელი და, ბუნებრივია, ეს წინსვლა პირველ რიგში უნდა შეხებოდა ბარის „ხეებს“. ამ საერთო მეურნეობრივ აღმავლობაში საგანგებოდაა აღსანიშნავი მევენახეობის როლი, რომლის მძლავრ განვითარებაზე ეჭვმიუტანლად მიუთითებს მეჭვევრეობის სწრაფი გაფართოება და ქვევრების გამოყენება სამარხებად. ვაზის კულტურის და, განსაკუთრებით, დაბლარი მევენახეობის განვითარებამ (რაც, თუ სასხლეების მიხედვით ვიმსჯელებთ, ძვ. წ. I ათასწლეულის დასაწყისიდან იწყება), როგორც უკვე გამოითქვა აზრი, შესაძლებელია უდიდესი როლი შეასრულა კერძო მიწის მფლობელობის წარმოშობა-განვითარებაში. გამოირიცხული არ არის, რომ პირველ „მამულებს“ სწორედ ვაზის ნაკვეთები წარმოადგენდნენ⁵⁰.

ამავე დროს ტრადიციულ ლეგა და ნაცრისფერკაციან თიხის ჭურჭლებთან ერთად თანდათანობით შემოდის ხმარებაში წითელკაციანი და წითელი საღებავით მოხატული თიხის ჭურჭლის ახალი ფორმები, რაც მიუთითებს მეთუნეობაში ტექნოლოგიური პროცესების გაუმჯობესებაზე. ამავ დროს ეს არის ხანა საერთაშორისო ურთიერთობათა არნახული გაცხოველებისა, რაც, ერთი მხრივ, ბერძნულმა კოლონიზაციამ, ხოლო, მეორე მხრივ, აქემენიდური ირანის მსოფლიო იმპერიის შექმნამ გამოიწვია. ამ რთულ და მძლავრ მძლვე მსოფლიო პროცესებს შეუძლებელია არ მოეხდინათ კეთილისმყოფელი გავლენა საქართველოს მოსახლეობაზეც, რომელიც თავისი შინაგანი ეკონომიური განვითარებითა და მეურნეობრივი შესაძლებლობებით ამ საერთო

49 მუსხელიშვილი დ., ფეოდალიზმის ხანის საქართველოს ისტორიის პერიოდიზაციისათვის (IV—X საუკუნეები). — „მაცნე“, ისტორიის სერია, თბ., 1980, № 2, გვ. 144—166.

50 ასათიანი ლ., ვაზის კულტურასთან დაკავშირებული ლექსიკა ქართულში, თბ., 1978, გვ. 94.

პროცესში არ უნდა ყოფილიყო. მთლად პასიური მოწმის როლში. გვანბრინჯაოს ხანის დასასრულისა და ე. წ. ადრეანტიკური ხანის ქართლის სამაროვნებისა და ნამოსახლარების მასალების ანალიზი აშკარად გვიჩვენებს, რომ მოსახლეობაში ადგილი აქვს საკმაოდ მძლავრ ქონებრივ უთანასწორობას. „ხევების“ წიაღში აღმოცენებული გვაროვნული არისტოკრატია, რომელსაც მკვლევართა ნაწილი სამხედრო დემოკრატის ფინალურ ფაზას მიაკუთვნებს, თანდათანობით მტკიცედ ეუფლება „ხევებს“. მათი მდიდრული სამარხების აღმოჩენის ადგილები უნდა მივიჩნიოთ ცალკეული ხევების ცენტრებად. აღზევებულ ხევისთავთა და ერისთავთა „სახლების“ ქონებრივი სიძლიერის უმთავრეს წყაროს, ვფიქრობთ, წარმოადგენდა კერძო მიწათმფლობელობაზე დაფუძნებული მრავალდარგოვანი მეურნეობა. იგივე ფაქტორი განაპირობებდა, ალბათ, მათ პოლიტიკურ უპირატესობასაც.

კოლხური თეთრის მიმოქცევა დასავლეთ საქართველოში სრულიად უეჭველს ხდის, რომ იქ უკვე არსებობდა ეკონომიკურად მაღალგანვითარებული კლასობრივი სახელმწიფო. რაც შეეხება აღმოსავლეთ საქართველოს, დასავლეთ საქართველოსთან მისი ეთნო-კულტურული ერთიანობა, არქეოლოგიური მასალების მიხედვით, თითქმის უეჭველია. მართალია, ჭერჭერობით ჩვენ პრეგვიძელია წერილობითი წყაროების მიხედვით დავასაბუთოთ ქართლში სახელმწიფო ხელისუფლების არსებობის ფაქტი, მაგრამ რომ ფარნავაზამდელ ქართლში უკვე მოქმედებდა პოლიტიკური მმართველობის რაღაც სისტემა; ეს ქართულ წყაროებში მოხსენებული „მამასახლისობის“ ინსტიტუტის არსებობიდანაც ჩანს. კიმერიელებისა და სკვითების არნახული მომძლავრების ხანაში, მაშინ, როდესაც სამხრეთით ძლიერმა ურარტუმ არარატის ველზე მტკიცედ მოიკიდა ფეხი, შეუძლებელია ქართლის ტერიტორიაზე მსხდომი მოსახლეობის წინაშე უაღრესად მძაფრად არ დასმულიყო თავიანთი საზღვრებისა და, განსაკუთრებით, კავკასიონის გადასასვლელების ერთობლივი, ორგანიზებული დაცვის საკითხი, რომელიც, რა თქმა უნდა, ცალკეული „ხევების“ დონეზე ვერ გადაწყდებოდა. მით უმეტეს, რომ თუ ქართული და უცხოური წერილობითი წყაროების ცნობებს ჩაუფიქრებთ, შევამჩნევთ, რომ ჩრდილოეთის ველეებზე მცხოვრებთა შემოსევები გაცილებით უფრო იშვიათად ხორციელდებოდა ცენტრალური კავკასიონის გადასასვლელთა მეშვეობით. ყოველ შემთხვევაში, უცხოური თუ ადგილობრივი წყაროები ველის ურდოების კავკასიისა თუ მახლობელი აღმოსავლეთისაკენ მოძრაობის უმთავრეს გზებად საბავენ კავკასიონის მთიანეთის ფლანგებს შავი და კასპის ზღვების გასწვრივ⁵¹. ცენტრალური კავკასიონის დაცვის ორგანიზაციაში „მამასახლისობის“ საფეხურზე და უფრო ადრე, როგორც ჩანს, ხორციელდებოდა რაღაც ქმედითი ღონისძიებანი, რაც, ალბათ, საქართველოში ცენტრალური კავკასიის სამხრეთ ფერდობებსა და მის მიმდგომ ბარში მცხოვრებთა ერთობლივ ძალისხმევას. ამასთან გამოირიცხული არ არის, რომ კავკასიაში ურარტუს ექსპანსის დროს საქართველოს მოსახლეობას როგორც დასავლეთში, ასევე აღმოსავლეთში ძვ. წ. VII—VI საუკუნეებში მჭიდრო, ორგანიზებული ურთიერთობა ჰქონდა დამყარე-

⁵¹ Пиотровский Б. Б., Ванское царство, М., 1959, с. 244; Виноградов В. Б., О скифских походах через Кавказ. — Тр. Чечено-Ингушского НИИ, т. VI, Грозный, 1963, с. 35—36; Манандян Я. А., О некоторых проблемах истории древней Армении и Закавказья, Ер., 1944, с. 45; Еремьян С. Ф., Нашествие киммерийцев и скифских племен. Борьба Урарту и Ассирии против кочевников. — ИФЖ, 1968, № 2 (на армянском языке), с. 93—94.



ბული ჩრდილოეთის ველებზე მობინადრე ურდოებთან. ეს განსაკუთრებით ხანგასმით იბერიაზე ითქმის, რომელიც ამ ძალებს, ალბათ, მარჯვედ იყენებდა საკუთარი ინტერესებისათვის. სამეცნიერო ლიტერატურაში უკვე გამოთქმულია მოსაზრება, რომ სარმატებთან და სკვითებთან ჩვენს წინაპრებს არა თუ მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდათ დამყარებული, რაც მატერიალურ კულტურაშიც არის ასახული⁵², არამედ ადგილი ჰქონია მათ ინფილტრაციასაც ამიერკავკასიის ტერიტორიაზე. ეს ძალები, როგორც ჩანს, საკმაოდ მარჯვედ გამოიყენეს ადგილობრივმა პოლიტიკურმა გაერთიანებებმა ურარტუს სახელმწიფოს დამხობის ეამს⁵³. უკვე გამოთქმულია მოსაზრება იმის შესახებ, რომ იბერია (ყოველ შემთხვევაში, „ეთნოგრაფიული იბერია“ — კ. კეკელიძის განსაზღვრით) ძვ. წ. VI—IV საუკუნეებში წარმოადგენდა რაღაც პოლიტიკური გაერთიანების ნაწილს⁵⁴, თუმც უფრო მართებული იქნება თუ მივიჩნევთ, რომ ეს მხარე შესულიყო სასპერტა ძლიერ გაერთიანებაში⁵⁵. გამორიცხული არ არის, ისიც რომ ამ გაერთიანებაში ე. წ. ეთნოგრაფიული იბერიის ტერიტორიაზე მდებარე „ქვეყანა“ გარკვეული პოლიტიკური ერთეულის სახით ყოფილიყო შესული. საკუთრივ ქართლის ტერიტორიაზე მოპოვებული არქეოლოგიური მასალების შეპირისპირება წერილობითი წყაროების ცნობებთან და ისტორიული გეოგრაფიის მონაცემებთან თვალნათლივ მიგვიჩვენებს, რომ ქართლის ცალკეულ „ხევეზში“ თუ „ქვეყნებში“ უკვე იქნა ეკონომიურად და სოციალურად დიფერენცირებული, სახელმწიფოებრიობის ზღვართან მისული საკმაოდ განვითარებული საზოგადოება, რომელსაც ძალუძდა მნიშვნელოვანი ისტორიული მისიის შესრულება.

თუ ჩვენ გავიზიარებთ დღეისათვის უკვე საკმაოდ ფართოდ გავრცელებულ თვალსაზრისს იმის თაობაზე, რომ ეს ეკონომიურად და სოციალურად დიფერენცირებული საზოგადოება თავის შინაგან განვითარებაში შეიცავდა ისეთ ნიშნებს, რასაც ჩვენ, ადრე თუ გვიან, ფოდალიზმთან უნდა მივეყვანეთ, მაშინ იქნებ არ იყო მთლად უმართებულო, რომ იგი მიგვეჩინა ტიპოლოგიურად პროტოფეოდალურ, ხოლო სოციალურად — ადრეკლასობრივ საზოგადოებად. ის ძალები, რომლებიც განაპირობებდა ქართლის მოსახლეობის თავისებური გზით სოციალურ აღმასვლას, ეტყობა, საკმაოდ სერიოზული და ანგარიშგასაწევი უნდა ყოფილიყო, რადგანაც სწორედ ამ ძალების ზემოქმედებით საუკუნეთა მანძილზე თანდათანობით მოიშალა და დაემხო თემური წყობილება.

მატერიალური კულტურის თავისებურებათა თვალსაზრისით აღნიშნული პერიოდისათვის დამახასიათებელია, ერთი მხრივ, საქალქო ცენტრებისა და

⁵² Меликишвили Г. А., К истории древней Грузии, Тб., 1959, с. 230; Пиотровский Б. Б., История и культура Урарту, М.—Л., 1944, с. 66.

სრულიად შეუწყნარებლად მიგვაჩინა არქეოლოგ მ. პოგრებოვს მტკიცება მის აზრთან გამოსულ წიგნში იმის თაობაზე, რომ ძვ. წ. VI—IV საუკუნეებში იბერიის ტერიტორიაზე არსებობდა სკვითების დამოუკიდებელი სამეფო, რაც არქეოლოგიური მასალების ცალმხრივ და ტენდენციურ ინტერპრეტაციაზეა დაფუძნებული, იხ. მისი, Закавказье и его связи с Передней Азией в скифское время, М., 1984.

⁵³ Меликишвили Г. А., დასახ. ნაშრომზე, გვ. 231 და შემდეგი; Пиотровский Б. Б., დასახ. ნაშრომზე; მისივე — О происхождении армянского народа, Л., 1946; მისივე — Археология Закавказья, Ленинград, 1949 გვ. 28.

⁵⁴ გაგაგოშიძე ი., ადრეანტიკური ხანის... გვ. 86.

⁵⁵ Меликишвили Г. А., К истории древней Грузии, Тб., 1959, с. 232.

საქალაქო ცხოვრების განვითარების დასაწყისი, მეორე მხრივ — ქონებრივად საკმაოდ მკვეთრად დიფერენცირებული სამაროვნები. მდიდრული კომპლექსების მიხედვით ჩანს (ითხვისი, ვანი, საირბე, ახალგორი, ყანჩაეთი, წინწყარო, ციხიაგორა, ყაზბეგი და სხვა), რომ არსებობდნენ საკმაოდ დიდი ეკონომიური შეძლებისა და მალალი გემოვნების მქონე ძლიერი ოჯახები, რომელთა მდიდრული მონაგარი შინაგანი კლასობრივი უთანასწორობის ნიშნადღე უნდა იყოს აღმოცენებული. ვარსიმაანთკარის (დღეშეთთან) სამაროვნის მიხედვით კარგად ჩანს, რომ მთისწინეთში, თავისუფალ მეთემეთა შორის, ადგილი აქვს ქონებრივ უთანასწორობას და სამხედრო არისტოკრატის თვალსაჩინო დაწინაურებას. არქეოლოგიური მასალების მიხედვით ჩანს, რომ საკმაოდ დიდ რეგიონში განფენილი ყოფილა ერთგვაროვანი კულტურის, მსგავსი ფსიქიკისა და მოთხოვნილების მქონე მოსახლეობა. როგორც სამეცნიერო ლიტერატურიდან არის ცნობილი, ძვ. წ. VI—IV საუკუნეების მომცველ პერიოდს ჩვენში ადრეანტიკურ ხანას უწოდებენ, რაც როგორც ქრონოლოგიური, ასევე სოციალური თვალსაზრისით არ შეესაბამება, არ ასახავს რეალურ ვითარებას⁵⁶. საერთოდ, ამჟამად ბევრი მკვლევარი იზიარებს მოსაზრებას, რომ სახელწოდება „ანტიკური ხანა“ საქართველოსათვის (და, ალბათ, მთელი კავკასიისათვის) წარმოადგენს წმინდა წყლის ტექნიკურ ტერმინს, რადგანაც მონათმფლობელურ სისტემაზე დაფუძნებულმა „ანტიკურობამ“ ფართო გაგებით, ყველა თავისი გამოვლენით (ეკონომიკა, სოციალური წყობა, იდეოლოგია) საქართველოში ვერ პოვა გავრცელება.

მიუხედავად მონობის გარკვეული მნიშვნელობისა, საქართველოს მოსახლეობის ეკონომიკური და სოციალური განვითარება, როგორც უკვე დასაწყისშიც ითქვა, ფეოდალიზმისაკენ წარიმართა. ამჟამად დროს ისიც საკვებით ნათელია, რომ საკუთრივ მახლობელი აღმოსავლეთი, რომლის პერიფერიაც მდებარეობს კავკასია, არ განვითარებულა მონათმფლობელური წყობილების გზით, თუმცა „ანტიკურობა“ საკმაოდ საფუძვლიანად შეეხო მცირე აზიის დასავლეთ ნაწილს. თუ არ ჩავთვლით მაშინდელი მსოფლიოს ავანგარდში მდგომი მოწინავე ბერძნული კულტურის მნიშვნელოვან ზეგავლენას მეზობელ თუ შორეულ ხალხებზე და მათ შორის საქართველოზეც, რაც ძირითადად აისახა მატერიალურ კულტურაში, „ანტიკურობას“ ფართო გაგებით არ შემოუღწევია ჩვენი ხალხის ყოფიერებაში და ეს არც იყო მოსალოდნელი, რადგანაც საქართველო თავისი შინაგანი განვითარებით, ეკონომიკური, სოციალური თუ ეთნო-ფსიქოლოგიური საწყისებით, რაც მეტად თავისებურ გარემოში (ხეივანში) ჩაისახა და განვითარდა, სრულებით ვერ შეიგუებდა და ვერც შეიგუა განსხვავებულ საწყისებზე აღმოცენებულ ვერც ეკონომიკური წყობა და ვერც საზოგადოებრივი ურთიერთობები. ვფიქრობთ, რომ ასეთი შინაარსგამოცლილი ტერმინის გამოყენებას, და თანაც საქართველოს თითქმის ათასწლოვანი მონაკვეთისათვის, არ გააჩნია არავითარი გამართლება.

ამასთან დაკავშირებით სომეხი ისტორიკოსი გ. სარქისიანი ჯერ კიდევ 50-იანი წლების დასაწყისში აღნიშნავდა, რომ „ტერმინი „ეღინიზმი“ შეიძლება ჩაითვალოს უალრესად პირობითად, რადგან შეუძლებელია „ეღინი-

⁵⁶ თუ ანტიკურ სამყაროში გავრცელებული ქრონოლოგიით ვიხელმძღვანელებთ, მაშინ ადრეანტიკური ხანა ვაცალებით ადრეულ საუკუნეებზე მოდის. ვიღრე ძვ. წ. VI—IV საუკუნეებში.

ზში“ არსებულიყო ელინთა გარეშე. „ელინიზმის“ შესახებ შეიძლება ვისაუბროთ წინა აზიის იმ მხარეების მიმართ, სადაც შეაღწიეს საკუთრივ ელინებმა. წინა აზიაში ძვ. წ. I ათასწლეულის მეორე ნახევარში მიმდინარე პროცესების განსაზღვრისათვის უფრო გონივრული იქნებოდა სხვა ტერმინის გამოხატვა, მაგრამ ასეთი ჩვენ ვერ ვგვაჩინია“⁵⁷.

ქართლის სამეფოს მიმართ ასეთი ტერმინოლოგიური ცვლილებები, ერთი მხრივ, თითქოს ძნელი განსახორციელებელიცაა, მით უმეტეს, რომ ტერმინი „ანტიკური“ და „ანტიკურობა“ ძალზე ღრმადაა შემოჭრილი ჩვენს ცნობიერებაში და მისი მთლიანად უარყოფა თითქოს არც არის მიზანშეწონილი (თუნდაც იმ დროის კულტურულ პროცესებთან დაკავშირებით). მაგრამ ჩვენ მაინც უფრო მართებულად მიგვაჩნია, რომ ქართლში მიმდინარე თვითმყოფადი ისტორიული პროცესების ასახავად გამოგვეყენებინა არა „ტექნიკური“ პირობითი სახელწოდებები, არამედ გარკვეული, ამ მოვლენათა შესატყვისი, მათი არსის უფრო მკაფიოდ გამოშვებული ტერმინები. ასეთ ტერმინად „ადრეანტიკურის“ ნაცვლად ჩვენ გვსახება ტერმინი „ადრეიბერიული“ ხანა.

ადრეიბერიული ხანისათვის (ძვ. წ. VI—IV საუკუნეები) დამახასიათებელია სწორედ რკინის მაღალგანვითარებულ ინდუსტრიაზე დაფუძნებული მატერიალური კულტურა (დეანი, რკინისკალო, საირხე, ახალგორი, კამარახევი, წინწყარო, ვარსიშაანთკარი და სხვა მრავალი).

ადრეიბერიული ხანა ძირითადად შეესატყვისება კოლხეთის შუა სამეფოს დასაწყის საუკუნეებს⁵⁸. საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები საზოგადოების მატერიალური კულტურა ამ პერიოდში განიცდიდა კლასიკური ბერძნული და ახლად გაძლიერებული აქემენიდური ირანის კულტურების საგრძნობ ზეგავლენას.

ძვ. წ. IV საუკუნის დასასრულს და III საუკუნის დასაწყისში ქართლის სამეფოს ისტორიაში მოხდა დიდი ტეხილი — წარმოიშვა ქართლის სამეფო. ქართლისა და საერთოდ საქართველოს ისტორიისათვის ამ მეტად მნიშვნელოვანი ტეხილის განხორციელებას, გარდა შინაგანი ფაქტორებისა, ხელი შეუწყო ელინისტურ სამყაროში მიმდინარე უდიდესმა პროცესებმა, რომლებმაც მოიცვა თითქმის მთელი მაშინდელი კულტურული სამყარო, მით უმეტეს, რომ ქართველური გვარტომობით დასახლებული ტერიტორიები მდებარეობდა უშუალოდ ელინთა მოქმედების არეალში (ამ შემთხვევაში ალექსანდრე მაკედონელი ნასტაკისის ალყას ესწრებოდა თუ არა, მნიშვნელობა არა აქვს). მაგრამ დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ძვ. წ. III საუკუნის 90-იან თუ 80-იან წლებში ქართლის სამეფოს ჩამოყალიბება თუ აღორძინება იყო ქვეყნის შინაგანი ვანეითარების ლოგიკური დასასრული⁵⁹. იმისათვის, რომ ქართლის სახელმწიფო შექმნილიყო. — წერდა ნ. ბერძენიშვილი, — საჭირო და აუცი-

57 Саркисян Г. Х., Самоуправляющийся город Селевкидской Вавилонии, ВДИ, 1952, № 1, с. 83.

58 Микеладзе Т. К., Исследования по истории древнейшего населения Колхиды и Юго-Восточного Причерноморья (XV—IV вв. до н. э.). Историко-археологическое исследование. Автореферат диссертации на соискание ученой степени доктора исторических наук, Тб., 1969, с. 96.

59 ბერძენიშვილი ნ., საქართველოს ისტორიის საკითხები, VIII, თბ., 1975, გვ. 122—124; Меликишвили Г. А., К истории древней Грузии, Тб. 1959, გვ. 269—283.



ლებელი იყო, რომ ქართლის კეცები (მისი ხელისუფლებით) წინასწარ არსებულიყვნენ ეს ხეცები უნდა მოწიფულიყვნენ იმისათვის, რომ სახელმწიფო წყობილება ეგუებინათ. ასეთ პირობებში შეიძლება წარმატება ჰქონოდა ერთი რომელიმე კეცთაგანის, დაწინაურებული კეცის, სოციალურად უფრო განვითარებული კეცის ცდებს კეცების გაერთიანებისას, დამორჩილებისას და სახელმწიფო ინსტიტუტების შექმნისას („ერისთავები“)“⁶⁰. ეს „კეცები“ თუ ქვეყნები, რომლებიც საფუძვლად დაედო ფარნავაზის სახელმწიფოს, ის ცოცხალი მიკრო-ორგანიზმები იყვნენ, რომელთა წიაღშიც უკვე შინაგანი განვითარებით მიღწეული იყო „ხელმწიფობა“ თუ სახელმწიფოებრიობა. ამდენად, ვიზიარებთ, რა აღნიშნული საკითხისადმი ჩვენი წინამორბედი მკვლევრების ამგვარ დამოკიდებულებას, ვთვლით, რომ ძვ. წ. III საუკუნის დასაწყისიდან ქართლში იურიდიულად ფორმდება კლასობრივი საზოგადოება, კლასობრივი სახელმწიფო, რომლის ცალკეულ „ხევისუფალთა“ კეთილდღეობა ხეცებისა და ხევის საუკეთესო მიწების პყრობაზე და ექსპლუატაციაზე უნდა ყოფილიყო დაფუძნებული. თავისუფალ მეთემეთა ფენის სიძლიერე და ის, რომ მათ კიდევ დიდი ხნის მანძილზე ეწერათ ახალ მმართველობასთან („ხელმწიფობასთან“) შეგუებული არსებობა, სრულიად არ ცვლის საზოგადოებრივი განვითარების უკვე აღებული გზის შინაგან არსს და ამ განვითარების ტენდენციას. ეს გეზი მიემართებოდა ფეოდალიზმისაკენ. ის „საგლახაო“ თუ „საგლეხო“ თუ ან სხვა სარწყავი სისტემები, ნასტავისიები“⁶¹ თუ სხვა სამეურნეო სავარგულები, „რომელი“ თუ ადგილობრივი „ახნაურების“ მოხსენიება ქართულ ისტორიულ წყაროებში, ცალკეული „ხევისთავების“ თუ „ერისთავების“ არსებობის ფაქტი და არქეოლოგიურად დამოწმებული მდიდრული სამარხეული კომპლექსები, რომლებიც, უეჭველია, ამ ხელისუფალთა კუთვნილება იყო, სტრაბონის ცნობების ფონზე (და ეს ცნობები კი, ვფიქრობთ, სამართლიანადაა მიჩნეული უფრო ძველი ვითარების ამსახველად, ვიდრე ძვ. წ. პირველი საუკუნეა), ალბათ, საკმარისი საბუთებია იმისათვის, რომ ძველი წელთაღრიცხვის ბოლო საუკუნეებისათვის ქართლში მცხოვრები საზოგადოების სოციალურ ყოფაში გარკვეული ძვრები ვიგულისხმოთ. შესაძლოა, ეს აღმავალი პროცესი ერთგვარად შეაფერხა გართულებულმა საგარეო და საშინაო ვითარებამ (იგულისხმება გაძლიერებული სომხეთის გაფართოება მეზობელი ქართლის ხარჯზე, ქართლის სამეფოს შესამჩნევი დასუსტება ძვ. წ. II—I საუკუნეებში და, შესაბამისად, მთიულთა სავარაუდო მასიური ჩამოწოლა ბარის ზოგიერთ რეგიონში, რამაც, შესაძლოა, საგრძნობლად „გააახალგაზრდავა“ ბარის საზოგადოება და სხვა), მაგრამ არსებითი გავლენა მის შინაგან განვითარებაზე არ უნდა მოეხდინა.

ამდენად, ძვ. წ. III—I საუკუნეები ჩვენ გვესახება ფეოდალური ურთიერთობებისაკენ მიმავალი გზის ერთ-ერთ საფეხურად, ერთ საკმაოდ მნიშ-

⁶⁰ ბე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი ნ., საქართველოს ისტორიის... VIII, გვ. 124.

⁶¹ უაღრესად საყურადღებოა ქართულ წყაროებში შემონახული ტომონიმი ნასტაკისი (ვარიანტი ნასტაკისი). ამ სიტყვის ფუძე სტაკ(სტეკ) სპარსულად ვაზის ნაკვეთის, ვენახის აღმნიშვნელია. შესაბამისად, უნდა ვივარაუდოთ, რომ სახელწოდება „ნასტაკისი“ ნიშნავს ნავენახარს, რაც გვაგულისხმობინებს ნასტაკისის ტერიტორიაზე ვაზის ნაკვეთის არსებობას ალექსანდრე მაკედონელის უწინარეს. შესაბამისად, ის არხიც, რომლის გარეშე იქ წარმოუდგენელია ვენახის გაშენება, საკმაოდ ძველი უნდა იყოს, რაც ჩვენს ისტორიკოსებს არა ერთგზის აქვთ შენიშნული.

გნელოვან მონაკვეთად და მას ვუწოდებთ ადრეფეოდალურ ურთიერთობათა საწყის ხანას ანუ პირველ საფეხურს. ვგულისხმობთ, რომ ამ დროს ქართლში სუფევდა კლასობრივი საზოგადოება.

მატერიალური კულტურის თავისებურებათა თვალსაზრისით ეს არის პერიოდი საქალაქო ცხოვრების შემდგომი მკვეთრი ზრდისა, ტაძრებისა და სატაძრო მეურნეობათა განვითარებისა, ხელოსნობის და, განსაკუთრებით, მეთუნეობის, აგრეთვე სამშენებლო კერამიკის წარმოების სწრაფი აღმავლობისა, სოფლის მეურნეობის და, განსაკუთრებით, მევენახეობის (შესაბამისად მექვევრეობის) დაწინაურებისა, ქვევრსამარხთა კულტურის წარმოქმნისა. ამ ეთნო-კულტურულ წიაღში მზადდება ნიადაგი ალაზნის ველის პერული კულტურის წარმოსაქმნელად. ქართლის მატერიალური კულტურის განვითარებაზე კეთილმყოფელ გავლენას ახდენდა ელინისტური სამყარო, განსაკუთრებით კი — მახლობელი აღმოსავლეთის ელინისტური სახელმწიფოები, როგორც საისტორიო წყაროებიდან ჩანს, ქართლის სამეფო ადრეელინისტურ ხანაში იმყოფებოდა სელივიკიდების სამეფოს პოლიტიკური და კულტურული გავლენის სფეროში⁶².

ძვ. წ. III საუკუნე საყურადღებოა იმიტაც, რომ ქართლის სამეფოს ახალმა დინასტიამ ფარნავაზმა, ქართლის ცხოვრების ჩვენებით, განახორციელა არა ერთი უდიდესი მნიშვნელობის რეფორმა, რომელთა შორის ერთ-ერთი უმთავრესი იყო გარდაქმნები რელიგიის სფეროში. კერძოდ, ამ პერიოდში აღწევს გაბატონებულ მდგომარეობას არმაზის კულტი, რომელიც, მთელ რიგ მკვლევართა აზრით, ხეთურ-მცირეაზიული წარმოშობისაა⁶³. არმაზს — იყო მთვარის ხეთური სახელწოდება და იმავე სიტყვით აღინიშნებოდა მთვარის ღვთაებაც. ქართველურ ტომებში უძველესი დროიდანვე გავრცელებულ მთვარის კულტს ჩვენი ისტორიის ამ საფეხურზე კარგად მოერგო მესხების მეშვეობით შემოსული არმაზ-არმაზის კულტი და იგი, ეტყობა, მეტად ადვილად გაითავისა ქართლის მოსახლეობამ. არმაზის კულტი, ყველა ნიშნით, უნდა გავრცელებულიყო დასავლეთ საქართველოშიც, რადგან ეგრისი, ქართლის ცხოვრების მიხედვით⁶⁴, ფარნავაზის მორჩილებაში ჩანს მოქცეული.

არმაზის კულტის გაბატონება საქართველოში და ღვთისმსახურების ცენტრალიზაცია თავისი დროისათვის, ალბათ, ისეთივე დიდი მნიშვნელობისა იყო, როგორც, შემდგომ ქრისტიანობის გავრცელება. ახალი კულტის შემოღებას უეჭველად თავისი დალი უნდა დაემჩინა საქართველოს მატერიალური და სულიერი კულტურის შემდგომ განვითარებაზე. არმაზის კულტის გაბატონებამ, შესაძლოა, გარკვეული ზეგავლენა მოახდინა აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს ლოკალურ მატერიალურ და სულიერ კულტურათა ურთიერთშერწყმაზე. ჩვენი აზრით, სწორედ ამავე ხანებში ისახება და თანდათანობით იკავფავს გზას მატერიალური კულტურის ის ელემენტები, რომ-

⁶² საქართველოს ისტორიის ნარკვევები, I, თბ., 1970, გვ. 465; Меликишвили Г. А. К истории..., გვ. 298-299.

⁶³ იქვე, გვ. 112, 229—230, 316, 317; Саркисян Г. X., Самоуправляющийся город Селевкидской Вавилонии, ВДИ, 1952, № 1; აფაქიძე ა., ქალაქები და საქალაქო ცხოვრება ძველ საქართველოში, I, თბ., 1963.

⁶⁴ ქართლის ცხოვრება. — ანა დედოფლისეული ნუსხა ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით, თბ., 1942, გვ. 16—17.



ლებმაც მოგვიანებით სრულიად ჩამოყალიბებული სახე მიიღო და რომლებსაც პირობითად ვუწოდებთ არმაზულ კულტურას. თუ ჩვენ ქართლის ცხოვრების ცნობებს სარწმუნოდ მივიჩნევთ, ფარნავაზის დროიდან საფუძველი ჩაეყარა ქართულ ცივილიზაციას თავისი სახელმწიფოებრიობით, ენით, დამწერლობით, კულტით და მოწინავე მეურნეობით. არმაზული კულტურის ადრეული ხანისათვის ქართულ მატერიალურ კულტურაში განსაკუთრებით გამოირჩევა წითლად მოხატული თიხის ჭურჭელი.

ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური განვითარების თვალსაზრისით საქართველოსთვის კიდევ უფრო დიდი მნიშვნელობისა იყო ახალი წელთაღრიცხვის პირველი საუკუნეები, რომლებსაც სამეცნიერო ლიტერატურაში ჩვენი აზრით, აგრეთვე სრულიად შეუფერებელი სახელწოდება — გვიანანტიკური (ან ზოგჯერ რომაული) ხანა ეწოდება.

სოციალური განვითარების თვალსაზრისით ძვ. წ. I — ახ. წ. III საუკუნეების საქართველო საგრძნობლად ჩანს დაწინაურებული⁶⁵. სამეფო არისტოკრატის მხარდამხარ აღმავლობის გზაზე ჩანან ცალკეულ პროვინციათა მმართველი სახლები, რის უტყუარ საბუთსაც წარმოადგენს არმაზისხევის ტიპის მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი მდიდრული სამარხული კომპლექსები ახალდაბიდან, ერწოდან, არაგვისპირიდან, ახალი ყინვალიდან, ზღუდერიდან, ცხინვალიდან, კლდეითიდან, ბორიდან, ურეციდან და სხვა.

მცხეთაში აღმოჩენილ წარწერათა მიხედვით აშკარად ჩანს, რომ სოციალური დიფერენციაცია კიდევ უფრო გაღრმავებულია. აშკარად შეიმჩნევა საერისთავო ანუ სამოხელეო სახელოთა მემკვიდრეობით მითვისებისა და დაუფლების ტენდენცია. მძლავრ სოციალურ ძვრებზევე მიუთითებს საქართველოში ხშირი სატაძრო ქსელის არსებობაც და სატაძრო მამულების გაფართოება (დედოფლის მინდორი, ციხიაგორი, ძალისა და სხვა). რომ ქართლის სამეფო თავისი ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარების დონით მომზადებული იყო დიდი სოციალური ნახტომისათვის, ეს იქიდანვე ჩანს, რომ ახ. წ. III საუკუნის დასასრულს და IV საუკუნის დამდეგისათვის ქართლში თავი იჩინა გარკვეულმა შინაგანმა კრიზისმა, შესაძლოა, „ძველი“ და „ახალი“ არისტოკრატის ინტერესთა შეჯახებამ და შიდაკლასობრივმა უთანხმოებამ, რაც უპირატესად სამამულო ნიადაგზე უნდა ყოფილიყო აღმოცენებული. კერძოდ, აქ მხედველობაში გვაქვს ქრისტიანობის მიღების საბაბით ძველ სატაძრო მეურნეობაზე იერიშის მიტანა და ბრძოლა მიწების გადანაწილებისათვის⁶⁶, რომლითაც, პირველ რიგში, სამეფო სახლი უნდა ყოფილიყო დაინტერესებული. მიგვაჩნია, რომ ამ ეტაპზე ქართლში შესამჩნევად უნდა გაღრმავებულიყო ფეოდალური ურთიერთობები, რაც მკვლევართა ერთ ნაწილში არავითარ ეჭვს აღარ იწვევს⁶⁷. ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე ჩვენ მიერ შემუშავებულ ქრონოლოგიურ შკალაში აღნიშნულ პერიოდს ვუწოდებთ ადრე ფეოდალურ ურთიერთობათა მერე საფეხურს. იგულისხმება, რომ თავისუფალ მეთემეთა ფენა ამ

⁶⁵ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, I, თბ., 1970, გვ. 570—620.

⁶⁶ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. II, თბ., გვ. 117.

⁶⁷ სურგულაძე ივ., საუკუნოების უფლება ფეოდალურ საქართველოში IV—X საუკუნეებში, ქართული სამართლის ისტორიის საკითხები, I, თბ., 1973, გვ. 287.

დროის ქართლში განსაკუთრებით მთისწინეთში. ჯერ კიდევ საკმაოდ ძლიერი უნდა ყოფილიყო.

მატერიალური და სულიერი კულტურის განვითარებისა და თავისებურებათა თვალსაზრისით ადრეფეოდალურ ურთიერთობათა მეორე საფეხური არის უაღრესად მეტყველი და დიდმნიშვნელოვანი ხანა: განვითარების მაღალ საფეხურს აღწევს ხუროთმოძღვრება, სამშენებლო კერამიკის წარმოება, საოჯახო და სამეთუნეო მეურნეობა, ტორეტიკა და ოქრომჭედლობა, ხელოსნობა, სამონეტო საქმე და ვაჭრობა. საყურადღებოა ისიც, რომ ქართლის სამეფოში სწორედ აღნიშნულ ხანაში დიდად ყოფილა მიღებული იმავდროულ კულტურულ სამყაროში ფართოდ გავრცელებული „დიპლომატიური“ ენა — არამეული, უფრო სწორად, არამეული დამწერლობის ორიგინალური ვარიანტი, რომელსაც ზოგიერთი მკვლევარი „არმაზულ“ დამწერლობასაც კი უწოდებს⁶⁸.

ქართლის სამეფოში დადასტურებული მთელი ეს კულტურული მონაპოვარი დაფუძნებული იყო ერთი მხრივ, მაღალგანვითარებულ და დაწინაურებულ მეურნეობაზე და ადგილობრივ ტრადიციებზე, ხოლო, მეორე მხრივ — დასავლეთისა და აღმოსავლეთის მოწინავე ქვეყნებთან ნაყოფიერ და მჭიდრო ურთიერთობაზე. ახალი წელთაღრიცხვის პირველი საუკუნეები გახლავთ არამაზული კულტურის შემდგომი განვითარებისა და აყვავების ხანა.

არმაზული კულტურა, რომელიც ძველი და ახალი წელთაღრიცხვების მიჯნიდან განიცდის სწრაფ აღმავლობას, ხასიათდება საქართველოს ტერიტორიაზე-ლოკალურ კულტურათა ნიველირებით და მათი ერთგვარი გამოლიანებით. არმაზული კულტურის მეორე საფეხური ანუ გვიანარმაზული ხანა (რომელიც მთლიანად ემთხვევა ე. წ. გვიანანტიკურს), ჩვენი აზრით, უნდა დაიყოს ორ საფეხურად: ძვ. წ. I — ახ. წ. II* საუკუნეები, როდესაც ხდება არმაზული კულტურის თანდათანობით ჩამოყალიბება და ამის ხარჯზე კულტურის თუ მათ ლოკალურ ვარიანტთა ნიველირება, და ახ. წ. III—IV საუკუნეები, როდესაც არმაზული კულტურა განიცდის თავისი აყვავების ხანას.

ქრისტიანობის ოფიციალურად აღიარების შემდეგ არმაზულ კულტურას გამოეცალა იდეოლოგიური საფუძველი და მოსახლეობის ყოფაში გაბატონებულმა ახალმა ნორმებმა სწრაფად შეზღუდა მისი არსებობა. IV საუკუნიდან განვითარება იწყო ახალმა, ქრისტიანულმა კულტურამ, რომლის საწყისიც ნაწილობრივ ჩასახული იყო არმაზული კულტურის წიადში.

რაც შეეხება ქრონოლოგიური შკალის გაგრძელებას, ჩვენი რწმენით, აქ სავსებით მისაღებია დ. მუსხელიშვილის მიერ შემუშავებული თვალსაზრისი⁶⁹, რომელიც წერილობითი წყაროებისა და ისტორიული გეოგრაფიის მონაცემთა ღრმა ანალიზზეა დაფუძნებული.

კერძოდ, პერიოდი, რომელსაც დ. მუსხელიშვილი უწოდებს „ფეოდალურ ურთიერთობათა განმტკიცებისა და ადრეფეოდალური მონარქიის პერიოდს“, საქართველოს ისტორიაში ითვლება ერთ-ერთი უდიდესი ტეხილის ხანად, როდესაც ახალგაზრდა, ჯერ კიდევ

⁶⁸ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, I, თბ., 1970, გვ. 765—774; Церетели Г. В., Армазская билингва, Тб. 1941; აფაქიძე ა., ქალაქება და საქალაქო ცხოვრება ძველ საქართველოში, I, თბ., 1963.

⁶⁹ მუსხელიშვილი დ., ფეოდალიზმის ხანის საქართველოს ისტორიის პერიოდოზაციისათვის (IV—X საუკუნეები), „მაცნე“, ისტორიის სერია, თბ., 1980, № 2, გვ. 163.



მოუშვებელი, მაგრამ მზარდი ფეოდალთა კლასი იარაღდება ახალი იდეოლოგიით — ქრისტიანობით. ქრისტიანობის ოფიციალურმა აღიარებამ რადიკალურად შეცვალა ქართული კულტურისა და ყოფაცხოვრების გეზი. აღნიშნული ცვლილებები თვალნათლივ შეეცყო მატერიალურ კულტურასაც. შეიძლება ითქვას, რომ ყოველგვარი სიახლე ყოფაცხოვრებასა თუ მატერიალურ კულტურაში გამსჭვალული იყო ახალი იდეოლოგიის — ქრისტიანობის შინაარსით და ამ იდეოლოგიის რეალიზაციასთან იყო დაკავშირებული. ამდენად, არექოლოგიური პერიოდიზაციიდან გამომდინარე, ჩვენ ამ ეტაპს ვუწოდებთ ადრე ქრისტიანული კულტურის გავრცელების ხანას. განსაკუთრებით თვალნათლივ ახალმა მოვლენებმა თავი იჩინა ქრისტიანულ ხუროთმოძღვრებაში, საფუძველი ჩაეყარა ქართულ ქრისტიანულ არქიტექტურასა და მწერლობას.

დ. მუსხელიშვილის მიერ შემოთავაზებულ ქრონოლოგიურ შკალაში მომდევნო — VI—VIII საუკუნებს ეწოდება ადრე ფეოდალური პერიოდი და სასრული. ამ საუკუნეებში საქართველოს ყოფაში ქრისტიანულმა კულტურამ კიდევ უფრო გაიფართოვა თავისი ასპარეზი და უკვე სრულიად ჩამოყალიბებული სახე მიიღო. ამ დროისათვის ქართული მატერიალური კულტურის დომინანტი წარმოადგენდა ქრისტიანული ხელოვნების ისეთი დარგები, როგორც იყო ხუროთმოძღვრება, ქედურობა, მინიატურული და მონუმენტური ფერწერა, პორელიეფური ქანდაკება და სხვა. არაბებთან ბრძოლის ხანაში ქრისტიანულმა კულტურამ შეიძინა ეროვნული ხასიათი, თანდათანობით ჩამოყალიბდა ეროვნულ წმინდანთა პანთეონი და სხვა. ამდენად, დ. მუსხელიშვილისეულ „ადრე ფეოდალური ხანის დასასრულს“ მატერიალური თვალსაზრისით შეესაბამება ქრისტიანული კულტურის საყოველთაო აღიარებისა და გამარჯვების ხანა.

ახლა, თუ ავეჯამებთ ყოველივე ზემოთქმულს, რაც უპირატესად აღმოსავლეთ საქართველოს მაგალითზეა შემუშავებული, ადრე ფეოდალური ხანისათვის მივიღებთ შემდეგი სახის ქრონოლოგიურ შკალას:

1. ადრე იბერიული ხანა ადრეკლასობრივი საზოგადოებით და პროტოფეოდალური განვითარების ნიშნებით. ეს პერიოდი, რომელსაც შეესატყვისება რკინის მალღანვითარებულ ინდუსტრიაზე დაფუძნებული მატერიალური კულტურა, მოიცავს ძვ. წ. VI—IV საუკუნეებს; 2. ადრე ფეოდალური ურთიერთობათა საწყისი ხანა ანუ I საფეხური კლასობრივი საზოგადოებით, ძვ. წ. III—I საუკუნეები, რასაც შეესატყვისება ადრეარამაზული ხანის მატერიალური კულტურა; 3. ადრე ფეოდალური ურთიერთობათა II საფეხური — ძვ. წ. I — ახ. წ. IV საუკუნის დასაწყისი, რომელსაც ძირითადად შეესატყვისება გვიანარამაზული კულტურის ხანა (თავისი ორი ქვეპერიოდით: ა) ძვ. წ. I — ახ. წ. II საუკუნე და ბ) ახ. წ. III—IV საუკუნის დასაწყისი.); 4. ფეოდალური ურთიერთობათა განმტკიცებისა და ადრე ფეოდალური მონარქიის ხანა (დ. მუსხელიშვილის მიხედვით) — IV—V საუკუნეები, რასაც შეესატყვისება ადრე ქრისტიანული კულტურის გავრცელების საწყისი პერიოდი; 5. ადრე ფეოდალური პერიოდის დასასრული (დ. მუსხელიშვილის მიხედვით) — VI—VIII საუკუნის პირველი ნახევარი, რაც შეესატყვისება საქართველოში ქრისტიანული კულტურის საყოველთაო აღიარებისა და გამარჯვების ხანას. თუმცა აქ უნდა შევნიშნოთ, რომ მატერიალური კულტურის

თვალსაზრისით VIII ს-ის მეორე ნახევარი და, ეგების, IX ს-ის პირველი ნახევარიც მივაკუთვნოთ „ადრეფეოდალური პერიოდის დასასრულს“.

ყოველივე ზემოთქმულის გამო ვერ დავეთანხმებით დებულებას იმის შესახებ, რომ „სოციალური და ეკონომიური განვითარების მიხედვით IV—X საუკუნეები საქართველოს ისტორიაში არის ადრინდელი ფეოდალური ურთიერთობის ჩასახვის, გამარჯვებისა და განმტკიცების ხანა“⁷⁰. აღნიშნული საუკუნეები გამარჯვებისა და განმტკიცების ხანად კი არის მისაჩნვეი, მაგრამ ეს ფორმაცია, როგორც უკვე ზემოთ აღინიშნა, ახ. წ. IV საუკუნეზე გაცილებით ადრე ჩანს ჩასახული, რისი უგულვებელყოფაც ფაქტობრივი მასალისა და არსებული სამეცნიერო ლიტერატურის ფონზე უკვე შეუძლებელი ჩანს.

Р. М. РАМИШВИЛИ

НЕКОТОРЫЕ СООБРАЖЕНИЯ В СВЯЗИ С ВОПРОСОМ ГЕНЕЗИСА ФЕОДАЛИЗМА В ГРУЗИИ

Резюме

В исследовании социальной истории грузинского народа в конце 50-х—начале 60-х годов начинается заметный перелом. Этому, с одной стороны, способствовали отказ от догматических методов исследования 30-х годов и глубокий анализ источников, а с другой—большие успехи исторических наук, в особенности археологии. В этом новом потоке научной литературы особо надо отметить заслугу акад. Г. Меликишвили. В его трудах, как и в работах других ученых последних лет, был пересмотрен и отвергнут тезис о рабовладельческом характере грузинского общества. Согласно этому мнению, после распада родового строя в Грузии возникает не рабовладельческий строй, как это утверждалось в некоторых работах, а магистральная линия социального развития шла в сторону феодализма. После распада родового строя, по мнению исследователей, к концу старого летоисчисления в Картлийском царстве сформировалось общество типологически «дофеодалное», а стадияльно — раннеклассовое. Это «дофеодалное» или «протофеодалное» общество, разумеется, имело свою длительную историю и прошло определенный путь и ступени развития, и его движение вперед, несмотря на сильное внешнее влияние, основывалось на внутренней эволюции.

Феодалные отношения, господствовавшие в Грузии на протяжении всего средневековья, как показывают специальные исследования последних десятилетий, возникли на развалинах общинного строя, на местной почве, в недрах отдельных хеви (ущелий) и соответственно имели все фазы развития—от зарождения до распада. Современная источниковедческая база уже позволяет ответить на такие спорные и наименее разработанные вопросы, какими являются генезис грузинского феодализма и особенности развития этой социальной системы на раннем ее этапе.

Процесс экономической и социальной дифференциации населения, коснувшийся родовых, а затем сельских общин был дли-



тельным. Ускорению этого процесса в середине I тысячелетия до н. э. способствовало широкое освоение железной индустрии, резкое улучшение орудий труда и оружия, что наряду с развитием орошаемого хозяйства, особенно в VI—IV вв. до н. э., бесспорно, вызвало резкую интенсификацию сельского хозяйства. В этом общехозяйственном подъеме роль виноградарства была особой. На его развитие указывает быстрый рост производства больших пифосов — «квеври» для хранения вин. Древние винодельцы пифосы применяли также для захоронения покойников. Развитие культуры лозы, особенно низкоствольного виноградарства («даблари»), возможно, сыграло величайшую роль в возникновении и развитии частного землевладения. Не исключено, что первые именья («мамули») были именно виноградниками.

Анализ материалов могильников и поселений Картли середины I тысячелетия до н. э. ясно свидетельствует, что среди населения имело место резкое имущественное неравенство. Возникшая родовая аристократия, которую часть исследователей относит к финальной фазе военной демократии, постепенно твердо овладевает «хеви». Места находок богатых погребений можно считать центрами отдельных «хеви». Указанный процесс в дальнейшем (в эпоху эллинизма и в римский период) развивался неуклонно, на что убедительно указывают археологические открытия последних десятилетий. Главнейшим источником имущественной мощи этих «семейств» (хевиставов и эриставов), думается, было землевладение (в равнинных районах крупное землевладение). Этот же фактор способствовал, вероятно, их политическому преимуществу.

Рассматривая обширный круг археологических материалов, используя данные исторической географии и учитывая новейшую научную литературу, особенно по хронологии раннефеодального времени, мы предлагаем хронологическую шкалу со следующими названиями.

1. **Раннеберийский период**, которому соответствует основанная на высокоразвитой железной индустрии материальная культура VI—IV вв. до н. э. с протофеодальными тенденциями в социальном плане. Термин «раннеантичный период», который применяется в научной литературе грузинскими археологами для обозначения этого времени, следует считать сугубо техническим и совершенно неудобным.

2. **Начальный период раннефеодальных отношений**, то есть первая ступень классового общества, чему соответствует **раннеармазская материальная культура** (III—I вв. до н. э.).

3. Вторая ступень раннефеодальных отношений (I в. до н. э. — начало IV в. н. э.), которой соответствует **позднеармазская материальная культура** с двумя хронологическими периодами: а) I в. до н. э. — II в. н. э. соответствует раннеримскому периоду и б) III—IV вв. н. э., что соответствует позднеимскому времени.

4. **Время упрочения феодальных отношений и раннефеодальной монархии** (по Д. Мухелишвили), IV—V вв. н. э., чему соответствует период распространения раннехристианской материальной культуры и цивилизации.

5. **Окончание раннефеодального периода** (по Д. Мухелишвили) VI—VIII вв. что соответствует времени широкого и всеобщего утверждения христианской цивилизации и материальной культуры.

პახტავე ითონიშვილი

არაგვის ხეობის ისტორიის საკითხები

1989 წ. ჟურნალ „მაცნეში“ დაიბეჭდა ისტორიის მეცნ. დოქტორის ჯ. გვა-სალიას პოლემიკური წერილი — „არაგვის ხეობის ისტორიისათვის“, სადაც ავტორი ეხება არაგვის ხეობის ისტორიისა და ეთნოგრაფიის ცალკეულ საკითხებს¹. არსებითად, აღნიშნული პუბლიკაცია რიგით მესამე რეცენზიაა 1986 წელს გამოქვეყნებულ მონოგრაფიაზე², რომლის ზოგიერთი დებულების გადასინჯვა ან სრული უარყოფა და, ამდენად, სარეცენზიო ნაშრომის სამეცნიერო ღირებულებაზე აქამდე შექმნილი წარმოდგენის³ გაბათილება, პატივცემული სწავლულის ძირითად ამოცანას შეადგენს. ამ მიმართულებით წარმართული მსჯელობა, რაც შეზავებულია რეცენზენტის გემოვნებით ჩემს მიმართ შერჩეული გამონათქვამებით („აბსურდული“, „ავტორს რომ ემუშავა... და შეეკრიბა მასალები დარწმუნდებოდა“, „მას რომ დაკვირვებით წაეკითხა... მიხვდებოდა“, „ახალგაზრდა მკვლევრის სკეპსისის არაეთიკური სახე“ და ა. შ.) მთავრდება დასკვნით: „მიუხედავად ჩვენი შენიშვნებისა და რიგ პრინციპულ საკითხებში ავტორისაგან განსხვავებული ჩვენი თვალსაზრისისა შეიძლება ითქვას, რომ ვ. ითონიშვილის მონოგრაფიას აქვს გარკვეული პოზიტიური მნიშვნელობა არაგვის ხეობის მთიანი რეგიონის თემების კვლევისათვის. ავტორის შედეგები უფრო თვალსაჩინო იქნებოდა, რომ მეტი პატივისცემით მოპყრობოდა წინამორბედ მკვლევართა მოსაზრებებს“ (გვ. 99).

ცხადია, აღნიშნული გარემოება გვაიძულებს ოპერატიულ რეაგირებას თითოეულ შენიშვნაზე, რომელთა სკრუპულოზური განხილვა და შეძლებისამებრ ობიექტური შეფასება მხოლოდ სინამდვილის დაჭეშმარიტების საჭიროებითაა ნაკარნახევი, თუმცა არაა გამორიცხული, რომ არაერთი მცდარი დებულების საპირისპირო არგუმენტაცია კვლავ წინამორბედ თუ თანამედროვე მკვლევართა (პირველ რიგში კი თავად ჯ. გვასალიას) მოსაზრებებისადმი არასაკმარისი პატივისცემის მორიგ გამოვლენაში ჩაგვეთვალოს.

სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ წერილში წარმოდგენილ მტკიცებათა საერთო ფონზე უწინარეს ყოვლისა თვალშისაცემია რეცენზენტის

¹ ჯ. გვასალია, არაგვის ხეობის ისტორიისათვის, „მაცნე“, ისტორიის... სერია, თბ., 1989, № 1.

² შენიშვნა: ამ რეცენზიის დამოწმებისას გვერდებს ტექსტში ვუთითებთ.

³ ვახტ. ითონიშვილი, არაგვის ხეობა (მთის კუთხეების ლოკალიზაციის და ეთნონიმიკის საკითხები), თბ., 1986.

⁴ ზ. ფრუიძე, დროის მოთხოვნათა გათვალისწინებით, „მნათობი“, 1989, № 3, გვ. 171—174; ი. ანთელავა, მნიშვნელოვანი ნაშრომი მთის კუთხეების ლოკალიზაციისა და ეთნონიმიკის შესახებ, „ციცკარი“, 1988, № 11, გვ. 152—154.

ნაზრევი წიგნის სამეცნიერო პროფილის შესახებ, რაც მკაფიოდაა გამოხატული შემდეგ კატეგორიულ განაცხადში: „ავტორი წერს, რომ ნაშრომი ძირითადად დაფუძნებულია წერილობით წყაროებსა და ისტორიულ-ეთნოგრაფიული ლიტერატურის მონაცემებზე. შეიძლება ითქვას, რომ ეს ნაშრომი არაა ისტორიულ-ეთნოგრაფიული, რამდენადაც მთხრობელთაგან ჩაწერილი ყველა მასალა არაა ეთნოგრაფიული. ნაშრომი მხოლოდ ისტორიულ-გეოგრაფიული კვლევის ცდაა, მთის კუთხეების ლოკალიზაციის საკითხებს შეეხება. ეთნოგრაფია კი სულ სხვა პრობლემებს სწავლობს“ (გვ. 91).

ვითარების ასეთნაირი შეფასება საფუძვლიან გაკვირვებას იწვევს, ვინაიდან ის სტიმულირებულია ერთობ ბუნდოვანი წარმოდგენით ეთნოგრაფიული კვლევა-ძიების არეალში თავმოყრილ პრობლემათა უაღრესად ფართო სპექტრზე და საკუთრივ ეთნოგრაფიული მასალის კლასიფიკაციის პრინციპებზე, რომ აღარაფერი ვთქვათ სარეცენზიო ნაშრომის თემატიკური დიაპაზონის ხელოვნური დავიწროვების ყოვლად გაუმართლებელ ცდაზე. ამიტომ, აუცილებელია განიმარტოს, რომ მონოგრაფია მარტოოდენ ლოკალიზაციის საკითხებს არ შეეხება. მასში მეტ-ნაკლები სისასისით გაშუქებულია არაგვის ხეობის მთიელთა ისტორიულ-ეთნოგრაფიული ნომინაციის და განსახლების, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ცალკეული მხარეების (მთიულეთი, გუდამაყარო, ხანდო, ჭართალი) განაშენიანების, შიდატერიტორიული დარაიონების (ცალკეულ თემებად დაყოფის) და ადგილობრივ მკვიდრთა კუთხური კუთვნილების (ეთნოგრაფიული ატრიბუციის), აგრეთვე ეთნიკური ისტორიის საკითხები, ანუ აქცენტირებულია ისტორიულ-ეთნოგრაფიული (ან ისტორიულ-კულტურული) მხარის მრავალპლანიანი შესწავლის ეთნოგეოგრაფიული, ეთნოდემოგრაფიული, ეთნოსტატისტიკური, ეთნონიმიკური და ეთნოისტორიული ასპექტები, რომელთა კანონზომიერი დაწინაურება ბზრველ რიგში სწორედ ისტორიულ-ეთნოგრაფიული კვლევა-ძიებისთვისაა დამახასიათებელი.

ამდენად, იმის მტკიცება, თითქოს სარეცენზიო ნაშრომი მარტოოდენ ისტორიულ-გეოგრაფიული კვლევა-ძიების უბნად წარმოდგენილ ლოკალიზაციის საკითხებს შეეხება და ასეთი ნაჩქარავი დასკვნის წყალობით მონოგრაფიის დანახსიათება მხოლოდ ისტორიულ-გეოგრაფიულ და არა ისტორიულ-ეთნოგრაფიულ გამოკვლევად, რბილად რომ ვთქვათ, საქმეში ჩაუხედავი მკითხველის აშკარა დეზორიენტაციის ტოლფასია.

იგივე ითქმის დანარჩენ შენიშვნებზეც, რომლებიც არაგვის ხეობის მთის მხარეების ლოკალიზაციის, შიდატერიტორიული დაყოფის, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის რეგიონალური დარაიონების, ვერტიკალური ზონალობის, ცალკეულ სახელწოდებათა ეტიმოლოგიზაციის და სხვა საკითხებს შეეხება.

ასე, მაგალითად, ვ. გვასალია იმოწმებს რა ნაშრომის შესავალში მოცემულ მტკიცებას, რომ „ნებისმიერი ქვეყანა მხოლოდ ზუსტ საზღვრებში... წარმოდგინდება“, შენიშნავს: „ამა თუ იმ ქვეყნის, რეგიონის საზღვრები ისტორიულ ეპოქათა შესაბამისად ხშირად იცვლებოდა. ამასთან ვვაქვს სხვადასხვა „ქვეყნებს“ შორის გარდამავალი რეგიონები, რომლებშიც მოსახლეობა დილექტების თვალსაზრისით თუ ეიმსჯელებთ, „გარდამავალია“ (გვ. 91).

ნათქვამთან დაკავშირებით სავალდებულოა განიმარტოს, რომ ამა თუ იმ „ქვეყნის“ საზღვრების პერიოდული ცვლის ხაზგასმული ტენდენციის გათვალისწინების ძალით არავითარ შემთხვევაში არ გამოირიცხება ნებისმიერი რე-



გიონის თუ მხარის, უწინარეს ყოვლისა კი მტკიცედ ლოკალიზებული ისტორიულ-გეოგრაფიული ან ისტორიულ-ეთნოგრაფიული ქვეყნის მხოლოდ ზუსტ საზღვრებში, ისტორიულ ეპოქათა შესაბამისად ფორმირებულ, საბოლოოდ დადგენილ მიჯნებში წარმოდგენის შესაძლებლობა, ისევე როგორც შესასწავლად არჩეული კონკრეტული მხარის საზღვრების დაზუსტებაზე გარჯა ნიადაგ არ გულისხმობს ე. წ. „გარდამავალი რეგიონის“ არსებობის ფაქტის ხელოვნურ უგულვებელყოფას. ამდენად, ჩვენს მითითებას ნებისმიერი ქვეყნის მხოლოდ ზუსტ საზღვრებში წარმოდგენის საჭიროების შესახებ არაფერი აქვს საერთო აღნიშნული საზღვრების პერიოდული ცვლის ფაქტორის იგნორირებისა და, მით უმეტეს, ე. წ. „გარდამავალი რეგიონების“ არსებობის ექვეყნუ დაყენების ცდასთან, რაც ძალუენებურად მოგვეწერა რეცენზენტის უსაფუძვლო შენიშვნის წყალობით.

საყურადღებოა, რომ წერილის დასაწყისშივე ჯ. გვასალია მიგვითითებს „ეთნიკური“ და „ეთნოგრაფიული“ ნომენკლატურის ცნებებს შორის არსებითი სხვაობის დანახვის აუცილებლობაზე, მაგრამ ასეთ ანბანურ ჭეშმარიტებაზე მინიშნების პარალელურად მოკამათეს რატომღაც ეძინება ცნებების „ტოპონიმის“ და „ეთნონიმის“ მკვეთრი ურთიერთგამიჯვნა და მათ რეალურ მნიშვნელობაში გარკვევა, რასაც თვალნათლივ მოწმობს ზოგიერთი ტოპონიმის (ჭართალი, ცხავატი, ხადა, გუდამაყარი, ხანდო, ხევი, ფხოვი) მოულოდნელი გამოცხადება ეთნონიმად (გვ. 91, 98).

რეცენზენტი წერს, რომ წიგნის მე-5 „თავში ცალკე პარაგრაფებადაა შესწავლილი არაგვის ხეობის მთის კუთხეები — მთიულეთი, გუდამაყარი, ხანდო და ჭართალი“, სქოლიოში კი ვკითხულობთ: „რა თქმა უნდა, იგულისხმება ვახტანგ ითონიშვილისეული დიფერენციაცია“ (გვ. 92).

როგორც ვხედავთ, ჯ. გვასალია აშკარად უნდობლადაა განწყობილი არაგვის ხეობის მთიანეთის ფარგლებში მთიულეთის, გუდამაყრის, ხანდოსა და ჭართლის, ვითარცა თხზი დამოუკიდებელი ისტორიულ-გეოგრაფიული მხარის, ლოკალიზაციის ფაქტისადმი. მაგრამ აღნიშნული დიფერენციაციის მიზანშეწონილობის საკითხისადმი მისი დამოკიდებულების გამოხატვის ფორმა ერთობ წამგებიანია, ვინაიდან მას თან არ ახლავს „ვახტანგ ითონიშვილისეული დიფერენციაციის“ საპირისპირო არგუმენტაციის რამდენადმე სერიოზული ცდა. არადა, ხსენებული კუთხეების რეალურად არსებობის სასარგებლოდ დამაჯერებლად მეტყველებენ ჩვენ მიერ საფუძვლიანად გაანალიზებული წერილობითი მონაცემები და ეთნოგრაფიული მასალები, რომელთაც ჯ. გვასალია ან არ იცნობს, ან რაც განსაკუთრებით დამამეჩრებელია, საერთოდ არ ცნობს.

სწორედ ისტორიულ-ეთნოგრაფიული მონაცემების სრული გაუთვალისწინებლობით ან მათი ცალმხრივი შეფასებით შეიძლება აიხსნას ის გარემოება, რომ ჩვენი ოპონენტი კვლავ დაჟინებით იცავს ადრე გამოთქმულ და სარეცენზიო წიგნში გაკრიტიკებულ აზრს მთიულეთის სამხრეთი საზღვრის მთიულთკარამდე გავრცელების შესახებ, როცა წერს: „საქმე ის არის, რომ ჩვენ მიერ ხალხშივე შეკრებილი სხვა ცნობით, ცხავატის თემი ვრცელდებოდა ხანდოს ხევამდე, რომლის მარჯვენა ნაპირზეც მდებარეობს მთიულთკარი (კლასპროტისეული „მთიულეთის კარი“). ეს სახელი შერქმეულია მოსაზღვრე არა მთიულთავან და უნდა მიუთითებდეს საზღვარზე, საიდანაც იწყებოდა მთიულეთი. ასეთ შემთხვევაში მთიულეთის საზღვარი ვახუშტის ცნობისაგან გან-

სხვაგვებით, ფასანაურიდან მხოლოდ ორიოდ კილომეტრით სამხრეთით და არა „ფასანაურიდან საქაოლ შორს გადაიწვედა“, როგორც ამას აცხადებს ე. ითონიშვილი“ (გვ. 96).

დამოწმებული სტრიქონების ავტორის საყურადღებოდ განმეორებით უნდა ითქვას, რომ წერილობითი წყაროების ცნობებისა და ადგილზე გამოკითხვით მოპოვებული ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით მთიულეთის უკიდურეს სამხრეთ მიჯნად წარმოგვიდგება მთიულეთის (თეთრი) და გულამყარის (შავი) არაგვების შესაყარი ალაგი დაბა ფასანაურთან ან ფასანაურის ზემოთ მე-3 კმ-ზე მდებარე სოფ. ქავთარაანთკარი. მთიულეთის სამხრეთი საზღვრის სხვაგვარი ვაგება ნამდვილად არ არსებობს. მაგრამ თუკი ჯ. გვასალიას, მართლაც, მიეცა ხალხში ვაბატონებული შეხედულებისაგან რამდენადმე განსხვავებული ცნობით სარგებლობის შესაძლებლობა, მკვლევარს აუცილებლად მართებდა მისი სანდოობის შემოწმება, რაც მას უსათუოდ დააზღვევდა საეჭვო ღირებულების ინფორმაციაზე ნაჩქარევი დაყრდნობისაგან.

ასევე მეტი სიფრთხილე იყო საჭირო იმ ცნობების შეფასებისას, რომელნიც მთიულთკარად სახელდებული პუნქტის შესახებ მოგვებოვება და რომელთა ცალმხრივი ვაგების (სიტყვა „კარის“ მაინცდამაინც „კარებად“, „შესასვლელად“ აღქმის) საფუძველზე, მთიულთკარად სახელდებული „სიმაგრე მტკიცე“ (ან სოფელი) მთიულეთის საზღვრად, მთიულეთში შემყვან კარებად იქნა გამოცხადებული. არადა, ამდაგვარი მცდარი მიდგომისას მხედველობაში არაა მიღებული ის საგულისხმო დეტალები, რომ ჯერ ერთი, ვახუშტი ბაგრატიონისა და იოანე ბატონიშვილის ნაშრომებში ხსენებული „მთიულთკარი“ კლაბროტის თხზულებაში დამახინჯებულადაა შეტანილი „მთიულეთის კარის“ ფორმით. მეორეც, ქართული წერილობითი წყაროებისა და ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით სიტყვა „კარი“, როგორც წესი, გამოიყენება ზოგადად „შესასვლელის“, „გასასვლელის“, ვაბატონებული ადგილის, საფორტიფიკაციო ნაგებობების (ციხე-სიმაგრის, გზის ჩამკეტი კედლის, და ა. შ.) და დასახლების ერთეულის (ვაბატონებული ქალაქი, უბანი, სოფელი) აღმნიშვნელ ტერმინად, რის კვალობაზე ვახუშტისეული მთიულთკარი უყოყმანოდ შეიძლება იქნეს გააზრებული არა მთიულეთში შემყვან კარებად, მთიულეთის სამხრეთ საზღვრად, არამედ მთიულეთით დასახლებულ სოფლად⁴, მითუმეტეს, რომ ვახუშტის მიერ აღრიცხულ სოფელთა სიაში და იოანე ბატონიშვილის „ქართლ-კახეთის აღწერაშიც“ ხსენებული პუნქტი ბაზალეთის მხარეში ნაგულისხმები ჭართლის თემის ერთ-ერთ სოფლად ფიგურირებს⁵. ამ თვალსაზრისით არანაკლებ ნიშანდობლივია არაგვის საუფლისწულოს მოსახლეობის 1781 წლის აღწერისა და 1800 წლის წილენელი ეპისკოპოსის მიერ შედგენილ ერთ საბუთში დაცული ცნობები ასევე მთიულთკარად სახელდებული სოფლის შესახებ,

⁴ მაგრამ, თუ აქვე სათანადო ანგარიშს გავუწევთ საქართველოს წარსულში ცნება „მთიულის“ ზოგადად „მთილის“ შინაარსით გამოყენების ტრადიციას, ეფიქრობთ ამ უკანასკნელის ფონზე, ბოლომდე გამოსარიცხი არ უნდა იყოს სახელწოდება „მთიულთკარის“ სწორედ „მთიულთკარის“ მნიშვნელობით გაფორმების ვარიანტიც.

⁵ ვახუშტი ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ნ. ლომოურის და ნ. ბერძენიშვილის რედ., თბ., 1941, გვ. 200; იოანე ბაგრატიონი, ქართლ-კახეთის აღწერა, თ. ენუქიძის და გ. ბედოშვილის გამოც., თბ., 1986, გვ. 35.

⁶ ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორიის ძეგლები, წ. 1, თბ., 1967.

1967, გვ. 133; Донесение Цилканского архиепископа Иоанна каталикосу Антонию на высочайшее имя Павла I, 1800 г. АКАК, т. I, Тифл., 1866, გვ. 534.

11. „მაცნე“, ისტორიის სერია, 1989, № 4

რომელიც, მართალია, არაგვის ხეობის ბარის ზოლში ლოკალიზებულ პუნქტად წარმოგვიდგება, მაგრამ მისი ნომინაციის მაგალითზე ხომ ძალუენებურად ვრწმუნდებით მოსახლეთა სადაურობის მაჩვენებელ „მთიულთ“ სიტყვასთან კავშირში ტერმინ „კარის“ მნიშვნელობის ცალმხრივად გაგების უსაფუძვლობაში. მეტად სიმპტომატურია აგრეთვე არაგვის ხეობის ფარგლებში ლოკალიზებული მრავალრიცხოვანი დასახლებული პუნქტების სახელწოდებების ფორმირებაში სწორედ სიტყვა კარის აქტიური მონაწილეობის ფაქტი (ქვეთარაანთკარი, კობიანთკარი, მეჯილაურთკარი და ა. შ.), რომ აღარაფერი ვთქვათ „მთიულთკარის“ ანალოგიური სტრუქტურის ისეთი აღწერილობითი კომპოზიტების არსებობაზე, როგორებიცაა მაგალითად, „მთიულთუბანი“ (სოფელი კასპის რ-წში), „მთიულთხევი“ (პიდრონიმი თიანეთის რ-წში) და სხვ.

მაშასადამე, ჩვენს ხელთ არსებული მონაცემების შესწავლა გვაძლევს უფლებას დავასკვნათ, რომ ვახუშტის „აღწერაში“ ხსენებული „მთიულთკარი — სიმაგრე მტკიცე“ და იმავე თხზულებაზე დართულ სოფელთა სიაში ასახული „მთიულთკარი“ მთიულთა (ან მთიელთა) სოფლისა და ერთ-ერთი ღირსშესანიშნავი საფორტიფიკაციო ნაგებობის აღმნიშვნელი სახელწოდებებია და მათში ნამდვილად არ ამოიკნობა მთიულეთის სამხრეთი მიჯნა, რომლის გადმოწვევა მთიულთკარად წოდებულ პუნქტამდე, ხანდოსა და ჭართლის თემების ტერიტორიის მოზრდილი მონაკვეთის მექანიკური ჩაყლაპვის ხარჯზე, ყოველად დაუშვებელია⁷.

მაგრამ, როგორც ჩანს, ჯ. გვასალიას ასეთი ტერიტორიული ცვლილებებიც საეხსებით გამართლებულად მიაჩნია, რასაც თვალნათლივ ცხადყოფს ხანდოს ხევის (ან უბრალოდ ხანდოს) ვითარცა მთიულეთის მომიჯნავე მხარის დამოუკიდებლად არსებობის ფაქტის ექვეყნებუ დაყენების ტოლფასი შემდეგი მტკიცება: „ლუდის ხევი ისეთსავე მიმართებაში უნდა იყოს ფართოდ გაგებულ ხადასთან, როგორც ხანდოს ხევი ცხავატთან“ (გვ. 96).

მართალია, დამოწმებული კვალიფიკაციის წინ რეცენზენტი დაბეჯითებით გვარწმუნებს, რომ მას აზრადაც არ მოსვლია ხანდოსა და გუდამაყრის თემების მთიულეთისაგან დამოუკიდებლად არსებობის უარყოფა (გვ. 96), მაგრამ ასეთი მტკიცება ნიადაგ ვერ დაიმსახურებს ნდობას, ერთი მხრივ, ხანდოს ხევისა და ცხავატის, ხოლო მეორე მხრივ, ლუდის ხევისა და ხადის ურთიერთ-მიმართების საკითხისადმი მისი არადიფერენცირებული მიდგომის ფონზე.

საქმე ისაა, რომ ლუდის ხევის მიმართება „ფართოდ გაგებულ ხადასთან“ სულ სხვა რიგისაა, ვიდრე ხანდოს მიმართება ცხავატთან. სრულიად ნათელია, რომ ერთი მხრივ, მთიულეთის ორი სხვადასხვა „ლაგის“ (ლუდისა და ხადის), ხოლო, მეორე მხრივ, მთიულეთისაგან დამოუკიდებლად არსებული კუთხის — ხანდოსა და საკუთრივ მთიულეთის ერთ-ერთი თემის (ე. ი. ცხავატის) ურთიერთმიმართების საკითხის ერთ სიბრტყეზე განხილვა პრაქტიკულად ხანდოს თემის, როგორც მთიულეთის მომიჯნავე მხარის დამოუკიდებლად არსებობის ფაქტის იგნორირებას შეეფარდება, რაც ნიადაგ ვერ უძლებს კრიტიკას.

⁷ მთიულთკარის ლოკალიზაციის შესახებ დეტალურად იხ. ვახტ. ი თონი შვილი, არაგვი და არაგველები, თბ., 1989, გვ. 138—174.

კიდევ უფრო დიდ გაუგებრობას იწვევს რეცენზენტის მტკიცება, რომ „ხანდოს დიდი ტენდენცია ჰქონდა მთიულეთში მოქცევისა“ (გვ. 96). ამგვარი ტენდენციის საფუძვლად მიაჩნია ის, რომ „ხანდოელები ისევე ლოცულობდნენ მთიულთა საერთო სალოცავს ლომისას, როგორც მთიულები“ (გვ. 96). გაპოდის, რომ ყველა ის კუთხე, საიდანაც მლოცველი ლომისაში მიდიოდა, მთიულეთის შემადგენელი ნაწილი ყოფილა. ლომისაში კი მიდიოდნენ არა მარტო ხანდოდან, არამედ ჰართლიდან, გუდამაყრიდან, ხევიდან, ქართლის ბარის სოფლებიდან. უფრო მეტიც, ლომისის ეკლესია მთიულეთთან ერთად ქსნის ხეობის მთიანეთსაც ეკუთვნოდა, საზიარო იყო ამ ორი კუთხისათვის, მაგრამ ეს ხომ არ არის საფუძველი ქსნის შეყვანისა მთიულეთის ფარგლებში.

ჯ. გვასალია შემდეგ შენიშნავს: „ე. ითონიშვილი ცდილობს XVIII ს-ში ცხავატის თემის ფარგლებში წარმოშობილი ერთ-ერთი ერთეულის სახელწოდება (გარეშემო) დაუკავშიროს „ძეგლი ერისთავთაში“ „ცხავატელ-გარეთნი“-ს სახით აღნიშნულ მოსახლეობას. მას აქეთკენ ეწევა „გარეთნი“-ს და „გარეშემო“-ს თითქოსდა გარეგნული მსგავსება. სინამდვილეში ასეთი მსგავსება მხოლოდ მოჩვენებითია. ცხავატელ-გარეთნი ეს ის თემია, რომელიც ცხავატის თემის საზღვრებს გარეთ მოსახლეობს, ხოლო გარეშემოს თემი ცხავატის თემის ფარგლებში წარმოიშვა ამ უქანასკნელის გარეშემოდ, მრევლად და ცხოტად დაყოფის შედეგად. რაც შეეხება მოსაზრებას, რომ გარეშემოს თემი წარმოიშვა იმ სოფლებში, რომლებიც არც ცხავატში შედიოდა და არც ხადაში (გვ. 121), არაა სწორი, რადგან ისტორიული წყაროების მიხედვით ხადა და ცხავატი ყოველთვის იყვნენ ერთმანეთის მომიჯნავე თემები და მათ შორის ბუფერული თემი არ არსებობდა“ (გვ. 92).

მოტანილ ამონაწერებთან დაკავშირებით აუცილებელია განიმარტოს, რომ ჯერ ერთი, „გარეთნი“-ს და „გარეშემოს“ თუნდაც მოჩვენებითი გარეგნული მსგავსება სრულებთაც არ გვართმევს წინასწარი ვარაუდის დონეზე მათ შორის რაღაც კავშირის დამკვიდრებლად. აკი თავად ჯ. გვასალიას და არაერთ სხვა მკვლევარსაც სწორედ სიტყვების თითქოსდა ფონეტიკური მსგავსების დანახვის წყალობით მიაჩნია მიზანშეწონილად „წინკარის“ ეტიმოლოგიური კავშირი „წილკანთან“, თუმცა სახელწოდება წინკარის (// „კარის მამული“) რეალური მნიშვნელობა თავისთავად ცოტას ლაპარაკობს აღნიშნული იდენტიფიკაციის სასარგებლოდ. მეორეც, რეცენზენტის განაცხადი, თითქოს „ცხავატელ-გარეთნი ეს ის თემია, რომელიც ცხავატის თემის საზღვრებს გარეთ მოსახლეობს“ მხოლოდ იმ შემთხვევაში გავიჩინდა საფიქრალს, თუკი მოაქვრე შეეცდებოდა ამ „ცხავატის თემის საზღვრებს გარეთ მოსახლე“ თემის ლოკალიზაციასაც, რისგანაც მან თავისივე შენიშვნის ობიექტურობის საზიაროდ შეიკავა თავი.

დაბოლოს, მტკიცება, თითქოს ჩვენ გარეშემოს თემს იმ სოფლებში წარმოქმნილ ტერიტორიულ ერთეულად ვთვლიდეთ, რომლებიც არც ხადაში შედიოდა და არც ცხავატში და, ამდენად, ვცდილობდეთ ხადასა და ცხავატს შორის ე. წ. „ბუფერული თემის“ არსებობის დასაბუთებას, სინამდვილის დამახინჯების ტოლფასია. წიგნში ლაპარაკი გვაქვს არა იმაზე, თუ როგორ წარმოიქმნა გარეშემოს თემი, არამედ იმაზე, თუ სად წარმოიქმნა ის და ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით რომელი სოფლები შეიძლება დაჯგუფდეს წერილობითი წყაროებით ცნობილ და XVIII ს-ში წარმოქმნილ გარეშემოს თემში, რომლის არსებობაზე და, მით უფრო, წარმოქმნის მიზეზებზე მთიულ

ინფორმატორებს არავითარი წარმოდგენა არ გააჩნიათ. ეს კი სწორედ ის სოფლებია, რომლებიც ზოგიერთ მთხრობელს არც ხაღაში შეყავს და არც ცხავატში. ამდენად, ჩვენ მოვახდინეთ ვარეშემოს თემის ტერიტორიული რესტავრაცია XVIII ს-ში ცნობილ საზღვრებში, რასაც არაფერი აქვს საერთო ე. წ. „ბუფერული თემის“ არსებობის დამტკიცების ცდასთან, რაც რეცენზენტმა მოულოდნელად მოგვაწერა.

ჯ. გვასალია ასევე არ გვეთანხმება ბერი ეგნატაშვილისეულ „მთიულეთში“ ზოგადად „მთიანეთის“ ამოცნობის საკითხში და თვლის, რომ აქ „მთიულეთი“ ისტორიულ-ეთნოგრაფიული კუთხის მნიშვნელობით გაიგივებულია ცხავატთან, თუმცა ისტორიკოსის ცნობის ამდაგვარ გაგებას მხოლოდ რეცენზენტის „ღრმა ჩწმენა“ და არაჯეროვანი ფაქტობრივი არგუმენტაცია უდევს საფუძვლად, რაც ნიადაგ არ კმარა სინამდვილის და ჭეშმარიტებისათვის.

იგივე ითქმის ჩვენი მისამართით გამოთქმულ შემდეგ შენიშვნაზეც: „ვ. ითონიშვილმა ხადის თემის აღწერაში შემოიტანა ტერმინები „გალმა ხაღა“ და „გამოლმა ხაღა (დიდველი)“ .ეს დაყოფა პირობითია, რადგანაც იმის მიხედვით თუ ინფორმატორი ხადის რომელი ნაწილიდანაა, შეიძლება პირუკუ შემობრუნდეს გალმა-გამოლმა და დიდველი იქცეს „გალმა ხაღად“. თვით ქართლის ისტორიული გლმამხარი ზოგ წყაროში გამოლმამხარად იწოდებოდა“ (გვ. 97).

საკითხის ასეთნაირად დაყენება კრიტიკას ვერ უძლებს, ვინაიდან ჯ. გვასალია ერთობ ნაჩქარევად უგულვებელყოფს არა მარტო ჩვენ მიერ აღგილზე გამოკითხვით ფიქსირებული სახელდების უტყუარ ფაქტს, არამედ საკუთრივ მიწა-წყლის გარკვეულ ნაწილებისათვის აღწერილობითი ხასიათის (საორიენტაციო მიზნით ხმარებაში შემოტანილი) სახელწოდებების შერქმევის პრინციპს. ამიტომ მის საყურადღებოდ აუცილებელია ივანიშვილის, რომ ტერმინები „გალმა ხაღა“ და „გამოლმა ხაღა“ ჩვენ მიერ შეთხზული და ხმარებაში შემოტანილი არაა. ისინი თავად მთიულეთშია გაბატონებული და იმისგან დამოუკიდებლად, ასეთ დაყოფას „პირობითს“ დავარქმევთ თუ „არაპირობითს“, ხადის თემის ორი ნაწილის ტრადიციული სახელდება ნიადაგ ვერ დადგება ექვემდებარებას. სხვათა შორის, საქართველოს დაყოფა „ამერად“ და „იმერად“, ხევსურათისა — პირაქეთად (//„ბუდე ხევსურეთად) და პირიქითად (//„მთასიქითად“), თუშეთისა — პირიქითად და პირაქეთად და სხვ. გარკვეულწილად ასევე „პირობითად“ შეიძლება ჩაითვალოს, მაგრამ ეს ვარაუდობა, ცხადია, სულაც არ იძლევა აღნიშნული ნომინაციის ვადასინჯვის უფლებას.

ასევე მეტი საბუთიანობა იყო საჭირო, როდესაც ხელადებით იქნა უარყოფილი ჩვენი მოსაზრება ღუდის ხევში ოსთა ჩასახლების თარიღის შესახებ: „არაა სწორი მოსაზრება იმის შესახებ, რომ ოსების ინტენსიური ჩასახლება ღუდის ხევში XVIII ს-ის დამდეგს უნდა დაწყებულიყო. ვახუშტის რუკებზე, რომელიც XVIII ს-ის 30-იანი წლების ვითარებას ასახავს, ღუდის ხევი მთლიანად ქართველებით დასახლებული სოფლების ნიშნებითაა აღნიშნული. ოსთა ჩამოსახლება ღუდაში, ალბათ, XVIII ს-ის შუა ხანებში იწყება, რამდენადაც 1770 წლის აღწერასა და ვიულდენშტედტის ცნობებში (1772 წ.) ღუდა ოსებითაა დასახლებული“ (გვ. 96—97).

ესოდენ კატეგორიულ მტკიცებასთან დაკავშირებით ამჯერად საკმარისია ითქვას, რომ 1727 წლით დათარიღებულ წყალობის განახლების წიგნში⁸ და ერთ-ერთ ხალხურ ლექსში⁹ იხსენიება მოურავი ჯანუყა (//ჯანიყო) ნახლაიძე, რომლის ნებართვითაც, გვაუწყებენ მთიული მთხრობლები, ლუდაში ოსების დასახლებას. ამასთან ერთად, 1732 წლის ერთ საბუთში ლუდელნი, თრუ-სოელნი და ჭევის ოსები ერთად იხსენიებიან¹⁰. ამდენად, ვახუშტის რუკის ჩვენება ლუდის ზევის შესახებ თავისთავად არ გამოდგება ჯ. გვასალიას შენიშვნის მართებულობის დამამტკიცებელ უტყუარ საბუთად.

ჯ. გვასალია უკმაყოფილებას გამოხატავს იმის გამო, რომ ჩვენ არ ვუცხადებთ ნდობას მის მიერ ფიქსირებულ ტოპონიმებს და ეთნონიმებს და საგანგებოდ შენიშნავს: „ვ. ითონიშვილის გულისწყრომას იწვევს ჩვენ მიერ არაგვის სათავეებში წილკანის თემის ლოკალიზაცია... ავტორი დაუსაბუთებლად აცხადებს, რომ წილკანის კარი არა ჯვრის უღელტეხილის მიდამოებში, არამედ არაგვის ხეობაში, სადღაც ჭართლის და ბახალეთის საზღვართან (ანანურის ან ჟინვალის რაიონში) ლოკალიზდება“. სრულიად ნებისმიერია წილკანის კარების ასეთი ლოკალიზაცია. თუ ბარელი წილკნელები ჭართლელთა მეზობლებად ცხოვრობდნენ სამხრეთით, მაშინ სადღა უნდა მოთავსდნენ ისტორიული ბახალეთის თემის მცხოვრებნი? ვ. ითონიშვილის ვარაუდის საწინააღმდეგოდ ქართული წერილობითი წყაროები („მოქცევაჲ ქართლისაჲ“, ლეონტი) წილკნელებს თვლიან მთიელებად და ასახელებენ სხვა მთიელების გვერდით ანუ მეზობლობაში. სხვა რომ არ იყოს, ვერავითარ ლოგიკას ვერ ემორჩილება ბარელი წილკნელების გასაქრისტიანებლად მიხმობა წობენში (რომელიც ჟინვალის სანახებშია ლოკალიზებული) და არა მცხეთაში, რომელიც გაცილებით ახლოს მდებარეობდა წილკანთან“... (გვ. 97). შემდეგ კი რეცენზენტი კვლავ ავითარებს აზრს ჯვართაყელისა და წინკარის იდენტიფიკაციის საჭიროებაზე და წინკარში წილკანის ამოცნობის¹¹ კვალობაზე აღნიშნავს: „...წილკანის კარების მიმდებარე ტერიტორია უნდა სჭეროდა წილკანის თემს, რომლის აღმნიშვნელი ეთნონიმი ჩვენ დავადასტურეთ ს. ს. იუხოსა და მღეთის მკვიდრთაგან“... (გვ. 97).

სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ „წილკანის თემის“ ატანა არაგვის ხეობის სათავეებში (ისტორიული ხადის ადგილას) ერთობ მოულოდნელი აღმოჩნდა ჩვენთვის, თუმცა აღნიშნული ლოკალიზაციის საწინააღმდეგო არგუმენტაცია სტიმულირებული იყო არა ე. წ. „გულისწყრომით“, არამედ სავსებით გასაგები გაკვირვებით. ეს, ალბათ, კარგად მოეხსენება პატივცემულ რეცენზენტს, რომლის საყურადღებოდ განმეორებით უნდა განიმარტოს, რომ ქართულ წერილობით წყაროებში („მოქცევაჲ ქართლისაჲ“, ლეონტი) ფხოველების, ქართლელების და გუდამაყრელების გვერდით წილკანელთა მოხსენიება თავისთავად ძალზე ცოტას ლაპარაკობს უსათუოდ მთიელებად მათი წარმოდგენის სასარგებლოდ, ვინაიდან ძველი ქართული საისტორიო თხზულებებისათვის სრულებით არაა უცხო ბარის და მთიანეთის რეგიონის „მთიულეთად“ (//მთიანეთად), ხოლო ბარისა და მთისწინეთის ქვეყ-

⁸ თ. ჟორდანიას, ქრონიკები, III, თბ., 1967, გვ. 116.

⁹ პ. უშიაკაშვილი, ხალხური სიტყვიერება, მეორე გამოცემა, I, თბ., 1964, გვ. 70.

¹⁰ 1732 წლის პირობის წიგნი, მიცემული ერთობით მთის კაცთა მიერ ოთარ ამილახერის-შვილისადმი, „დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან“, ნ. ბერძენიშვილის რედ. თბ., 1940, გვ. 233.

ნების მოსახლეთა „მთიულეზად (// მთიელებად) მცდარი სახელდების პრაქტიკა. თქმულის საილუსტრაციოდ კი გამოდგება თუნდაც იმავე ერწოს სისტემატური შეყვანა მთის ქვეყნების სიაში, ხოლო თიანელებთან დაწყვილებულ ერწოელთა გამოცხადება მთიულეზად („...მოუწოდა მეფემან... ყოველთა მთეულთა: დვალთა, ცხრაზმელთა, მოკვივეთა, ჯადელთა, ცხავატელთა, ჭართალთა, ერწო-თიანელთა...“¹¹), ან კიდევ ზედაზენსა და დარიალს შორის მცხოვრებ ბარელთა და მთიელთა გაერთიანება შემკრებლობით სახელწოდება — „არაგვის მთიელების“ ქვეშ („...მაშინ მთიულნი არაგვისა ზედაზენით დარიალამდისნი ყოველნი ერთად შეკრებით იყუნეს...“¹²), რომ აღარაფერი ვთქვათ ქართლის მთელი სამეფოს „მთიულეთად“ (// მთიანეთად) სახელდებაზე („...არს აღმოსავლეთით ქალაქი სანელით მცხეთა, ქუეყანა ქართლისა და სომხითისა — მთეულეთი საწარმართო“¹³), აგრეთვე სახელწოდება „მთიულეთით“ (// მთიანეთით) ქართლის, ერწოს, მუხრანის, ხერკის და ბაზალეთის ქვეყნების აღნიშვნაზე (მონღოლ-თათრებმა „...მომართეს შესვლად მთიულეთს; მოაოჯრეს სომხითი, ქართლი, თრიალეთი, ერწო და დაღვეს მუხრანს, ხერკს, ბაზალეთს, ერწოს და თიანეთს...“¹⁴). ამდენად, ხაზგასმული ხარვეზების გათვალისწინება გვაძლევს უფლებას ვიფიქროთ, რომ სწორედ ანალოგიური სასიათის უზუსტობას უნდა ეჩინა თავი წილკნელთა შესახებ წყაროებში ასახულ ცნობებშიც, რის კვალობაზე მათი დაწინაურება ნიდავ არ კმარა ბარის ზოლში წილკნის ლოკალიზაციის საჭიროებაზე გამოთქმული ჩვენი მოსაზრების გასაბათილებლად.

რასაკვირველია, ჩვენ შორს ვართ იმ აზრისაგან, რომ ბარელი წილკნელების მიწვევას წობენს და არა იმავე მცხეთას სრულფასოვანი ლოგიკური ახსნა მოეძებნება, მაგრამ განა რამდენადმე მინც ემორჩილება ლოგიკას წილკნის უყოყმანოდ ლოკალიზაცია არაგვის ხეობის სათავეებში, რასაც გვთავაზობს ჯ. გვასალია, მაშინ როდესაც წერილობითი წყაროების მკაფიო ჩვენებით ვერ კიდევ IV ს-ში (ე. ი. იმ დროს როდესაც წილკანელთა „მოქცევა“ ჰქონდა ადგილი) წილკნად სახელდებული პუნქტის მდებარეობა სწორედ ისტორიული მუხრანის ქვეყნის მიწა-წყალზე არაერთგვაროვნად არ იწვევს? ავიღოთ მხოველისავე ცნობით IV ს-ში ქართლის მეფე ბაქარმა „აღაშენა ეკლესია წილკნისა“¹⁵, ხოლო V ს-ის II ნახევრიდან უკვე დავას არ იწვევს წილკნის საეპისკოპოსოს არსებობის ფაქტი. იქნებ პატრიცეუმულ მკვლევარს მოეძებნება მეტ-ნაკლებად დამაჯერებელი პასუხი კითხვაზე, თუ მინც რა მიზეზით ვერ ჰპოვა წყაროებში ასახვა თუნდაც ზერელე მინიშნებამ „მთისა“ და „ბარის“ წილკნების ურთიერთგამიჯვნის საჭიროებაზე, თუ მათ ერთდროულად არსებობას IV ს-ში მართლაც სარწმუნოდ მივიჩნევდით.

¹¹ ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, „ქართლის ცხოვრება“, ტ. II, ს. ყუხუჩიშვილის რედ., თბ., 1959, გვ. 111.

¹² ძველი ერისთავთა, „ქართული სამართლის ძეგლები“, ტ. II, ი. დოლიძის გამოცემა, თბ., 1965, გვ. 117.

¹³ ლეონტი მროველი, ნინოს მიერ ქართლის მოქცევა, „ქართლის ცხოვრება“, II, გვ. 303.

¹⁴ ჯამთაიალმწერელი, „ქართლის ცხოვრება“, II, გვ. 303.

¹⁵ ლეონტი მროველი, ნინოს მიერ ქართლის მოქცევა, „ქართლის ცხოვრება“, I, გვ. 131.



ამასთან, ზემოთ მოტანილ ამონაწერთან დაკავშირებით ჩვენ ოპონენტის რიც უნდა შევხსენოთ, რომ მთიელთა გვერდით წილკნელების დასახლება არაერთაა შემთხვევაში არ ნიშნავს იმას, რომ ისინი მინცდამაინც მთიელთა (ფხოველთა, გულამაყრელთა, ჭართლელთა) მეზობლად ცხოვრობდნენ. მაგრამ თუ ასეთი მეზობლობა მინც დასაშვებია, მაშინ ხომ გაუგებარია ჯ. გვასალიას უარყოფითი დამოკიდებულება ჭართლელთა სამხრეთ მეზობლებად და ამდენად, ისტორიული ბაზალეთის თემის მოსახლეებად წილკნელების წარმოდგენის შესაძლებლობისადმი, მით უფრო, რომ ისტორიულ-ეთნოგრაფიული ტრადიციით საერთოდ არაა ცნობილი აღნიშნული მხარის მცხოვრებთა კუთხური კუთვნილების გამომხატველი ტრადიციული სახელწოდება თუნდაც „ბაზალეთელი“-ს სახით. სამაგიეროდ წერილობით წყაროებში ვხვდებით ცნობებს „გრემისხეველების“ და „ქაისხეველების“ შესახებ, რომლებშიც სწორედ ისტორიული ბაზალეთის თემის ცალკეულ რაიონებში (გრემისხევი, ქაისხევი) მცხოვრებ მთისწინელთა აღმნიშვნელი აღწერილობითი სახელწოდებები ამოიცილობა. ამდენად, არაა გამორიცხული, რომ „წილკნელი“ თავის დროზე ბაზალეთის ტერიტორიაზე დისლოცირებული იმ თემის მკვიდრთა აღმნიშვნელ სახელწოდებადაც იმსახურებდეს წარმოდგენას, რომელთა ერთი ნაწილის ჩამოსახლებამ მუხრანში განაპირობა კიდევ აქ წილკნად წოდებული დასახლებული პუნქტის გაჩენა. აქი, თვით ჯ. გვასალიას ვარაუდით წილკნის გაჩენა სამუხრანოს ტერიტორიაზე არაგვის ხეობის სათავეებში მცხოვრები „მთიელი“ წილკნელების ბარში ჩამოსახლების შედეგი უნდა ყოფილიყო. თუკი ეს დაუსაბუთებელი თეზისი რამდენადმე სარწმუნოა, მაშინ რაღა უშლის ხელს იმ ვერსიის დაწინაურებას, რომ წილკნელებს შორეულ წარსულში შესაძლოა არა ხადის ტერიტორიაზე, არამედ ბაზალეთის მიწა-წყალზე ეცხოვრათ და შემდეგში ჩამოსახლებულიყვნენ მუხრანში? ვანა უფრო ლოგიკური არაა წილკნელთა წარმოდგენა სწორედ ისტორიული ბაზალეთის თემის მოსახლეებად, ვიდრე არაგვის სათავეებში მცხოვრებ მთიელებად? სხვას რომ თავი დავანებოთ, ამგვარი ლოკალიზაციით ხომ შედარებით გაადვილდებოდა კიდევ წილკნის მათი დაბარების ფაქტის ახსნა.

ასევე არადამაჯერებლად ჟღერს ჯ. გვასალიას ის განაცხადი, თითქოს ჩვენ ყოველგვარი დასაბუთების გარეშე, „სრულიად ნებისმიერ“ მოვხდინეთ წილკნის კარის ლოკალიზაცია არაგვის ხეობაში, კერძოდ ჟინვალ-ანანურის რაიონში. ესოდენ კატეგორიული მტკიცების საპირისპიროდ უპირანია განიმარტოს, რომ ნაშრომში სულაც არ გვქონია VII ს-ის სომხურ გეოგრაფიაში ხსენებული „წილკნის კარის“ მდებარეობის მაქსიმალური სიზუსტით ჩვენების პრეტენზია. თუმცა არსებული მონაცემების გაანალიზების საფუძველზე შედარებით უფრო ლოგიკურად მივიჩნიეთ წილკნის კარის (// წილკნის საეპისკოპოსოს ცენტრისაკენ მიმავალი კომუნიკაციის ჩამკეტი პუნქტის) ლოკალიზაცია სწორედ არაგვის ხეობაში (სახელდობრ ჟინვალ-ანანურის რაიონში). ვითარების ასეთნაირი შეფასებისას ვითვალისწინებდით წანართა დაქვემდებარებაში მყოფი ტერიტორიის მოცულობას და იმ საგულისხმო ფაქტსაც, რომ „წილკნის კარი“ ერთ-ერთ მნიშვნელოვან გასასვლელს (და არა გადასასვლელს) წარმოადგენდა, რაც თავისთავად სერიოზულად უნდა გვაქვემდებდეს ჯვართა ყელთან მისი შეფარდების მიზანშეწონილობაში. ამდენად, „სრულიად ნებისმიერი“ ლოკალიზაციის შთაბეჭდილებას უფრო მეტად სწორედ ჯვართა ყელთან წილკნის კარის იდენტიფიკაციისა და „წინკართან“ „წილკანის“ გაიგივე-



ბის ცდა უნდა ტოვებდეს; ხოლო, რაც შეეხება, ჯ. გვასალიას მხარეს კიდევ ერთხელ ასახულ იმ მტკიცებას, თითქოს სს. იუხოსა და მლეტის მკვიდრთა ცნობით, „ხადას ძველად წილკანი ერქვა“, მისდამი ჩვენი დამოკიდებულების საბოლოოდ გამოკვეთას ამჯერად უკვე ერთ-ერთი მთიული ინფორმატორის სიტყვებით ვარჩევდით: „...მამა-პაპითგან ასე ვიცი, რომ ხადას ერქვა ხადა. წინავე ესე ერქვა და ახლაც. ხალხისგან არ გამიგონია რომ ხადას წილკანი რქმევიყო. მხოლოდ ერთი კაცი ამოსულიყო თბილისიდან და უთქომ, რომ აქაობას წილკანი რქმევიყო. არ ვიცი საით მოიტანა. ბარში კი გამიგონია წილკანი, მცხეთისკე“ (ალექსი კურდღელას ძე ზაქაიძე, დაბად. 1911 წ., ს. წაგერე, 12/IX—1985).

ჯ. გვასალია კვლავ დაუინებით იცავს იმ აზრს, რომ „სახელწოდება „ხადა“ მთიულების განსაზღვრით ნიშნავს მთას, მთიან ადგილს“ და იქვე იმოწმებს სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმულ მოსაზრებას აღმოსავლეთ საქარელოს მთიანეთში ფიქსირებული ზოგიერთი სახელწოდების (კადო, კადუ, კადა) წარმოებაში სიტყვა ლადოს („მთიანი ადგილი“, „ქვიანი“, „ნაბარალიანი“, „ღრუებიანი“) შესაძლო მონაწილეობის თაობაზე (გვ. 99).

ჩვენ არაფერი გვაქვს საწინააღმდეგო სახელწოდება „კადას“ წარმომავლობის შესახებ გამოთქმული იმ მოსაზრებისა, რასაც სავსებით სამართლიანად უჭერს მხარს ჯ. გვასალიაც. ტერმინ „კადას“ წარმოებაში სიტყვა „ლადოს“ მიერ შესრულებულ როლზე გაკეთებული ზოგადი მინიშნება უთუოდ არაა მოკლებული დამაჯერებლობას, რაც ნამდვილად იძლევა იმ ვარაუდისადმი ჭეროვანი ნდობით განწყობის საფუძველს, რომ სახელწოდება „კადა“ შესაძლოა, მართლაც, ნიშნავდეს „მთას“, „მთიან ალავს“. მაგრამ სრულიად დაუშვებლად მიგვაჩნია ის, რომ აღნიშნული ეტიმოლოგია ფაქტობრივად საკუთრივ მთიულებს მიეწერება. საქმე ისაა, რომ მთიულებს საერთოდ არ გააჩნიათ წარმოდგენა სახელწოდება „კადას“ ეტიმოლოგიაზე, თუ მხედველობაში არ მივიღებთ მათ შორის გავრცელებულ ზოგიერთ არასოლიდურ თვალსაზრისს ჩვენთვის საინტერესო ტერმინის გაჩენაზე. სამაგიეროდ, მთიულებისაგან სისტემატურად გვიხდება შემდეგი განმარტების მოსმენა: „ხადა მთაა, თავი მთიულეთია, ცხავატი კი ბარია“, რაც იმას ნიშნავს, რომ ხადად წოდებული მხარე შედარებით უფრო მაღალმთიანი, ცივი და მოუსავლიანი ალავია, ვიდრე ცხავატად წოდებული მხარე. მაშასადამე, მთიულთაგან მიღებულ ასეთ განმარტებას საკუთრივ სახელწოდება „კადა“-ს ეტიმოლოგიის ახსნის ცდასთან არაფერი აქვს საერთო. მასში თვალსაჩინოდაა არეკლილი ერთი განსაზღვრული ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარის — მთიულეთის ორი უმთავრესი ნაწილის ურთიერთშეპირისპირება გეოგრაფიული და ბოტანიკურ-აგრონომიული ნიშნის მიხედვით, რაც თითოეული კუთხის ფარგლებში ადგილობრივი „მთის“ და „ბარის“ გამოყოფის ძირძველი ტრადიციის ჩარჩოებში თავსდება. არაა გამორიცხული, რომ ჯ. გვასალია შეცდომაში შეიყვანა სწორედ მთიულთა აღნიშნული მტკიცების ცალმხრივმა გაგებამ, რაც საბოლოო ანგარიშით დაედო კიდევ საფუძველად იმ განაცხადს, თითქოს „სახელწოდება „ხადა“ მთიულების განსაზღვრით ნიშნავს მთას, მთიან ადგილს“. ამდენად, ყოველივე წინათქმულის გათვალისწინებით, შენიშნული ხარვეზის ამოფხვრის საჭიროებაზე ლაპარაკი აღარ უნდა გვკვირდებოდეს.

ჩვენს განკარგულებაში არსებული მონაცემების არამართებული ანალიზით აიხსნება წიგნის ერთი მონაკვეთის მისამართით ჯ. გვასალიას მიერ გამო-

ტყეული შემდეგი შენიშვნაც: „მონოგრაფიის 29-ე გვერდზე ვ. იოთნიშვილი აცხადებს, რომ ხანდო და გუდამაყარი იოანე ბაგრატიონს ვაკეში შეეყავსო. ეს ტექსტის არასწორი წაკითხვაა: იოანე ბაგრატიონი სწორედ ხანდოთი იწყებს არაგვის მთის აღწერას. აი, იოანე ბაგრატიონის ტექსტი: „ქ. ხანდო მცირე ხეობა არის. ამას აქუს სოფელი რვა, შენნი.

ქ. გუდამაყარიც ხეობა არის. ამას აქუს სოფელი რვა, შენნი.

ქ. ისევ არაგვისა მთას კერძო სოფელნი:“

ამას მოსდევს მთიულეთის სოფლები ქისტურიდან კაიშაურამდე, ე. ი. მთის სოფლები. ის გარემოება, რომ აღნიშნულ სოფლებს აქვს სათაური „ისევ არაგვისა მთას კერძო სოფელნი“, მიუთითებს იმაზე, რომ ამ სათაურის წინ წოთავებული ხანდო და გუდამაყარი მთის რეგიონია და მათ შემდეგ ჩამოთვლილი მთიულეთის სოფლებიც ასევე („ისევ“) არაგვისა მთის კერძო სოფლებია“ (გვ. 95).

რამდენადაც კონკრეტულ შემთხვევაში ჯ. გვასალია მოულოდნელად მოგვაწერს იოანე ბაგრატიონის აღწერის ცნობების არასწორ წაკითხვას, მიზანშეწონილად ვთვლით „სადავო“ ტექსტის უფრო ვრცლად დამოწმებას სათანადო კომენტარის თანხლებით. აი, იოანე ბაგრატიონის ტექსტი:

„ამასევე შეუდგების არაგვის საერისთოს სოფლები ვაკისა, რომელნიც თვს ეყოდა მეფის ძეს ვახტანგს:

ქ. ბაზალეთს, რომელნიც მიეწერება:

ნაოტა... არჩვეითი... ნავაზა... ბოდორნა... ბაზალეთი... კობინთკარი... დუშეთი... საფერშეთი... ვეძისხევი... აფხავი... ანანური... ჟინვალი... ციხისძირი... ქართალი... პავლიაური... მთიულთკარი...¹⁶

ქ. ხანდო მცირე ხეობა არის. ამას აქუს სოფელი ცხრა, შენნი¹⁷.

ქ. გუდამაყარიც ხეობა არის. ამას აქუს სოფელი რვა, შენნი.

ქ. ისევ არაგვისა მთას კერძო სოფელნი:

ქ. მთიულეთი: ქისტური... ფევრური... კაიშაურთკარი...

ქ. კვეი არაგვისა ისევ: კობი..., აღმასიანი... ქ. თრუსოს ხეობა 8 სოფელი... კანბა... გორის სოფელი...¹⁸

როგორც მოტანილი ამონაწერიდან ვგებულობთ, იოანე ბაგრატიონი არაგვის საერისთავოს¹⁹ სოფლების აღწერითაა დაინტერესებული. ხსენებული პოლიტიკურ-ადმინისტრაციული ერთეულის აღსანიშნავად ერთ შემთხვევაში გამოყენებულია სახელწოდება „არაგვის საერისთო“, ხოლო მეორე შემთხვევაში უბრალოდ „არაგვი“. პირველ რიგში ავტორი არაგვის საერისთავოს ვაკის სოფლებს ჩამოთვლის და გარკვევით აჯგუფებს მათ ცალკეული მხარეების (ბაზალეთი, ხანდო, გუდამაყარი) მიხედვით, შემდეგ კი „ისევ არაგვისა მთას კერძო“ სოფლების, ანუ ასევე (//ეგრეთვე²⁰) არაგვის საერისთავოს მთის სოფლების აღწერაზე გადადის, რომელნიც დაჯგუფებულია ჯერ მთიულეთის, ხოლო მერმე „ისევ არაგვის“ (ე. ი. ასევე არაგვის

¹⁶ სოფლების სიას შემოკლებით ვთავაზობთ მკითხველს.

¹⁷ ამ სიტყვის შემდეგ ტექსტში გადახაზულია: „ისევ არაგვის მიეწერება“.

¹⁸ იოანე ბაგრატიონი, ქართლ-კახეთის აღწერა, თ. ენუქიძის და გ. ბედლოშვილის გამოც., თბ., 1986, გვ. 34—36.

¹⁹ ტექსტში ფიგურირებს „არაგვის საერისთავო“, თუმცა ამ სახელწოდების ქვეშ არაგვის საუფლისწულო ამოიცნობა.

²⁰ ისევ — ეგრეთვე (საბა).

საერისთავოს) შემადგენელი კუთხის — ხევის შესაბამისად. ამდენად, „ისევე არაგვისა მთას კერძო სოფელნი“ უნდა გავიგოთ არა როგორც „არაგვის საერისთავოს მთისავე სოფლები“ (რასაც გვთავაზობს ჯ. გვასალია და რაც მას საშუალებას მისცემდა აღნიშნული განმარტების წინ დასახელებული ხანდო და გულამაყარი „მთას კერძო“ (მთიან მხარეში შემავალ) მხარეებად ეგულისხმად), არამედ როგორც „არაგვისავე საერისთავოს მთის სოფლები“ (ან „იმავე არაგვის საერისთავოს მთის სოფლები“), რის კვალობაზე ძნელი მისახვედრი არაა ის, რომ არაგვის საერისთავოს მთის სოფლებად ი. ბაგრატიონის „აღწერაში“ იგულისხმება სწორედ მთიულეთის და ხევის (აგრეთვე თრუსოს) დასახლებული პუნქტები. მართალია, ი. ბაგრატიონი აქ სერიოზულ შეცდომას უშვებს, როცა ხანდოს, გულამაყარს და ჭართალს არაგვის საერისთავოს „ეაჟის“ ზოლში ათავსებს, მაგრამ განა უფრო თვალშისაცემი შეცდომა არაა თუნდაც ნაკლები, წინააღმდეგობებით აღსავსე ორიგინალური ტექსტის არაზუსტი წაკითხვა და მით უფრო, მისი თვითნებური კორექტირება, რაც ეტყობა მიზანშეწონილად მიაჩნია ჯ. გვასალიას?

სინამდვილეს არ შეესაბამება ჩვენი ოპონენტის შემდეგი მტკიცება: „ვ. იოანიშვილი წერს: „რაც შეეხება მთისა და ბარის მიჯნას არაგვის ხეობაში, ისტორიული წყაროებით ასეთად ცნობილია ანანური“. ავტორის ამ განმარტებასთან წინააღმდეგობაშია ორიოდე გვერდის წინ მთხრობელისაგან მოხმობილი ცნობა: „ჭართალი და ხანდო ბარია“ (გვ. 94).

ეს უსაფუძვლო შენიშვნა გვაიძულებს განვმარტოთ, რომ არაგვის ხეობაში „მთისა“ და „ბარის“ მიჯნად ისტორიულ-ეთნოგრაფიული ტრადიციის მიხედვით, მართლაც, ანანური წარმოგვიდგება. თქმულის საილუსტრაციო მონაცემები ვრცლად გვაქვს გამომზეურებული წიგნის მეორე თავში. რაც შეეხება ნაშრომის 21-ე გვერდს, აქ გარკვევით ვწერდით, რომ მთიელ მთხრობელთა ცნობით: „ჭართალი და ხანდო ბარია. ნამდვილი მთა ფსანაურის ზეითობაა. აქაური ხალხია ზეითლები, ჭართალს და ხანდოელებს ქვეითლებს გვძახებან. ჩვენ ვართ ქოთიი ხალხი“.

როგორც მთხრობელთა ამ განცხადებაზე დაკვირვება ცხადყოფს, მასში რელიეფურადაა არეკლილი „მთა-ბარობის“ საკითხისადმი დიფერენცირებული მიდგომის ტენდენცია, რომლის ძალით თითქმის ყველა კუთხის თუ რეგიონის (მათ შორის მთის ქვეყნების, ცალკეული ხეობების) ფარგლებში ტრადიციულად გამოყოფდნენ „მუნებურ“ „მთას“ და „ბარს“. აკი მთიელი ინფორმატორები, რომელთა შორის მტკიცედ გაბატონებული შეხედულებით ანანურის (სხვა ვერსიით უინვალის, ან დგნალის) „ზეითობა“ სწორედ „მთას“, „მთიანეთს“ წარმოადგენს, იმაედროულად მთიულეთს ნამდვილ მთად თვლიან მის სამხრეთით მდებარე ჭართალთან და ხანდოსთან შეპირისპირებაში, მაშინ როდესაც საკუთრივ მთიულებში გავრცელებული აზრით მათი სამოსახლო კუთხის ერთი ნაწილი (ცხავატი) ბარია ხადასთან (ე. ი. მთიულეთის უფრო მაღლივ თემთან) შედარებით. სხვათა შორის, იმავე ხევსურეთში სოფ. ბარისაზო მიმდებარე ტერიტორიითურთ ხომ „ბარ ალაგადაა“ მიჩნეული თუნდაც ბაქალიგოსთან, გულანთან, ხაზმატთან ან უკენხაღუსთან შედარებით. ამდენად, ჩვენი წიგნის ორი სხვადასხვა მონაკვეთიდან ამოღებული განმარტებების შეპირისპირება ნამდვილად არ იძლევა მათ შორის რაიმე წინააღმდეგობის დანახვის საფუძველს.



ასევე მეტი სიფრთხილე იყო საჭირო, როდესაც ითქვა: „...ჭართალი არც ბარია და არც მთა, არამედ არის ზეგანი ანუ მთისწინეთი. მაგრამ ვ. ითონი-შვილი მთისწინეთის არსებობას საერთოდ არა სცნობს. იგი ქვეყანას ვერტიკალური ზონალობის მიხედვით ჰყოფს მხოლოდ მთად და ბარად. აქ ავტორმა თავისი მოსაზრების სასარგებლოდ შეიძლება დაიმოწმოს ისეთი ავტორიტეტები, როგორც არიან ვახუშტი და ი. ჭავჭავაძე. მაგრამ XX საუკუნის 40-იან წლებში ჩვენი ქვეყნის ზონალურ დაყოფაში დასაბუთებულად გამოიყო არა ორი (ბარი, მთა) არამედ სამი ერთეული — ბარი, მთისწინეთი, მთა (ნ. ბერძენიშვილი, გ. ჩიტაია, დ. მუსხელიშვილი, ვალ. ითონიშვილი), თავი რომ დავანებოთ გეოგრაფიულ მეცნიერებაში მიღებულ ლანდშაფტურ დაყოფას, ქვეყნის მთად და ბარად დაყოფას საფუძვლად უდევს აგრობოტანიკური პრინციპი, კერძოდ, ვახის გავრცელების ზონები... ვ. ითონიშვილი არაგვის მთისა და ბარის გამყოფ პუნქტად ანანურს თვლის. მთისა და ბარის გამიჯნავი ასეთი პუნქტები არ იცის გეოგრაფიულმა მეცნიერებამ. საქართველოში არსად ბარი უცბად არ გადადის მთაში. მთასა და ბარს შორის არის გარდამავალი მხარეები. ამ შემთხვევაში ჭართალი სწორედ რომ გამიჯნავია, გარდამავალი ზოლია მთიდან ბარში გეოგრაფიულად, ბოტანიკურად, მეურნეობრივი თვალსაზრისით, ასეთი გარდამავალი ზოლის უგულვებელყოფა გაუგებრობაა. ამდენად, არასამართლიანია ავტორის კრიტიკა მ. ბერძენიშვილის მისამართით, რომლის აზრითაც ჭართალს ქვევით ბარია და ჭართალს ზევით მთა. ეთნოგრაფიული დაკვირებითაც ასეა, ჭართალი არის გამყოფი მთისწინეთი მთისა და ბარის რეგიონებისა“ (გვ. 95).

რა შეიძლება ითქვას მოტანილი ამონაწერის შესახებ?

უწინარეს ყოვლისა, რეცენზენტის საყურადღებოდ აუცილებელია განიმარტოს, რომ საქართველოში უძველესი დროიდან იქნა შემუშავებული ავტონომიური მოსახლეობის დისლოცირების არეალის ისტორიულ-ეთნოგრაფიული და ბოტანიკურ-აგრონომიული დარაიონების სპეციფიკური, მხოლოდ ადგილობრივ ბუნებრივ-ტერიტორიალურ და სამეურნეო-ეკონომიკურ კომპლექსებთან შეძლებისამებრ ობტიმალურად შეფარდებული, ტრადიცია. ამ უკანასკნელის ძალით საქართველოს მიწა-წყალი, რომელიც ოროგრაფიული თვალსაზრისით მაღალი, საშუალო და დაბალი მთების, ზეგნებისა და ვაკეების ერთობლიობას წარმოადგენს და უმეტესად მთაგორიანი ლანდშაფტით და საკმაოდ კონტრასტული ჰავით ხასიათდება, შორეული წარსულიდანვე გლობალური მასშტაბით დაექვემდებარა დაყოფას ორ ძირითად ზონად — „მთად“ და „ბარად“. ისტორიულ-გეოგრაფიული და ბოტანიკურ-აგრონომიული დარაიონების ასეთი პრინციპის შესაბამისად იმთავითვე მყარ ნიადაგზე აღმოჩნდა საქართველოს სხვადასხვა მხარის „მთის და ბარის (//ვაკის) ალაგებად“, („მთის და ბარის ქვეყნებად“) დაყოფის, ხოლო აჭარა მკვიდრთა მთიელებად („მთიულნი“//„მთეულნი“//„მთის კაცნი“) და ბარელებად („ბარისანი“, „ბარის კაცნი“, „ვაკის კაცნი“ „ველისანი“) სახელებების ტრადიცია, რომელმაც თითქმის XX ს-მდე შემოინახა თავი.

ჩვენ სწორედ საუკუნეების მანძილზე ჯერონად აპრობირებული ამგვარი დიფერენციაციის სრული დომინირების ეტაპის ამსახველი მრავალრიცხოვანი ისტორიულ-ეთნოგრაფიული მონაცემების დაწვრილებითი ანალიზის შუქზე განვახორციელებთ არაგვის ხეობის ფარგლებში „მთისა“ და „ბარის“ ზონების გამოიჯნა, ხოლო მთის თემების სიაში ჭართლის შეყვანა, რაც ნიადაგ არ მო-

მხდარა ვერტიკალური ზონალობის საკითხის ირგვლივ მოგვიანებით (XIX—XX სს.) გამოთქმული შეხედულებების იგნორირების ხარჯზე. არადა, საქართველოს წარსულში გაბატონებული ისტორიულ-გეოგრაფიული და ბოტანიკურ-აგრონომიული დაყოფის იმ ტრადიციაზე მსჯელობისას, რომლისთვისაც თითქმის სრულიად უცხოა „მთის“ და „ბარის“ პარალელურად ე. წ. გარდამავალი ზონის გამოყოფის პრაქტიკა, განა თავისთავად არ გამოირიცხება ვერტიკალური ზონალობის მოდიფიცირებული სქემის საზიანოდ ე. წ. ზეგან მთისწინეთის არარსებული ზონის განზრახ უგულვებელყოფის ცოუნება? ამდენად, ჯ. გვასალიას ის კატეგორიული განაცხადი, თითქოს ჩვენ ვერტიკალური ზონალობის მიხედვით ქვეყანას თვითნებურად ვყოფდეთ მხოლოდ მთად და ბარად და ამით საერთოდ არ ვცნობდეთ მთისწინეთის არსებობას ანალოგიური ერთეულის დონეზე მკითხველის დეზორიენტაციის მორიგი ცდის ტოლფასია.

რასაკვირველია, ჩვენ შორს ვართ იმ აზრისაგან, რომ საქართველოში „ბარი“ სადმე უცბად გადადის „მთაში“ და ისიც კარგად გვესმის, თუ რაოდენ პირობითი და მიახლოებითია ერთი განსაზღვრული პუნქტის გამოცხადება „მთისა“ და „ბარის“ ზონების მიჯნად, მაგრამ ესოდენ ანბანურ ჭეშმარიტებაზე ყურადღების აქცენტირება განა იძლევა იმ უტყუარი ფაქტის იგნორირების უფლებას, რომ ისტორიულ-ეთნოგრაფიული მონაცემების მიხედვით აღნიშნული პუნქტების გამოყოფას წარსულში რეალურად ჰქონდა ადგილი? — რა თქმა უნდა არა. ამიტომაც უპრიანია ჯ. გვასალიას შევაცხენოთ, რომ მართალია, გეოგრაფიული მეცნიერება არ იცნობს მთისა და ბარის ზონების გამიჯნავ ერთ ლოკალურ პუნქტს, მაგრამ სამაგიეროდ ასეთი პუნქტების არსებობაზე (ანაწერი, ეინვალი ან დგნალი — არაგვის ხეობაში; კორინთა — ქსნის ხეობაში, ბიყარი — მეჯუდას ხეობაში, ვანათი — პატარა ლიახვის ხეობაში, სვერი — დიდი ლიახვის ხეობაში, ჭიდროთა — რაჭაში, რიონის ხეობაში და ა. შ.) საკმაოდ მკაფიო ჩვენებებს იძლევიან წერილობითი წყაროები და ეთნოგრაფიული მასალები, რისი გაუთვალისწინებლობაც ვერტიკალური ზონალობის საკითხის გაშუქებაში სრულიად დაუშვებელია. ამდენად, ჯ. გვასალიას საყურადღებოდ ხაზგასმით უნდა განიმარტოს, რომ იგივე ანაწერის (ეინვალს ან დგნალს) არაგვის ხეობის მთისა და ბარის გამმიჯნავ პუნქტად მაინცდამაინც ჩვენ კი არ ვთვლით, არამედ ხსენებულ პუნქტს (და მასთან ერთად ეინვალს და დგნალს) ასეთ „როლში“ წარსულში მიღებული ზონალური დაყოფის („მთა“, „ბარი“) ამსახველი წერილობითი წყაროები და სხვა ეთნოგრაფიული მასალები წარმოაჩენენ, რომელთაც რეცენზენტი რატომღაც ანგარიშს არ უწევს. ეს კი მით უფრო გასაკვირია, თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ უწინარეს ყოვლისა, სწორედ ზონალურ დაყოფაზე წარსულში დაგროვილ ცოდნასა და „მთის“ და „ბარის“ რეგიონების პირობით მიჯნად ცალკეული პუნქტების (მაგ., ანაწერის, ეინვალის ან დგნალის) მიჩნევის არქაულ პრაქტიკაზე დაკვირვებას უნდა ვუმაძღვოდეთ ვერტიკალური ზონალობის საკითხში ახლებური ორიენტაციის (ე. წ. „მთა-ბარობის საშუალო“ ზონის — ზეგანის გამოყოფის) შესაძლებლობით სარგებლობას.

ასევე ისტორიულ-ეთნოგრაფიული მონაცემების სრული გაუთვალისწინებლობით აიხსნება ჯ. გვასალიას ის კატეგორიული განაცხადიც, თითქოს ქართალი წარმოადგენს არა მთის ზონაში ლოკალიზებულ ტერიტორიულ ერთეულს, არამედ ზეგანს, მთის და ბარის გამყოფ მთისწინეთს.

ვითარების ასეთნაირი შეფასება გვაძიძულებს კიდევ ერთხელ მივუთითოთ ოპონენტს, რომ IX—XIX სს-ის წერილობით წყაროებსა და ლიტერატურაში ჭარბადი სისტემატურად ფიგურირებს როგორც არაგვის ხეობის მთის რეგიონში ლოკალიზებული მხარე, ხოლო ჭართლელები არაერთგზის იხსენიებიან არაგველ მთიელთა („კადელნი“, „ცხვატელნი“ — მოგვიანებით „მთიულნი“; „გულდამყრელნი“, „ხანდოელნი“) გვერდით. ამ უტყუარი ფაქტის ეჭვქვეშ დაყენების საფუძველს მით უმეტეს არ იძლევა საკუთრივ ჭართლის თემის მკვიდრთა გამოკითხვა, რომელთაც მტკიცედ სწამთ, რომ მათი სამოსახლო კუთხე სწორედ „მთა ალაგია“.

ამასთან, თუ დამოწმებული მონაცემებით სარგებლობის ფონზე ორი ზონიდან („მთა“, „ხევიანი“) ერთ-ერთისადმი ჭართლის მიკუთვნების საკითხს განვიხილავთ ისეთი უმთავრესი მაჩვენებლების მიხედვით, როგორებიცაა ჰიფსომეტრული ნიშნულების მერყეობის საშუალო კოეფიციენტი, კონკრეტული ალაგის ლანდშაფტური და კლიმატური თავისებურებები, ადგილობრივი ფლორა და ფაუნა, ნიადაგის ნაყოფიერება-მოსავლიანობის ფაქტორი, სამეურნეო სავარგულების ხარისხი და მოცულობა, სოფლის მეურნეობის დარგობრივი სპეციალიზაცია, აგრეთვე განაშენიანების ხასიათი და მასშტაბები, მაშინ ხომ კიდევ უფრო მყარი ნიადაგი შეგვექმნება იმ საბოლოო დასკვნისათვის, რომ ჭართალი სწორედ ტიბურ მთის ქვეყანას წარმოადგენს და ჩვენთვის საინტერესო პარამეტრების მიხედვით ისეთივე არაფრით განსხვავდება არაერთი სხვა „უვალი“, უღალი და უბოვარი მთის ალაგისაგან“ (მაგ. ხანდოსაგან, თიანეთისაგან, წინა ფშავისაგან და სხვ.). სხვათაშორის, მიღებულ დასკვნას სავსებით უჭერს მხარს ჯ. გვასალიას შენიშვნაში გატარებული ის აზრიც, რომ „მთისწინეთში ხარობს და მწიფდება ყურძენი, მაგრამ მევენახეობა არაა მეურნეობის წამყვანი დარგი, ხოლო მთის მეურნეობა საერთოდ გამორიცხავს მევენახეობას“. მართლაც, თუ ამ კრიტერიუმით მივუდგებით ჭართლის თემის მთისა თუ მთისწინეთისადმი კუთვნილების საკითხს, ჩვენთვის საინტერესო კუთხე უსათუოდ მთის მხარედ დაიმსახურებს დახასიათებას, ვინაიდან ზღვის დონიდან 1440 მ მდებარე ზენუბანის, 1400 მ. მდებარე ვაშლობის, ჩიტაურების, ჭალის-სოფლის და სხვა დასახლებული პუნქტების მეურნეობა ნიადაგ გამორიცხავდა მევენახეობის დარგის არსებობის შესაძლებლობას.

მაშასადამე, ყოველივე წინათქმულიდან გამომდინარე, ჭართლის გამოცხადება მთისწინეთად, მთისა და ბარის გამყოფ მთისწინა მხარედ, სრული გაუგებრობაა. ფაქტია, რომ თუ ჭართალს მთისწინეთად ვიგულისხმებთ, მაშინ ხომ, ანალოგიური ლოკაციის ძალით, მთელი სერიოზულობით შეიძლება დაიხსნას საკითხი მთისწინეთის ზონისადმი იმავე ხანდოს, თიანეთის და სხვა მთის მხარეების კუთვნილების შესახებ, რაც ახალი დაბნეულობის წყაროდ შეიძლება იქცეს. ამდენად, არაობიექტურია ოპონენტის შენიშვნა ერთ-ერთი სწავლულის მისამართით ჩვენი კრიტიკის არასამართლიანობის თაობაზე.

ასევე მოკლებულია საბუთიანობას ჯ. გვასალიას მიერ ჩვენი ნაშრომის იმ მონაკვეთის მისამართით გამოთქმული კრიტიკული შენიშვნა, სადაც წერილობითი წყაროების ცნობების შუქზე აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთი ჭართლისა და კახეთის მთიანეთად გვაქვს გამოჩნული. ასეთ რეგიონალურ დაყოფასთან დაკავშირებით იგი შენიშნავს: „...ჭართლისა და კახეთის მთიანეთი სხვადასხვა ისტორიულ ეპოქებში სხვადასხვანაირად იყო განაწილებული. IX—XII სს-ში კახეთის სამთავროს (resp. სამეფოს) გაძლიერებასთან დაკავში-

რებით, როდესაც შიდა ქართლის დიდი ნაწილი კახეთის შემადგენლობაში აღმოჩნდა, მთელი არაგვი და ქსანი (რა თქმა უნდა, მათ მთიანეთითურთ) კახეთად გაიზარებოდა. ასევე კახეთად გაიზარებოდა არაგვის მთა იმ პერიოდებში, როდესაც არაგვის ერისთავი თავის სიუზერენად კახეთის მეფეს აღიარებდა“ (გვ. 93).

დამოწმებული კვალიფიკაცია გვაძლევს საგანგებოდ განვმარტოთ, რომ ძველი ქართული წერილობითი ტრადიციის თანახმად თავდაპირველი ქართლისა და კახეთ-კუხეთის, ვითარცა სამი სხვადასხვა ისტორიულ-გეოგრაფიული მხარის, მერმე კი შიდა ქართლისა და კახეთის საერისთავოების უძველესი საზღვარი მდ. არაგვზე ვადიოდა, ხოლო ხსენებული ერთეულების ფარგლებში ფორმირებული მთის თემები „ქართლის მთიანეთის“ და „კახეთის მთიანეთის“ შესაბამისად ჩანან დაჯგუფებულნი. აღნიშნული მიჯნა და რეგიონალური დაყოფის ხაზგასმული ტრადიცია არ მოშლილა მას შემდეგაც რაც კახეთი ჯერ ერთ-ერთი სამთავროს, ბოლოს კი დამოუკიდებელი სამეფოს სახით დაუპირისპირდა ჯერ შიდა ქართლის საერისთავოს, ხოლო შემდეგ ქართლის სამეფოს.

მართალია, პოლიტიკურ ერთეულად ფორმირებულმა კახეთმა თავის დროზე შიდა ქართლის დიდი ნაწილი შეიერთა, მაგრამ გაძლიერებული კახეთის პოლიტიკური საზღვრის ამგვარ გაფართოვებას ქართლის მიწა-წყლის ხარჯზე (რაც დროებით მოვლენას წარმოადგენდა) ნამდვილად არ გამოუწვევია უძველესი ისტორიულ-გეოგრაფიულ და ისტორიულ-ეთნოგრაფიულ, მოგვიანებით კი უკვე პოლიტიკურ დაყოფასთან შეფარდებული მიჯნის მოშლა და შიდა ქართლის განსაზღვრული ნაწილის შიდა ქართლადვე გაზარების ძირძველი ტრადიციის მაშინაღური რღვევა. ამდენად, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის გამიჯნვას ქართლის და კახეთის მთიანეთად და არაგვის საერისთავოს მთის თემების წარმოდგენას სწორედ ქართლის მთიანეთის შემადგენელ მხარეებად, რაც შემავრებულია მრავალრიცხოვანი წერილობითი წყაროების (მათ შორის ვახუშტისეული „აღწერის“) მკაფიო ჩვენებებით, ნიადაგ ვერ შეუშლის ხელს კახეთის პოლიტიკური საზღვრის ეპიზოდური გაფართოვების ერთობ ორდინალური ფაქტი, რომელსაც ჩვენმა ოპონენტმა რატომღაც აღნიშნული დაყოფის საპირისპირო საბუთის ღირებულება მიანიჭა.

ასევე მეტი დაფიქრება იყო საჭირო, როდესაც არაგვის ხეობის შემადგენელ ნაწილად ისტორიული ფხოვის (გვიანდელი ფშავ-ხევსურეთის) წარმოდგენის მიზანშეწონილობის თაობაზე გამოთქმული ჩვენი მოსაზრების საწინააღმდეგოდ მან განაცხადა: „ვანა აბსურდული არ არის ისტორიული ფხოვის არაგვის ხეობიდან გამორიცხვა? ფხოვის ანუ ფშავ-ხევსურეთის არაგვი (ვახუშტისეული „თეთრი არაგვი“) არაგვის ხეობის ისეთივე ორგანული ნაწილია, როგორც გუდამაყრისა და მთიულეთის არაგვები. ავტორს რომ ემუშავა ფშავ-ხევსურეთში და ამ თვალსაზრისით მთხრობლებთან შეეკრიბა მასალები, დარწმუნდებოდა, რომ ფშავ-ხევსურეთიც არაგვის ხეობას ეკუთვნის, თავიანთ დედა მდინარეს ისინიც არაგვს უწოდებენ, თავს არაგველებად თვლიან და ქვეყანას საარაგვოს უწოდებენ. ვ. იოანიშვილს უნდა გამოეჩინა მეტი სიფხიზლე და მოეხმო ეთნოგრაფიული მასალა“ (გვ. 93—94).

ის საკითხი, თუ რამდენად მიზანშეწონილია არაგვის ხეობად სახელდებული ისტორიულ-გეოგრაფიული რეგიონის მოცულობის დადგენა მდ. არაგვის აუზთან ზუსტ შეფარდებაში, განხილული გვაქვს 1989 წელს გამოცემულ

ნაშრომი²¹, რის გამოც მის გარშემო მსჯელობის საჭიროება არც ჩანს. გიგორდ, ჯ. გვასალიას საყურადღებოდ ამჯერად მოკლედ გვინდა შევნიშნოთ, რომ ჩვენ საქმით ხანს ვიმუშავეთ ფშავ-ხევსურეთში და სრულებით არ განვიცდით ფშავ-ხევსურეთის მდინარის ასევე არაგვად, ხოლო ფშაველთა და ხევსურთა სამოსახლო მხარეების საარაგვოდ სახელდების ტრადიციის ამსახველი მასალების ნაკლებობას. მაგრამ ამ მონაცემებით სარგებლობამ ნამდვილად ვერ დაგვარწმუნა არაგვის ხეობაში ისტორიული ფზოვის შეყვანის საჭიროებაში, ვინაიდან ისტორიული ფზოვი (გვიანდელი ფშავ-ხევსურეთი) ასისა და არღუნის ხეობებსაც (პირიქითი ხევსურეთი) მოიცავდა, რომელთა გააზრებას არაგვის ხეობის შემადგენელ ნაწილებად, მართლაც, აბსურდამდე მივყავართ. ამდენად, ჯ. გვასალიას უნდა გამოეჩინა მეტი სიფხიზლე და მოეხმო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მასალა.

ასევე მეტი სიფხიზლე იყო საჭირო, როდესაც ჩვენი მისამართით ითქვა: „ავტორს მცდარად ესმის ისტორიკოს ჟუანშერის ცნობა „მთიულნი არაგუსა აღმოსავლეთი“, რომელიც უნდა გავივით არა როგორც მდ. არაგვის აღმოსავლეთით მცხოვრები მთიულეები, არამედ როგორც მდ. არაგვის აღმოსავლეთ ნაწილში მცხოვრები მთიულნი“ (გ. 394).

ჯ. გვასალიას ამ შენიშვნას შემდეგი კითხვით გვინდა გავცეთ პასუხი: განა „მდ. არაგვის აღმოსავლეთით მცხოვრები მთიულეები“ ტერიტორიული დისლოცირების თვალსაზრისით არ შეეფარდება „მდ. არაგვის აღმოსავლეთ ნაწილში მცხოვრებ მთიულებს“?

ჯ. გვასალია უკმაყოფილებას გამოხატავს იმის გამო, რომ ჩვენ კრიტიკის საგნად ვაქციეთ მისი საენციკლოპედიო სტატია, სადაც არაგვის ხეობის შემადგენელ ნაწილად მიჩნეული ფზოვი შეცდომითაა ნაგულისხმები წილენის საეპისკოპოსოში შემავალ მხარედ. მისი მითითებით, ეს სერიოზული უზუსტობა რედაქციული შეკვეცის შედეგია, რაც უსათუოდ უნდა გავვეთვალისწინებინა საენციკლოპედიო წერილის შეფასებისას (გვ. 94).

სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ ჩვენ სრულებით არ მოგვეთხოვებოდა იმის გამოცნობაზე გარჯა, თუ რა სახის რედაქციული შეკვეცა (და ამდენად, თვალშისაცემი აზრობრივი დამახინჯება) განიცადა ჯ. გვასალიას საენციკლოპედიო სტატიამ, რის კვალობაზე მასში დაფიქსირებული ხარვეზის აღმოფხვრაზე მცდელობა სავსებით კანონზომიერია. სამაგიეროდ, პატივცემულ ოპონენტს არ უნდა გასჭირვებოდა იმის მიხედვრა, რომ ჩვენს ნაშრომში გაპარული ზოგიერთი ლაფსუსი (მაგ., „თიანეთის“ ნაცვლად „მთიანეთი“-ს, „წანარქ“-ის მაგივრად „წანართ“-ის დაბეჭდვა), რაზეც, ავტორს არ ეუხერხულება კრიტიკული შენიშვნების გაკეთება (გვ. 93, 98), მხოლოდ სტამბური უზუსტობაა და აქი წიგნზე დართულ შეცდომების გასწორებაში ერთ-ერთი მათგანი კორექტირებულიცაა.

მასასაღამე, ყოველივე წინათქმულის შეჯამების საფუძველზე დაბეჭივებით შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი მისამართით გამოთქმული შენიშვნები ნამდვილად ვერაფერში წაადგება არაგვის ხეობის მთიანი რეგიონის თემების ისტორიულ-ეთნოგრაფიული და ისტორიულ-გეოგრაფიული კვლევის საქმეს. პირიქით, მათი გამომუხურება მხოლოდ სერიოზულ დაბნეულობას ქმნის კვლევა-ძიების აღნიშნულ უბანზე, რამაც გვაძულა კიდევ პატივცემული ოპონენტის მოსაზრებების ესოდენ ვრცლად განხილვა წიგნში გამოყენებული ისტორიულ-ეთნოგრაფიული მონაცემების ხელმოკრე ანალიზის შუქზე.

²¹ ვახტ. ითონიშვილი, არაგვი და არაგველები, თბ., 1989.

V. V. ITONISHVILI

ВОПРОСЫ ИСТОРИИ АРАГВСКОГО УЩЕЛЬЯ

Резюме

В статье освещены некоторые вопросы истории, этнонимики и этногеографии горных уголков Арагвского ущелья. Поводом для размышления послужила полемическая публикация Дж. Г. Гвасалия «К истории Арагвского ущелья», которая, по сути дела, является третьей по счету рецензией на книгу В. В. Итонишвили «Арагвское ущелье (Тбилиси, 1986)». В статье показана полная необоснованность попыток Дж. Г. Гвасалия пересмотреть, или же машинально опровергнуть основные положения автора рецензируемого труда.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის იე. ჭავჭავაძის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის სოციალურ ურთიერთობათა ეთნოგრაფიული შესწავლის განყოფილებამ



აი, უკვე ერთი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ქართველ ისტორიკოსთა წრეს გამოაცვდა რევაზ დიმიტრის ძე თოდუა. წავიდა ამ ქვეყნიდან რეზო თოდუა და წარუშლელი კვალი დატოვა მეგობრებისა და კოლეგების გულში.

უნივერსიტეტის წარჩინებით დამთავრების შემდეგ იგი მუშაობას იწყებს ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის საქართველოს ეთნოგრაფიის განყოფილებაში მეცნიერ-მუშაკად. შრომისუნარიანი, ენერგიული ახალგაზრდა, დარგის თეორიული საფუძვლების დაუფლებასთან ერთად, მონღომებით ეწაფება სპეციალურ მუშაობის მეთოდებს და იწყებს ეთნოგრაფიული მასალის შეკრება-მოგროვებას საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში. რეზო თოდუას სამეცნიერო ინტერესები მეტად მრავალფეროვანი იყო. არ არსებობს საქართველოს მატერიალური კულტურისა და მეურნეობის ისეთი სფერო, რომელიც მისი გულისყურის მიღმა დარჩენილიყოს, მაგრამ რ. თოდუას მუშაობის პრობლემატიკაში განსაკუთრებული ადგილი ეკუთვნის ქართული ხალხური ხელოსნობის საკითხებს მან მონოგრაფიულად შეისწავლა ქართული ხალხური კერამიკა დასავლეთ საქართველოში და არა ერთი მნიშვნელოვანი გამოკვლევა მიუძღვნა მას, რომელთა შორის აღსანიშნავია ნაშრომი კერამიკული ნედლეულის ხალხური ტექნოლოგიის შესახებ (მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, ტ. XVI—XVII, 1972); კერამიკული წარმოების ხალხური ტექნიკის საკითხები (მსგ ტ. XVIII, 1975); სამეთუნეო ნაგებობები სამეგრელოში (მსგ, ტ. XX, 1979); კერამიკული წარმოების ხალხური ტექნოლოგიის საკითხები. ნაწარმის გამოწვევა (მსგ, ტ. XXI, 1981); სამე-

თუნეო ქურათა კლასიფიკაციისათვის და სხვა. ამ თემაზე მუშაობის დროს, როდესაც იკრძალებოდა და იდეგენებოდა ხალხური ხელოსნური წარმოება ქართული სოფლის ყოფიდან, რ. თოდუას არაერთხელ აღუნიშნავს გულის ტკივილით, რომ ამ დარგებს განსაკუთრებული მოვლა, ხელისშეწყობა ჰქირდება და ყველაფერი უნდა გაეთდეს მათი აღორძინებისათვის.

რეზო თოდუას ხელმძღვანელობით საქართველოსა თუ კავკასიის სხვადასხვა კუთხეში არა ერთ სამეცნიერო ექსპედიციას უმუშავებია. იგი ასევე წარმატებით ხელმძღვანელობდა საქართველოს ეთნოგრაფიული ატლასის „ტრანსპორტის“ სამეცნიერო-საბრობლემო ჯგუფს, რომელიც მის მიერ შედგენილი პრობლემაკითხვარით მუშაობდა ველზე. მან თავის გარშემო შემოიკრიბა ეთნოგრაფთა ახალგაზრდა კადრები, რომლებიც მისი ხელმძღვანელობითა და მითითებით ამუშავებდნენ ლექსიკონურ და საარქივო მასალას, ისტორიულ წყაროებს, წერილობით ძეგლებს, ლიტერატურულ და ენობრივ მონაცემებს, არქეოლოგიურ მასალას. მის არქივში დაცულია რეზო თოდუასათვის დამახასიათებელი ავტორტულებით კლასიფიცირებული და სისტემატიზებული ათი ათასობით ბარათი, რომელიც მზად არის შემდგომი დამუშავებისა და გამოქვეყნებისათვის.

განსაკუთრებით აღსანიშნავია რ. თოდუას მუშაობა ლა ცის ქვეშ მუზეუმში. მუზეუმის დაარსების დღიდან აკად. გ. ჩიტიაი ცდილობდა, რომ მის სათავეში მდგარიყო ეთნოგრაფი-სპეციალისტი, რადგან მიაჩნდა, რომ მუზეუმში უნდა იყოს არა მარტო ძეგლთა საცავი, არამედ აქტიური სამეცნიერო-საგანმანათლებლო დაწესებულება. ამიტომ გ. ჩიტიაის შერ-

ჩვეთა და რეკომენდაციით მუზეუმს სათავეში ჩაუდგა რეზო თოდუა, რომლის იქ მუშაობის პერიოდში მუზეუმის სამეცნიერო-საორგანიზაციო საქმიანობამ სწორი მიზანდასახული მიმართულება მიიღო.

რეზო თოდუა დღენიადავ მუზეუმის პრობლემებით ცხოვრობდა. ეროვნული კულტურისადმი უანგარო სიყვარულით გამსჭვალული პროფესიონალი ეთნოგრაფის უტყუარი აღლო კარნახობდა მას, რომ თანამედროვე ტექნიკური პროგრესის პირობებში არ შეიძლება ხალხური ტრადიციული კულტურის უყურადღებოდ დატოვება. პირქით, ამ პირობებში წინაპართა მემკვიდრეობას მეტი მეურვეობა სჭირდება, რომ ხალხი სულიერად არ გადატყველდეს, რაც გადაგვარების, ეროვნული თვითშეგნების პირველი საფეხურია. რეზო თოდუას დაუღალავი ვარჯისა და მცდელობის წყალობით მუზეუმის პოპულარობა მეტად გაიზარდა და სულ მალე დამთავლიერებელთა რიცხვმა ერთიოცად იმატა. მან უამრავი დრო და ენერჯია შეალოა მუზეუმის შემდგომ დახვეწას, განვითარებას, პოპულარიზაციას, უნიკალური სამუზეუმო ექსპონატების მოძიების, დაცვისა და მოწესრიგების საქმეს. მის მიერ მუზეუმში ჩატარებული საორგანიზაციო საქმიანობა ფასდაუდებელია.

რეზო თოდუა ნაყოფიერად თანამშრომლობდა ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის რედაქციასთან, რომლის დაკვეთით დაწერილი აქვს არა ერთი სტატია. ასევე აღსანიშნავია მისი თანამშრომლობა ჟურნალთან „ძველის მეგობარი“, სადაც გამოქვეყნებული აქვს ნაშრომი „კერამიკული გეომი“ (1972, № 24), წერილი გ. ჩიტაიზე (1971, № 25) და სხვა. იგი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა

საბიბლიოგრაფიო სამუშაოებს, რადგან მიაჩნდა, რომ სრულყოფილი დარგობრივი ბიბლიოგრაფია პირველი და აუცილებელი საფეხურია ნებისმიერი სამეცნიერო მუშაობისათვის. რეზო თოდუას უნდა ეუმადლოდეთ, რომ დღეს ქართველ ისტორიკოსებს ხელთ აქვთ გ. ჩიტაიას შრომების ქრონოლოგიური და თემატური ბიბლიოგრაფია (მსგ. ტ. XII—XIII, 1963); პროფ. ვ. ბარდაველიძის შრომების ბიბლიოგრაფია (მსგ. ტ. XVI—XVII, 1972). მან საქართველოს ეთნოგრაფიის ანოტირებული ბიბლიოგრაფიაც შეადგინა, რასაც დიდი დრო და ენერჯია შეალოა. ნაშრომი პირად არქივშია დაცული და მზადაა გამოსაქვეყნებლად.

ყველაფერი, რასაც რეზო თოდუა აკეთებდა, შესრულებულია დიდი გულსიყუროთ და კეთილსინდისიერებით, აუჩქარებლად და საფუძვლიანად, ყველაფერში ბოლომდე იხარჯებოდა, სასხეთაშორისოდ და ნაუცბათევად არაფერს უშვებდა ხელიდან. ამიტომ დარჩა მას უმდიდრესი არქივი, რომელიც კვლავ გაუწევს დიდ სამსახურს ქართულ მეცნიერებას.

რეზო თოდუა ბოლო ხანს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს საისტორიო საზოგადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილედ მუშაობდა. აქ კი ვეღარ მოასწრო თავისი კვალის დატოვება, რადგან უდროოდ შეწყდა მისი გულისცემა.

წავიდა ჩვენგან შრომისმოყვარე, ეროვნული კულტურის უანგარო მსახური, რომლის სიტყვა და საქმე არასოდეს დაცილებია ერთმანეთს, გულმართალი და ნათელი კაცი. რეზო თოდუას ნათელი ხსოვნა დიდხანს დარჩება მისი კოლეგებისა და მეგობარ-ახლობლების ხსოვნაში.

0. სურგულაძე



შემოქმედებითი აღმავლობის ხანაში გარდაიცვალა შესანიშნავი მეცნიერ-სოციოლოგი, ივ. ჭავჭავაძის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის წამყვანი მეცნიერი თანამშრომელი, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი ტატიანა ვლადიმერის ასული კინკაძე.

ტ. კინკაძე დაიბადა თბილისში 1938 წელს, წარჩინებით დაამთავრა რა თბილისის სულხან-საბა ორბელიანის სახ. პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტი და 1966 წელს ჩაირიცხა ისტორიის ინსტიტუტის ასპირანტურაში ეთნოგრაფიის სპეციალობით. სწორედ ამ დროს საქართველოში 30-იან წლებში ლიკვიდირებული სოციოლოგიური მეცნიერების რეაბილიტაციისა და დამკვიდრების პროცესი დაიწყო.

ტ. კინკაძემ შინაგანი მოწოდებით მიიღო გადაწყვეტილება თავისი მომავალი მეცნიერული მოღვაწეობა სამუდამოდ დაეკავშირებინა კონკრეტულ სოციოლოგიური კვლევის განყოფილებასთან, რომელსაც ცნობილი მეცნიერი პროფესორი მიხეილ გეგეშიძე ჩაუდგა სათავეში.

ასპირანტურის სწავლის პერიოდში ტ. კინკაძე წარმატებით დაუფლდა კონკრეტული სოციოლოგიური კვლევის რთულ პროცედურას. მან 1974 წელს დაიცვა დისერტაცია თემაზე „რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მუშათა კადრების პროფესიული ცვლილებები“ და ერთხმად მიენიჭა ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი. ეს იყო საქართველოში დაკული ერთ-ერთი პირველი დისერტაცია კონკრეტულ სოციოლოგიაში.

შეორე მონოგრაფიულ გამოკვლევაში „ახალგაზრდობის სოციალურ-პროფესიული ორი-

ენტაციის ფორმირების თანამედროვე ტენდენციები“ (1979 წ.) ტ. კინკაძემ განაზოგადა მის მიერ ჩატარებული კონკრეტულ-სოციოლოგიური კვლევის შედეგები და თეორიულ-პრაქტიკული ღირებულების მქონე დასკვნებით და დებულებებით გაამდიდრა ქართული სოციოლოგიური აზროვნება.

ტ. კინკაძემ სამუშაო მაგიდაზე დატოვა დასრულებული სადოქტორო დისერტაცია, რომელიც საქართველოში დღეს მიმდინარე ეთნოსოციალურ პროცესებს ეძღვნება.

კონკრეტული სოციოლოგიური კვლევა განსაკუთრებით შრომატევადია; წინასწარ სამუშაოებს, საკუთარი ინფორმაციის მოპოვებას დიდი დრო და ენერგია სჭირდება. ტ. კინკაძე ნებისყოფის დიდი დაძაბვით ახერხებდა კვლევის ყველა ეტაპზე გამოეჩინა უღიდეგი პასუხისმგებლობის გრძნობა და დაწყებული კვლევა ბოლომდე წარმატებით მიეყვანა. მან ფეხით გადალახა კავკასიონის, სვანეთისა და ხევსურეთის უღელტეხილები, მოიარა საქართველოს მთისა და ბარის ქალაქები და სოფლები, ღრმად ჩაიხედა მშრომელი ადამიანის ცხოვრებაში, უშუალოდ ხალხის წიაღში მოიპოვა და განაზოგადა უნიკალური სოციალური ინფორმაცია. მის მიერ მიღებული დასკვნები საიმედო და გამძლეა.

უკვე მძიმედ დაავადებული ტ. კინკაძე უკანასკნელად გამოვიდა მოხსენებით მოსკოვში 1989 წლის ზაფხულში ჩატარებულ სამეცნიერო კონფერენციაზე, სადაც მან ცრუმეცნიერულ, ზღოვებურ სქემებს დაუპირისპირა მეცნიერულად არგუმენტირებული დებულებები, რითაც უღირსი ზღუოფისაგან დაიცვა ქართველი ერის ინტერესის სიწმინდე. ფართო აღიარება მოიპოვა მისმა ორიგინალურმა მათემა-

ტიკურმა ფორმულამ, რომლის გამოყენებით შეძლო საქართველოში მცხოვრები ყველა ერის ეთნოსოციალური პოტენციალის გაანგარიშება; ამით მან მეცნიერულად დაასაბუთა უნიკალური მოვლენა — ქართულ მიწაზე ყველა ერის თავისუფალი სოციალური და კულტურული განვითარების სრული შესაძლებლობის არსებობა.

ტ. კინკაძის მეცნიერული დასკვნები ყოველთვის გამოირჩეოდა მაღალი პროფესიონალიზმით და აკადემიურობით.

ტ. კინკაძის სიცოცხლე მაშინ შეწყდა, როცა დამამთავრებელ სტადიაში შევიდა კოლექტიური რესპუბლიკური გამოკვლევა „საქართველოს ახალგაზრდობის სოციალური და დემოგრაფი-

ული განვითარების პრობლემები“. მისი ღვაწლი ამ საქმეში არ იქნება დავიწყებული. მის მაღალ ადამიანურ ღირსებაზე ისიც მეტყველებს, რომ დიდი ამაგი დასდო უღროოდ გარდაცვლილი ნიჭიერი მკვლევრის ხათუნა ჩხეტიანის მეცნიერული მემკვიდრეობის გამოშვეურებას.

ტ. კინკაძე აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა საკავშირო, რესპუბლიკურ და საინსტიტუტო სამეცნიერო კონფერენციაში,

ტ. კინკაძის მეცნიერული მემკვიდრეობა დარჩება სოცილოგიურ მეცნიერებაში და მისი ნათელი სახე არ წაიშლება ისტორიის ინსტიტუტის თანაშრომელთა ხსოვნაში.

ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის კონკრეტული სოციოლოგიური კვლევის განყოფილება

ბ. 125/69

დასი 1 მან. 30 კაბ.

ინდექსი

76197

